K 240.006
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართულ - საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობანი

კრებული

I

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართულ - საზღვარგარეთულ
ლიტერატურულ ურთიერთობათა
სამეცნიერო - კვლევითი ლაბორატორია

ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობანი

კრებული

I

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი 2001

894.631.091:81/899

ეროვნული ბიბლიოთეკა

УДК 894.631.0:82,0
ქ. 279

კრებულში წარმოდგენილ სტატიებში წარმოჩენილია ქართულ-სალვარგარეთული, კერძოდ, ქართულ-ბიზანტიურ, ქართულ-რუსულ, ქართულ-არაბულ, ქართულ-ინგლისურ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხები. მიმოხილულია ქართული ემიგრანტული პრესის მასალები, გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერების განხილვას, „ვეფხისტყაოსნის" მნიშვნელოვან პრობლემებს. კრებულში იბეჭდება მხატვრული თარგმანები, ასევე მასალა გ.რობაქიძის არქივიდან.

ნაშრომი თსუ ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელთა ნაღვაწია, შესრულებული 80-90 იანი წლების მიჯნაზე. განკუთვნილია ფილოლოგებისათვის.

რედაქტორი პროფ. ე. ხინთიბიძე

შემდგენლები: პროფ. მ. ოძელი
დოც. მ. თხინვალელი
რეცენზენტები: პროფ. ა. გვახარია
პროფ. ლ.მენაბდე

N 240006

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001

4601240000000
ქ ————————
608(06)-01

ISBN 99928-77-53-7

სპეც-20
შემოწმებულია

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ. სოხაძე

ქართულ-ბიზანტიურ ლიტერატურულ ურთიერთობათა მკვლევარნი[1]

ბიზანტიურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ასევე საუკუნეებს ითვლის ამ ურთიერთობებით დაინტერესება და მათი კვლევაც. ჯერ კიდევ ათონზე მოღვაწე ქართველ მთარგმნელებს, ეფრემ მცირეს აქვთ საინტერესო დაკვირვებები ამ მიმართებით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ XX საუკუნეში მიიღო ბიზანტიურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევამ სისტემური ხასიათი. ამ პრობლემატიკით დაინტერესდნენ არა მხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი მეცნიერებიც. უმნიშვნელოვანესი, ფუძემდებლური შრომები შექმნეს ამ დარგში კ.კეკელიძემ, ს.ყაუხჩიშვილმა, ი.ჯავახიშვილმა, შ.ნუცუბიძემ, მ.გოგიბერიძემ და სხვებმა. მათი ღვაწლი ამ სფეროში შესწავლილი აქვს მრავალ მეცნიერს (ალ.ბარამიძე, ე.ხინ-

[1] ეს წერილი მხოლოდ მცირედი ნაწილია იმ დიდი შრომისა, რომელიც ჩვენ გავწიეთ ბიზანტიურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა მკვლევრებისა და კვლევის ცენტრების შესასწავლად. მასში განხილული გვაქვს მე-19 საუკუნის უცხოელ, კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტსა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მოღვაწე მკვლევართა მეცნიერული ნაშრომები. წინამდებარე წერილში ვეხებით მხოლოდ რამოდენიმე თანამედროვე მკვლევარს.

თიბიძე, რ.მიმინოშვილი) და ამიტომ აქ მათ ნაშრომებზე აღარ შევჩერდებით.

დიდი ქართველი მეცნიერების წამოწყებული საქმე გააგრძელეს და ახალ სიმაღლეზე აიყვანეს მათმა მოწაფეებმა, რომელთა შორისაც არიან პროფესორები: ე.ხინთიბიძე, ივ.ლოლაშვილი, რ.მიმინოშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები ც.ბააკაშვილი, ლ.დათიაშვილი და სხვები.

პროფ. ე.ხინთიბიძე ძველი ქართული ლიტერატურის აღიარებული მკვლევარია. მას საყურადღებო გამოკვლევები აქვს რუსთველოლოგიასა და ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების სფეროში. იგი ავტორია 120 -მდე გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომისა, რომელთაგან 8 მონოგრაფიაა. მათ შორის ბიზანტიურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებს ეძღვნება ექვსი მონოგრაფია. ესენია:

1. „ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის„ ქართული რედაქციები“, თბ. 1968 (ქართულ ენაზე).

2. „ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი“, თბ., 1969 (ქართულ ენაზე).

3. „ვარლამ და იოასაფის“ ბერძნულ და ქართულ რედაქციათა ურთიერთმიმართებისათვის“, პარიზი, 1976 (ინგლისურ ენაზე).

4. „Афонская грузинская литературная школа” Тб. , 1982 (რუსულ ენაზე).

5. „ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიისათვის“, თბ., 1982 (ქართულ ენაზე).

6.”Грузино-византийские литературные взаимоотношения” ,Тб., 1989 (რუსულ ენაზე).

პროფ. ე.ხინთიბიძეს საფუძვლიანად აქვს შესწავლილი ქართველ, რუს და უცხოელ ბიზანტინისტთა უმნიშვნელოვანესი შრომები, ყველა ის ძირითადი პრობლემა, რომელიც აქტუალურია დღეს ბიზანტინისტიკისათვის და მათი ურთიერთშეჯერების, მეცნიერულ-კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებული და შექმნილი აქვს ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების შემსწავლელი სამეცნიერო დისციპლინა, რაც ამგვარი სახით არ არსებულა ქართულ მეცნიერებაში.

პროფ. ე.ხინთიბიძის სამეცნიერო კვლევა-ძიების შედეგებს, თეორიებსა და ჰიპოთეზებს შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ რამდენიმე, რომლებიც წარმოადგენენ ახალ სიტყვას ბიზანტინისტიკაში. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ბასილი კაპადოკიელის „ასკეტიკონის" ქართულ რედაქციათა როლის გამოვლენა ამ ძეგლის ბერძნული ორიგინალის უძველეს რედაქციათა აღდგენის საქმეში. ასეთ მნიშვნელოვან საკითხთა რიგშია ბასილი კაპადოკიელის და გრიგოლ ნოსელის სადაურობის პრობლემა (ჰიპოთეზა); ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის პირველი ნიმუშის „შუშანიკის წამების" მიმართება ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის ადრეულ ძეგლებთან; XI-XII საუკუნეთა ცნობილი ქართველი მწერლების ეფრემ მცირესა და იოანე პეტრიწის მთარგმნელობითი, სამეცნიერო და ფილოსოფიური მოღვაწეობის ცალკეულ პრობლემათა შესწავლა; ქართული მასალების გათვალისწინებით ბიზანტიური რომანის „ვარლაამ და იოასაფის" შექმნასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა და ახალი ორიგინალური არგუმენტების გამოვლენა ეფთვიმე ათონელის ავტორობის სასარგებლოდ; პეტრე იბერიელისა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის იდენტიფიკაციის დამამტკიცებელი ახალი არგუმენტის წამოყენება და სხვა.

დაწვრილებით შევჩერდებით რამდენიმე საკითხზე.

პროფ. ე.ხინთიბიძის პირველი მნიშვნელოვანი ნაშრომი ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების სფეროში გამოქვეყნდა 1968 წელს. ეს იყო მონოგრაფია „ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის" ქართული რედაქციები".

ბასილი კაპადოკიელის „ასკეტიკონი" ანუ „სამოღვაწეო წიგნი" შუა საუკუნეების ერთ-ერთი პოპულარული ძეგლია. ჩვენამდე მოღწეულია ამ წიგნის 150-ზე მეტი ხელნაწერი. ტექსტის პირველსახის აღსადგენად ბიზანტინოლოგიაში გამოყენებულია ყველა ბერძნული რედაქცია და თითქმის ყველა თარგმანი. ამ თვალსაზრისით ძველ ქართულ თარგმანებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ.

დასახელებულ ნაშრომში გარკვეულია შემდეგი საკითხები: რას წარმოადგენს ბასილი კაპადოკიელის სამოღვაწეო წიგნი; ერთი ნაწარმოებია იგი თუ ცალკეული სტატიების კრებული; რა თხზულებებია მასში შესული; არის თუ არა ბერძნულ მწერლობაში ასეთი კრებული თუ ქართველი მთარგმნელის მიერაა შეკრებილი; როგორია ქართული თარგმანის მიმართება ბერძნულ დედანთან; ხომ არ არსებობს ამ წიგნის კიდევ სხვა რედაქციები ქართულ მწერლობაში; რა ადგილი უკავია ქართულ ვერსიებს ბერძნული ხელნაწერების რიგში; როდის და ვის მიერაა შესრულებული ამ ძეგლის ქართული თარგმანები და რა მიმართებაშია ისინი ერთმანეთთან.

ბასილის „სამოღვაწეო წიგნის" ქართულ რედაქციებს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის, ასევე ბიზანტიური ფილოლოგიისთვისაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასილ დიდის „ასკეტიკონის“ დღეისათვის შემონახული ოთხი რედაქციით ძველ ქართულ ლიტერატურას თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მსოფლიო საქრისტიანო მწერლობაში.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა როგორც ქართული ლიტერატურისათვის, ისევე ბიზანტიური ფილოლოგიისთვის აქვს ეფრემის თარგმნილ და სინას მთაზე დაცულ ასკეტურ კრებულებს. ეფრემ მცირეს დაწვრილებით შეუსწავლია ბასილის ასკეტური მემკვიდრეობის საკითხი. მას ხელთ ჰქონია რამდენიმე ბერძნული დედანი და მათი ფილოლოგიური შესწავლის შემდეგ საკუთარი რედაქცია ჩამოუყალიბებია. ფაქტია, რომ ეფრემი მის მიერ რედაქტირებული „ასკეტიკონით“ თავისი თანამედროვე მეცნიერების სიმაღლეზე დგას. ამას მოწმობს ისიც, რომ ეფრემის „ასკეტიკონში“ ჰიპიტიპოსის გარდა შესულა ე.წ. სეკვანსის ტიპის თხზულებებიც. ასეთი შერწყმა კი იმ დროისათვის უახლესი მოვლენა იყო, რადგანაც ამ ტიპის ბერძნული ხელნაწერები მხოლოდ XI ს-დან გვხვდება. ეფრემ მცირეს დაწვრილებით შეუსწავლია ბასილის ასკეტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხები და „ასკეტიკონის“ საკუთარი რედაქციისთვის დაურთავს უაღრესად საინტერესო სქოლიოები.

სინას მთაზე დაცული ბასილის ასკეტური კრებული ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის მეტად საყურადღებო მოვლენაა. ამ კრებულის არსებობა ადასტურებს იმას, რომ ქართველები ბასილის ლიტერატურული მემკვიდრეობით და კერძოდ მისი ასკეტური ნაწერებით ჩვენი მწერლობის პირველ პერიოდშიც ყოფილან დაინტერესებულნი და ბერძნულიდან ქართულ ენაზე მათ სათარგმნელად უაღრესად

მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაუტარებიათ. „ასკეტიკონის" ამ უძველეს ქართულ რედაქციას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ბიზანტიური ფილოლოგიისათვის ბასილი კაპადოკიელის ასკეტური ნაწერების პირვანდელი რედაქციის დასადგენად.

ე.ხინთიბიძემ შეისწავლა ბასილის ასკეტურ ნაწარმოებთა შემცველი ცნობილი ქართული ნუსხები და ამავე დროს გამოავლინა „სამოღვაწეო წიგნის" უცნობი მნიშვნელოვანი ხელნაწერებიც. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია ის, რომ ახლებურად იქნა დაყენებული და გადაწყვეტილი ძველი ქართული ლიტერატურის ზოგიერთი საკითხი. მაგალითად, პროკოფი მთარგმნელის ლიტერატურული მემკვიდრეობის საკითხი, რომელსაც კ.კეკელიძემ თავის „ძველი ქართული ლიტერატურის" I გამოცემაში სპეციალური თავი მიუძღვნა.

ეფრემ მცირეს „სამოღვაწეო წიგნის" ბოლოს გაუკეთებია მინაწერი, რომ ბასილ დიდის ეს ნაწარმოები ძველადვე ყოფილა ქართულად თარგმნილი ვინმე პროკოფის მიერ. კ.კეკელიძე პროკოფის თვლიდა XI საუკუნის II ნახევრის მოღვაწედ, რადგან ეფრემის თარგმანის გარდა ცნობილი იყო მხოლოდ ერთი რედაქცია ბასილის „სამოღვაწეო წიგნისა". პროფ. ე.ხინთიბიძემ გამოავლინა „სამოღვაწეო წიგნის" დღემდე უცნობი რედაქცია (სინას მთის №35 ხელნაწერში) და დაადგინა, რომ პროკოფი ყოფილა სწორედ ამ უცნობი რედაქციის მთარგმნელი, ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი პერიოდის მოღვაწე (არა უგვიანეს X საუკუნისა), და არა XI საუკუნის II ნახევრისა, როგორც აქამდე იყო მიჩნეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წიგნში ე.ხინთიბიძეს დღის სინათლეზე გამოაქვს ეფრემ მცირის დიდი დამსახურება „ასკეტიკონის“ ავტორის დადგენის საქმეში, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ეფრემი არა მარტო დიდი მთარგმნელი, არამედ დიდი ფილოლოგიც იყო.

შემდეგ ე.ხინთიბიძე ეკამათება კ.კეკელიძეს, რომელმაც პირველმა გამოავლინა „ასკეტიკონის“ ორი ქართული რედაქცია, მაგრამ იგი თვლიდა, რომ ამ ნაწარმოების ერთი ნაწილი „ითიკის“ სახელწოდებით, თარგმნა ეფთვიმე ათონელმა, ეფრემმა კი დანარჩენი „ითიკის“ გამოკლებით. ამ საკითხს ნათელი მოჰფინა ეფრემის ერთ-ერთმა კომენტარმა, რამაც საშუალება მისცა მკვლევარს ამგვარი დასკვნების გაკეთებისა:

1. ეფთვიმე ათონელმა თარგმნა ბასილი კაპადოკიელის ჰომილეტიკურ-ეგზეგეტიკური შინაარსის კრებული, რომელიც ქართულ მწერლობაში „ითიკის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ამ „ითიკას“ არაფერი საერთო არა აქვს ბასილი კაპადოკიელის „მორალურ წესებთან“, რომელსაც ბერძნულად „ითიკა“ ეწოდება.

2. ეფრემ მცირემ ქართულად თარგმნა ბასილი კაპადოკიელის „ასკეტიკონი“, რომელშიაც, ისევე როგორც შესაბამის ბერძნულ კრებულებში, შეტანილია ბასილის „მორალური წესები“.

3. ეფრემ მცირე, როგორც მწერლობის ისტორიკოსი, ერთ-ერთ კომენტარში არკვევს ამ ბუნდოვან საკითხს.

1969 წელს გამოდის ე.ხინთიბიძის წიგნი „ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი“, რომელიც წარმოადგენს ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერ-

თობის ძირითად პრობლემათა, ამ კვლევის უმთავრეს მონაპოვართა თავმოყრისა და გათვალისწინების ცდას. მთელ რიგ შემთხვევებში იგი ემყარება ავტორის ორიგინალურ დაკვირვებებს, აგრეთვე ბიზანტიური ლიტერატურის ძეგლებსა და მათ ქართულ თარგმანთა შემცველ ხელნაწერებზე მუშაობის შედეგებს. ნაშრომში წარმოდგენილია ბიზანტიურ-ქართული პრობლემატიკის ფილოლოგიური, ტექსტოლოგიური კვლევის მეთოდიკა, ამ კვლევის ამოცანები ქართული ფილოლოგიური მეცნიერების თანამედროვე ეტაპზე.

დასახელებულ წიგნში ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ძირითადი პრობლემები განხილულია სამ ასპექტში:

1. ქართული ელემენტის, ქართული კულტურის როლი ბიზანტიური ლიტერატურის ფორმირებისა და განვითარების პროცესში;

2. ბიზანტიური ლიტერატურის შემოქმედებითი ათვისება ქართველების მიერ;

3. ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელობა ბიზანტინოლოგიისათვის.

მიმოხილული ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების მდიდარი პრობლემატიკიდან საგანგებოდ არის შესწავლილი სამი დიდი კაპადოკიელის საკითხი, ეფრემ მცირის მეცნიერულ-მთარგმნელობითი მოღვაწეობა და ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული პრობლემატიკის კვლევის მეთოდები და ამოცანები.

1962 წელს დაიბეჭდა ე.ხინთიბიძის წერილი „ბასილი დიდის სადაურობისათვის" (საქ. მეცნ. აკად.საზოგ. მეცნ. განყ. „მოამბე", 1962, №3, გვ. 125-151), რომელშიც გამოთქმულია

მოსაზრება, რომ IV საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე ბასილ დიდი ეროვნებით ქართველი უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე ქართველად იქნა მიჩნეული მისი ძმაც- სასულიერო მწერლობის მეორე დიდი წარმომადგენელი- გრიგოლ ნოსელი. 1965 წელს ე.ხინთიბიძის თეორია გაიზიარა პროფ. გ.გოზალიშვილმა და თავის მხრივ წამოაყენა მოსაზრება, რომ ასევე ქართული წარმოშობის უნდა იყოს გრიგოლ ნაზიანზელი (გ.გოზალიშვილი, ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის წარსულიდან, თბ., 1965). ამგვარად ჩამოყალიბდა ჰიპოთეზა სამი დიდი კაპადოკიელის სადაურობის შესახებ.

ე.ხინთიბიძე ეყრდნობა ისტორიულ წყაროებს და მისი არგუმენტები ამგვარია:

1. პონტოს მოსახლეობა ძირითადად სამი სხვადასხვა ეროვნებისაგან შედგებოდა: ბერძნების, ქართველური ტომებისა და სომხებისაგან. იმ პერიოდში პონტოს დიოცეზის აღმოსავლური ნაწილის მკვიდრი მოსახლეობა ძირითადად ქართველური ტომები იყვნენ. მათი არისტოკრატიული ნაწილი და მათთან ერთად ჩრდილოეთიდან ჩამოსული კოლხები და იბერიელები ჩაბმული იყვნენ კაპადოკიის კესარიისა და პონტოს ნეოკესარიის კულტურულ ცხოვრებაში.

აქედან გამომდინარე, ბასილ დიდი, რომელიც წარმოშობით ყოფილა პონტოდან, შეიძლება ყოფილიყო ან ბერძენი, ან ქართველი, ან სომეხი.

შემდეგ ე.ხინთიბიძე იმოწმებს პირველწყაროებს: თვით ბასილ დიდის, გრიგოლ ნაზიაზელის, ამფილოქე იკონიელის და სხვათა თხზულებებს და გამორიცხვის წესით მიდის დასკვნამდე, რომ ბასილ დიდი არ იყო ბერძენი და არც სომეხი.

2. გრიგოლ ნაზიანზელი „ბასილ დიდის ეპიტაფიაში“ ბასილის მამის წინაპრების სამკვიდროდ აცხადებს ეგრისს, რომელიც „არავის მეცლთაგანისასა უდარეს-ჰყოფს მის თჳსთა საკჳრველებათა, რომელთაგან აღსავსე ყოველნი აღმწერელობანი და სიტჳსმოქმედებანი“, ე.ი. კოლხეთს. ამგვარ განმარტებას ამაგრებს ეფრემ მცირეს ერთ-ერთი კომენტარიც.

3. ბასილის ბიოგრაფიები მიუთითებენ, რომ ბასილი ეროვნებით კაპადოკიელი იყო, ბიზანტიური ისტორიოგრაფიისათვის კი კაპადოკია ეთნიკური ტერმინია და კაპადოკიელი არის იგივე მესხი.

ამის შემდეგ მკვლევარი იძიებს, თუ რა ადგილი უჭირავს ბასილი კესარიელს ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში და თვლის თუ არა ქართული ტრადიცია ბასილ დიდს ახლობელ, მშობლიურ მოღვაწედ.

მრავალრიცხოვანი ფაქტების დამოწმებით ე.ხინთიბიძე ამტკიცებს, რომ ტრადიციაც მხარს უჭერს ბასილ კესარიელის და მისი ძმის-გრიგოლ ნოსელის ქართულ წარმოშობას. თუმცა მკვლევარი ცალმხრივად არ აფასებს ამ დიდი მოღვაწეების ეროვნული წარმოშობის მნიშვნელობას და სამართლიანად თვლის, რომ ისინი არიან ბიზანტიელი მწერლები, აღიზარდნენ ბერძნულ კულტურულ გარემოში და წერდნენ ბერძნულ ენაზე (ამ საკითხზე სხვა აზრისაა პროფ. გ.გოზალიშვილი).

1982 წელს რუსულ ენაზე გამოდის ე.ხინთიბიძის წიგნი „Афонская грузинская литературная школа“, რომელიც ქართული კულტურის უაღრესად საინტერესო და მნიშვ-

ნელოვან საკითხებს მისაწვდომს ხდის არაქართველი მკითხველისათვის.

ამ მონოგრაფიაში მიმოხილულია ის დიდი ლიტერატურული საქმიანობა, რომელსაც ეწეოდნენ ათონის მთაზე ქართულ ლიტერატურულ სკოლაში ჩვენი დიდი წინაპრები - იოანე, ეფთვიმე, გიორგი ათონელები, გიორგი მცირე, სტეფანე ათონელი, თეოფილე ხუცესმონაზონი და სხვები. აგრეთვე, შესწავლილია ის წვლილი, რაც ათონის ქართულმა ლიტერატურულმა სკოლამ შეიტანა შუა საუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში.

წიგნის პირველი ნაწილი ამგვარადაა დასათაურებული: „ათონის ქართული ლიტერატურული სკოლის ისტორიისათვის". მასში მოთხრობილია ლეგენდა ათონის მთის შესახებ, ამ მთაზე მონასტრების დაარსებისა და ბერ-მონაზვნობის გავრცელების ისტორია, განსაზღვრულია ათონელ ქართველთა როლი და ადგილი დიდ ბიზანტიურ კულტურაში.

მკვლევარი ახასიათებს ქართული ლიტერატურის ე.წ. ეროვნულ პერიოდს, რომელიც წინ უძღოდა ათონის სალიტერატურო სკოლის ჩამოყალიბებას და გამოყოფს VIII-X საუკუნეების საქართველოს კულტურულ-იდეოლოგიური ცხოვრების სამ ძირითად მომენტს. ესენია:

1. სომხური მონოფიზიტური ქრისტოლოგიისგან გამიჯვნა. ეროვნულ საფუძველზე დამყარება და კურსის აღება ბიზანტიურ აზროვნებაზე;

2. კულტურულ-იდეოლოგიური დაპირისპირება ბერძნებთან;

3. საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში ეროვნული ელემენტის შეჭრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

ავტორი ათონის საუკუნოვან ქართულ ლიტერატურულ პროცესში რამდენიმე ტენდენციას გამოყოფს და თვლის, რომ მათგან არსებითია შემდეგი:

1. გაცნობიერება იმ გარემოებისა, რომ იმდროინდელი ქართული ლიტერატურა ერთგვარად ჩამორჩენილი იყო მოწინავე, კერძოდ, ბიზანტიურ მწერლობასთან შედარებით და, აქედან გამომდინარე, დაუცხრომელი მოღვაწეობა ეროვნული ლიტერატურის აღორძინებისათვის. XII საუკუნისთვის ამ დიდმა ღვაწლმა თავის მიზანს მიაღწია: ქართულ ენაზე გადმოვიდა თითქმის ყველაფერი ძირითადი და საუკეთესო, რაც აუცილებელი იყო შუასაუკუნეების ლიტერატურული და ფილოსოფიური აზრის ახალი რენესანსული აზროვნების გზით განვითარებისათვის.

2. შეტოლება და კულტურული დაპირისპირება დიდ ბიზანტიურ მწერლობასთან.

3. ეროვნული და კულტურული თავისთავადობის შეგნება, სურვილი ქართული ეროვნული კულტურის მსოფლიო ასპარეზზე გატანისა. ამის გამო ჩვენი წინაპრები ცდილობენ, ერთი მხრივ, გაემიჯნონ ბიზანტიურ ლიტერატურას, მეორე მხრივ, დაუახლოვდნენ ევროპულ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ აზროვნებას (გვ. 138-139).

ათონელ ქართველთა თავისებურმა ინტერესმა და მიზანმა განაპირობა მათი მუშაობის ახლებური გზით წარმართვა, რაც ჩამოყალიბდა გარკვეულ შემოქმედებით მეთოდად. პროფ. ე.ხინთიბიძე გამოჰყოფს იმ ძირითად მომენტებს, რაც ათონელთა მოღვაწეობისათვის იყო დამახასიათებელი:

1. ორიგინალური ლიტერატურისადმი ინტერესი შეცვალა მთარგმნელობითმა საქმიანობამ, რომელსაც დიდი ეროვნული

მნიშვნელობა მიენიჭა. უმოკლეს ვადაში ითარგმნა უზარმაზარი ლიტერატურა. მთარგმნელობითი მეთოდი თავისუფალი იყო.

2. თანდათანობით თავისუფალი თარგმნის მეთოდი შეცვალა ზუსტმა თარგმანმა.

3. ლიტერატურული პრინციპების ცვლამ გამოიწვია ქართული საეკლესიო პრაქტიკის შეცვლა.

ათონის ლიტერატურულ სკოლაში შემუშავებული შემოქმედებითი პრინციპები ქართული ლიტერატურული აზროვნების განვითარების ფუძემდებლურ პრინციპებად იქცა და „ქართული ლიტერატურული აზრი სწორედ იმ გზით განვითარდა, რა გზითაც წაიყვანა იგი ათონის ქართულმა ლიტერატურულმა სკოლამ X საუკუნის დასასრულიდან" (გვ.140).

წიგნის მეორე ნაწილის სათაურია „ათონის ქართული ლიტერატურული სკოლა" და ბიზანტიური ლიტერატურის შედევრი „ვარლაამი და იოასაფი", რომელშიც მიმოხილულია ამ საკითხთან დაკავშირებული მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა და მოხმობილია ახალი არგუმენტები ეფთვიმე ათონელის ავტორობის სასარგებლოდ. ამ საკითხზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი. წიგნის ბოლოს ხაზგასმულია ათონის ქართული ლიტერატურული სკოლის საერთაშორისო მნიშვნელობა.

1982 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოსცემს ე.ხინთიბიძის ნაშრომს „ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის". მასში, ერთი მხრივ, განზოგადებული და შეჯამებულია ძველი ქართული ლიტერატურული პროცესი, წარმოჩენილია ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ძირითადი ასპექტები,

დიდ ქართველ მთარგმნელთა შემოქმედება და ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების მკვლევართა მოღვაწეობა. მეორე მხრივ, ახლებურადაა დასმული და გაშუქებული ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობების ცალკეული პრობლემები.

ჩვენი აზრით, საინტერესოა ის თავები, რომლებიც ეხება ქართული ფსალმუნების ინტონაციურ თავისებურებებს (გვ. 127-155); აგრეთვე თავი – „შუშანიკის წამება“ და ბიზანტიური აგიოგრაფიის სათავეები“ (გვ.155-163).

ამ უკანასკნელ თავში განხილულია ბიზანტიური ლიტერატურის საწყისი ეტაპი, ბიზანტიური აგიოგრაფიის უძველესი ნიმუშები, წარმოჩენილია მათი დამახასიათებელი ნიშან-თვისებანი.

უძველეს ბიზანტიურ აგიოგრაფიულ ძეგლებს ახასიათებს შემდეგი:

1. ავტორები მხოლოდ ნაცნობზე წერენ, მათ ცხოვრებაზე საგანგებო დაკვირვებით, თანაც იმ წინასწარი განზრახვით, რომ აღწერონ ეს ცხოვრება (გვ.160).

2. კონკრეტული პასაჟების სიუხვე, ფაქტობრივი დაკვირვებანი, არა მთელი ცხოვრების თანმიმდევრული აღწერა, არამედ ტიპური ეპიზოდებისა ცხოვრებიდან (გვ.161).

3. ეს ძეგლები რთულია კომპოზიციურადაც. გამოყენებულია თხრობის სხვადასხვა ხერხი: ავტორისეული თხრობა, პირდაპირი ნათქვამი, სხვა თვითმხილველის მონათხრობი, მთავარი პერსონაჟის ეპისტოლენი (გვ.161).

4. მოგვითხრობენ გმირის ეროვნულ და სოციალურ წარმოშობაზე, მშობელთა რელიგიურ მრწამსზე და არ

ერიდებიან სოციალურ, პოლიტიკურ და გეოგრაფიულ დეტალებს.

VI საუკუნის შემდეგ ბიზანტიური აგიოგრაფია განიცდის ევოლუციას დაღმავალი ხაზით, შორდება ანტიკურ და ელინისტურ ტრადიციებს და ხდება ტრაფარეტული.

ე.ხინთიბიძე „შუშანიკის წამებას" უდარებს ძველ ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებს და დაასკვნის, რომ უძველესი, ვრცელი ქართული რედაქცია აშკარად ამჟღავნებს IV-V საუკუნეების ბიზანტიური ჰაგიოგრაფიისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. „შუშანიკის წამების" ვრცელი ქართული რედაქციის ტიპოლოგიური მსგავსება ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის IV-V საუკუნეების ძეგლებთან პრინციპულ მნიშვნელობას იძენს ამ პირველი ქართული ორიგინალური ძეგლის დათარიღებისას.

დასახელებულ წიგნში მონოგრაფიულადაა შესწავლილი „ვარლაამ და იოასაფის" ავტორობის საკითხი (გვ.262-372). ამავე საკითხს უფრო ვრცლად ეხება მკვლევარი წიგნში "Грузино-византийские литературные взаимоотношения", Тб, 1989 (გვ.170-296).

ე.ხინთიბიძე მიმოიხილავს ამ საკითხთან დაკავშირებულ დიდძალ სამეცნიერო ლიტერატურას, გამოჰყოფს ეფთვიმეს ავტორობის დამადასტურებელ არგუმენტებს და, თავის მხრივ, ახალი არგუმენტებით ამაგრებს ათონელი მთარგმნელის ავტორობას.

ამ ტიპის არგუმენტთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა XI საუკუნის I ნახევრის სამი სხვადასხვა ენაზე დაცული ცნობა.

1. ბერძნული ხელნაწერის ლემა;

ეროვნული ბიბლიოთეკა
K 240006/3
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ლათინური ხელნაწერის ლემა და მთარგმნელის ანდერძი;

3. გიორგი ათონელის „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“. სამივე ამ ცნობაში ეფთვიმე მიჩნეულია ბერძნულიდან ქართულად მთარგმნელად.

პ.პეეტერსს და პ.დევოს ეფთვიმე ათონელის ავტორობის დამადასტურებელ ძირითად არგუმენტად მიაჩნიათ ის გარემოება, რომ ეფთვიმე ათონელის ეპოქამდე არ არსებობს ბერძნული „ვარლაამისა და იოასაფის“ არც ხელნაწერები, არც დამოწმება სვინაქსარებში სახელებისა - ვარლამი და იოასაფი, და არც რაიმე ციტატი, რემინისცენცია, მინიშნება ამ თხზულებაზე.

პროფ. ე.ხინთიბიძე აქამდე ცნობილ არგუმენტებს უმატებს რამდენიმე ახალ არგუმენტს:

1. იგი დამოუკიდებელ არგუმენტად გამოჰყოფს ბერძნული „ვარლაამ და იოასაფის“ გამოჩენის ადგილს და დროს. (იხ.ქვეთავი „ ათონის მთა - „ვარლაამ და იოასაფის“ ბერძნული ვერსიის გამოჩენისა და გავრცელების ადგილი“ წიგნში „ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის“). ამ თხზულებას უძველეს ბერძნულ ხელნაწერთა უმრავლესობა ათონის მთიდან მომდინარედ ითვლება, ათონის მთის ლავრათაგან კი ყველაზე მეტი ხელნაწერი ქართველთა სავანეს უკავშირდება. ათონის მთიდანვე იღებს სათავეს უძველესი ცნობები ამ თხზულების ეფთვიმე ათონელისადმი მიკუთვნების თაობაზე.

2. ე.ხინთიბიძეს მოჰყავს კიდევ ერთი არგუმენტი - მიიჩნევს ამ ძეგლს მეტაფრასული ჰაგიოგრაფიის ნიმუშად (იხ. ე.ხინთიბიძე, ბერძნული „ვარლაამ და იოსაფი“- მეტაფრასული

ჰაგიოგრაფიული ძეგლი; თსუ „შრომები", №162, 1975, გვ. 125–136). ეს ძალზე მნიშვნელოვანი არგუმენტია, რადგან მეტაფრასული ჰაგიოგრაფიული სტილი ბიზანტიურ მწერლობაში X საუკუნის დასასრულიდან გაბატონდა და ცხადია, ამ სტილით ნაწარმოებს ვერ შექმნიდა იოანე დამასკელი VIII საუკუნეში (იხ. დასახელებულ წიგნში ქვეთავი „ბერძნული „ვარლაამ და იოასაფი" – მეტაფრასული აგიოგრაფიული ძეგლი").

3. და მაინც, ყველაზე მეტ მნიშვნელობას „ვარლაამ და იოასაფის" წარმოშობის პრობლემის გადაწყვეტაში ე.ხინთიბიძე ანიჭებს ბერძნული ტექსტის სხვა რედაქციებთან მიმართებას. განსაკუთრებით კი არაბულ არაქრისტიანულ და ქართულ ქრისტიანულ რედაქციებთან (იხ. ქვეთავი „ვარლაამ და იოასაფის" ქართულ და ბერძნულ ვერსიათა მიმართებისათვის").

მისი დასკვნები ამგვარია: „ბალავარიანის" ვრცელი ქართული რედაქცია წარმოადგენს არაბული არაქრისტიანული რედაქციის შემოკლებას და ქრისტიანულ გადამუშავებას. იგი არ არის დამოკიდებული ბერძნულ „ვარლაამ და იოასაფზე". ბერძნული რედაქცია შორდება არაბულს და ახლოს დგას ქართულთან. ქართული რედაქცია აშკარად გარდამავალი საფეხურია „ბალავარიანის" აღმოსავლურ არაქრისტიანულ ფაბულასა და ბერძნულის ღრმად დოგმატიკურ „სულისმარგებელ მოთხრობას" შორის. მოხმობილია რედაქციის ურთიერთშედარების შედეგად გამოვლენილი არგუმენტები.

ე.ხინთიბიძე კიდევ ერთ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას. „ვარლაამ და იოასაფის" ქრისტოლოგია ეფუძნება ანტიმონოფიზიტურ, ანტიმონოთელიტურ და ხატმბრძოლობის საწინააღმდეგო დოქტრინას, რაც ასეთი შეხამებით არაა

ბუნებრივი იოანე დამასკელისათვის. განსხვავებით ბიზანტიურისაგან, ქართულ პოლემიკურ ლიტერატურას ყოველთვის ახასიათებდა სწორედ ანტიმონოფიზიტური, ანტიმონოთელიტური და ხატმბრძოლობის საწინააღმდეგო განწყობილებანი. ეფთვიმე ათონელის, როგორც პოლემიკოსის, ორთოდოქსული პოზიციაც სწორედ ამ შინაარსის მატარებელია.

ბოლოს ე.ხინთიბიძე დაასკვნის: „ვარლაამ და იოასაფის“ ბერძნული ტექსტი ქართული „ბალავარიანის“ ვრცელი ვერსიის თარგმანისა და გავრცობის გზითაა შექმნილი და ამიტომაც მის ავტორად ეფთვიმე ათონელი უნდა ჩაითვალოს (გვ. 308).

1991 წელს დაბეჭდილ სტატიაში "Новый аргумент об идентификации Петра Ивера с Псевдо-Дионисием Ареопагитом" (Византиноведческие этюды, Тб., 1991, გვ. 139–145). პროფ. ე.ხინთიბიძე ეხება ბიზანტინისტიკის ერთ-ერთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა ფსევდოდიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერიელის იდენტურობის პრობლემა.

ავტორი თვლის, რომ ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერიელის იდენტიფიკაცია სათანადოდ არ არის არგუმენტირებული და ამ არგუმენტაციის გასამაგრებლად ყურადღებას მიაპყრობს აქამდე შეუმჩნეველ გარემოებას.

შ.ნუცუბიძის მიერ აღნიშნული იყო, რომ პეტრე იბერის ბიოგრაფიაში საუბარია წმინდა მამის მისტიკურ წიაღსვლებზე. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იოანე რეფუსის მონათხრობს ქალაქ მედაბაში წმინდა პეტრეს ექსტაზში ჩავარდნის შესახებ. მაგრამ არ იყო შემჩნეული ის გარემოება,

რომ პეტრე იბერის მისტიკური ძიებანი შეიძლება დამყარებოდა კაპადოკიელთა სწავლებას. საქმე ისაა, რომ ერთადერთი დიდი ღვთისმეტყველი, რომლის ასკეტურ-მისტიკურ მოძღვრებათა ერთგულებას უქადაგებდა თავის მოწაფეებს წმინდა პეტრე, იყო ბასილი კაპადოკიელი.

ამგვარად, პროფ. ე.ხინთიბიძე ეყრდნობა ი.რუფუსის „პეტრე იბერის ცხოვრებას" და დაასკვნის, რომ ერთადერთი ქრისტიანული თეოლოგია, რომელიც გვხვდება არეოპაგიულ წიგნებში, ესაა დიდი კაპადოკიელი მამების მისტიკა. ერთადერთი ქრისტიანული მოძღვრება, რომლის ერთგულებასაც ქადაგებს პეტრე იბერი, ესაა ბასილი კაპადოკიელის ასკეტიკა და მისტიკა („ასკეტიკონი").

შესაძლოა პროფ. ე.ხინთიბიძის მიერ გამოვლენილმა არგუმენტმა არ შეასრულოს მთავარი როლი არეოპაგიტული კორპუსის ავტორის საიდუმლოს გადაწყვეტილებაში, მაგრამ მას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება ფსევდოდიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის იდენტიფიკაციის თეორიის კრიტიკული განხილვისას.

პროფ. ე.ხინთიბიძის კვლევის შედეგებს იყენებენ და ეყრდნობიან უცხოელი მკვლევრები (იხ. მაგ., „ბასილი კაპადოკიელის 1600 წლისთავისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმის მასალები, გამოცემული კანადაში 1981 წელს პ.ფედვიკის რედაქციით). პროფ. ე.ხინთიბიძის კვლევის მეთოდები და დასკვნები პარალელს ჰპოვებენ ევროპელ მეცნიერთა ახალ შრომებთან (მაგ., ე.ხინთიბიძის გამოკვლევა „ვარლაამ და იოასაფის" ქართულ და ბერძნულ რედაქციათა ურთიერთმიმართებისათვის" და ამავე წიგნის არაბული რედაქციის შესწავლა ფრანგი მეცნიერის დ.ჟიმარეს მიერ).

პროფ. ე.ხინთიბიძის მეცნიერული ავტორიტეტი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქართული ფილოლოგიური მეცნიერების საერთაშორისო არენაზე აღიარებას. მისი 18 შრომა დაბეჭდილია უცხოეთში: პარიზში, იენაში, ათენში, მადრიდში, ვაშინგტონში, ჰელსინკში (ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ესპანურ ენებზე). პროფ. ე.ხინთიბიძე მონაწილეობდა მრავალ საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმში (მოსკოვი, პეტერბურგი, ერევანი, ბაქო, ლონდონი, ვაშინგტონი, მასსაჩუსეტი, ჰელსინკი, ტურკუ, ფლორენცია, ვენეცია, თელ-ავივი). იგი არის საერთაშორისო საზოგადოების ნამდვილი წევრი - შუა საუკუნეების ფილოსოფიის კვლევის საზოგადოებისა და ბიზანტინისტიკის განმავითარებელი საზოგადოებისა.

1989 წელს პროფ. ე.ხინთიბიძის წიგნი „ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობანი" გამოდის რუსულ ენაზე. უახლოეს მომავალში იგი გამოიცემა ინგლისურ ენაზე ამსტერდამში, ადოლფ ჰაკერტის გამომცემლობაში (გამოიცა 1996 წ.-რედ.).

ძველი ქართული მწერლობისა და ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ცალკეულ პრობლემებს ნაყოფიერად იკვლევდა პროფ. ივანე ლოლაშვილი. იგი მრავალი მონოგრაფიისა და სამეცნიერო სტატიის ავტორია.

აი, ის საკითხები, რომლებსაც სწავლობდა პროფ. ივ.ლოლაშვილი ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების სფეროში: ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერიელის იდენტურობის პრობლემა, იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის შემოქმედების ცალკეული საკითხები, ძველი ქართული ფილოსოფიური ტრაქტატები, ძველი ქართული მწერლობის ცალკეულ თხზულებათა

შესწავლა. გარდა ამისა, ივანე ლოლაშვილი მუშაობდა ათონურ ხელნაწერთა მიკროფილმების შესწავლაზე და გამოავლინა მრავალი ახალი ძეგლი. იგი გამოსცემდა ძველი ქართული (შესაბ. ბიზანტიური) ლიტერატურის ძეგლებს, უპირატესად ფილოსოფიურს.

დიდი დრო და ენერგია შეალია პროფ. ი.ლოლაშვილმა არეოპაგიტიკის პრობლემების კვლევას. ამ საკითხის შესწავლას ეძღვნება შემდეგი წიგნები: „არეოპაგიტიკის პრობლემები" (1972), „ფსევდო-დიონისესა და პეტრე იბერიელის იდენტურობის პრობლემა ქართულ და ევროპულ მეცნიერებაში" (1973), არეოპაგიტული კრებული (დიონისე არეოპაგელი და პეტრე იბერიელი ძველ ქართულ მწერლობაში) (1983), „ცხოვრება პეტრე იბერისა" (1988); აგრეთვე, ცალკეული სტატიები, მაგ., „ეფრემ მცირის „წინაბჭე" (არეოპაგიტული წიგნების ქართული თარგმანისათვის) „ლიტერატურული საქართველო", 1970, 28 აგვისტო, №2; „ორი ძველქართული ცნობა არეოპაგიტულ წიგნთა ავტორის ვინაობასა და მსოფლმხედველობაზე", არეოპაგიტული ძიებანი (1986).

მონოგრაფია „არეოპაგიტიკის პრობლემები" წარმოადგენს ვრცელ ფილოლოგიურ გამოკვლევას, რომელშიც განხილულია ბიზანტინისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა - ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერიელის იდენტურობის საკითხი.

პროფ. ი.ლოლაშვილს წიგნის პირველ თავში საგანგებოდ აქვს შესწავლილი ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ნიმუშები, არეოპაგიტულ წიგნთა ეფრემ მცირისეული ქართული თარგმანი, საგალობლები, სვინაქსარული ტექსტები, მოსახსენებლები, ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობები,

ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა და მათი კრიტიკული გაანალიზების საფუძველზე გაკეთებული აქვს ასეთი დასკვნები:

1. ქართველებისათვის დიონისე არეოპაგელი ცნობილი გახდა ადრეფეოდალიზმის ხანაში (IX-X საუკუნეებში). ამ დროს უკვე არსებულა აპოკრიფული „ცხოვრება დიონისე ეპისკოპოსისა“ და „ებისტოლე დიონოსიოჲსი“, მიწერილი ტიმოთეს მოწაფის მიმართ.

2. დიონისე საქართველოში დიდად ცნობილ ავტორად იქცა XI საუკუნიდან, როდესაც ქართულად ითარგმნა „დიონისეს წამების“ მეტაფრასული და სვინაქსარული საკითხავები, ჰიმნები და არეოპაგიტული კორპუსი.

3. ადრეფეოდალიზმის ხანაში არეოპაგიტულ წიგნთა ქართული თარგმანი (არც სრული, არც ნაწილობრივი და არც კომენტირებული) არ არსებობდა.

4. არეოპაგიტული წიგნები ქართულად გადმოიღო გამოკრებილი კომენტარებით 1090-იან წლებში ეფრემ მცირემ. მანვე დაწერა ნარკვევი დიონისე არეოპაგელის ვინაობასა და მის თხზულებათა იდეური მნიშვნელობის შესახებ, რომელიც შესავლად წაუმძღვარა მის მიერ თარგმნილ ტექსტებს. ეფრემს თარგმნაში დიდი დახმარება გაუწია იოანე პეტრიწმა – „საღმრთო ფილოსოფოსმა და პორციელად დრამატიკოსმა“. ეს ქართული კორპუსი მსოფლიო ფილოლოგიის უძვირფასესი განძია.

5. დიონისე არეოპაგელის მოძღვრებამ დიდი გამოძახილი პოვა ორიგინალურ ქართულ სასულიერო და საერო მხატვრულ მწერლობაში (იოანე პეტრიწის, ჩახრუხაძის,

რუსთაველის, თეიმურაზ პირველის, ანტონ ბაგრატიონის, იოანე ბაგრატიონისა და სხვა ქართველი ავტორების თხზულებებში).

6. უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე ქართველებმა იცოდნენ დიონისეს ვინაობაზე მხოლოდ ტრადიციული გადმოცემა, ე.ი. ის, რომ არეოპაგიტული წიგნების ავტორი ყოფილა არეოპაგის მოძღვარი, პავლე მოციქულისა და იეროთეოსის მოწაფე, რომელიც „საქმე მოციქულთას" მიხედვით ცხოვრობდა პირველ საუკუნეში. მოსაზრება, თითქოს XI-XII საუკუნეების საქართველოში უკვე კარგად იცოდნენ „ფსევდო-დიონისეს საიდუმლოება", რომ არეოპაგიტული წიგნები დაწერილია არა დიონისეს, არამედ სხვა პირის მიერ, ამ წიგნში განხილული ქართული წყაროებით არ დასტურდება (გვ. 74-75).

მეორე თავს ეწოდება „პეტრე იბერიელი და ძველი ქართული მწერლობის საკითხები". მასში განხილულია „პეტრე იბერიელის ცხოვრების" ასურული და ქართული რედაქციები, მათი ურთიერთობა და გამოძახილი ძველ ქართულ მწერლობაში, საეკლესიო ისტორიკოსის ზაქარია რიტორისა და პეტრე იბერიელის მოწაფის ზაქარია ქართველის ვინაობა და თხზულებანი, ამ ავტორთან დაკავშირებული ისტორიულ-ფილოლოგიური საითხები.

კვლევა-ძიების შედეგები ამგვარადაა შეჯამებული:

1. ედუარდ შვარცის მოსაზრება - ასურული „პეტრეს ცხოვრების" ავტორია იოანე რუფუსი - მიუღებელია. იოანე რუფუსი სხვა პირია და „ანონიმი" - სხვა პირი.

2. „პეტრეს ცხოვრების" ასურული რედაქცია ეკუთვნის ზაქარია ქართველს - V საუკუნის საზღვარგარეთელ მოღ-

ვაწეს, პეტრეს მოწაფეს, თანამოსენაკესა და მხლებელს. თხზულება დაუწერია მას პეტრეს გარდაცვალების შემდეგ 500 წლის ახლოს. მასვე აღუწერია „ესაია ასკეტის ცხოვრება და მოქალაქობა“.

3. პეტრესა და ესაიას სათნოებანი (ცხოვრების ეპიზოდები) აღუწერია აგრეთვე ზაქარია რიტორს (სქოლასტიკოსს), „საეკლესიო ისტორისა“ და „სევეროს ანტიოქელის ცხოვრების“ ავტორს. ეს ზაქარია არავის არ უქცევია ზაქარია ქართველად: ორივენი თავიანთი ბიოგრაფიებითა და თხზულებებით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ისინი რეალურად არსებული მწერლები არიან, მაგრამ ზაქარია ქართველი მაიუმის მონასტრის მონაზონია, ზაქარია რიტორი კი — ერისკაცი (მოგვიანებით-მიტილენის ეპისკოპოსი).

4. ზაქარია ქართველის „პეტრეს ცხოვრება“ მოგვიანებით გაუსწორებია ვიღაც რედაქტორს (მას შეუცვლია ტექსტის ის ადგილები, რომლებშიც დაცული ყოფილა ცნობები თხზულების ავტორის ვინაობაზე). რ.რააბეს მიერ გადმოცემულია რედაქტირებული ტექსტი.

5. ქართული „პეტრეს ცხოვრება“ მომდინარეობს ზაქარია ქართველის თხზულებიდან. იგი ქართულად გადმოუკეთებია XIII საუკუნეში მაკარი მესხს. ქართულში შენახულია შესავლისა და დასასრულის გარეშე დედნის ზოგადი შინაარსი, არქიტექტონიკა და ეპიზოდთა თხრობის თანმიმდევრობა. გადმომკეთებელს ტექსტი ზოგან შეუმოკლებია, ზოგან გაუვრცია და რიგი ადგილებიც ქრისტიანული მართლმადიდებლური თვალსაზრისით „გაუჩალხავს“ (მონოფიზიტი პეტრე უქცევია დიოფიზიტად). ქართული რედაქციის დედანს დართული ჰქონია „პეტრეს ცხოვრების“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორის ზაქარიას ანდერძი, რომელიც მაკარი მესხს ქართულად უთარგმნია და მისთვის საკუთარი სათაური მიუყოლებია.

6. „პეტრეს ცხოვრების" მაკარისეული რედაქცია დაკარგულია. მისი თავბოლოწაკლული და ფურცლებდაშლილი ტექსტი აღუდგენია პავლე დეკანოზს, რომელსაც მოუწესრიგებია თხრობის თანმიმდევრობა, წაუმძღვარებია შესავალი, დაურთავს დასასრული (პეტრეს დაკრძალვის ისტორია) და ანდერძი.

7. „პეტრეს ცხოვრების" ქართულმა რედაქციამ დიდი გამოძახილი ჰპოვა ძველ ქართულ მწერლობაში: მის საფუძველზე დაიწერა „პეტრეს ცხოვრების" მოკლე რედაქცია, სვინაქსარული საკითხავები, საგალობლები, მცირე მოსახსენებლები და დაიხატა პეტრეს პორტრეტები და სიუჟეტური ფერადი მინიატურები. ამ მასალების მიხედვით დასტურდება, რომ ძველ საქართველოში პეტრეს არავინ არ სდევნიდა, პირიქით, იგი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, უწოდეს მას „ქართველთა ერის ვარსკვლავი" და „სამკაული და სიქადული" ქართველთა.

8. არც ასურული და არც ქართული წყაროებით არ დასტურდება, რომ პეტრე იბერიელი ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობას, თუმცა ცნობილია, რომ იგი იყო ფილოსოფიურად განსწავლული მოღვაწე, სამონასტრო მშენებლობის დიდი ორგანიზატორი და ქრისტიანული მოძღვრების მგზნებარე მქადაგებელი (გვ.175-176).

1973 წელს გამოსულ მონოგრაფიაში მიმოხილულია ის დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც შექმნილია

ფსევდო-დიონისესა და პეტრე იბერიელის იდენტურობის პრობლემის გარშემო ქართულ და ევროპულ მეცნიერებაში.

1983 წელს გამოდის „არეოპაგიტული კრებული", ავტორი აქვეყნებს იმ მასალებს, რომელთა შესწავლამაც მიიყვანა ნუცუბიძე-ჰონიგმანის ჰიპოთეზის უარყოფამდე. ისინი ამოკრებილია ძველი ქართული ხელნაწერებიდან. პირველი ნაწილი ეხება ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ვინაობასა და მის მსოფლმხედველობას, მეორე — პეტრე იბერიელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ყველა ტექსტი გამოქვეყნებულია პირველწყაროს მიხედვით.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელი ძველ ქართულ მწერლობაში დიდად ცნობილი ავტორია. მასზე დაცულია არა მარტო ჰაგიოგრაფიული საკითხავები, მცირე მოსახსენებლები, საგალობლები, სახოტბო და პოლემიკური ლექსები, არამედ მისი სახელით ცნობილი თეოლოგიური ტრაქტატები და ეპისტოლეებიც, რომელთაც ერთვის მაქსიმე აღმსარებლის, გერმანე პატრიარქისა და ეფრემ მცირის კომენტარები. ამას გარდა, ძველად თარგმნილ ტექსტებში ვხვდებით ციტატებს, გამოთქმებსა და მოსაზრებებს, რომელთა ავტორად აღიარებულია ფსევდო-დიონისე. ამგვარი მასალიდან ხსენებულ წიგნში შეტანილია მხოლოდ ის, რომლებშიც გამოვლენილია ფსევდო-დიონისეს რელიგიურ-აღმსარებლობითი პოზიცია. პეტრე იბერიელის შესახებ არსებული მასალებიდან აქ ყველა სისრულითაა წარმოდგენილი.

1986 წელს კრებულში „არეოპაგიტული ძიებანი" ი.ლოლაშვილი აქვეყნებს ნარკვევს „ორი ძველქართული ცნობა არეოპაგიტულ წიგნთა ავტორის ვინაობასა და მსოფმხედველობაზე" (გვ.57-68). იგი ავსებს „არეოპაგიტულ

კრებულში“ გამოქვეყნებულ მასალებს. განხილულია მეტაფრასული თხზულება „მიცვალება ღვთისმშობლისა“ და არსენ იყალთოელის „დოგმატიკონი“, რომლებშიც მოხსენიებულია „დიდი დიონისე არეოპაგელი“, „მოწაფე პავლესი“. ავტორის აზრით, მოხმობილი მასალები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ფსევდო-დიონისეს შესახებ იცოდნენ ის, რაც ცნობილი იყო მაშინდელ ბიზანტიურ სასულიერო მწერლობაში. ი.ლოლაშვილი ფიქრობს, რომ ქართული მასალები არ უჭერენ მხარს ფსევდო-დიონისესა და პეტრე იბერიელის იდენტიფიკაციის ნ-უცუბიძე-ჰონიგმანის ჰიპოთეზას.

1988 წელს პროფ. ი.ლოლაშვილი აქვეყნებს „პეტრე იბერიელის ცხოვრების“ ასურული ტექსტის თარგმანს, შესრულებულს რიხარდ რააბეს გერმანული თარგმანიდან. ამ ტექსტის ნაწილი ნათარგმნი ჰქონდა სიმონ ყაუხჩიშვილს. ივ.ლოლაშვილი თარგმნის ტექსტს სრულად.

თარგმანს წინ უძღვის გამოკვლევა „პეტრე იბერიელის ცხოვრება და მოღვაწეობა“ (გვ.9–57) და „პეტრე იბერის ცხოვრების“ ტექსტის საკითხები“ (გვ.48–76).

ყურადღება ეთმობა მეცნიერებაში დღემდე სადაო ისეთ საკითხებს, როგორიცაა პეტრეს დაკრძალვის ადგილი და მისი რელიგიური აღმსარებლობა. ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შრომების მიმოხილვის შემდეგ მკვლევარი თავის მოსაზრებასაც გამოთქვამს და ასაბუთებს, რომ პეტრე სარწმუნოებრივი აღმსარებლობით იყო მონოფიზიტი. ამას ერთხმად იუწყებიან მისი თანამედროვე ბიოგრაფები.

რაც შეეხება დაკრძალვის ადგილს, ლოლაშვილი თვლის: ვ.კორბოს მიერ გათხრილ და გახსნილ საფლავებში, რომლებიც

აღმოჩნდა იერუსალიმის ქართველთა მონასტერში, სად ესვენნეს, ჯერ კიდევ დაუდგენელია. დღემდე არსებული სანდო წყაროს–„პეტრეს ცხოვრების“ ასურული რედაქციის თანახმად პეტრე იბერი და იოანე ლაზი განისვენებენ მაიუმის მონასტერში. საკითხის გასარკვევად ლოლაშვილი აუცილებლად მიიჩნევს სამეცნიერო ექსპედიციის მოწყობას პეტრეს მოღვაწეობის ადგილების შესასწავლად.

იმავე ასურულ ბიოგრაფიაზე დაყრდნობით ივ. ლოლაშვილი თვლის, რომ პეტრე იბერი იყო მებრძოლი ანტიქალკედონიტი და ეკამათება გ.ნემსაძეს, რომელიც საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამს წიგნში „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები“ (ნაწ.1,1981).

გამოკვლევის მეორე ნაწილში მეცნიერული პოლემიკის გარეშე გამოთქმულია ავტორის მოსაზრებანი. „პეტრეს ცხოვრების“ ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხები (თხზულების ავტორის ვინაობა, დაწერის თარიღი და ასურულ-ქართულ რედაქციათა ურთიერთმიმართება) მკვლევარს განხილული აქვს „არეოპაგიტიკის პრობლემები“.

პროფ. ი.ლოლაშვილის აზრით, ასურულ-ქართულ რედაქციათა შედარების შემდეგ ირკვევა, რომ ასურული ტექსტისა და ქართული რედაქციის დედნის ავტორი, რომელიც თავის თავს ზაქარიას უწოდებს და პეტრეს მოწაფედ აცხადებს, ერთი და იგივე პირია.

ქართულ-ასურული რედაქციები ემთხვევიან ერთმანეთს ეპიზოდთა თანმიმდევრობით, მაგრამ მათ შორის სხვაობაცაა, რაც ეპიზოდთა შემადგენელ მოტივებში ვლინდება (65). ტექსტების შედარების შემდეგ ავტორი დაასკვნის: „მაკარი მთარგმნელს ხელთ სჭერია „ანონიმის“ ასურული თხზულება

და გადმოუქართულებია იგი „შემატება-კლების“ მეთოდით, რაც უდავოდ დასტურდება ორივე ტექსტს შორის არსებული მსგავსებით, რომელსაც წარმოაჩენს მათი ეპიზოდების თანმიმდევრობა. მაშასადამე, ის მწერალი, რომელიც თხზულების მეორე ნაწილს მოგვითხრობს პირველი პირით, არის „პეტრეს ცხოვრების“ იმ ასურული არქეტიპის ავტორი, რომელიც ხელთ ჰქონია ქართველ მთარგმნელს. ეს პირი კი, როგორც აღნიშნულია მაკარისეული რედაქციის ანდერძებში, არის ზაქარია ქართველი“ (გვ.71).

ახლა განვიხილავთ ივ.ლოლაშვილის იმ შრომებს, რომლებიც ძველი ქართული (და ბიზანტიური) მწერლობის ცალკეულ ძეგლთა შესწავლას ეძღვნება.

1964 წელს კრებულში „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“ (II, გვ.71–91) ივ.ლოლაშვილი აქვეყნებს მიქაელ ფსელოსის ფილოსოფიურ-ეგზეგეტიკურ ტრაქტატს „პირმშოჲსათვის“ (2 ხელნაწერის მიხედვით), რომელსაც წინ უძღვის გამოკვლევა.

დასახელებული ტრაქტატი მოთავსებულია არსენ იყალთოელის ფილოსოფიურ-თეოლოგიური შრომების კრებულში, რომელსაც „დოგმატიკონი“ ეწოდება. საუბარია ტრაქტატის ავტორის შესახებ. მკვლევარნი ტრაქტატის ავტორად ასახელებენ სამ ფილოსოფოსს – მიქაელ ფსელოსს (კ.კეკელიძე), იოანე პეტრიწს (კ.კეკელიძე) და არსენ იყალთოელს (შ.ნუცუბიძე, შ.ხიდაშელი).

კვლევის შედეგად ავტორი დაადგენს, რომ „ეს ძეგლი თავიდანვე ყოფილა შეტანილი „დოგმატიკონის“ არსენისეულ რედაქციაში. ამიტომ იგი არავითარ შემთხვევაში ჩანართს არ წარმოადგენს. ისიც არსენის შრომაა ისევე, როგორც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესწავლილ ნუსხებში მოთავსებული ყველა სხვა თხზულების თარგმანი.

შემდეგ მკვლევარი არკვევს მეორე საკითხს – „პირმშოჲსათვის“ არსენ იყალთოელის ორიგინალური შრომაა თუ ნათარგმნი?

შ.ნუცუბიძისა და შ.ხიდაშელის საპირისპიროდ ივ.ლოლაშვილი თვლის, რომ ეს ნაწარმოები თარგმნილია ბერძნულიდან. „ძველმა ქართულმა მწერლობამ ბევრი ისეთი თხზულების თარგმანი შემოინახა, რომელთა ბერძნული დედნები დღემდე აღმოჩენილი არ არის, მაგრამ ეს თხზულებები არავის გამოუცხადებია ორგინალურად“ – წერს ივ.ლოლაშვილი.

მისი დასკვნა ასეთია: ტრაქტატი „პირმშოჲსათვის“ დაწერილია მიქაელ ფსელოსის მიერ, როგორც ამას მოწმობს S 1463–ე და გელათის 23–ე ხელნაწერების ცნობა. ბერძნულიდან ქართულად გადმოუთარგმნია არსენ იყალთოელს. ალბათ, მაშინ, როდესაც ის მანგანის აკადემიაში მოღვაწეობდა, და შემდეგ შეუტანია ფილოსოფიურ– თეოლოგიურ თხზულებათა კრებულში, რომელიც ცნობილია „დოგმატიკონის“ სახელწოდებით (გვ.79).

ივ.ლოლაშვილის შრომათა კრებულში „მრავალკარედი“ (1984) შეტანილია გამოკვლევა „ილარიონ ქართველის ცხოვრების“ ვრცელ და მოკლე რედაქციათა ურთიერთობისათვის“ (გვ.51–63). ეს ტექსტი საყურადღებო ცნობებს შეიცავს ქართული მწერლობის საზღვარგარეთელი კერებისა და ქართულ–ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ.

როგორც ცნობილია, ჩვენამდე მოღწეულია თხზულებების ოთხი ძველი რედაქცია: ვრცელი, რომელიც დაცულია „ათონის კრებულს“, მოკლე – გადაწერილი X-XIII საუკუნეებში; მეტაფრასული და სვინაქსარული. მკვლევარი არკვევს ამ რედაქციათა ურთიერთმიმართების საკითხს და ასაბუთებს ვრცელი რედაქციის პირველადობას. შემდეგ იგი იძიებს, თუ როდის დაიწერება „ილარიონის ცხოვრების“ ვრცელი ათონური რედაქცია და ვინ არის მისი ავტორი. პროფ. ი.ლოლაშვილი ეყრდნობოდა თხზულების ბოლოს დართულ ანდერძს და მიდის დასკვნამდე, რომ იგი დაწერილია ბასილი პროტოასიკრიტის მიერ IX საუკუნის 80–იან წლებში, ბასილი მეფის სიცოცხლეშივე, 886 წლის 29 აგვისტომდე.

1983 წელს კრებულში „ლიტერატურული ძიებანი“ დაიბეჭდა ივანე ლოლაშვილის ნაშრომი „ეფთვიმე ზიდაბენის „დარღვევა ბოგომილთა წვალებისა“ და მისი ქართული რედაქცია (გვ.139-155). გამოქვეყნებულია კრიტიკულად დადგენილი ტექსტიც. სტატიაში საუბარია ხსენებული ტრაქტატის წარმოშობის შესახებ, შესწავლილია ძველი ქართული თარგმანი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართული რედაქცია წარმოადგენს ამავე ავტორის „დოგმატური პანოპლიის“ 27–ე თავის პირველი ნაწილის თავისუფალ თარგმანს და შესრულებულია არა XII საუკუნეში პეტრიწონის მონასტერში, არამედ XIII საუკუნის შუა წლებში ტაო–კლარჯეთში.

პროფ. ივ.ლოლაშვილმა მონოგრაფიულად შეისწავლა XI-XII საუკუნეების ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის არსენ იყალთოელის ცხოვრება და მოღვაწეობა და 1978 წელს გამოსცა სამნაწილიანი წიგნი სათაურით „არსენ იყალთოელი“. წიგნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ ნაწილში შეკრებილი და განხილულია ის ცნობები, რომელიც დაცულია XVIII-XX საუკუნეების ლიტერატურათმცოდნეობაში. მეორე ნაწილში ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით მოთხრობილია არსენ იყალთოელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მესამე ნაწილში კი შესწავლილია „დოგმატიკონის“ შედგენილობა და რედაქციები, მიმოხილულია ხელნაწერები.

ავტორის დასკვნები ამგვარია:

1. „დოღმატიკონი“ არის ძველი ქართული მწერლობის დიდი ფილოსოფიურ-თეოლოგიური და დოგმატიკურ-პოლემიკური ნაშრომი, რომელშიც თარგმანების სახით თავმოყრილია შუა საუკუნეების ბიზანტიური ქრისტიანული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები, შექმნილი ეკლესიის მამათა და მოღვაწეთა მიერ სხვადასხვა მწვალებლურ მოძღვრებათა წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში III საუკუნიდან XII საუკუნის დასაწყისამდე. ჩვენამდე მოღწეულია იგი საუცხოო ხელნაწერით (S 1463). მასში მოთავსებულია ყველა თხზულება უკანასკნელის გამოკლებით, თარგმნილია არსენის მიერ ბერძნულიდან ბრწყინვალე და მარღვიანი ქართულით, ხანგრძლივი და დაძაბული მუშაობის შედეგად, XI საუკუნის მიწურულიდან XII საუკუნის 20-იან წლებამდე, მანგანას მონასტერში და შიომღვიმეში მოღვაწეობის დროს.

2. „დოღმატიკონში“ აისახა ქართული მთარგმნელობითი საქმიანობის დიდი ტრადიციები, შემუშავებული და დამკვიდრებული ჯერ ეფთვიმე და გიორგი მთაწმინდელების მიერ, შემდეგ ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის მეოხებით; მასში გამოვლინდა XI-XII საუკუნეების ქართველ მეცნიერ-

მოაზროვნეთა და მწერალ მთარგმნელთა ინტერესები, განათლების დონე, დიდი შემოქმედებითი უნარი, ქართული ენის სიდიადე, ფილოსოფიურ აზრთა და მხატვრულ სახეთა გამოსახვის ენობრივი მრავალფეროვნება, წერის კულტურა, მეცნიერული მუშაობის ხერხები და მეთოდები.

3. „დოღმატიკონი“ წარმოადგენს ენციკლოპედიურ კომპენდიუმს, ეს წიგნი ძველად ითვლებოდა, როგორც „მართლგამოკულევით უცთომელი სარწმუნოება და ბოროტად მადიდებელთა წინაგანსაწყობელი დოღმატიკოსი“. ქართველ კაცს აძლევდა საფუძვლიან ცოდნას ქრისტიანული სარწმუნოების არსზე, იმ რელიგიურ-იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიაზე, რომელიც მიმდინარეობდა ბიზანტიის ეკლესიის შიგნით მწვალებლებსა და მართლმადიდებლებს შორის და მის გარეთ კი – ქრისტიანებსა და სხვა რელიგიის აღმსარებელთ შორის. ამავე დროს ავტორი აცნობდა მკითხველს შუა საუკუნეების სამეცნიერო დისციპლინებს, ადამიანის სულიერ და ეთიკურ მხარეს, ბუნებასა და ბუნებრივ მოვლენებს.

4. „დოღმატიკონი“ დიდ გავლენას ახდენდა ძველ ქართულ სასულიერო და საერთო-ფეოდალურ მწერლობაზე. პოპულარობით სარგებლობდა ქართველ მწიგნობართა შორის. ამას აშკარად მეტყველებს განხილული ხელნაწერი მემკვიდრეობა და ის ლიტერატურული ანარეკლი, რომელიც შეიმჩნევა ძველ ქართულ მწერლობაში „ვეფხისტყაოსნიდან“ „კალმასობამდე“ (გვ.156–157).

„შუშანიკის წამების“ 1500 წლისთავს მიუძღვნა პროფ. ი.ლოლაშვილმა წიგნი „ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან“ (1978), რომელშიც პოპულარული ენით არის მოწოდებული ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობები ანტი–

კური ხანის ქართული წიგნისა და მწიგნობარის, სწავლა-განათლების კერებისა და ბიზანტიასთან კულტურული ურთიერთობის შესახებ.

ყურადღებას იპყრობს თავი „ქართველთა კულტურული ურთიერთობა ბიზანტიასთან" (IV ს.) (გვ.31-52), რომელშიც საუბარია კაპადოკიელი და პონტოელი მოღვაწეების (ბასილ დიდი, გრიგოლ ნოსელი, გრიგოლ ნაზიანზელი, ევაგრე პონტოელი, ნინო კაპადოკიელი) ქართულ წარმოშობაზე. პროფ. ი.ლოლაშვილი ამ თავში, ძირითადად, იზიარებს და ეყრდნობა პროფ. ე.ხინთიბიძის გამოკვლევებს – ბასილის „სამოღვაწეო წიგნის" ქართული რედაქციებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიას და ნარკვევს ბასილის სადაურობის შესახებ; აგრეთვე კ.კეკელიძის, ს.ყაუხჩიშვილის და გ.გოზალიშვილის შრომებს.

1968 წელს ივ.ლოლაშვილმა გამოსცა იოანე პეტრიწის „სათნოებათა კიბე". მან მრავალი გამოკვლევა მიუძღვნა პეტრიწის შემოქმედების კვლევას. მაგ., „იოანე პეტრიწის ერთი „დაკარგული" თარგმანისათვის" („ლიტერატურული საქართველო", 1965, 1 იანვარი, გვ.3). აქ მკვლევარი თვლის, რომ პეტრიწი ავტორია „კლემაქსის" მეორე პროზაული რედაქციისა, რომლის ავტორადაც კ.კეკელიძეს მიაჩნდა პეტრე გელათელი; „ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის ურთიერთობისათვის" (კრ. „ორიონი", 1967, გვ.214-220). სხვათა შორის, ეს წერილი დაკავშირებულია არეოპაგიტული წიგნების თარგმნის ისტორიასთან. XI-XII საუკუნეების ლიტერატურაში ცნობილი იყო, რომ არეოპაგიტული წიგნების ქართულად გადმოღებაში ეფრემს დახმარებია „იოანე საღმრთო ფილოსოფოსი". ივ.ლოლაშვილი თვლის, რომ ეს „იოანე საღმრთოდ ფილოსოფოსი და კორციელად ღრამატიკოსი" არის

იოანე პეტრიწი. იგი დახმარებია ეფრემს ფსევდო-დიონისეს „საღმრთოთა სახელთათვის თარგმანების“ გადმოქართულებაში. იოანე ყოფილა მოხუცი ეფრემის მოძღვარი და მშველელი. იგი აღუზრდია ეფრემს და მანგანის აკადემიის შემდგომი წლები პეტრიწს გაუტარებია შავ მთაზე ეფრემ მცირესთან; „იოანე პეტრიწის უცნობი თარგმანები“ (1980) კრებულში „მწიგნობარი“ (გვ.101-111); „ფილოსოფიის განსაზღვრებათა“ ძველქართული თარგმანები ამონიოს ერმიასი: „რაჲ ვიდრემე არს ფილოსოფობა?“ (თარგმნილი ბერძნულიდან პეტრიწის მიერ) კრებულში „საისტორიო - ფილოლოგიური ძიებანი“,11, თსუ 1984 (გვ.157-200) და სხვ.

ძველი ქართული ფილოსოფიური ძეგლების შესწავლას ეძღვნება შემდეგი წერილები: „ძველქართული ფილოსოფიური ტრაქტატი „განქიქებაჲ ელინებრისა სულთა პირველყოფისაჲ“ (საქ.სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართ. ლიტერატ. პროფ.- მასწავლებელთა II რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, 1967, თეზისები, გვ.6-7); „ფილოსოფიის განსაზღვრებათა“ ძველქართული წიგნები“ კრებულში „მწიგნობარი“ 82 (1983), გვ.115-133.

ივ.ლოლაშვილს გადმოცემული აქვს აგრეთვე „სწავლანი და სიბრძნენი ფილოსოფოსთანი“ (1969). ამ წიგნში გამოქვეყნებულია ექვსი საერო აპოფთეგმური კრებული, რომლებშიც თავმოყრილია მრავალი ფილოსოფიური და დიდაქტიკური შინაარსის მახვილგონივრული თქმა. წიგნს წამძღვარებული აქვს გამოკვლევა, რომელშიც განხილულია ამ კრებულთა წარმოშობის დროისა და ავტორთა ვინაობის საკითხები.

პროფ. ი.ლოლაშვილი მუშაობდა ათონურ ქართულ ხელნაწერთა ახლადმიღებულ მიკროფილმებზე და შეისწავლა დიდძალი უცნობი მასალა (განსაკუთრებით წინაბჭეები, ანდერძები და მინაწერები), გამოავლინა ეფრემ მცირისა და თეოფილე თარგმანის უცნობი პოეტური თხზულებანი, დაწერილი ათმარცვლოვანი და თექვსმეტმარცვლოვანი პოეტური საზომებით. მიკროფილმებზე მუშაობის შედეგები მან გამოსცა წიგნად „ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი" (1982), რომელშიც აღნიშნული მასალის გარდა ათონური ქართული ხელნაწერების მიხედვით განხილულია ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობები X-XI საუკუნეების ქართულ მწერლობაზე და მოცემულია მათი მეცნიერული შეფასება. გამოქვეყნებულია აგრეთვე ეფთვიმე მთაწმინდელის, გიორგი მთაწმინდელის, ეფრემ მცირისა და თეოფილე თარგმანის ავტოგრაფთა ნიმუშები.

ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების მთელი რიგი საკითხები შესწავლილი აქვს პროფ. რომან მიმინოშვილს. ამ საკითხთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „ვარლაამ და იოასაფის" ბერძნული რედაქციის ავტორის საკითხი, აგრეთვე ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობით მეთოდებზე დაკვირვება, ქართული და ბიზანტიური მწერლობის ცალკეული ძეგლების შესწავლა.

პროფ. რ.მიმინოშვილს მონოგრაფიულად აქვს შესწავლილი იოანე დამასკელის „გარდამოცემის" ქართული თარგმანები. ეს შრომა 1966 წელს გამოცემულია წიგნად. მასში განხილულია იოანე დამასკელის „გარდამოცემის" ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელისეული თარგმანები, რომლებიც მანამდე შეუსწავლელი იყო. მკვლევარი ეფრემისა და არსენის

ნაშრომთა ურთიერთშედარებისა და ბერძნულ დედანთან შეჯერების საფუძველზე გამოავლენს ქართული რედაქციების მნიშვნელობას იოანე დამასკელის თხზულების ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გამოსარკვევად. ქართულ მწერლობას შემოუნახავს „გარდამოცემის“ აქამდე უცნობი რედაქცია, რომელიც თითქმის საუკუნით უსწრებს ამ თხზულების ლათინურ თარგმანს. წიგნში განხილულია ბერძნულ დედანთან და ქართულ თარგმანებთან დაკავშირებული მთელი რიგი ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხები.

1959 წელს საქ. სსრ მეცნ. აკადემიის „მოამბეში“ (ტ.XXIII, №6, გვ.753-757) დაიბეჭდა რ.მიმინოშვილის წერილი „ამბროსი მედიოლანელის „ცხოვრების“ ახალი რედაქცია ქართულ მწერლობაში“. ამბროსი მედიოლანელის „ცხოვრება“ ქართულ მეტაფრასულ მწერლობაში წარმოდგენილია სვიმეონ მეტაფრასტის თხზულების XI საუკუნის ორი თარგმანით – ეფრემ მცირისა და თეოფილე ხუცესმონაზონისა. ქართულ თარგმანებს დიდი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო ქართული ლიტერატურის ისტორიის, არამედ ბიზანტიური ლიტერატურის შესწავლის თვალსაზრისითაც. ქართული თარგმანების სახით მიკვლეულია სვიმეონ მეტაფრასტის თხზულების აქამდე უცნობი რედაქცია. ცნობილია, რომ სვიმეონ მეტაფრასტი გარდაიცვალა XI საუკუნის ადრეულ წლებში, ხოლო ქართველ მთარგმნელთაგან არც ერთი იმავე საუკუნის მიჯნას არ გასცილებია. მაშასადამე, ქართული თარგმანები, რამდენადაც კი შესაძლებელი იყო, უძველესია. მკვლევრის აზრით, ქართული თარგმანები იძლევა იმის გათვალისწინების საშუალებას, თუ რა სახე უნდა ჰქონოდა უშუალოდ სვიმეონ მეტაფრასტის ხელიდან გამოსულ თხზულებას, ამდენად, მით უფრო დიდი

მნიშვნელობა ენიჭება ქართულ თარგმანებს ბიზანტი-ნისტიკისათვის.

1964 წელს რ.მიმინოშვილი აქვეყნებს წერილს „ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი ხერხები" („ძველი ქართული მწერლობის საკითხები" კრებ. II. თბ., 1964, გვ. 51–70). ავტორი ეფთვიმე ათონელის სტილისტურ-მხატვრული მეთოდის შე-სასწავლად აკვირდება რამდენიმე თხზულებას: პატრიარქ გერმანეს „თხრობა სასწაულთათვის მთავარანგელოზისა მიქაელისთა", აპოკრიფულ „ანდრიას მოსახსენებელს", იოანე მმარხველის ეპიტიმიურ ნომოკანონს.

განხილული თხზულებების საფუძველზე მკვლევარი ეფთვიმეს მთარგმნელობითი მეთოდისათვის დამახასიათებელ რამდენიმე ხერხს გამოყოფს:

1. ეფთვიმე ათონელი ცდილობს ქართულ სინამდვილეს შეუხამოს თავისი თარგმანი. ამ მიზნით იგი აქართულებს ბერძნულ ტოპონიმიკას და იოანე მმარხველის ნომოკანონშიც ახალგაზრდის სიმწიფის ასაკად ქართული სინამდვილისათვის რეალურ ციფრს ირჩევს.

2. ეფთვიმე ათონელი ცვლის დედნის სტილს. მას ზედმეტად მიაჩნია სიტყვათა განმეორება, გაურბის სინონიმთა სიჭარბეს.

3. მთარგმნელი ეძებს და იყენებს რიტორიკულ საშუალებას – დაპირისპირებას, მიუხედავად იმისა, თუ რა ადგილას აკლია დედანში ერთ-ერთი დაპირისპირებული ელე-მენტი – წინ, თუ მომდევნო წინადადებაში.

4. მთარგმნელი ავრცობს და განმარტავს დედანს, სადაც აზრი დაუმთავრებლად მიაჩნია.

5. ეფთვიმე ათონელს ჩვევია დედნის ზოგიერთი დეტალის გაძლიერება. ასეთი იყო, მაგ., სიტყვა „დაცემის" ხმარება ნომოკანონში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეფთვიმეს თარგმანში იოანე მმარხველის თხზულება გაცილებით უფრო მკაცრია, სწორედ საჭირო მომენტების გამძაფრების გამო, ვიდრე თვით ორიგინალში.

1978 წელს „ბიზანტინოლოგიურ ეტიუდებში" რ.მიმინოშვილი აქვეყნებს წერილს „ვარლაამისა და იოსაფის" ავტორის ვინაობის საკითხებისათვის". ავტორი ცდილობს ეფთვიმე ათონელის ავტორობის ვერსია გაამაგროს ფილოლოგიური არგუმენტებით და განიხილავს „ბალავარიანის" ქართული და ბერძნული ვერსიების არა მარტო ლექსიკურ, არამედ ფრაზეოლოგიურ თანხვედრებსაც. კერძოდ, მას აინტერესებს, ახდენს თუ არა ქართული ტექსტის სინტაქსი და სტილი გავლენას ბერძნულ ტექსტზე. მკვლევარი ერთმანეთს უდარებს დამოკიდებულ წინადადებათა თანმიმდევრობას ბერძნულ და ქართულ რთულ ქვეწყობილ წინადადებებში, ასევე მისამართ სიტყვებს, რომელთაც, საერთოდ, განსაზღვრული ადგილი არა აქვთ არც ერთ ენაში. კვლევის შედეგი ცხადყოფს, რომ ბერძნული ვერსია დამოკიდებულია ქართულ ტექსტზე.

ეს სტატია მცირე ნაწილია სპეციალური შრომისა, სადაც მკვლევარი ცდილობს პასუხი გასცეს შეკითხვას – საიდან მოდის ის განსხვავებანი, რომელნიც შეიმჩნევა ბერძნულ და ქართულ ვერსიათა შორის. ეს ნაშრომი – „ექვთიმე იბერი – ბერძნული რომანის ავტორი" – გამოქვეყნდა ჟ. „მნათობში" 1979 წ. №7–8 (გვ.127–145 და 166–178).

პროფ. რ.მიმინოშვილი ყურადღებას ამახვილებს რამდენიმე გარემოებაზე, რაც ამაგრებს და ახალი არგუმენტებით ავსებს ეფთვიმე იბერის ავტორობის ვერსიას:

1. „ვარლაამ და იოასაფის“ მკვლევრების მიერ (ფ.დიოლგერი) შენიშნული იყო, რომ რომანის ბერძნული ვერსიის ძირითად ლიტერატურულ წყაროს წარმოადგენს იოანე დამასკელის „გარდამოცემა“. რ.მიმინოშვილმა დაადგინა, რომ „ვარლაამისა და იოასაფის“ ბერძნული ვერსია თავის წყაროდ იყენებს არა იოანე დამასკელის „გარდამოცემას“, არამედ ამ თხზულებათა კომპენდიუმს – „წინამძღუარს“ ეფთვიმე იბერისა. იოანე დამასკელის მოძღვრებას როგორც ეფთვიმე, ისე „ვარლაამ და იოასაფის“ ავტორი უყურებენ „წინამძღუარის“ პრიზმიდან. „წინამძღუარი“ არის წყარო ბერძნული რომანის იმ ადგილებისა, რომელნიც არ გვხვდება ქართულ რედაქციებში. ესაა დიდძალი რაოდენობის პასაჟები, რომელთაც ავტორობასთან დაკავშირებით არაფერი შეუძლიათ დაგვიმტკიცონ. სამაგიეროდ, უეჭველად მოწმობენ „ვარლაამისა და იოასაფის“ ბერძნული ვერსიის შექმნაში „წინამძღუარის“ ავტორის მონაწილეობას.

2. ბერძნული და ქართული რედაქციების ტექსტუალურმა შედარებამ, ბერძნული ტექსტის შეცდომებმა, რომელნიც ქართულ ხელნაწერთა ქარაგმების არასწორი ამოკითხვით იყო გამოწვეული, მკვლევარი მიიყვანა დასკვნამდე, რომ ქართულ და ბერძნულ ტექსტებს შორის არსებობს გენეტიკური კავშირი. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იგი ლექსიკურ თანხვედრებთან ერთად ფრაზეოლოგიურ დამთხვევებს; განსაკუთრებით იმ გარემოებას, რომ მთარგმნელი, რომელიც თავისუფლად

ეროვნული

ეპყრობა ორიგინალს, ცვლის სიტყვებს, ზოგჯერ სხვადასხვა ფრაზის აზრსაც, მიუხედავად ყველაფრისა იმეორებს სინტაქსურ წყობას და ქართული დედნის წინადადებათა სტილს.

3. პროფ. რ.მიმინოშვილი ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებასაც, რომ „ვარლაამ და იოასაფის" ბერძნული ვერსიის ძირითად წყაროს წარმოადგენენ ბიბლიური წიგნები. გარდა ამისა თხზულებაში ლაპარაკია რწმენის სიმბოლოებზე, მართლმადიდებლური სარწმუნოების ძირითად დოგმებზე; განსაკუთრებული სიმწვავით არის დასმული საკითხი დიოფიზიტური მოძღვრების შესახებ (და არა ხატმებრძოლეობის შესახებ, რომელიც აქტუალური იყო დამასკელის ეპოქაში). მკვლევარი შესაძლებლად თვლის ეს ფაქტი მიიჩნიოს იმ ბრძოლის გამოძახილად, რომელმაც ახალი ძალით იფეთქა XI საუკუნეში და შეძრა საქართველოს საეკლესიო მოღვაწეთა გონება.

პროფ. რ. მიმინოშვილი ეფთვიმეს ავტორობის სასარგებლოდ მეტყველ სამ საბუთს (1. ბერძნულ ნუსხათა ლემები; 2. ლათინური ხელნაწერის ლემა; 3. გიორგი მთაწმინდელის ცნობა) უმატებს მეოთხე, ფილოლოგიურ საბუთს და მას ამგვარად აყალიბებს: „ვარლაამისა და იოასაფის" ბერძნული ვერსია ემთხვევა „სიბრძნე ბალაჰვარისას" ქართულ რედაქციებს ნარატიულ ნაწილში როგორც ლექსიკური, ისე ფრაზეოლოგიური თვალსაზრისით. განსხვავდება მათგან საღვთისმეტყველო ნაწილში, მაგრამ ბიბლიური პასაჟების გამოკლებით თანხვდება ექვთიმე ათონელის „წინამძღუარს" და ღებულობს მისგან აგრეთვე

ანტიმონოფიზიტურ პათოსს" (გვ.145). ეს იმას ნიშნავს, განმარტავს მკვლევარი, რომ ეფთვიმე ათონელმა, როცა „ვარლაამისა და იოასაფის" ბერძნულ ვერსიას ქმნიდა, საფუძვლად აიღო ქართული მოთხრობა, განავრცო იგი ბიბლიური პასაჟებით და ციტატებით თავისივე „წინამძღუარიდან". რ.მიმინოშვილის აზრით, ოთხივე ამ საბუთის უარყოფა შეუძლებელია.

პროფ. რ.მიმინოშვილი წარმატებით მუშაობდა ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების სხვა პრობლემებზეც. (პროფ. რ.მიმინოშვილი გარდაიცვალა 1998 წელს-რედ.).

ანტიკური ლიტერატურისა და ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების სფეროში მოღვაწეობს ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი ვახტანგ ბააკაშვილი.

1965 წელს კრებულში „ძველი ქართული მწერლობის საკითხები" (V-XIII სს.) დაიბეჭდა ვ.ბააკაშვილის წერილი „ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლის" ექვთიმესეული თარგმანი (გვ.48-68). ავტორს მიზნად დაუსახავს ქართული თარგმანის ბერძნულ დედანთან შედარებით დაადასტუროს ჩვენს მეცნიერებაში პროფ. ვასილევსკისა და აკად. კ.კეკელიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ეფთვიმეს თარგმანი მომდინარეობს ეპიფანე მონაზვნის თხზულებიდან. მართლაც, ნაშრომიდან უეჭველად მტკიცდება, რომ ავტორს ხელთ ჰქონია „ანდრიას მიმოსვლის" ეპიფანე მონაზვნისეული რედაქცია. მაგრამ მკვლევარი ამ დასკვნით არ კმაყოფილდება. მას სურს გაარკვიოს რა დაუმატა, რა დააკლო, ან როგორ შეცვალა ეფთვიმემ ბერძნული დედანი. იგი წერს: „ჩვენი აზრით, არ უნდა

იყოს მოსალოდნელი, რომ ანდრიას „მიმოსვლის“ თარგმნისას ექვთიმე ათონელს (ორი ან მეტი) ბერძნული რედაქცია ჰქონდა ხელთ. და თუ დამტკიცებულად ჩავთვლით, რომ ექვთიმე ათონელის წყარო ეპიფანე მონაზვნის თხზულება იყო, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ქართული თარგმანის შესავალი ნაწილი უშუალოდ ექვთიმე ათონელის მიერაა დაწერილი (და არა თარგმნილი)“ (გვ.66–67).

დიდი საეკლესიო მამის გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებანი თითქმის მთლიანად თარგმნილია ქართულ ენაზე. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით ამ თხზულებათა თარგმნაში ეფთვიმე ათონელს, ეფრემ მცირეს და დავით ტბელს. გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილეტიკურ თხზულებათა ეფთვიმესეული თარგმანები ეფრემ მცირის გადასინჯვის საგანი გამხდარა და მას კვლავ უთარგმნია ჩვიდმეტი ჰომილეტიკური სიტყვა; პოლემიკური თხზულებების ეფთვიმესეულ თარგმანთა ხელმეორედ გადმოღება კი ეფრემს საჭიროდ აღარ მიუჩნევია.

ეფრემისა და ეფთვიმეს ხსენებული თარგმანები შესწავლილი აქვს ვ.ბააკაშვილს წერილში „გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანების შესახებ“ („ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, IV, თბ., 1973, გვ. 3–15).

მკვლევრის აზრით ეფთვიმე ათონელის თარგმანებზე დაკვირვება ადასტურებს, რომ პოლემიკური სიტყვების გამოღებისას მთარგმნელი უაღრესად ზუსტად, თითქმის სიტყვასიტყვით მიჰყვება ორიგინალს. რაც შეეხება ჰომილეტიკური თხზულებების თარგმნას, აქ მკაფიოდ იჩენს თავს

ეფთვიმე ათონელისათვის დამახასიათებელი კლება-შემატების მეთოდი.

წერილში განხილულია აგრეთვე ეფრემის თარგმნილი ჰომილეტიკური თხზულებები, შედარებულია ისინი ბერძნულ ტექსტს. ბერძნულ დედანთან არის შედარებული, აგრეთვე, ეფთვიმესა და ეფრემის ანალოგიური თარგმანები. ვ.ბააკაშვილი აღნიშნულ ტექსტზე დაყრდნობით დაწვრილებით საუბრობს ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ და დაასკვნის: „ეფრემ მცირე გულდასმით ადევნებს თვალს ბერძნულ ტექსტს და შესწორებები შეაქვს ექვთიმესეულ თარგმანში. ერთის მხრივ, ქართულ-ბერძნული, ხოლო მეორე მხრივ, საკუთრივ ქართული რედაქციების ურთიერთშედარებამ დაადასტურა, რომ ეფრემ მცირე მხოლოდ მაშინ იმეორებს ზუსტად ექვთიმე ათონელის ტექსტს, როდესაც ეს უკანასკნელი ზუსტად, ზოგჯერ სიტყვასიტყვით მიჰყვება ორიგინალს. ექვთიმე ათონელის თარგმანების შესწავლისას კი გამოირკვა, რომ ასეთი შემთხვევები საკმაოდ იშვიათად იჩენს თავს. დედნის ტექსტიდან ექვთიმესეული თარგმანების დაცილება კი ჩვეულებრივი მოვლენაა" (გვ.14).

1977 წელს კრებულში „ძველი ქართული ლიტერატურა" (XI-XVIII სს.) დაბეჭდილია ვ.ბააკაშვილის სტატია „ქართულ-ბიზანტიური მეტაფრასული აგიოგრაფიის მიმართება და ძირითადი თავისებურებანი" (გვ. 3-19).

ავტორი საუბრობს ბიზანტიური მეტაფრასტიკის წარმოშობის მიზეზებზე, გამოყოფს ორ ეტაპს მეტაფრასტიკის განვითარებაში და ახასიათებს თითოეულ მათგანს მიზნებისა და სპეციფიკური მახასიათებლების გამოყოფით.

განსაკუთრებითაა გამახვილებული ყურადღება მეტაფრასტიკის მეორე ეტაპზე, რომელიც იოანე ქსიფი-ლინოსის სახელს უკავშირდება და ხასიათდება შემდეგი სპეციფიკური ნიშნებით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. თხზულებისათვის შესავლის წამძღვარება;

2. მიდრეკილება სასწაულების აღწერისადმი;

3. პარალელები სხვა წმინდანების ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან;

4. ძველი თხზულების ფაქტობრივი მასალით შევსება.

ამის შემდეგ მკვლევარი მიმოიხილავს საქართველოში მეტაფრასტიკის ჩასახვის მიზეზებს, დამახასიათებელ ნიშნებს, თავისებურებებს და ქართული ჰაგიოგრაფიის ძეგლებს უდარებს ბერძნული მეტაფრასტიკის ნიმუშებს. ვ.ბააკაშვილის მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ქართული მეტაფრასული ჰაგიოგრაფია მეტ-ნაკლებად იმეორებს ბიზანტიური მეტაფრასტიკის თავისებურებებს, ახასიათებს ყველა ზემოთჩამოთვლილი თვისება, აგრეთვე მოქმედების არის გავრცობა და ძირითადი თემიდან გადახვევები.

ვ.ბააკაშვილის რამდენიმე სამეცნიერო სტატია ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების სფეროში გადაცემულია დასაბეჭდად.

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ლეილა დათიაშვილის კვლევის საგანია ბიზანტიური და ქართული ლიტერატურისათვის საინტერესო მწერლის თევდორე აბუკურას შემოქმედება, „მიქელ საბაწმინდელის ცხოვრება“, ეფრემ ასურის, ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის შემოქმედების ცალკეული ნიმუშების შესწავლა.

1980 წელს დაიბეჭდა ლ.დათიაშვილის მიერ მომზადებული თევდორე აბუკურას „ტრაქტატები და დიალოგები“ თარგნილი ბერძნულიდან არსენ იყალთოელის მიერ. ეს ნაშრომი შეიცავს გამოჩენილი არაბი ქრისტიანი მწერლის თეოდორე აბაკურას (VIII-IXსს.) დოგმატიკურ-პოლემიკურსა და ფილოსოფიურ ტრაქტატებსა და დიალოგებს, რომლებიც პირველად გამოქვეყნდა და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ თეოდორე აბუკურას სამწერლო საქმიანობის შესწავლაში. მათგან ზოგიერთი საერთოდ უცნობია როგორც თანამედროვე, ისე წინამავალი ბიზანტინისტებისათვის. მათ დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის შესასწავლადაც.

ტექსტებს ერთვის გამოკვლევა, რომელშიც საუბარია იოანე დამასკელის მიმდევარი მწერლის თეოდორე აბუკურას შემოქმედებაზე და მსოფლმხედველობაზე, მის ნაწარმოებთა არსენ იყალთოელისეულ თარგმანებზე, მთარგმნელის მიერ ტექსტის განვრცობის შემთხვევებზე. შედარებულია ბერძნული და ქართული ტექსტები და გამოვლენილია ისეთი ნაწარმოებები, რომელთა ბერძნული ორიგინალები არა ჩანს, არსებობს მხოლოდ ქართული თარგმანები. ავტორის აზრით, ეს ფაქტი განსაკუთრებით დააინტერესებს დასავლეთ ევროპელ მეცნიერებს, რომლებიც თეოდორე აბაკურას ლიტერატურულ მემკვიდრეობას იკვლევენ.

ერთი ასეთი ნაწარმოები, რომელიც შეტანილია არსენ იყალთოელის „დოგმატიკონში“, მისის გამოცემაში კი არაა, მკვლევარს შესწავლილი აქვს ცალკე – „არსენ იყალთოელის თარგმანი თეოდორე აბაკურას ტრაქტატისა „საღმრთოჲსა და

გარეშისა ფილოსოფოსებისათვის“ (კრ.„ძველი ქართული ლიტერატურა“ (XI-XVIII სს.), თბ., 1977, გვ.20-40). ლ.დათიაშვილის აზრით, გამომცემელმა ან ვერ მიაგნო იმ ხელნაწერს, რომელშიაც თევდორე აბუკურას აღნიშნული ნაშრომის ბერძნული რედაქციაა დაცული, ან კიდევ – საერთოდ დაკარგულია ბერძნული ვერსია და ჩვენამდე მხოლოდ მისმა თარგმანმა მოაღწია. გამორიცხული არაა, რომ მისი არაბული დედანი იყოს სადმე. მკვლევარი მიმოიხილავს ხსენებული ფილოსოფიური ტრაქტატის შინაარსს, დაადგენს ფილოსოფიური ტერმინის „განრემზომობის“ მნიშვნელობას.

არსენ იყალთოელის მიერ ეს ძეგლი უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული (და ბიზანტიური) ლიტერატურისათვის. განსაკუთრებით ეს ითქმის მასში წამოყენებულ ფილოსოფიურ ტერმინებზე, რომელთა აღნუსხვა და სათანადო გაანალიზება მომავლის საქმეა.

„მიქელ საბაწმიდელის მარტვილობის“ რედაქციების სპეციალური შესწავლით ლ.დათიაშვილმა გაამაგრა პ.ინგოროყვას მოსაზრება, რომელმაც ეს ძეგლი ქართველი ავტორის ორიგინალურ ნაწარმოებად მიიჩნია. მკვლევრის აზრით, ამ ძეგლის ავტორი შესაძლებელია იყოს IX საუკუნის ქართველი მწერალი ბასილი საბაწმიდელი, ავტორი ჰიმნოგრაფიული ძეგლისა „მამისა საბაჲს დასდებელნი“. ლ.დათიაშვილი თვლის, რომ „მიქელ საბაწმიდელის მარტვილობის“ ეპიზოდი გვიანდელი ჩანართია „თეოდორე ედესელის ცხოვრებაში“. ეს ბერძნული ტექსტი კი მომდინარეობს „მიქელ საბაწმიდელის მარტვილობის“ ქართული რედაქციიდან და იგი ბერძნულად

ეფთვიმე ათონელის მიერაა თარგმნილი. სავარაუდოა, რომ ეფთვიმეს მიერ თარგმნილი ტექსტი გარკვეული რედაქციული შესწორებებით არის შემდგომში ჩართული „თეოდორე ედესელის ცხოვრებაში“. ლ.დათიაშვილი ასე ასაბუთებს:

1. ტექსტოლოგიური თვალსაზრისით ბერძნული ტექსტი ძალიან ახლოს დგას ქართულ თხზულებასთან. ეს სიახლოვე იმდენად თვალსაჩინოა, რომ ბერძნული ტექსტის ქართულზე დამოკიდებულებას მიუთითებს.

2. „მიქელ საბაწმინდელის მარტვილობის“ ამბავი „თეოდორე ედესელის ცხოვრებაში“ რომ აშკარად ჩანართია იქიდანაც ჩანს, რომ მიქელის წამების თეოდორე ედესელის პიროვნებასთან დასაკავშირებლად ავტორს ზოგიერთი ანაქრონიზმი დაუშვია (იხ.ა) „აბუკურას“ ქართულ-ბერძნული რედაქციები; სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1968, გვ.152-216,ბ) „აბუკურას“ ორიგინალობის საკითხისათვის; „მაცნე“, 1967, №5, გვ.169-194).

ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ საინტერესო დაკვირვებას ვხვდებით ლ.დათიაშვილის წერილში „ეფრემ ასურის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანები“ („ფილოსოფიური ნარკვევები“, თბ., 1981, გვ. 3-15). ეფრემ ასურის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ „ეფთვიმე ათონელს ეფრემ ასურის ხუთი ასკეტური ძეგლი კი არ უთარგმნია, როგორც აქამდე იყო ცნობილი, არამედ საკუთარი შეხედულებისამებრ დაუმუშავებია, შეუმცირებია და ისე გადმოუღია დასახელებული ავტორის ათი ნაშრომი, რომელიც მხოლოდ ხუთი თხზულების სახელით მიუწოდებია ქართველი

მკითხველისათვის“ (გვ.13). გაანალიზებული თარგმანების შესწავლამ გამოავლინა, რომ ეფთვიმეს ხელეწიფებოდა არა მარტო კლება და მატება, არამედ შედარებით რთული ოპერაციებიც, როგორიცაა ორი და სამი ძეგლის ისეთი სინთეზი, ისე ოსტატური შეკავშირება, რომ მიღებული თარგმანი მექანიკური შეერთების შთაბეჭდილებას არ ტოვებდა. ამას, რა თქმა უნდა, სათარგმნი მასალის ჟანრობრივი თავისებურებაც უწყობდა ხელს. მიზნის მისაღწევად შერჩეულ თხზულებებს ეფთვიმე ამოკლებდა, ამარტივებდა, ცდილობდა განეტვირთა ტექსტი დაახლოებით ერთგვარი აზრების შემცველი ადგილებისაგან, რომ თავის თარგმანში მოეცა ორიგინალის ის ძირითადი ბირთვი, რომელიც მიზანშეწონილად მიაჩნდა ქართველი მკითხველის ინტერესებისათვის (გვ.14).

ასე, რომ ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში სხვადასხვა მეცნიერის მიერ გამოვლენილ ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობისათვის დამახასიათებელ ნიშნებს შეიძლება დავუმატოთ კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ხერხი. ეს არის სხვადასხვა თხზულების გაერთიანება, მათი ერთ ნაწარმოებად შექმნა ისე, რომ აზრი დარღვეული არაა.

ეფრემ მცირის ლიტერატურული შემოქმედების კვლევას ეძღვნება ლ.დათიაშვილის წერილი „ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ისტორიიდან“ (კრ. „ძველი ქართული მწერლობის მატიანე“, I, 1984, გვ.40-49). მასში მკვლევარი სწავლობს ასურის ორ პოტენციურ ძეგლს და მათ ეფრემ მცირისეულ თარგმანებს. ირკვევა, რომ ერთ-ერთი მათგანი ეფრემს უთარგმნია 12 მარცვლოვანი იამბიკური საზომით,

მეორე კი ნაწილობრივ ლექსად, ნაწილობრივ პროზად. ეფრემ მცირემ ეფრემ ასურის ორი ასკეტური თხზულების პოეტური თარგმანით კიდევ ერთი ახალი სიტყვა თქვა თავის მრავალმხრივ შემოქმედებაში.

ლ.დათიაშვილი კვლავაც აქტიურად აგრძელებს სამეცნიერო მოღვაწეობას.

ჩვენ ამ წერილში შევეცადეთ მეტ-ნაკლებად სრული სურათი შეგვექმნა ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების შემსწავლელი რამდენიმე ქართველი მეცნიერის მოღვაწეობის შესახებ. წარმოდგენილი მასალა, რა თქმა უნდა, არ მოიცავს მთელ ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებას, რომელმაც ახალ სიმაღლეზე აიყვანა ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევა და მოუხვეჭა მას საერთაშორისო ავტორიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. თხინვალელი

ქართულ-არაბულ ლიტერატურულ ურთიერთობათა მკვლევარნი

ქართულ-არაბულ ლიტერატურულ ურთიერთობებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ქართველები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ქრისტიან არაბებთან, საერთოდ არაბულ სამყაროსთან. VII საუკუნეში არაბთა დაპყრობით ომებს სირიაში, პალესტინასა და ეგვიპტეში მოჰყვა აღნიშნული რეგიონების არაბიზაცია, არაბული ენა იქცა ოფიციალურ სახელმწიფო ენად. მან თანდათან შეაღწია ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში, მოგვიანებით კი გზა გაიკაფა საეკლესიო-სასულიერო მწერლობაში. VIII-IX საუკუნეებიდან ქრისტიანული არაბული ლიტერატურა ვითარდებოდა ბერძნული, სირიული, კოპტური ლიტერატურის თარგმანების ბაზაზე. მის შექმნაში მონაწილეობდნენ ქრისტიანი არაბები, რომელთა გარკვეული ნაწილი ისლამამდელ პერიოდში გაქრისტიანდა. ქრისტიანულმა არაბულმა ლიტერატურამ დიდი წვლილი შეიტანა მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. მისი აღმოცენების და განვითარების ძირითადი კერებია წმ. ეკატერინეს მონასტერი სინას მთაზე და საბას ლავრა პალესტინაში, აგრეთვე წმ. ხარიტონის ლავრა.

არაბულენოვან ქრისტიანებს და მათ ლიტერატურას ქართველები გაეცნენ მახლობელ აღმოსავლეთში. ქართული ლიტერატურა, რომელიც წარმოიშვა და განვითარდა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოში, შემდგომ, საუკუნეთა განმავლობაში, ვი-თარდებოდა სხვადასხვა საზღვარგარეთულ რეგიონში მახლობელ აღმოსავლეთსა თუ ბიზანტიაში. საზღვარგარეთ ქართველთა ლიტერატურული მოღვაწეობის ადრეული პერიოდი ძირითადად მოდის მახლობელ აღმოსავლეთზე, რომლის მიმართ ქართველები ინტერესს იჩენდნენ უკვე IV-V საუკუნეებში. ამ პერიოდიდან მოყოლებული ქართველები სახლდებიან პალესტინის, სირიისა და ეგვიპტის მონასტრებში და საქართველოს მეფეებისა და დიდი მთავრების ხელშეწყობით აშენებენ ეკლესიებსა და მონასტრებს. მჭიდრო კონტაქტები, რომელიც დამყარდა მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებთან, საშუალებას აძლევდა ქართველ მწიგნობრებს აეწყოთ თავისი კულტურული და სუ-ლიერი ცხოვრება საერთო ქრისტიანული სტანდარტების დო-ნეზე.

წმ. საბას ლავრაში, პალავრასა და სინას მთაზე – წმ. ეკატერინეს მონასტერში წარმოიქმნა ხელშემწყობი პირობები ქართველ და არაბ მწიგნობართა დაახლოებისათვის. სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციას შემოუნახავს არაბული დამწერლობის კვალი. ჩანს, არაბულ სამყაროში მოხვედრილმა ქართველებმა შეისწავლეს არაბული ენა, დამწერლობა, სინას მთის ქართულ ხელნაწერებში ხშირად გვხვდება არაბული მინაწერები, რომელთა ავტორები ზოგჯერ აღნიშნავდნენ ხელ-ნაწერის სინას მთის მონასტრისადმი კუთვნილებას ხშირად კი წყევლა-კრულვას უთვლიდნენ მიმტაცებელთ. ცნობილია ქართული ხელნაწერები არაბული ნუმერაციით. მიღწეულია სპეციალურად ქართველთათვის შედგენილი არაბული ანბანი,

რომლის თითოეული არაბული ასო განმარტებულია ქართული შესატყვისით. გვხვდება არაბული ხელნაწერები რვეულების და ფურცლების ქართული ნუმერაციით, ეს საფიქრებელს ხდის ქართველთა მონაწილეობას არაბულ-ქრისტიანულ მწიგნობრობაში.

ხსენებულ კულტურულ კერებში დიდხანს არ შეწყვეტილა ქართველთა მწიგნობრული მოღვაწეობა. შემოქმედებითი აღმავლობის პირობებში არაბი და ქართველი მოღვაწენი ავითარებდნენ სასულიერო ხასიათის მწერლობას. საერთო შემოქმედებითმა და სულიერმა ინტერესებმა და მახლობელი აღმოსავლეთის კულტურითა და ლიტერატურით ქართველთა ღრმა დაინტერესებამ კანონზომიერად განაპირობა ქართულ-არაბულ ლიტერატურულ ურთიერთობათა წარმოშობა და განვითარება, რაც დასტურდება ჩვენამდე მოღწეული თარგმანებით.

ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობანი შედარებით ინტენსიური იყო X საუკუნემდე. X-XI საუკუნეებიდან ქართველები მთლიანად გადაერთვნენ ბიზანტიურ ლიტერატურაზე. ამას ხელს უწყობდა ბიზანტიასთან სახელმწიფო პოლიტიკური ურთიერთობების გაძლიერება, იერუსალიმის მოწყვეტა ბიზანტიის კულტურულ ცენტრებიდან და კონსტანტინოპოლის ეკლესიის როლის გაძლიერება. მომდევნო პერიოდში, მახლობელ აღმოსავლეთში ქართულმა ლიტერატურულმა მოღვაწეობამ დაკარგა თავისი შემოქმედებითი მასშტაბი. იგი გამოიხატებოდა მხოლოდ ხელნაწერთა გამრავლებასა თუ გადაწერაში. ქართველთა დაინტერესებამ ქრისტიანულ-არაბული ლიტერატურით თანდათან

იკლო და ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობანი შეწყდა.

ქართველთა მიერ მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის ღრმა მეცნიერული შესწავლა დაიწყო ჩვენი საუკუნის დამდეგიდან, როდესაც მახლობელ აღმოსავლეთში არსებულ მწიგნობრულ კერებს ეწვივნენ დიდი ქართველი მეცნიერები ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი. ათონის ქართულ მონასტერში მუშაობის შემდეგ ნიკო მარისთვის ცნობილი გახდა, რომ ძველი ქართული წერილობითი კულტურის საფუძვლიანი შესწავლისათვის აუცილებელი იყო ახლო აღმოსავლეთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციების გაცნობა. სინას მთაზე და იერუსალიმში ხელნაწერებზე მუშაობის შედეგად ნ.მარმა გამოაქვეყნა მოგზაურობის აღწერილობა და მოპოვებული მასალის მოკლე დახასიათება. Н. Марр — Предварительный отчет о работах на Синае веденных в сотрудничестве с Джаваховым в Иерусалиме в поездку 1902 г. СППО XIV т. II 1903 г.

ნ.მარმა და ი.ჯავახიშვილმა მოიპოვეს და ვრცლად აღწერეს ადრე უცნობი ბევრი ხელნაწერი, დააზუსტეს და შეავსეს არსებული აღწერილობანი, გამოავლინეს არაერთი უცნობი ქართველი მწიგნობარი და ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულება, გამოსაცემად მოამზადეს და მოგვიანებით გამოაქვეყნეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლი.

ქართულ-არაბულ ლიტერატურულ ურთიერთობათა პირველი მეცნიერი მკვლევარი იყო ნიკო მარი. მან 1900 წ. დაადგინა ანტიოქ სტრატეგის ნაწარმოების „იერუსალიმის დაპყრობა

სპარსთა მიერ 614 წ". ქართული ვერსიის არაბული წარმომავლობა და დასაბამი მისცა კვლევას აღნიშნული მიმართულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ.მარმა ზოგადად შემოხაზა ის ლიტერატურული კონტაქტები, რომლებიც არსებობდა ძველ ქართულ მწიგნობრებსა და მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიან არაბებს შორის. მისი ძიებანი 20-იან წლებში განაგრძო ბელგიელმა მეცნიერმა პაულ პეეტერსმა, რომელმაც აღმოაჩინა არაბულიდან თარგმნილი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები და გამოიკვლია ისინი. პ.პეეტერსს ეკუთვნის 160-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის „ახალი მოწამის რომანის წამება" (P. Peeters, Anallecta Bollandiana, 1911, t. 30), „ანტონ რავახის ცხოვრება" (P.Peeters, Anallecta Bollandiana, 1914, t. 33), „ფსევდო დიონისე არეოპაგელის ცხოვრება" (P.Peeters, Anallecta Bollandiana 1921, t. 39) „პანსეფეოს ალექსანდრიელის წამება" (P.Peeters, Anallecta Bollandiana, 1929, t. 47). უნდა აღინიშნოს ამავე პერიოდის მეორე უცხოელი ქართველოლოგი რ.ბლეიკი, რომელმაც 1924 წელს აღწერა იერუსალიმის ქართული ხელნაწერები, ხოლო 1927 წ. გაეცნო სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციას. მანვე აღწერა ვაშინგტონში დაცული იერუსალიმური ქართული ხელნაწერი (1960 წ.). არაბულიდან მომდინარე ქართულ თარგმანებზე მუშაობდა ბელგიელი ქართველოლოგი ჟერარ გარიტი: „სტეფან საბაელის სწავლება" (G.Garitte, Anal.Boll. 1959, t. 77)" „ელიანოზის წამება" (G.Garitte, Anal. Boll. 1961), „კირიაკეს ცხოვრება" (G.Garitte, Le Museon, 1962, t. 75 და Bedi Kartlisa, Revue de Kartvelologie, 1971, v. 28). გარიტმა

მონაწილეობა მიიღო ამერიკის კონგრესის (ვაშინგტონის) ბიბლიოთეკის სამეცნიერო ენციკლოპედიის მუშაობაში. სინას მთასა და იერუსალიმში. საინტერესო მასალები იერუსალიმის ქართულ კოლონიაზე გამოქვეყნებული აქვს გრიგოლ ფერაძეს, მანვე ვენის ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში იპოვა და აღწერა ჯვრის მონასტრის ხელნაწერები.

ნ.მარის და პ.პეეტერსის გამოკვლევებზე დაყრდნობით კ.კეკელიძემ შეიმუშავა საქართველოს მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებთან ლიტერატურულ ურთიერთობათა ზოგადი დებულებები, რაც მოცემული აქვს „ქართული ლიტერატურის ისტორიის" პირველივე გამოცემებში.

კ.კეკელიძის მოსაზრებანი გაიზიარა მიხეილ თარხნიშვილმა, მას განხილული აქვს ქართველთა კონტაქტები არაბულენოვან ქრისტიანებთან სირიაში, პალესტინასა და სინას მთაზე. საზღვარგარეთ ამჟამად მოღვაწე ქართველოლოგებიდან აღსანიშნავია ფრანგი მეცნიერი ბერნარ უტიე. მან გამოავლინა არაბულიდან ქართულად ნათარგმნი მთელი კრებულები – ესაა აგიოგრაფიული და ჰომილეტური ხასიათის კრებული (Bedi Kartlisa, 1977, v.35) და ასკეტური კრებული, ე.წ. მამათა სწავლება (Bedi Kartlisa, 1973,v.31).

ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობანი სისტემატური კვლევის საგანია აკად. კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში და აკად.გ.წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. 1990 წ. ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელმა რუსუდან გვარამიამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობანი VIII-XI სს", სადაც განხი-

ლულია არაბულიდან ნათარგმნი მთელი რიგი ძეგლები „ლიმონარი“, „პანტელეიმონის წამება“, „ვასილი კაბა-დოკიელის მეორე ეპისტოლე გრიგოლ ნიძიანძელისადმი“, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელს ნანი წაქაძეს ეკუთვნის „ნისიმეს ცხოვრება“ (ნ.წაქაძე – „ნისიმეს ცხოვრების“ სირიული, არაბული და ქართული ვერსიები, თბილისი 1983 წ.). სახ. უნივერსიტეტის თანამშრომელმა მარიკა ჩაჩიბაიამ 1983 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქართულ-სირიული ლიტერატურული ურთიერთო-ბებიდან „მარტიროს საბაელი და მისი ნაშრომი“.

ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობების ამსახველი მნიშვნელოვანი ფაქტები მოყვანილი აქვს აკად. გ.წერეთელს ცნობილ სტატიაში: „სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავ-ლისათვის“. ავტორი ახასიათებს XII ს-ის ბასრელი პოეტის ჰარირის მაკამებს და მიმოიხილავს ოცდამეცამეტე მაკამას, რომელიც თბილისისადმი არის მიძღვნილი. მკვლევარი ყუ-რადღებას ამახვილებს ადგილებზე, რომელშიც „ყოველი ორი სიტყვა თითქმის იდენტურად ჟღერს (ქართული მაკამების მსგავსად) . . . გარეგნულად ჰარირის მაკამა უცნაურად მოგვაგონებს ჩვენს მეხოტბეებს. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩება მკითხველს, თითქოს ორივე ტექსტი, ქართული და არაბული ერთნაირად არის დაწერილი, ენობრივი განსხვავება კი იჩქმალება სიტყვების თამაშში (3.გვ.44). ბოლოს ავტორი იძლევა ბარკაყიდული მაკამის არაბულ ტექსტს ქართული ტრანსკრიფციით, სადაც შეკვეცილი ბასიტის ტრადიციული ტერფების ცვლილება განაპირობებს არაბული ტექსტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდენტურობას ქართულ ჩახრუხაულთან. აკად. გ.წერეთელი აღნიშნავს, რომ „იდენტურობა ჩახრუხაულთან ეჭვს გარეშეა და ამ მაგალითზე შეიძლება დავინახოთ, თუ რამდენად სასარგებლო შეიძლება იყოს ქართული და არაბული ლექსების ზომების შედარებითი შესწავლა როგორც ერთი, ისე მეორე ენის პოეტიკის საკითხებისათვის" (3,გვ.45). 1969 წელს დაიწყო და 1978 წელს დასრულდა არაბული ლიტერატურის ცნობილი ძეგლის „ათას ერთი ღამის" ქართული თარგმანის პუბლიკაცია, რომლის ავტორები არიან თსუ სემიტოლოგიის კათედრის თანამშრომლები პროფ. ნანა ფურცელაძე და დოც. თინა მარგველაშვილი. ქართულ თარგმანს საფუძვლად უდევს არაბული დედნის ეგვიპტური ვერსია, თუმცა გათვალისწინებულია აგრეთვე სხვა გამოცემებიც, უნდა აღინიშნოს, რომ ესაა ორიგინალიდან მომდინარე პირველი სრული ქართული ტექსტი, რომელსაც ახლავს რედაქტორის, აკად.გ.წერეთლის შესავალი წერილი. მკვლევარი წერს: „ათას ერთი ღამე" ევროპაში უკვე საშუალო საუკუნეებიდან არის ცნობილი. „ათას ერთი ღამის" ზოგიერთი არაკი შესულია სულხან-საბა ორბელიანის წიგნში „სიბრძნე სიცრუისა". (შდრ. მაგ., მწყემსისა და თოვლის არაკი)" (4, გვ. 12).

1984 წ. სირიის დედაქალაქ დამასკოში გამოქვეყნდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი". პოემის გამოცემა განახორციელა სირიაში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ ბატონმა ლევან საღარაძემ, თარგმანი ეკუთვნის სირიელ მთარგმნელს ნიზან ხალილს. წიგნის გამოსვლას მოჰყვა მრავალრიცხოვანი რეცენზიები სირია-ლიბანის ჟურნალ-გაზეთებში. 1984 წ. 9 დეკემბერს სირიის ცენტრალურ გაზეთ

„ალ-ბაასში“ გამოქვეყნდა მწერალ აბდულ ნაბი ჰიჯაზის სტატია: „შოთა რუსთაველი და მისი პოემა ვეფხისტყაოსანი“ არაბულად. კრიტიკოსი წერდა: „დიდი ხანია შემიპყრო სურვილმა გავცნობოდი „ვეფხისტყაოსანს“. ეს წიგნი მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი, მათ შორის ფრანგულად, ინგლისურად, რუსულად, გერმანულად, ესპანურად, იაპონურად. დღემდე არ არსებობდა მისი არაბული თარგმანი და აი, იგი ხელთა გვაქვს. თარგმანი განახორციელა სწავლულმა ნიზარ ხალილიმ, რომელმაც უდავოდ დიდი შრომა გასწია. მინდა დაბეჯითებით განვაცხადო, რომ აღნიშნული თარგმანით გამდიდრდება ლიტერატურით დაინტერესებული არაბი მკითხველის ბიბლიოთეკა, რომელსაც ელის შეხვედრა უაღრესად მნიშვნელოვან, ლიტერატურის კლასიკად ქცეულ ნაწარმოებთან“. გაზეთის ამავე ნომერში დაბეჭდილია შოთა რუსთაველის პორტრეტი და ვეფხისტყაოსნის მთარგმნელის, ბატონი ნიზარ ხალილის სტატია „ვეფხისტყაოსნის“ ვერსიფიკაციის საკითხებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე წლის ლიბანის ყოველკვირეულ ჟურნალში „ილა ალ-ამამ“ დაბეჭდილია მწერალ მიხეილ იდის რეცენზია, ხოლო ლიბანის ცენტრალური გაზეთის „ან-ნაჰარის“ 1985 წლის 18 იანვრის ნომერში – ლიბანელი კრიტიკოსის ვიდაჰ იუსიფ ალ-ჰილუს სტატია „ქართული პოემა და მისი არაბული თარგმანი“. სირიის გაზეთ „თიშრინში“, 1985 წ. 31 აგვისტოს ნომერში ვეცნობით ჰასან იუსიფის სტატიას „ვეფხისტყაოსანი“– სიბრძნისა და პოეზიის წყარო“.

„ვეფხისტყაოსნის“ არაბულ გამოცემას სირიაში მოჰყვა კრებული: „ხუთი ქართული მოთხრობა“ (ნ.დუმბაძე „რას

აკეთებს ბაზიერი ქალაქში“, ლეო ქიაჩელი „ალმასგირ კაბოლანი“, კ.ლორთქიფანიძე „ცაბუნია“, ოტია იოსელიანი „ჩქარი მატარებელი“, ნიკოლოზ ლორთქიფანიძე „ქალი შავ მოსასხამში“) და ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“, რჩეული ლექსები-საიუბილეო გამოცემა (მთარგმნელი ნიზარ ხალილი), 1987 წელი. ალეპოელმა სომეხმა კრიტიკოსმა თოროს თორონიანმა გამოსცა ნ.ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ და დაურთო შესავალი წერილი. თოროს თორონიანს პირადი ნაცნობობა აკავშირებდა კონსტანტინე გამსახურდიასთან. მისი მოგონებები გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა 1983 წელს. 1989 წელს სირიაში გამოვიდა თორონიანის წიგნი საქართველოს შესახებ, სადაც მწერალი ეხება ქართულ-არაბულ ლიტერატურულ ურთიერთობებსაც.

1989 წლის სექტემბერში, სირიულ-არაბულ ჟურნალში „მუნთადი“ გამოქვეყნდა ნიზარ ხალილის სტატია „ქართული ლექსი და მისი ზომები“, სადაც მიმოხილულია ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობები, 1990 წლის შემოდგომაზე, აკაკი წერეთლის საიუბილეო წელს, დამასკოში გამოიცა ნ.ხალილის თარგმნილი პოემა „გამზრდელი“ არაბულ ენაზე, რომელსაც ახლავს შესავალი სტატია. გამოცემა განახორციელა ლევან სალარაძის შვილმა ნიკოლოზ სა-ლარაძემ.

ამჟამად აკად. გ.წერეთლის სახელობის აღმოსავ-ლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასპირანტურის განყოფილებაზე სწავლობს ახალგაზრდა სირიელი მთარგმნელი ქალი ღადა ჯავიში, რომლის სამეცნიერო მოღვაწეობა დაკავშირებულია ქართულ-არაბულ ლიტერატურულ ურთიერთობებთან.

ამგვარად, ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობანი ბოლო წლებში ნაყოფიერად ვითარდება და ამის დადასტურებაა არა ერთი მნიშვნელოვანი პუბლიკაცია როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ.გვარამია, ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობანი VIII-X საუკუნეებში, ავტორეფერატი, თბ., 1990. წ.

2. ლ.მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ. 1980. წ.

3. გ.წერეთელი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის, თბ., 1969 წ.

4. გ.წერეთელი, ათას ერთი ღამის გამო, შესავალი წერილი, „ათას ერთი ღამე", I ტ., თბ.1969 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთველოლოგია

მ. ოძელი

«ვეფხისტყაოსნის» ინგლისურენოვანი თარგმანები: მათი ხასიათი და მთარგმნელთა მიზანდასახულობანი

„ვეფხისტყაოსნის“ გაცნობა ინგლისში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო და იგი უკავშირდება უილიამ მორფილის სახელს. მის წერილში (1,39–40) ვხვდებით პირველ ინგლისურ ცნობებს შოთა რუსთველსა და „ვეფხისტყაოსანზე“. ამასთანავე ავტორი ინფორმაციას აწვდიდა მკითხველებს, რომ პოემის გერმანული თარგმანი, შესრულებული არტურ ლაისტის მიერ, უახლოეს ხანებში უნდა გამოცემულიყო. ხოლო მოგვიანებით, 1894 წელს მარჯორი უორდროპი ქართული ზღაპრების ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობაში წერდა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში იგი დიდ დროს უთმობდა „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობას (VII-VIII). ამასთან დაკავშირებით ინგლისურ პრესაში გამოჩნდა გამოხმაურებანი, სადაც საუბარი იყო მომავალ თარგმანებზე. ინგლისელი მოღვაწენი მარჯორი უორდროპს უწონებდნენ განზრახვას და ემადლიერებოდნენ იმისათვის რომ მან პატივი დასდო ინგლისელ ხალხს და შეუდგა მე-12 საუკუნის პოპულარული ქართული ეპოსის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას. ასეთი მოლოდინის შემდეგ 1912 წელს გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“ უორდროპისეული თარგმანი (შემდეგ იგი

ხუთჯერ დაისტამბა – 1938 წელს მოსკოვში, 1939 წელს ნიუ-იორკში, 1966წელს ლონდონსა და თბილისში, 1977 წელს მოსკოვში). აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მარჯორი უორდროპის თარგმანი ორი თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი. უპირველესად მან ინგლისურენოვან სამყაროს გააცნო პოემა, ხოლო შემდეგ შუამავლის როლი ითამაშა მის სხვადასხვა ენაზე აჟღერების საქმეში. ჩვენი დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები, გარდა იმისა, რომ გადაღებულია ორიგინალის ენიდან, ძირითადად ინგლისური, რუსული და ნაწილობრივ ფრანგული თარგმანების მეშვეობით არის შესრულებული. ინგლისური, და კერძოდ, უორდროპისეული გამოცემით ისარგებლეს ჩინეთში, სადაც სამი სხვადასხვა თარგმანი შესრულდა, რომლებიც 1943, 1947 და 1984 წლებში დაიბეჭდა. ასევე შუამავლის ფუნქცია დაეკისრა უორდროპის თარგმანს პოემის იტალიურად ამეტყველებისას (დაიბეჭდა 1981 წ.). თუმცა იტალიელ მთარგმნელს ნაწილობრივ ს.წულაძის ფრანგული თარგმანიც მოუშველებია. უორდროპის თარგმანისაგან არის დავალებული პოემის ფინური თარგმანიც, რომელიც 1991 წელს გამოქვეყნდა. ამ უკანასკნელზე გვინდა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ, ვინაიდან იგი მრავალმხრივი ლიტერატურული ურთიერთობის შედეგს წარმოადგენს. 1966 წელს, რუსთაველის საიუბილეო წელს, ფინეთში, მთარგმნელთა საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე, ფინელი მთარგმნელი ოლავი ლინუსი შეხვდა ქართველ მთარგმნელს გივი გაჩეჩილაძეს, რომელმაც მას „ვეფხისტყაოსნის“ უორდროპისეული ინგლისური თარგმანი უსახსოვრა. მას შემდეგ, წლების განმავლობაში ფიქრობდა ოლავი ლინუსი პოემის ფინურად თარგმნას, ეძებდა რუსთველური მეტრის

შესატყვის ლექსთწყობას ფინურში. ჰელსინკის უნივერსიტეტის თანამშრომელმა ჰარი ჰალენმა ურჩია ლინუსს დაკავშირებოდა დევიდ ბარეტს, რომელიც იმხანად ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ეს რჩევა ნაყოფიერი გამოდგა. ბარეტს ქართული ენის ცოდნის გარკვეული მარაგი გააჩნია, კარგად იცნობს ანტიკური და შუასაუკუნეების ლიტერატურას საზოგადოდ, და, კერძოდ, „ვეფხისტყაოსანს“. იცის ფინური ენა. დევიდ ბარეტის მრავალმხრივი განათლების და ოლავი ლინუსთან მისი ხანგრძლივი თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა პოემის ფინური თარგმანი. როდესაც ლინუსმა თარგმანზე მუშაობა ფაქტობრივად დაასრულა, ბარეტის რჩევით მთარგმნელი შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს დაუკავშირდა და ქართველი მეცნიერებისაგან მიიღო საბოლოო კონსულტაციები. ფინური თარგმანის გამოქვეყნება კი ერთგვარი იმპულსი გახდა, იმისათვის, რომ ტურკუს უნივერსიტეტში ჩატარებულიყო რუსთველოლოგიური საერთაშორისო სიმპოზიუმი.

ამდენად, ფინელ, ინგლისელ და ქართველ მოღვაწეთა შემოქმედებითი კონტაქტების შედეგად შეიქმნა პოემის ახალი უცხოენოვანი თარგმანი, რომელიც ორჯერადი ტრანსფორმაციის მიუხედავად, სპეციალისტთა აზრით, მთარგმნელის პროფესიული ალღოსა და სამი ქვეყნის სწავლულთა კონსულტაციების წყალობით, მაღალმხატვრული ღირებულებისაა (3).

მარჯორი უორდროპის თარგმანს მოჰყვა 1968 წელს ვენერა ურუშაძის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ (შემდეგ იგი ორჯერ 1971 და 1979 წლებში დაიბეჭდა თბილისში).

1977 წელს კი პოემის ორი ახალი ინგლისური თარგმანი შესრულდა- ქეთრინ ვივიანისა და რობერტ სტივენსონის მიერ. ჩვენ არ შევუდგებით ამ თარგმანების განხილვას, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ა) ეს თარგმანები ინგლისური ნათარგმნი ლიტერატურის იმდენად მნიშვნელოვანი შენაძენია, რომ მათი ანალიზი დამოუკიდებელი, ცალკე კვლევის საგანია და იგი ბევრად სცილდება ჩვენი ნაშრომის მიზანს. ბ) „ვეფხისტყაოსნის“ ქართულ ტექსტთან ინგლისური თარგმანების შეჯერებისათვის აუცილებელია ქართული და ინგლისური ენების უზადო ცოდნა და პოემის ტექსტის აბსოლუტური სიზუსტით გაგება- გააზრება, რისი პრეტენზიაც ჩვენ არ გვაქვს. ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ მთარგმნელთა შენიშვნებზე, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რამ განაპირობა მათი არჩევანი და რა მიზანს ისახავდა თითოეული მათგანი, როდესაც იწყებდნენ თარგმანზე მუშაობას.

ქართული ზღაპრების ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობაში მარჯორი უორდროპი წერდა, რომ პირველი ინტერესი კავკასიისა და მისი ლამაზი და მამაცი ხალხის მიმართ აღუძრა ოლივერის წიგნმა „საქართველოს სამეფო“. მას შემდეგ იგი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების, განსაკუთრებით კი „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლას. გადაწყვეტილი მაქვს, წერდა მარჯორი, რაც შეიძლება მალე მივცე შესაძლებლობა ჩემს თანამემამულეებს, გაიზიარონ ის დიდი სიამოვნება, რაც მე მომანიჭა რუსთველის პოემამ (2,VII-VIII), ნინო უორდროპის მოგონებაში „მარჯორი და ოლივერი“ კარგად წარმოჩნდა მარჯორის დიდი პასუხისმგებლობა და სათუთი დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურად თარგმნისადმი. 1892 წლის 31

ოქტომბერს იგი სანკტ-პეტერბურგში წერდა ოლივერს: „გასულ კვირას 108 სტრიქონი ვთარგმნე „ვეფხისტყაოსნიდან“ და ვხედავ, რომ ერთი საათის, ან მაქსიმუმ საათნახევრის განმავლობაში 40 სტრიქონის თარგმნა შემიძლია, მაგრამ ვწუხვარ ზოგიერთი ადგილის ზერელედ თარგმნისათვის, რაც იდიომატური გამოთქმების არცოდნითაა გამოწვეული, თუმცა ვფიქრობ, რომ ვახერხებ ძირითადი აზრის პოვნას და როდესაც საფუძვლიანად გადავხედავ მთელ თარგმანს ხელმეორედ (რასაც მალე გავაკეთებ), შესაძლებელი იქნება უკეთესად გავიაზრო გაუგებარი ადგილები. მე უკვე 520 სტრიქონი ვთარგმნე. როდესაც 650 სტრიქონს გადავთარგმნი, ისევ თავიდან დავიწყებ“. მოგვიანებით, იმავე წლის 14 ნოემბერს, ოლივერისადმი მიწერილ წერილში იგი აკონკრეტებს თავის მიზანს. „მე გადმოვწერე 40 სტრიქონი, ის რაც დღეს უნდა გამოგიგზავნო. მაგრამ წერის დროს ვიგრძენი თარგმანში გაპარული უზუსტობანი. ინგლისური ტექსტი ძალიან უფერული და უშნოა, მაგრამ ვფიქრობ ამას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან მე უპირველესად აზრის სწორად გადმოცემას ვაძლევ უპირატესობას“ (4,36). ეს იყო ძირითადი პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობდა მარჯორი უორდროპი შოთა რუსთველის პოემის თარგმნისას. სწორედ ამ პრინციპის გამო შეასრულა მან ეს სამუშაო პროზაულად.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ გამოჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ ვენერა ურუშაძისეული პოეტური თარგმანი და იგი მარჯორი სკოტ უორდროპის ხსოვნას მიეძღვნა. ვ.ურუშაძის წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ უორდროპის პროზაულ თარგმანში ზედმიწევნით კარგად არის გადატანილი პოემის შინაარსი. ამიტომ მან გადაწყვიტა პოეტური თარგმანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესრულება, რაც შესაძლებლობას მისცემდა ინგლისელ მკითხველისათვის მიახლოებითი წარმოდგენა მაინც შეექმნა „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური სიმშვენიერის, მელოდიურობისა და მისი სულის შესახებ.მთარგმნელი პოემის ინგლისურ ენაზე შესაფერისი სალექსო საზომით გადატანის საკითხზეც მსჯელობს და გამოთქვამს აზრს, რომ ჰეგზამეტრი ერთგვარად უახლოვდება რუსთველურ შაირს. ვენერა ურუშაძე იქვე დასძენს, რომ შესაძლოა მის თარგმანს აკლდეს მეცნიერული სიზუსტე (5,7-8), ამდენად, ეს თარგმანი შინაარსობრივ მხარესთან ერთად ძირითადად პოემის კეთილხმოვნების, მისი ლექსთწყობისა და პოეტიკის წარმოჩენას ისახავდა მიზნად.

„ვეფხისტყაოსნის“ ქეთრინ ვივიანისეულ თარგმანს სათაურის ქვეშ აქვს წარწერა - თავისუფალი პროზაული თარგმანი. მთარგმნელი შესავალში მოიხსენიებს მარჯორი უორდროპის თარგმანს და მას ზუსტ მეცნიერულ ტექსტს უწოდებს, ხოლო ვენერა ურუშაძისეულს- შესანიშნავ პოეტურ თარგმანს, რომელიც არ არის მოკლებული არც მეცნიერულ სიზუსტეს და ქართულ და ინგლისურ ენათა ღრმა ცოდნით არის შესრულებული. მაგრამ მისი აღქმა, ქეთრინ ვივიანის აზრით, საზოგადოების მხოლოდ განსაზღვრულ წრეს ძალუძს, ძირითადად კი ინტელექტუალებს, მეცნიერებსა და ლიტერატურათმცოდნე სტუდენტებს. ვივიანი თვლის, რომ პოემის ახალი, მისეული თარგმანის ფორმა შერჩეულია იმ პრინციპით, რომ შორეული წარსული თანამედროვე მკითხველის მხედველობის არეში მოაქციოს და ისეთივე აქტუალური გახადოს დღევანდელი ადამიანისათვის, როგორც რუსთველის ეპოქაში იყო (6,31-32).

ეროვნული

ქეთრინ ვივიანი აღნიშნავდა, რომ ვინაიდან დროთა ვითარებაში სიტყვები იცვლიან თავის მნიშვნელობას, ამიტომ ყოველ თაობას ესაჭიროება ლიტერატურული ძეგლების ახალი ვერსია. „თარგმანი მეტი რამაა, ვინემ რაიმე ტექსტის ასლი. ისაა მწერლის ჭეშმარიტი ოცნების ხელახალი აღდგენა. ამნაირად შეიძლება წარსულის დიდი ნაშრომების დაკავშირება ახლანდელ ხანასთან და ძველი არაკების ხელახალი გაცოცხლება თანამედროვე ფორმაში“(7).

აზროვნების განვითარების თანამედროვე დონე თანამედროვე მიდგომას მოითხოვს კლასიკური ლიტერატურისადმი. ამ თანამედროვე პრინციპების დამკვიდრება გარკვეულ წინააღმდეგობებთანაც არის დაკავშირებული, მაგრამ მოდერნისტული აზროვნება მაინც სძლევს ხოლმე მოძველებულს. კლასიკური თხზულების გათანამედროვეობასთან დაკავშირებით გვინდა გავიხსენოთ გამოჩენილი ჰოლივუდელი რეჟისორის რუბენ მამულიანის აზრი. შექსპირის „ჰამლეტის“ მისეული ვერსიის წინასიტყვაობაში იგი წერს: „ვგრძნობ, რომ კაცობრიობის მიერ შემუშავებულ შეხედულებათა მიმართ სათანადო პატივისცემის ელემენტარული გრძნობა მავალებს ავხსნა ის მიზეზები, რამაც ეს ჩამადენინა და იმედი მაქვს დარწმუნდებით, რომ მამოძრავებდა არა უტიფარი განზრახვა, არამედ ულრმესი პატივისცემა და აღტაცება „ჰამლეტისა“ და მისი ავტორისადმი .„ჰამლეტის“ ტექსტის გადამუშავებისას ჩემს მიზანს შეადგენდა არა შექსპირის შეცვლა–მარტო სულელი თუ მოიწადინებს ამას–არამედ ის, რომ იგი მთლიანად გასაგები გამეხადა დღევანდელი მკითხველისა თუ მაყურებლისათვის“. ამასთან დაკავშირებით ნიკო ყიასაშვილი აკეთებს კომენტარს–„და მართლაც შექსპირის თანამედროვე ადაპტა-

ციის ეს ერთადერთი ცდა არავის მიუჩნევია ანგლოსაქსური კულტურის, ეროვნული ღირსების შებღალვად“ (8,305–306).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს პირად არქივში ინახება ქეთრინ ვივიენის ხელნაწერი, სადაც იგი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის ზოგიერთ პრობლემას ეხება. მასში მთარგმნელი აზუსტებს, რომ მისი სურვილი იყო პოემის იმგვარად გადათარგმნა, რომ გარდასული საუკუნეების სუნთქვა მარტივად გასაგები გაეხადა თანამედროვე მკითხველთა ფართო წრისათვის. ქეთრინ ვივიენი წერს, რომ მუშაობის პირველ ეტაპზე, როდესაც იგი მხოლოდ მონახაზს აკეთებდა, ცდილობდა შეძლებისდაგვარად დაეახლოვებინა თარგმანი ორიგინალთან. ამ დროს მას ყურადღება არ მიუქცევია სტილისათვის. შემდეგ დადგა არჩევანი ლექსსა და პროზას შორის. პროლოგისა და ეპილოგის ლექსად თარგმნის შემდეგ მთარგმნელმა გააანალიზა, რომ ამ საქმეს დიდი პოეტური გენია სჭირდებოდა, როგორც პოემაშია „ბრძენი ხამს მისად მაქებრად“, დასძენს ვივიენი, ვინაიდან პოეზიისა და პროზის ენები განსხვავდებიან ერთიმეორისაგან და სხვადასხვა კატეგორიის მკითხველთათვის არის განკუთვნილი, მან გვერდზე გადასდო პოეზია და შეუდგა პოემის თარგმნას როგორც ტარიელის ამბის თხრობას, რასაც გარკვეულად შეეწირა პოეტური ენისათვის დამახასიათებელი ხატოვნება, ამ წერილის შემოკლებული ვარიანტი დაიბეჭდა 1986 წელს (9).

ასეთ მიზნებს ისახავდნენ შოთა რუსთაველის პოემის მთარგმნელი ქალები, რომლებმაც ფასდაუდებელი შრომა გასწიეს, მისაწვდომი გახადეს „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურენოვანი სამყაროსათვის და ამით უკვდავყვეს თავიანთი სახელებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობერტ სტივენსონმა სპეციალურ გამოკვლევაში ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის საკითხზე (10, 93-96;97-103), სადაც მან თავიდანვე შენიშნა, რომ იმ ინგლისელი მკითხველისათვის, რომელიც იცნობს „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალს, მისი პროზით თარგმნის აზრი დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს. ამიტომ მან ვინც პოემის პროზაულად თარგმნას მოჰკიდებს ხელს, ისეთი გზით უნდა იაროს, რომელიც მისი ნამუშევრის ერთგვარი გამართლება იქნება. ნაწარმოებში ძალზე არსებითია ლექსთწყობა — შაირი. პროზაული თარგმანი კი უგულებელყოფს მარცვალთა ამ რთული სტრუქტურის თავისებურებას. ინგლისურ ენაში თექვსმეტმარცვლოვანი ტაეპის უქონლობის გამო მთარგმნელი ცდილობს სხვადასხვა მეტრული ეფექტის გამოყენებას და არაერთი მაგალითის მოტანის შემდეგ დასძენს, რომ ასეთი ლექსი სრულიად არ ეკადრება დიდებული ქართველი პოეტის გენიას. რობერტ სტივენსონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პროზაულმა თარგმანმა შეიძლება მსხვერპლად შეიწიროს ფორმის მთელი სიმშვენიერე, სამაგიეროდ შეუძლია შეინარჩუნოს შაირების იდენტურობა, მაგრამ ამასთანავე, შინაარსი იმდენად უნდა დაიცვას, რომ ამით გაამართლოს თავისი განზრახვა.

ასე რომ, თუ მარჯორი უორდროპი ტექსტის შინაარსობრივ ერთგულებას აყენებდა წინა პლანზე, ვენერა ურუშაძე ყურადღებას ამახვილებდა პოემის მელოდიასა და პოეტურ სინატიფეზე. ქეთრინ ვივიანს სურდა თანამედროვე მკითხველისათვის ადვილად გასაგები ტექსტის მიწოდება, რობერტ სტივენსონი კი შინაარსის გადატანის სიზუსტესთან ერთად, ცდილობდა რუსთველის სამყარო თანამედროვე

მკითხველის ესთეტიკური გემოვნებისათვის დაახლოვებინა. ამ თარგმანების ანალიზის დროს მკვლევარმა ცხადია, უპირველესად ეს მიზანდასახულობანი უნდა მიიღოს მხედველობაში.

„ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანების შეფასება არაერთმა სწავლულმა მოგვცა. ჩვენ ვიზიარებთ ლ.თაქთაქიშვილ-ურუშაძის მოსაზრებას, რომ მარჯორი უორდროპისეული თარგმანის რიგი ადგილი გარკვეულ მეცნიერულ ინტერესს შეიცავს და გათვალისწინებული უნდა იყოს რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების პროცესში (11), ამასთანავე გავიხსენებთ, რომ უორდროპის თარგმანის გამოცემიდან თითქმის 80 წლის შემდეგ ფინელმა მთარგმნელმა ოლავი ლინუსმა პოემის ზუსტი ინტერპრეტაციისათვის სწორედ უორდროპისეული ტექსტით ისარგებლა. პოემის ოთხივე ინგლისური თარგმანი განხილული აქვთ ნ.ანდრონიკაშვილსა (12) და ზ. გამსახურდიას (13;137-149; 157-167;14). მიუხედავად იმისა, რომ მკვლევრები ედავებიან მარჯორი უორდროპს ზოგიერთი რუსთველური ცნების გაგებაში, მაინც დიდად აფასებენ მისეულ თარგმანს.

ნ.ანდრონიკაშვილიც და ზ.გამსახურდიაც საყვედურობენ ვენერა ურუშაძეს პოემისათვის დამახასიათებელი ლაკონურობის დაკარგვის გამო. ზ.გამსახურდია მიუთითებს, რომ ურუშაძისეული თარგმანი სიტყვამრავალი და გაწელილია, გადატვირთულია მთარგმნელისეული ჩართული ტერმინებითა და გამოთქმებით. ლაკონურად მხოლოდ აფორიზმებია თარგმნილი.

ნ.ანდრონიკაშვილსა და ზ.გამსახურდიას შენიშვნები აქვთ რობერტ სტივენსონის მიერ ცალკეულ სტროფთა თარგმანის გამო. მაგრამ ნ.ანდრონიკაშვილი სტროფების ანალიზიდან

გამომდინარე მიიჩნევს, რომ სტივენსონი ითვალისწინებს ქართველ მეცნიერთა უახლეს რუსთველოლოგიურ გამოკვლევებს და მისი თარგმანი სწორედ ამ თვალსაზრისით არის საინტერესო. გარკვეული შენიშვნების მიუხედავად, ავტორს მიაჩნია, რომ რობერტ სტივენსონისეული თარგმანი ნატიფად მოწოდებულ პოეტურ პროზას წარმოადგენს; რობერტ სტივენსონმა ძირითადად შეინარჩუნა რუსთველური მეტრისა და რითმის დაქტილური და ტროქეული ხასიათი; ინვერსიულ წყობაში იგრძნობა ორიგინალის აზრობრივი სიღრმე და მხატვრული ძალა. მან რუსთველისეული პოეტური ფიგურები გასაგები გახადა ინგლისელი მკითხველისათვის. მკვლევრები რობერტ სტივენსონს უსაყვედურებენ ტექსტის გავრცობას. ზ.გამსახურდია მიუთითებს, რომ სტივენსონმა ვერ შეინარჩუნა რუსთველისეული მეტაფორის სპეციფიკა. მეტაფორის დაკონკრეტება რუსთველისათვის უცხოა. მთელი სილამაზე მათ განუმარტავობაშია, ზოგჯერ ამოუცნობლობაშიც. რობერტ სტივენსონი კი აკონკრეტებს, შიფრავს მათ, დასძენს ავტორი. გამსახურდია ასევე ეკამათება მთარგმნელს ზოგიერთ ტერმინთა არასწორად გაგებასა და თარგმნაზე.

რ.სტივენსონმა უპასუხა ზ.გამსახურდიას კრიტიკას (15,177-186), სადაც უპირველესად აღნიშნულია, რომ მის რეცენზიებში, რომელთა სათაურის მიხედვითაც თარგმანზე უნდა იყოს მსჯელობა, ცოტა რამაა ნათქვამი თარგმანზე და რომ ავტორის მიზანს წარმოადგენდა რუსთველის თეოლოგიურ და ფილოსოფიურ შეხედულებათა შესახებ მისეული თვალსაზრისის ამგვარი ფორმით გადმოცემა.რაც შეეხება თარგმანში პოემის სტილისათვის დამახასიათებელი ლაკონურობის უგულებელყოფას, რობერტ სტივენსონი თვლის, რომ პოეტურ

ეფექტს ხშირად აზრის სხარტად გამოთქმა განაპირობებს და პოეზიის მთარგმნელისათვის ძნელ პრობლემას წარმოადგენს დედნის ისეთი გამოთქმების თარგმნა, რომლებიც რამდენიმე მარცვლისგან შედგება და ამასთანავე უაღრესად შთამბეჭდავია. თარგმანის შესრულებისას ჩვენ მუდამ ვგრძნობდით დედნის მხატვრული სახეების გავრცობის აუცილებლობას, რათა გამოთქმა გასაგები ყოფილიყო მკითხველისათვის - განმარტავს სტივენსონი. იგი პუნქტებად პასუხობს გამსახურდიას შენიშვნებს და დასძენს, რომ ინგლისური ენის გამსახურდიასეული ცოდნის დონე სრულიად არ შეესაბამება იმ ამოცანას, რაც მას მიზნად დაუსახავს.

ნ.ანდრონიკაშვილსა და ზ.გამსახურდიას ასევე განხილული აქვთ ქეთრინ ვივიანის თარგმანი. ნ.ანდრონიკაშვილი ანგარიშს უწევს მთარგმნელის ჩანაფიქრს და წერს,რომ „ვეფხისტყაოსნის“ სტილის უნივერსალობის მასშტაბი ვივიანისეულ თარგმანში სხვა სიბრტყეზეა გადატანილი, რაც რუსთველის გათანამედროვეობაში მდგომარეობს. ასეთ ინტერპრეტაციას კი, ალბათ ბუნებრივად აღიქვამს თანამედროვე მკითხველი.

ზ.გამსახურდია უწონებს ქეთრინ ვივიანს პროლოგის პოეტურ თარგმანს, ხოლო ძირითადი ნაწილის თავისუფალი სტილით თარგმნას იგი არასერიოზულ მიდგომად, სტილის გაუბრალოებად, გაღარიბებად თვლის. ზ.გამსახურდია კვლავ ვერ ეგუება მეტაფორების გაშიფვრას. იგი ამ თარგმანს უკიდურესად გამარტივებულ ადაპტაციად მიიჩნევს.

1982 წელს, ვიდრე ზ.გამსახურდია წიგნად დაბეჭდავდა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანების კრიტიკას,მან ხელნაწერი გააცნო ქეთრინ ვივიანს, რაზედაც მთარგმნელმა

მოკლე წერილობითი პასუხი გასცა (16). მასში აღნიშნულია, რომ კრიტიკის ავტორი ზოგჯერ ვერ ერკვევა ინგლისური ენის ნიუანსებში. გარდა ამისა, ვივიანი მიუთითებს, რომ გამსახურდიას შენიშვნები გაცილებით უფრო ფასეული იქნებოდა მას რომ მხედველობაში მიეღო მთარგმნელის თვალსაზრისი, და მის მიერ დასახული მიზანი – ფართო საზოგადოებისათვის მისაწვდომი თარგმანის შექმნა, რაც სათანადოდ აქვს ჩამოყალიბებული წიგნის შესავალში. ქეთრინ ვივიანი ასევე მიმართავს ზ.გამსახურდიას, წაიკითხოს მისი ნაშრომი „თარგმანის ოსტატობა", რომელიც პასუხს გასცემს მის კრიტიკას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსნის" ინგლისურ ენაზე მთარგმნელებმა თავიანთი პრინციპებიდან გამომდინარე, მაღალი დონის თარგმანები შეასრულეს, თითოეულ მათგანს თავისი ფუნქცია აკისრია, ორივე ერთად კი ავსებს ერთმანეთს.

„ვეფხისტყაოსნის" ინგლისური გამოცემის ღირსებას გარკვეულწილად განსაზღვრავს მათი შესავალი წერილები თუ წინასიტყვაობები, რომლებსაც მკითხველი შეჰყავთ რუსთველის ეპოქაში. მარჯორი უორდროპის თარგმანს ახლავს ოლივერ უორდროპის წინასიტყვაობა (17,III-XV) მასში საუბარია პოემის სხვადასხვა თარგმანზე და იმ ობიექტურ სირთულეებზე, რომლებსაც მთარგმნელები ბუნებრივად აწყდებიან. ოლივერ უორდროპი ქართულ აზროვნებასთან, ფსიქოლოგიურ წყობასთან დაკავშირებით აყალიბებს სავსებით ზუსტ მოსაზრებას, რომ მართალია, ქართველები მახლობელი აზიის გონებრივი მოძრაობის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, მაგრამ ათასწლოვანი ბრძოლა ამტკიცებდა, რომ მათი ბუნებრივი მისწრაფება მიმართული იყო დასავლეთ ევრო–

პისაკენ, საითაც ქართველებს ასე გულმოდგინებით ჰქონდათ მიპყრობილი დაჟინებული მზერა. შემდეგ იგი საჭიროდ მიიჩნევს მკითხველებს მცირედი ინფორმაცია მაინც მიაწოდოს შოთა რუსთველის ბიოგრაფიული მომენტებიდან, თუმცა თავიდანვე აღნიშნავს, რომ მის შესახებ უფრო ნაკლები ისტორიული ცნობებია დარჩენილი, ვიდრე შექსპირზე.

შემდეგ ავტორი ეხება პოემის ხელნაწერებს. იგი გადმოგვცემს XIX საუკუნის დასასრულს ქართულ ლიტერატურულ წრეებში გავრცელებულ აზრს „ვეფხისტყაოსნის" ძველი ხელნაწერის შესახებ. კერძოდ, პლატონ იოსელიანის ცნობაზე დაყრდნობით, ოლივერ უორდროპი ასახელებს პოემის ტყავზე შესრულებულ უთარიღო ხელნაწერს, რომელიც გრიგოლ წერეთელს ეკუთვნოდა. ასახელებს აგრეთვე ორ ძველ 1443 და 1678 წლების ხელნაწერებს, რომლებიც, მისი აზრით, ხელთ ჰქონდა ვახტანგ მეექვსეს პოემის პირველი გამოცემის დროს. მკვლევარი ვარაუდობს, რომ ეს სამივე ხელნაწერი დაკარგულია, ხოლო შემონახულ ხელნაწერთაგან ყველაზე ადრინდელები XVII საუკუნით თარიღდება.ოლივერ უორდროპის ამ ცნობებიდან დღევანდელ რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში მნიშვნელობას ინარჩუნებს მითითება პოემის ძველ, ტყავზე შესრულებულ ხელნაწერზე. რაც შეეხება ვახტანგ მეექვსის მიერ ძველი ხელნაწერების გამოყენებას, ეს თვალსაზრისი მცდარადაა მიჩნეული. როგორც ჩანს, „ვეფხისტყაოსნის" პირველი გამოცემა ეყრდნობოდა პოემის XVII საუკუნის ხელნაწერებს (18,313-325).

ოლივერ უორდროპი მსჯელობს ასევე ქართული ენის კეთილხმოვნებასა და პოემის ლექსთწყობაზე. „ვეფხისტყაოსნის" პრობლემატიკიდან იგი გამოყოფს მეგობრობის,

მიჯნურობის, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებს და საერთოკულტურულ კონტექსტში განიხილავს მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენერა ურუშაძისეულ თარგმანს მთარგმნელის წინასიტყვაობის გარდა ახლავს დევიდ მარშალ ლენგის შესავალი წერილი (19,9–12).

დევიდ ლენგი ისტორიულ ექსკურსს აკეთებს თამარ მეფის დროინდელ საქართველოში. პოემის ასეთი დიდი პოპულარობის ძირითად მიზეზად ლენგს მიაჩნია ის, რომ მასში საოცარი ოსტატობითაა შეზავებული ბუნებრივი, ადამიანური სწრაფვანი და მოვლენათა ღრმა, ფილოსოფიური გააზრება. ავტორი განსაკუთრებით გამოყოფს შოთა რუსთველის იდეოლოგიისა და რელიგიური რწმენის საკითხს და მას ძნელად ამოსახსნელ პრობლემათა რიგს მიაკუთვნებს.

ქეთრინ ვივიანის თარგმანს უძღვის დევიდ ლენგის წინათქმა (20,9) და ალექსანდრე ბარამიძის მოკლე შენიშვნა (20,10). მათში ის აზრია გატარებული, რომ მთარგმნელმა ოსტატურად მიაღწია თავის მიზანს და ეს თარგმანი არა მარტო ინგლისური რუსთველიანას შენაძენია, არამედ ხალხთა მჭიდრო კულტურული ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს. თვითონ ქ.ვივიანის შესავალ წერილში (20,11–31), საუბარია თანამედროვე საქართველოს რესპუბლიკაზე, საქართველოს სამეფოზე თამარის მეფობის ხანაში, პოემის ავტორის ვინაობაზე და თვით პოემაზე, ყურადღებაა გამახვილებული რელიგიურ ფონზე, პოემის ხელნაწერებსა და თანამედროვე გამოცემებზე. ვივიანი სპეციალურად ჩერდება მეტრსა და რითმაზე პოემაში, პოემის ენაზე, რუსთველის დროის ევროპულ და აღმოსავლურ ლიტერატურაზე.

რობერტ სტივენსონი თავის თარგმანებზე დართულ შესავალ წერილში (21,XIII-XXIX), ცდილობს „ვეფხის-ტყაოსანი“ გაიაზროს შუასაუკუნეების დასავლურ და აღმოსავლურ ლიტერატურულ კონტექსტში. იგი ეხება პოემის ლექსთწყობის საკითხებს. თარგმანს ახლავს ორი დამატება (21;201-202;203-204) შესრულებული რობერტ სტივენსონის მიერ და ალექსანდრე ბარამიძის ბოლოთქმა (22,221-240). პირველ დამატებაში ავტორი ყურადღებას ამახვილებს პლანეტურ სიმბოლიკაზე პოემაში და წერს, რომ თუ კლასიკური ტრადიციით მზე ჩვეულებრივ აღნიშნავს მამაკაცს, მთვარე და ვარსკვლავები კი ქალს, რუსთველი ამ მხატვრულ სახეებს განურჩევლად იყენებს და ძალიან ხშირად უთითებს ქალებისა და კაცების გამაოგნებელ სილამაზეზე. ხოლო მეორე დამატებაში რობერტ სტივენსონი ეხება პოემის პერსონაჟთა კეთილშობილ ტირილსა და ექსპანსიურ ქცევას და რუსთველურ მოთქმა-ტირილს სიმამაცისა და თავდადების განცდათა რანგში აყენებს.

მოკლედ ასეთია „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ გამოცემათა აღწერილობა, მთარგმნელთა მიზანდასახულობანი და ამ თარგმანთა ირგვლივ გამართული პოლემიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. M o r f i l l W., The Language and Literature of Georgia, "The Acade-my ", 1888, N 846

2. W a r d r o p M. S., Preface, Georgian Folk Tales. Translated by M.Ward-rop, London, 1894.

3. ო ძ ე ლ ი მ., რუსთველოლოგიური სიმპოზიუმი ფინეთში, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი", 1991, N 17.

4. უ ო რ დ რ ო პ ი ნ., მარჯორი და ოლივერი, „მაცნე", ელს, 1992, N 2, გვ. 31-48.

5. U r u s h a d z e V., Translator's Preface – Shota Rustaveli, The Knight in the Panther's skin.Translated from Georgian by Venera Urushadze, Tbilisi,1971.

6. V i v i a n K., Translator's Note, Shota Rustaveli, The Knight in Panther Skin, A Free Translation in Prose by Katharine Vivian, London, 1977.

7. ვ ი ვ ი ა ნ ი ქ., თარგმნის ოსტატობა, მოხსენება წაკითხული 1982 წლის ოქტომბერში თბილისის უნივერსიტეტში ათონის სამეცნიერო-საგანმანათლებლო კერის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე.

8. ყ ი ა ს ა შ ვ ი ლ ი ნ., სკილასა და ქარიბდას შორის, თბ., 1992.

9. ვ ი ვ ი ა ნ ი ქ. ვეფხისტყაოსნის თარგმნის ზოგიერთი პრობლემა, თსუ შრომები, ლიტერატურათმცოდნეობა, N 261, თბ.,1986.

10. S t e v e n s o n R., On Translating Rustaveli, Bedi Kartlisa, 1960, N34-35; 1961 N36-37.

11. თ ა ქ თ ა ქ ი შ ვ ი ლ ი - უ რ უ შ ა ძ ე ლ,. მარჯორი უორდროპი, თბ., 1965.

12. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი ნ., ვეფხისტყაოსნის ინგლისური თარგმანები, თბ., 1984.

13. გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა ზ. „ვეფხისტყაოსნის" სტივენსონისეული თარგმანი, მაცნე, ელს, 1982, N 2,4.

14. გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა ზ., „ვეფხისტყაოსანი" ინგლისურ ენაზე, თბ., 1984.

15. ს ტ ი ვ ე ნ ს ო ნ ი რ., პასუხი „ვეფხისტყაოსნის" ინგლისური თარგმანის კრიტიკაზე, მაცნე, ელს,1984, N2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. V i v i a n K., The answer to Z. Gamsakhurdia, 1983. ხელნაწერის ასლი ინახება ჩვენს პირად არქივში.
17. W a r d r o p O., Preface – The Man in the Panther's Skin, A Romantic Epic by Shot'ha Rust'haveli, a close Rendering from the Georgian. Attempted by Marjory Scot t Wardrop, London,1912.
18. ც ა ი შ ვ ი ლ ი ს. ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ.1, თბ., 1970.
19. L a n g D., Introduction. - Shota Rustaveli, The Knight in the Panther's Skin. Translated from Georgian by Venera Urushadze, Tbilisi, 1968.
20. S h o t a R u s t a v e l i, The Knight in the Panther Skin.A free translation in prose by Katharine Vivian, London, 1977. Foreword by David Lang. Preparatory Note A. G. Baramidze. Introduction by Katharine Vivian.
21. S t e v e n s o n R. Introduction. Appendix A., Personal Beauty and Planetary Imagery. Appendix B, "Generous" weeping and the demonstrative gesture.- Shota Rustaveli, The Lord of the Panther = Skin. A Georgian Romance of Chivalry, translated by R.H.Stevenson,New-York,1977.
22. B a r a m i d z e A., The Lord of the Panther = skin, A Georgian Perspective. – Shota Rustaveli, The Lord of Chivalry. Translated by R.H.Stevenson, New-York, 1977.

ს. გოგიბერიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვეფხისტყაოსნის" მეტაფორები ინგლისურ თარგმანებში

„ვეფხისტყაოსნის" მხატვრული იერსახის შენარჩუნება უდიდეს ამოცანას სახავს მთარგმნელის წინაშე. პოემის ღირსება მხოლოდ იმ სიბრძნით არ განისაზღვრება, რომელიც უხვად არის მასში ჩაქსოვილი. „ვეფხისტყაოსანი" აზრისა და მხატვრული ქსოვილის გენიალური მთლიანობაა. ამ მთლიანობის რღვევისას ქრება ის მომხიბვლელობაც, რაც არაჩვეულებრივ ემოციურ განწყობას ბადებს მკითხველში.

პროლოგში ჩამოყალიბებულია პოემის ძირითადი მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპები. მათი დაცვა აუცილებელია უცხო ენაზე პოემის მხატვრული ინდივიდუალობის შენარჩუნებისათვის. თვით ორიგინალში ეს პრინციპები დიდი სიზუსტით არის დაცული და სიბრძნე „ენის, გულის და ხელოვნების" საშუალებით არის წარმოჩენილი.

ენის კატეგორიაში ერთიანდება შემდეგი პრინციპები: „გრძელი სიტყვის მოკლედ თქმა", რაც გულისხმობს აზრის ლაკონურად გამოხატვას, „ნათლად თქმა" და „ენის მუსიკობა". მაგრამ რუსთაველის აზრით, მხოლოდ ენა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სიბრძნე სათანადოდ იქნეს ასახული და გამოხატული. საჭიროა კიდევ ორი მადლი: „გული და ხელოვნება".

„ხელოვნება" ან სხვაგვარად რომ ვთქვათ „სიტყვა ნატიფი"... უმაღლესი ოსტატობაა. ის მკითხველში იწვევს განუმეორებელ ესთეტიკურ განცდას. მისი მიღწევა მთარგმ-

ნელისათვის სერიოზულ სირთულეს წარმოადგენს. რადგან ერთია რეალობა რუსთაველის ნატიფი ლექსისა და [illegible] რეალობა თარგმნის პროცესთან დაკავშირებული ბუნებრივი დანაკარგებისა. შეუძლებელია მთარგმნელმა ისე გადაიტანოს „ვეფხისტყაოსანი" ამა თუ იმ ენაზე, რომ ის ორიგინალს გაუტოლდეს. „ვეფხისტყაოსანში" ფორმა და შინაარსი გამთლიანებულია. მხოლოდ შინაარსის შენარჩუნება პოეტური ფორმის გარეშე საოცრად აღარიბებს თარგმანს.

ეს სირთულე „ვეფხისტყაოსნის" მთარგმნელებსაც კარგად აქვთ დანახული და გააზრებული. ქეთრინ ვივიენი ქართული ენის შესახებ მსჯელობისას აღნიშნავს: „The Language different so it is in structure from any language of the west,there is a likeness to these in thought and expression. Every language has its special aptitudes, its native genius of expression and Georgian with its phonetic richness and elegance of constructions lends itself most naturally to the art of combining sound and sense, the art of poetry to which the Georgian people are so naturally inclined"[1]. სავსებით მართებულია ვივიანის შენიშვნა, რომ ქართულ ენაში ბუნებრივად ერწყმის ერთმანეთს გრძნობა და ხმა. იმისათვის, რომ ეს ჰარმონია თარგმანშიც

---

[1] Shota Rustaveli - "The Knight in Panther Skin". London, The Folio Society, 1977. p.28-29. მიუხედავად იმისა, რომ ეს ენა აგრერიგად განსხვავდება ნებისმიერი დასავლური ენისაგან, არსებობს მათთან მსგავსება აზრისა და გამოხატვის თვალსაზრისით. ყოველ ენას აქვს თავისებური მიდრეკილება, გამოხატვის ეროვნული სული. და ქართული თავისი ფონეტიკური სიმდიდრითა და კონსტრუქციების ელეგანტურობით ყველაზე უფრო ბუნებრივად არის განწყობილი ხმისა და გრძნობის შერწყმის ხელოვნებისაკენ, პოეზიის ხელოვნებისაკენ, რომლისადმიც ასე ბუნებრივი მიდრეკილება აქვს ქართველ ხალხს.

იქნეს მიღწეული აუცილებელია მთარგმნელმა გაითვალისწინოს „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპები, შეძლებისდაგვარად შეუხამოს ისინი სათარგმნ ენას და „ვეფხისტყაოსნის“ ხმითა და გრძნობით დატვირთული თარგმანი შექმნას.

რუსთაველის „სიტყვა ნატიფის“ ერთ-ერთი კატეგორიაა სიმბოლოები, რომლებსაც პოეტი ხშირად მეტაფორის სახით გადმოსცემს. მეტაფორული გამონათქვამების უცვლელად გადატანა ინგლისურ ენაზე განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს მთარგმნელთათვის. როგორც რობერტ სტივენსონი აღნიშნავს, თარგმნის პროცესში უყოყმანო, პირდაპირმა მიდგომამ შეიძლება გროტესკულ შედეგებამდე მიგვიყვანოს. მაგალითისათვის ის განიხილავს შემდეგი ფრაზის ინგლისურ თარგმანს:

„ ზენაარი გამოგვიღე, მით გვაბია ყელსა წნელი“ (415). ეს არის რამაზ მეფის სიტყვები, რომლითაც ის მიმართავს ტარიელს. ამ სიტყვების გადატანითი მნიშვნელობა შეიძლება გავიგოთ, როგორც ფიცის, დადებით დაბმა. ვ. ნოზაძის განმარტებით ეს სიტყვები ნიშნავს: მოწყალება მოიღე, შეგვიბრალე, დამორჩილების ნიშნად ყელს წნელი გვაბიაო“[2].

ინგლისური პირდაპირი თარგმანის ქართული ვარიანტი ასეთია: „დაგვადე ფიცი და შენ გექნება ჩვენი ყელი წნელით დაბმული“. რა თქმა უნდა ინგლისელი მკითხველისათვის ეს ფრაზა სრულიად გაუგებარია. ის ვერ აღიქმება ვერც ფიცის დადებით დაბმად და ვერც დამორჩილების ნიშნად ყელს წნელის

---

[2] ვ. ნ ო ზ ა ძ ე – „ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება“, სანტიაგო დე ჩილე, 1958 გვ.205

შებმად. ამიტომაც, სტივენსონი შენიშნავს, რომ იგი ცდილობს რა გასაგები გახადოს მეტაფორა მკითხველისათვის, ხშირად აკონკრეტებს მის პირდაპირ მნიშვნელობასაც. ეს განსაკუთრებით ეხება იმ მეტაფორრებს, რომლებშიც სიმბოლოებია გამოყენებული. იგი წერს: "on every page considerations of intelligibility and usage require the turning of "his rose" into "the rose on his cheek", or some similar expansion: "the sun" is regularly rendered as "the sun-fair hero/maiden", "the moon" and "the star" receive the same treatment"[3].

სტივენსონისა და ვივიენის მსჯელობიდან გამომდინარე ჩანს, რომ მთარგმნელები ეძებენ სირთულეთა გადაჭრის ორიგინალურ ხერხებს და ზოგჯერ წარმატებითაც ახორციელებენ.

მაგალითისათვის განვიხილოთ ზოგიერთი სტროფი, რომლებიც შეიცავენ სიმბოლოებად ქცეულ მეტაფორებს.

83-ე სტროფი:

„ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდუღრად ანატირსა“.

ვარდი ამ სტროფში ღაწვების სიმბოლოა, რაც სწორად აქვთ გაგებული უორდროპს, ურუშაძეს და სტივენსონს. რაც შეეხება ქეთრინ ვივიანს, იგი ტოვებს ამ სიმბოლოს, არ თარგმნის მას. დანარჩენი სამი მთარგმნელი საჭიროდ თვლის

---

[3] Shota Rustaveli – "The Lord of the Panther-Skin". Albany. 1977. ყოველ გვერდზე გაგებისა და გამოყენების მსჯელობა მოითხოვს „მისი ვარდის“ გადაკეთებას „მისი ღაწვის ვარდად“ ან რაიმე მსგავს გავრცობას. „მზე რეგულარულად იქცევა „მზესავით მშვენიერ გმირად- ქალიშვილად“, „მთვარესაც“ და „ვარსკვლავებსაც“ ასევე ვექცევით.

„ვარდის“ მნიშვნელობის დაკონკრეტებას. უორდროპის თარგმანის ქართული ვარიანტი ასეთია:

„მისი ლაწვის ვარდი გაყინულიყო ცრემლებში, რომლებიც მოედინებოდნენ მისი მწუხარებით დალახვრული გულიდან“.

სტივენსონის თარგმანი:

„მისი ლაწვის ვარდზე მისი გულის ცრემლიდან გადმომდინარე გაყინული ცრემლები იყო“.

როგორც ვხედავთ, ორივე მთარგმნელი ინარჩუნებს ვარდის სახეს, მაგრამ ისინი შეუძლებლად მიიჩნევენ ამ მეტაფორის გადატანას განმარტების გარეშე. გადააქვთ რა თარგმანში „ვარდი“, იქვე მიუთითებენ, რომ მისი გადატანითი მნიშვნელობა არის „ლაწვი“. უნდა აღინიშნოს, რომ სხვაგან რუსთაველი თვითონ ხსნის ამ სიმბოლოს:

„ვითა შვილი გარდამკოცნა, ლაწვი ვარდი დამიღება“ (474).

ვენერა ურუშაძე თარგმანში თავს არიდებს „ვარდის“ ხსენებას და მეტაფორის ნაცვლად ამ სიმბოლოს მიერ აღძრულ ასოციაციას გვთავაზობს:

„მაგრამ მისი ლაწვების ნორჩი ყვავილი მოყინულიყო მწუხარებით აღსავსე გულიდან მომდინარე ბრწყინვალე ცრემლებით“.

განსხვავებით ამ მთარგმნელთაგან ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ ხედავს ქეთრინ ვივიენი „ვარდის“ სიმბოლოს აღნიშნულ სტროფში, რადგან იგი გადმოგვცემს მხოლოდ ფაქტს: „tears were streaming from his eyes“.- მის თვალთაგან მოედინებოდა ცრემლები.

ესთეტიკური განცდის თვალსაზრისით, რასაკვირველია, უფრო საინტერესოა უორდროპის, ურუშაძის და სტივენსონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარიანტები. თუმცა აქაც არსებობს გარკვეული ტრადიცია. ურუშაძის თარგმანი, მიუხედავად იმისა, რომ უგულებელყოფს „ვარდის" სიმბოლოს და ხნის მეტაფორას, არ არის მოკლებული ემოციურობას. მისი „the youthful bloom of his cheeks" იწვევს იმ ვარდისფერის შეგრძნებას, რომელიც ვარდის მსგავსად შეიძლება აღძრას ახლად აყვავებულმა ხემ.

განხილული სტროფის არცერთ თარგმანში არ არის „ვარდი" გადატანილი სრული მეტაფორის სახით. თუმცა თარგმანებში ხშირია საპირისპირო შემთხვევებიც. ამ მხრივ განსაკუთრებით დახელოვნებულია მარჯორი უორდროპი. საილუსტრაციოდ განვიხილოთ 178-ე სტროფი.

„ვარდი მის მზისა გაყრილი უფრო და უფრო ჭკნებოდა". უორდროპი:- „ The rose separated from its sun faded more and more"(179) - მის მზეს მოშორებული ვარდი უფრო და უფრო ჭკნებოდა.

ურუშაძე:- „ Deprived if the warm sun's radiance the rose leaves wilted and faded". (178) - თბილი მზის ბრწყინვალებას მოშორებული ვარდის ფოთლები სუსტდებოდნენ და ჭკნებოდნენ.

ორივე მთარგმნელი ინარჩუნებს მეტაფორას და ინგლისურ კონტექსტში ორგანულად ჯდება ვარდი, როგორც მიჯნურობის სიმბოლო. და თუმცა ვარდი აქ მამაკაცის სიმბოლოა, მთარგმნელთა აზრით, ეს არავითარ უხერხულობას და გაუგებრობას არ იწვევს.

განსხვავებულ მიდგომას იჩენენ თანამედროვე მთარგმნელები. სტივენსონი ინარჩუნებს ვარდისა და მზის სიმბოლოებს, მაგრამ როგორც ის შესავალში აღნიშნავს

„Complete capitulation to the „what we would say in English"argument, on the other hand will often lose the whole essence: the assertion that a lady's lashes were killing a young man cannot be turned into the languange of yesterday's newspaper without suffering a certain loss of identity. The endeavour has been to evolve a manner that can reflect something of both poem's fast-moving, terse vitality and its highly formalized expression. Wardour Stret English has no friends today, but Rustaveli's quatrains would cry out against any attempt to render them into specifically twentieth- century idiom. Balances must be struck".[1]

ამდენად ის საჭიროდ არ თვლის რუსთველის მეტაფორული სტილის დაცვას და მეტაფორას შედარებით ცვლის.

„ Like a rose denied the sun his cheek became ever more faded".- მზისგან უარყოფილი ვარდის მსგავსად მისი ლაწვი უფრო და უფრო ჭკნებოდა.

---

[1] S h o t a R u s t a v e l i – "The Lord of the Panther-Skin". Albany, 1977, p.XXIII. „სრული კაპიტულაცია არგუმენტისადმი „რას იტყოდნენ ინგლისურად", მეორეს მხრივ, ხშირად კარგავს მთელ არსს: ფორმულირება იმისა, რომ ქალბატონის წამწამები კლავდნენ ახალგაზრდა კაცს ვერ გადაკეთდება გუშინდელი გაზეთის ენაზე ინდივიდუალობის გარკვეული დანაკარგების გარეშე. მისწრაფება იყო იქეთკენ, რომ განვითარებულიყო მანერა, რომელიც ასახავდა, ერთის მხრივ პოემის სწრაფ დინამიკას, გამომსახველ ცხოველმყოფელობას და, მეორეს მხრივ, მის დიდად ფორმალიზებულ გამოხატვას. უორდორ-სტრიტის ინგლისურს დღეს არ ჰყავს თანამზრახველები, მაგრამ რუსთველის კატრენები კატეგორიულად შეეწინაალმდეგებიან ნებისმიერ ცდას მათი გადაკეთებისა სპეციფიურ მეოცე საუკუნის იდიომად. ბალანსი გამანადგურებელი იქნება.

ქეთრინ ვივიანი ამ ხატოვანი ფრაზის ნაცვლად სრულიად პროზაულ გამონათქვამს გვთავაზობს: „Yet he knew that if only she were near these pains would count for nothing“– მან იცოდა რომ ის, რომ მის მახლობლად ყოფილიყო, ეს ტკივილები არაფრად არ ჩაითვლებოდა.

აქ აბსოლუტურად არ იგრძნობა ავტორის ენა, დარღვეულია მხატვრული ქსოვილი. მთარგმნელი უგულებელყოფს რუსთველის ესთეტიკურ პრინციპს, რომლის მიხედვითაც ფრაზა უნდა იყოს დიდი ხელოვნებით ჩამოქნილი და ჩამონაკვთული.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ვივიენის თარგმანში თითქმის სრულიად დაკარგულია „ვარდი“, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი უმშვენიერესი მეტაფორული სახე.

ვივიენის ასეთი მიდგომა თარგმანისადმი გამომდინარეობს მისი პოზიციიდან, რომლის მიხედვითაც სათარგმნი ტექსტი უნდა მოერგოს თანამედროვე მკითხველის ესთეტიკურ სამყაროს.

თავისი თარგმანის შესავალში ვივიენი აღნიშნავს:

„ The form of this new version of his poem is chosen with a view to bringing that distant past into focus for a modern reader, with something of the sense of actuality that the story would have had in its own time. This, therefore, is only inpart a literal translation: apart from the Prologue and certain celebrated passages such as Avtandil's testament, the Georgian text has in places abridged or adapted in order to produce lucid and readable prose. Poetic images and metaphors as for example a

ეროვნული
ბიბლიოთეკა

light snow falling on the rose's a metaphor often used for tears / are only occasionally translated verbatim".[2]

„ვეფხისტყაოსნის“ მეტაფორულ გამონათქვამებში ხში-რად არის გამოყენებული პატიოსანი თვლები. მათ პოეტი უმთავრესად ფერების ფუნქციას ანიჭებს. ამ ფერთა თამაშით ის ქმნის გმირთა არაჩვეულებრივ პორტრეტებს. მას არ სჭირდება ეპითეტების სიუხვე ამა თუ იმ პერსონაჟის ხილვისას. პატი-ოსანი თვლების ელვარება და სილამაზე არის ის ხერხი, რომლითაც სარგებლობს რუსთაველი-მხატვარი.

ინგლისური ენა ძნელად ჰგუობს ამ ტიპის მეტაფორებს, თუმცა არის გამონაკლისებიც. ამის მაგალითია „ბროლის წვიმა“ 85-ე სტროფში. მისი მეტაფორული ასახვა შეძლეს მარჯორი უორდროპმა და თვით რობერტ სტივენსონმა, თუმცა იგი ჩვეულებრივ, მეტაფორის კომენტარის ფორმას ანიჭებს უპირატესობას. ეს აიხსნება არა ბროლისათვის დამა-

---

[2] S h o t a R u s t a v e l i, "The Knight in Panther Skin". London, the Folio Society,1977,p.31. მისი პოემის ამ ახალი ვერსიის ფორმა შერჩეულია იმ თვალსაზრისით, რომ ის შორეული წარსული მოქცეულ იქნეს ფოკუსში თანამედროვე მკითხველისათვის, იმ აქტუალობის გარკვეული განცდით, რომელიც უნდა ჰქონოდა პოემას თავის დროს. ეს მხოლოდ ნაწილობრივ არის ზუსტი თარგმანი. გარდა პროლოგისა და გარკვეული ცნობილი პასაჟებისა, ისეთის, როგორიცაა ავთანდილის ანდერძი, ქართული ტექსტი ზოგან შემოკლებული და ადაპტირებულია გასაგები და საკითხავი პროზის შექმნის მიზნით. პოეტური წარმოდგენები და მეტაფორები, როგორც მაგ.:„ნათელი თოვლი, რომელიც ეცემა ვარდზე“ - ხშირად ხმარებული მეტაფორა ცრემლების მნიშვნელობით - მხოლოდ ხანდახან თუ არის სიტყვასიტყვით ნათარგმნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხასიათებელი რაიმე ნიუანსით, არამედ თვითონ „წვიმის“ კონოტაციით. წვიმა ინგლისელის ცნობიერებაშიც ადვილად უკავშირდება ცრემლს და ამდენად მთარგმნელის ამოცანაც მარტივდება.

უორდროპი კიდევ უფრო დიდი ოსტატობით თარგმნის შემდეგ ტაეპს: „ ბროლისა ველსა სტურფობდეს გიშრისა მუნ საყენია“. (190)– The crystal field with jetty growth was beautiful – ($190_{\text{ა}}$) - ბროლის ველი გიშრის ნაზარდთან ერთად მშვენიერი იყო.

ამგვარი მიდგომით მარჯორი უორდროპი განსხვავდება სხვა მთარგმნელთაგან, რომელთა მიზანს, პირველ რიგში, წარმოადგენს არა პოეტური სახეების შენარჩუნება, არამედ მკითხველისათვის გასაგები ფორმით მათი მიწოდება.

მეტაფორული სახეების ასახვა ინგლისურ ენაზე გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამ სირთულეთა დაძლევას მთარგმნელები სხვადასხვანაირად ცდილობენ: მარჯორი უორდროპი და მისი გავლენით ვენერა ურუშაძეც მეტნაკლები სიზუსტით ინარჩუნებენ „ვეფხისტყაოსნის“ მთელ რიგ მეტაფორებს და ცდილობენ მიაღებინონ ისინი ინგლისელ მკითხველს. მთარგმნელები მკითხველს გადაუშლიან პოემის ესთეტიკურ სამყაროს იმ სახით, როგორც ეს არის სინამდვილეში და სიმბოლოების გახსნის ამოცანას მასვე უტოვებენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარად მიწოდებული რიგი მეტაფორების აღქმა განსაკუთრებულ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს ინგლისურენოვანი მკითხველისათვის.

სტივენსონისა და ვივიანის თარგმანი სხვა მიზანს ისახავს. ისინი ცდილობენ რუსთველის სამყარო დაუახლოვონ

მკითხველის ესთეტიკურ გემოვნებას. ეს არის ამ ორი მთარგმნელის საერთო ამოცანა. რაც შეეხება მისი გადატანის გზებს, აქ სტივენსონი და ვივიანი სხვადასხვა გზებს ირჩევენ. სტივენსონის მეთოდი არის „ვეფხისტყაოსნის“ სიმბოლოთა კომენტირება. იგი განმარტავს თითქმის ყველა მეტაფორას, ყველა სიმბოლოს და ამგვარად აადვილებს მკითხველის ამოცანას. ვივიანი არ არის ასეთი თანმიმდევრული მეტაფორათა ინგლისურ ენაზე გადატანისას. ზოგჯერ ის ინარჩუნებს მეტაფორებს, მაგრამ უფრო ხშირად განმარტავს ან უგულებელყოფს მათ. როგორც თავად აღნიშნავს ძირითადად იგი ახდენს ტექსტის ადაპტაციას ანუ მორგებას ინგლისურენოვანი მკითხველის ცნობიერებაზე „გასაგები და საკითხავი პროზის შექმნის მიზნით“.

მ. ბეშიტაძე

ვეფხისტყაოსნის რუსი მკვლევარნი

შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანმა რუსი მკვლევრების ყურადღება XIX საუკუნის დასაწყისიდან მიიპყრო.

პირველი რუსი მკვლევარი, რომელმაც ვეფხისტყაოსნის მეცნიერული შესწავლის პრეტენზია გამოავლინა, იყო კიევის მეტროპოლიტი ევგენი ბოლხოვიტინოვი (1767-1837წწ). მანვე თარგმნა რუსულ ენაზე პოემის რამდენიმე სტროფი. ამდენად, სამეცნიერო ლიტერატურაში იგი ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე პირველ მთარგმნელადაა მიჩნეული. რუსთველოლოგიური საკითხები მას განხილული აქვს ნაშრომში „Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии“(1); აქვეა მოთავსებული ავტორის მიერ თარგმნილი ვეფხისტყაოსნის პროლოგის პირველი სტროფი.

პირველ რუს რუსთველოლოგს საგანგებო გამოკვლევა უძღვნა გურამ შარაძემ (2), რომელსაც ერთვის ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომის ტექსტი.

ნაშრომში ე. ბოლხოვიტინოვი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი თამარის მეფობის ხანაშია შექმნილი. ავტორი ამ ეპოქის პოეზიის მონაპოვრად მიიჩნევს ვეფხისტყაოსანსა და „თამარიანს“, რომელთა ავტორებიც მეფესთან დაახლოებული ფეოდალები იყვნენ: „Обе сочинены ближними ея боярами, первая Руставели, а вторая Чахрухадзем“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(2,86). შემდგომი რუსთველოლოგიური გამოკვლევები ამგვარი განცხადების საფუძველს უთუოდ იძლევა.

ე.ბოლხოვიტინოვი „ვეფხისტყაოსანს“ ინდოეთის ისტორიიდან აღებულ რომანული შინაარსის პოემად მიიჩნევს. გ. შარაძე შენიშნავს, რომ ავტორი რომანულს სატრფიალო-სამიჯნუროს მნიშვნელობით ხმარობს (2,67).

ე.ბოლხოვიტინოვი რუსთველის პოემას მოქმედების განვითარებით არიოსტოს პოემას როლანდზე, ხოლო ხატების, იდეებისა და გრძნობათა წარმოჩენის ორიგ0ინალობით ოსიანის შემოქმედებას ამსგავსებს (2,86).

პირველად ე.ბოლხოვიტინოვი გვაწვდის ცნობას „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის განადგურების შესახებ, მაგრამ არ მიუთითებს ამის ჩამდენზე. აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის აზრით, მას, როგორც მიტროპოლიტს, მოერიდა დაესახელებინა ეკლესიის საჭეთმპყრობელი.

ე. ბოლხოვიტინოვი ნაშრომის VII თავში „О грузинском стихотворстве и музыке“ განიხილავს ქართული ლექსის ვერსიფიკაციის საკითხს. ავტორი ქართული ლექსთწყობის ცხრა სახეობას მიმოიხილავს. იგი 0აღნიშნავს: „Древних родов Грузинских стихов употребительнейших считается девять, восемь светских и один церковный, называемый Ямбик“ (2,88)

მკვლევარი ქართული ლექსის ყველაზე ძველ და ფართოდგავრცელებულ სახეობად შაირს მიიჩნევს. აი, რას წერს იგი: „Первый род, самый и упот0ребительнейший, называется Шаири. Он состоит из четве-

ростиший, имеющих на конце каждого стиха одинокую рифму. Метр его есть следующий: ◡◡ - ◡◡ - ◡◡◡◡ - ◡◡ - ◡◡" (2,90).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ე.ბოლხოვიტინოვის ნათქვამის საილუსტრაციოდ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტროფი მოყავს ჯერ ქართულად რუსული ტრანსკრიფციით და შემდეგ მისი პწკარედი. სწორედ მას ეკუთვნის პოემის სათაურისა და აღნიშნული სტროფის პირველი რუსულენოვანი თარგმანი. ე. ბოლხოვიტინოვს „ვეფხისტყაოსნის“ სათაური სწორად არა აქვს თარგმნილი, კერძოდ, „Вепхисткаосани, т.е. Барсова кожа“. გ. შარაძე თავის გამოკვლევაში მიუთითებს, რომ კიევის მიტროპოლიტის არქივში მიკვლეულია პოემის კიდევ ერთი სტროფის – „ვის ხატად ღვთისად გიტყვიან ...“ თარგმანი (2,73-74).

„ვეფხისტყაოსანი“ მოხსენიებულია რუსი მეცნიერის იაკობ ორლოვის ნაშრომში „რიურიკთა სახლის რუს ხელმწიფეთა სულისკვეთება, რუსთა ჭეშმარიტი სურათი და სხვა დანარჩენ ევროპელ ხალხთა ისტორია, პოლიტიკა და საზოგადოდ განათლება ძველი რომის იმპერიის დაცემიდან ვესტფალის ზავამდე“, რომელიც 1818 წელსაა დასტამბული. ი. ორლოვი მხოლოდ შენიშნავს, რომ თამარის მეფობის დროს შექმნილი პოემები „თამარიადა“ და „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენენ ქართული მწერლობის მწვერვალს, რომ მათზე უკეთესი თხზულებანი არ შექმნილა ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში, და რომ ეს ნაწარმოებები სამუდამოდ დარჩება ამ ხალხში სანიმუშოდ, როგორც ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“. ი.ორლოვი არ ასახელებს პოემათა ავტორებს, მხოლოდ აღნიშნავს, რომ ისინი უცხოელ მწერალთა მონური

მიმბაძველები არ არიან, რასაც მათ დიდ დამსახურებად მიიჩნევს (3).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულ თემატიკას დიდი ადგილი უჭირავს რუსი მწერლის ალექსანდრე შიშკოვის შემოქმედებაში. ეს ფაქტი უთუოდ განაპირობა იმ გარემოებამ, რომ 1818 წელს იგი თავისუფლად აზროვნებისათვის გადმოასახლეს საქართველოში, სადაც მან ოთხი წელი დაჰყო.

თავის თხზულებაში „ქეთევანი ანუ საქართველო 1812 წელს" (4) ალ. შიშკოვი თამარის ეპოქის მოკლედ მიმოხილვისას შენიშნავს, რომ დიდ მეფეს ხოტბა შეასხეს მგოსნებმა; იქვე სქოლიოში კი მიუთითებს ჩახრუხაძემ და რუსთაველმაო. ასევე სქოლიოში აღნიშნავს, რომ ჩახრუხაძე „თამარიანის" ავტორია, ხოლო რუსთაველი „ვეფხისტყაოსნისა". (4).

1845 წლის ჟურნალ „Иллюстрация"-ში (N 6-7) იბეჭდება რუსი მწერლის იპოლიტე ბარტდინსკის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის" 142 სტროფის რუსულენოვანი თარგმანი, რაშიც მონაწილეობა მიუღია დავით ჩუბინაშვილს.

1845 წელს გაზეთ „ Кавказ"-ის 19 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა რუსი ჟურნალისტის ი.ევლახოვის მიერ შესრულებული რუსთველის პოემის საკმაოდ სუსტი თარგმანი, რომელსაც მკაცრად გამოეხმაურა დ. ჩუბინაშვილი.

რუსმა მწერალმა და მოგზაურმა ანდრეი მურავიოვმა 1830 წელს ახლო აღმოსავლეთში აღწერა ქართული სამონასტრო კერები, ასევე რუსულად თარგმნა ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლის" ის მონაკვეთი, რომელშიც გადმოცემულია ცნობები რუსთველის შესახებ (5). 1848 წელს გამოქვეყნდა ანდრეი მურავიოვის წიგნი „ Грузия и Армения" (6), რომლის

ქვეთავში „თამარის ციხე“ ავტორი თამარისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებად ასახელებს „თამარიადას“ და „ვეფხისტყაოსანს“, რუსთველს კი თამარის კარის პოეტად მოიხსენიებს. გადმოცემის მიხედვით, შენიშნავს ა. მურავიოვი, რუსთველი თხზავდა პატრონის სიყვარულით შთაგონებული. მწერალი გასცნობია ი. ბარტდინსკის მიერ შესრულებულ პოემის პირველი თავის თარგმანს, რასაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. ა. მურავიოვი რუსთველის პოემას პოეზიის პირველქმნილი მგზნებარებით აღსავსედ მიიჩნევს.

პოემის პირველი თავის მიხედვით და გადმოცემებზე დაყრდნობით ა. მურავიოვი ასკვნის, რომ რუსთველმა მოქმედების ასპარეზი არაბეთში გადაიტანა, ვინაიდან ვერ გაბედა სამეფო პირთა პირდაპირი მინიშნება და ისინი მის მიერ გამოგონილი ქვეყნის მბრძანებელთა სახით წარმოადგინა. როსტევანი გიორგი მეფის პოეტური ხატია, ხოლო თინათინი – თამარის.

რუსი ჟურნალისტი და ლიტერატორი ნიკოლოზ ბოჩაროვი ნაშრომში „ქართული ლიტერატურა და მისი წარმომადგენლები VIII საუკუნემდე“ (7) თამარის მეფობის ხანის განსაკუთრებით სახელგანთქმულ მწერლებად ასახელებს პროზაიკოსებს – მოსე ხონელსა და სარგის თმოგველს, პოეტებს ჩახრუხაძესა და შოთა რუსთველს. ავტორი რუსთველს თავისი ეპოქის საუკეთესო პოეტად, ხოლო მის პოემას ქართული ლიტერატურის კლასიკურ ნაწარმოებთა შორის გამორჩეულ ქმნილებად მოიხსენიებს. პლატონ იოსელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ცნობებზე დაყრდნობით ა. ბოჩაროვი ზედწოდება რუსთველის წარმოშობას ბოსტანქალაქ რუსთავთან აკავშირებს. იქვე აცხადებს, რომ

რუსთველმა განათლება ათენში მიიღო, ქართულისა და ბერძნულის გარდა ფლობდა აღმოსავლურ ენებს – სპარსულს და არაბულს; იყო თამარის მეჭურჭლეთუხუცესი. მეფის გარდაცვალების შემდეგ ბერად აღიკვეცა და სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა იერუსალიმში, ქართველთა ჯვრის მონასტერში. VIII საუკუნეში მიტროპოლიტმა ტიმოთემ მოიხილა მისი საფლავი. ა ბოჩაროვი ასევე მიუთითებს ავტორის მიერ „ვეფხისტყაოსნის" პროლოგში მოწოდებულ ცნობაზე პოემის სპარსული წარმომავლობის შესახებ და იქვე დასძენს, სინამდვილეში ორიგინალური ნაწარმოებიაო. მისი აზრით, რუსთველმა პოემას „ვეფხისტყაოსანი" იმიტომ უწოდა, რომ ამით თავისი ქმნილებისათვის სპარსული იერი მიენიჭებინა. ძველი სპარსელები ხოსროს მეფობამდე ვეფხის ტყავით იმოსებოდნენ. ა. ბოჩაროვი მკითხველს აცნობს აგრეთვე პოემის პროლოგში წამოჭრილ საკითხთა წყებას. მისთვის ასევე ცნობილია „ვეფხისტყაოსნის" ვახტანგისეული გამოცემის არსებობა და ის ფაქტიც, რომ ამ გამოცემას ერთვოდა კომენტარები. ამასთანავე ნ. ბოჩაროვი მიუთითებს, რომ პოემის ნაწყვეტი რუსულ ენაზე თარგმნა ი. ბარტდინსკიმ დ. ჩუბინაშვილთან ერთად და რომ აღმოსავლური მეტყველების სირთულის გამო თარგმანი არადამაკმაყოფილებელია და ვერ გადმოსცემს პოემის პოეტურ სილამაზეს. ნ. ბოჩაროვი აქვე შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის პწკარედული თარგმანი ჯერ არ არსებობს. ნაშრომი 1872 წლით თარიღდება.

1885 წელს გამოდის რუსი მწერლისა და ჟურნალისტის, ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე მთარგმნელის ევგენი სტალინსკის წიგნი „შოთა რუსთაველი – ქართველი სახალხო პოეტი" (8). ნაშრომის ავტორი უპირველესად საუბრობს პოემის

პირველი ბეჭდური გამოცემის შესახებ. იგი „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემის ზუსტ თარიღს არ ასახელებს. მხოლოდ აღნიშნავს, რომ 1909 წელს დაარსდა პირველი სტამბა თბილისში, სადაც დაიბეჭდა რუსთველის პოემა, რომელიც მანამდე ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. ე. სტალინსკის აზრით, აქედან დაიწყო პოემის პოპულარობის ზრდა და სასულიერო პირთა მიერ მისი დევნა. უნდა აღინიშნოს, რომ ბეჭდურ გამოცემამდეც არანაკლებ პოპულარული იყო „ვეფხისტყაოსანი“ საქართველოში. ე. სტალინსკი მიუთითებს იმ ფაქტზეც, რომ პოემის პირველ ბეჭდურ გამოცემაზე ვახტანგის მიერ დართული კომენტარები არის „ვეფხისტყაოსანში“ გად-მოცემული ამბის რელიგიურ – სიმბოლური შინაარსით გააზრების მცდელობა.

ე. სტალინსკი აღნიშნავს, რომ რუსთველმა განათლება ათენის სკოლაში მიიღო, მაგრამ ამ ფაქტის დამადასტურებელ არც რაიმე არგუმენტს აყენებს და არც წყაროზე მიუთითებს. სავარაუდოა, რომ იგი ნ. ბოჩაროვის ცნობას იმეორებს, თუმცა არც ამ უკანასკნელს წამოუყენებია თავისი განცხადების დამადასტურებელი რაიმე არგუმენტი.

ე. სტალინსკი „ვეფხისტყაოსანს“ ქალებისადმი მიძღვნილ სიყვარულის, სიკეთისა და სილამაზის ჰიმნად, მის ავტორს კი ქრისტიანული ცივილიზაციის ერთ-ერთ პირველ დამნერგ-ველთაგან და ქალთა ემანსიპაციისათვის მებრძოლად მიიჩნევს. მისი აზრით, ვინაიდან ოქროს ხანის წარმოშობა საქართ-ველოში თამარის სახელს უკავშირდება, ქალთა ემანსიპაციის საკითხი იქცა იმ ნიადაგად, რომელზედაც ერთმანეთს შეხვდნენ მეფე თამარი და დიდი მგოსანი, რის საფუძველზეც შეიქმნა „ვეფხისტყაოსანი“.

ე. სტალინსკის აზრით, პოემაში თამარის პროტოტიპია ნესტან-დარეჯანი, ხოლო დავით სოსლანის – ტარიელი. ნათქვამის დასადასტურებლად ე. სტალინსკი ავლებს სათანადო პარალელებს.

რუსულ სინამდვილეში პირველად დიდი მეცნიერი ანდრეი ვესელოვსკი თავის გამოკვლევაში ზოგად პრობლემებზე მსჯელობისას მოიხმობს მაგალითს „ვეფხისტყაოსნიდან“. ა. ვესელოვსკი ნაშრომის „ფსიქოლოგიური პარალელიზმი და მისი ფორმების ასახვა პოეტურ სტილში“ იმ მონაკვეთში, სადაც სიმბოლოს მეტაფორაში გადასვლის პრობლემაზე მსჯელობს და კონკრეტულად ვარდის მეტაფორაზე ამახვილებს ყურადღებას, აღნიშნავს: შოთა რუსთველის პოემაში ავთანდილი მიიჩქარის ვარდთან (თინათინთან) პაემანზე, იგი ტირის მის გამო: ბროლსა (თვალებს) სეტყვს და ვარდსა აზრობს; დამჭკნარი ვარდი ეკლებს შორის მოქცეული რომ ოხრავს, ტარიელია; აღმოსავლური მისალმება ასეთ გადატანაზეა დაფუძნებული (9). ზემოდასახელებულ ფორმულას ა. ვესელოვსკი სხვა ნიმუშთა მოხმობის პარალელურად ხანგრძლივი სტილისტური განვითარების შედეგად მიღებულ მეტაფორად მიიჩნევს (10).

1917 წელს მოსკოვში გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ არასრულ ბალმონტისეულ თარგმანს (11) ახლავს წინასიტყვაობა, რომელშიც მთარგმნელი მკითხველს აცნობს, თუ რა ადგილი განეკუთვნება პოემას ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. კ. ბალმონტი რუსთველის ცხოვრებასაც აღწერს. ამ შემთხვევაში იგი ძირითადად „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ გამოცემაზე დართულ ოლივერ უორდროპის წინასიტყვაობას ეყრდნობა, ხოლო ეს უკანასკნელი კი ალ. ცაგარელის ნაშრო-

მის საფუძველზეა შექმნილი. (როგორც ცნობილია, კ. ბალმონტი მარჯორი და ოლივერ უორდროპების საშუალებით გაეცნო „ვეფხისტყაოსანს“). მკვლევართათვის უთუოდ საინტერესოა კონსტანტინე ბალმონტის, ერთის მხრივ, დიდი პოეტის თვალით დანახული და მეორეს მხრივ, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელის აზრი რუსთველის პოემაზე.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კ. ბალმონტი მიუთითებს მთარგმნელთა და მეცნიერთა მიერ შესრულებულ რუსთველის პოემის სათაურის არაიდენტურ თარგმანზე. მან მკითხველს „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგნაირი თარგმანი შესთავაზა – „Носящий барсову шкуру“.

ნაშრომის მონაკვეთში „დიდი იტალიელები და რუსთველი“ კ. ბალმონტი აღნიშნავს იმ მსგავსების შესახებ, რაც მიჯნურისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების თვალსაზრისით გააჩნიათ დანტეს, პეტრარკას, მიქელანჯელოსა და რუსთველს.

ზემოაღნიშნული ნაშრომის იმ მონაკვეთში, რომელიც დასათაურებულია „რუსთველის პოემა“, კ. ბალმონტი ჰომეროსის, დანტეს, შექსპირის, კალდერონისა და სერვანტესის მსგავსად რუსთველს იმ შემოქმედად მიიჩნევს, რომელმაც შეძლო განესახიერებინა მთელი ერის სულიერი საუნჯე, ვეფხისტყაოსანს კი – სიყვარულის საუკეთესო პოემად, რომელიც კი ოდესმე შექმნილა ევროპაში. კ. ბალმონტის აზრით, ერთადერთი თხზულება, რომელსაც შეიძლება შეუდარდეს რუსთველის პოემა, არის ბრეტონული მოთხრობა ტრისტანსა და იზოლდაზე. ავტორი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ეს ორი ნაწარმოები სრულიად დამოუკიდებლად იქმნებოდა და აღნიშნავს: „სულიერი დამაბულობა, ჭეშმარიტ

სიყვარულთან შეხება და სხვა იშნები მხატვრული ასახვისა ქმნიან ამ ორი ნაწარმოების უცნაურ ნათესაობას" (10,278). ნათქვამის საილუსტრაციოდ მას სათანადო მაგალითები მოჰყავს, კერძოდ, ბრეტონულ მოთხრობაში აღწერილი ეპიზოდი, თუ როგორ ასწავლა მეაბჯრე გორველანმა შვიდი წლის ტრისტანს შუბის, ფარის და მშვილდ-ისრის ხმარება, შთააგონა ვერაგობისა და ტყუილის სიძულვილი, მიცემული სიტყვის ასრულება, ასოცირდება ამხედრებულ ვეფხისტყაოსან რაინდთან, რომელიც ასე იხსენებს თავის სიჭაბუკეს:

„მამასავე ხელთა მიმცეს, რა შევიქმენ ამა ზომსა;
ვბურთობდი და ვნადირობდი, ვით კატასა ვჰხოცდი
ლომსა".

და რომელსაც სიხარულს გვრიდა სროლა და ასპარეზობა. ბრეტონულ თხზულებაში აღწერილ ეპიზოდს, თუ როგორ მიაქანებს ზღვა უბედურობისკენ ვერაგ ხომალდებს, კ. ბალმონტი ავთანდილის მეკობრეებთან ბრძოლას ამსგავსებს. ასევე ფარული მიზნების განსახორციელებლად ტრისტანიცა და ავთანდილიც ვაჭრის სახეს იღებენ.

როდესაც ტრისტანი და იზოლდა მხეცთა შორის ცხოვრობდნენ ტყეში, მხოლოდ ნანადირევს შეექცეოდნენ და სინანულით იგონებდნენ მარილისა და პურის გემოს. „იმ სუფრაზე, რომელიც ჩვეულებრივ იშლებოდა გამოქვაბულში, სადაც ტანჯვას იყოფდნენ ტარიელი და ასმათი, რუსთველის სტროფი გვაუწყებს:

„წვადი შეიწვეს, შეიქმნა პურობა მსგავსი ჟამისა,
მუნ უპურობა პურობა, არ სიდიადე ჭამისა". (12,279).

ასევე არასოდეს სცდებოდა მიზანს ტრისტანისა და ავთანდილის მშვილდები. იზოლდამ სიზმარში ნახა, თუ როგორ

იბრძოდა ორი ლომი მის დასაპატრონებლად, ტარიელი კი ცხადლივ ხედავს ლომისა და ვეფხის ბრძოლას. სინათლე შეაქვს დარბაზში იზოლდას შესვლას. ასევე აბრწყინებს გარემოს ნესტან-დარეჯანი. ამასთანავე კონსტანტინე ბალმონტი მიუთითებს, რომ დანტემ წარმოგვიდგინა სიკვდილის გრძნეულებით მონუსხული შეყვარებული წყვილი, რომელიც განაბრწყინა უფსკრულის ელვარებით. „ბრეტონულმა ლეგენდამ არ გამოიყენა საეკლესიო კოშმარები, თავისი მიჯნურები მათივე განსაცდელის უსასრულობით განაბრწყინა და მით აზიარა უკვდავებას – კვლავ სიკვდილის ხიბლით, რამდენადაც სიკვდილიც, მხატვრულად მომარჯვებული, არის მსუბუქი მოჯადოება (10,280), ხოლო რუსთველი ამ პოეტებზე ამაღლებულია იმით, რომ იგი მიჯნურებს სიცოცხლის ისეთი ნათებით განაბრწყინებს, რომ ისინი სიკვდილს ვერასოდეს ველარ შეძლებენ.

საინტერესოა რუსი მწერლის პეტრე პავლენკოს მიერ გამოთქმული მოსაზრებანი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ სტატიაში „რუსთველის ოცნებათა ხორცშესხმა“ (10,294). ავტორი მიუთითებს პოემის პოლითემატურობაზე, აღნიშნავს, რომ ეს არის პოემა ღირსებაზე, მეგობრობაზე, სიმღერა ძმობაზე, ერთგულებასა და მამაცობაზე. იგი ავლებს პარალელს მამაცობის თემაზე შექმნილ სპარსულ ნაწარმოებებთან, რომლებიც წინ უძღოდნენ პოემის შექმნას. მათ შორის უმთავრეს განსხვავებას პ. პავლენკო იმაში ხედავს, რომ რუსთველი ხოტბას ასხამს არა მხოლოდ ფიზიკურ ძალაზე დამყარებულ მამაცობას, არამედ სულიერ სიწმინდესა და მორალურ უპირატესობაზე დამყარებულს. პ. პავლენკო „ვეფხისტყაოსანს“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცნებებით სავსე რუსულის კიდობანს უწოდებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტატიაში „ვეფხისტყაოსანი“ (10,297) პ. პავლენკო რუსთველის პოემას ახალი ეთიკისა და მორალის და ამასთანავე პოეტიკის ძველ ტრადიციებთან ბრძოლის წიგნად მოიხსენიებს, მაგრამ თუ რაში ვლინდება ყოველივე ეს, ამაზე აღარ მიუთითებს.

პ. პავლენკო საყვედურობს რუსთველის შემოქმედების მკვლევართ იმის თაობაზე, რომ ყოველი მათგანი მწერლის პოეტიკურ სკოლაზე მსჯელობისას „ბევრ ადგილს უთმობს გავლენებს, რომლებიც შეეძლო განეცადა პოეტს, ეძებს მის ლექსებში ირანულ თვისებებს... ივიწყებს, რომ პოემაში ყველაზე მეტად და ყველაზე მკვეთრად საქართველოს თვისებებია წარმოდგენილი“ (12,299). „ვეფხისტყაოსანს“ წერილის ავტორი არა პიროვნების (თამარ მეფის), არამედ ეპოქის პანეგირიკად მიიჩნევს. პ. პავლენკო აშკარად კარგად იცნობს პოემის ირანული ეპოსიდან წარმომავლობის შესახებ ატეხილ დავას. იგი აღნიშნავს, რუსთველმა რომელიღაც ირანული თქმულება გალექსაო, მაგრამ იქვე მიუთითებს, რომ ირანულ ეპოსში არ მოიპოვება არც ერთი ნაწარმოები, რომელიც ვეფხისტყაოსნის თუნდაც ქვენიადაგად გამოდგებოდაო. პ.პავლენკოს თვალსაზრისით, რუსთველმა არა რომელიმე კონკრეტული ირანული ნაწარმოები გალექსა, არამედ სპარსული საგმირო ეპოსის საერთო სული, რომელიც თავისებურად განმარტა: „აიღო რა ირანის საფაბულო სქემა, მან იდეოლოგიურად გარდაქმნა იგი და გალექსა იმ ახალ იდეათა მოტივზე, რომელთა გაბედული მაუწყებელი იყო უკვე ან უნდა ყოფილიყო მისი სამშობლო. და ამრიგად იგი კი არ მისდევდა ირანის ნიმუშებს, არამედ ქმნიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თავის ქართულ ,რუსთველურ ნიმუშებს, ანგრევდა მათ“ (12,300). სიუჟეტის გაუცხოების ხერხს, პ.პავლენკოს აზრით, მწერალმა შენიღბვის მოტივით კი არ მიმართა, არამედ იმ მიზნით, რომ ეფექტურად ემხილებინა „გარდამავლობა ძველი წარმოდგენებისა ჰეროიკაზე, სიყვარულზე, კეთილსა და ბოროტზე“ (10,300). ამ თვალსაზრისით პ.პავლენკო რუსთველს სერვანტესს ადარებს, რომელმაც „დონ-კიხოტში“ აიღო რაინდული რომანის კანონები, რათა დაემსხვრია ისინი თავისი ახსნა-განმარტების პაროდიულობით; რუსთველმა კი ძველი კანონების პაროდირება კი არ მოახდინა, არამედ ფსიქოლოგიზირება.

საინტერესოა ნიკოლოზ ზაბოლოცკის მოსაზრებანი და გამონათქვამები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, რის მიხედვითაც წარმოჩნდება, თუ როგორ აღიქვა მთარგმნელმა პოემა.

სიტყვაში, რომელიც ნ. ზაბოლოცკიმ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის რუსთველისადმი მიძღვნილ პლენუმზე წარმოთქვა 1937 წელს, განაცხადა, რომ უმთავრეს ამოცანად დაისახა პოემის რუსული პოეტური ტექსტისთვის შეენარჩუნებინა რუსთველისათვის ყველაზე უფრო მეტად დამახასიათებელი სტილისტური ხერხები. აღნიშნა, რომ თარგმანზე მუშაობისას ცდილობდა მიჰყოლოდა დედნის შინაგან სულს, მიუთითა, რომ არ უცდია პოემის ზედმიწევნით პუნქტუალური თარგმნა, რაც ჩვეულებრივ აკადემიური თარგმანისათვის არის აუცილებელი. საკუთარ ნაშრომს ნ. ზაბოლოცკი უნაკლოდ არ მიიჩნევს (10, 325-327). რამდენად სწორად აფასებს იგი საკუთარ თარგმანს პოემისას, ეს უთუოდ კვლევის ცალკე სფეროა.

სტატიაში „რუსთველის სიბრძნე“ (10, 327-332) ნ. ზაბოლოცკი განიხილავს მორალურ კონცეფციას, რომელიც საფუძვლად უდევს პოემას. მწერალი რუსთველს მიიჩნევს იმ შემოქმედად, რომელმაც საკუთარი იდეალები წარმოადგინა არა განყენებულ მსჯელობათა სახით, არამედ ცოცხალ ადამიანურ განსახიერებაში, გმირთა რთული, ხშირად წინააღმდეგობრივი სახეებით, რომლებიც ამა თუ იმ იდეის აბსტრაქტულ მატარებლებს არ ჰგვანან და რომელთა მეშვეობითაც პოეტმა ევროპულ აღორძინებამდე დიდი ხნით ადრე ამცნო ქვეყანას ახალი ჰუმანისტური იდეის საწყისები.

ნ.ზაბოლოცკი რუსთველის პერსონაჟებს გმირობის, მოვალეობისადმი ერთგულების, უანგარო მეგობრობისა და შთაგონებული სიყვარულის იდეალების მატარებლად მიიჩნევს, მათ შორის უპირატესობას კი ავთანდილს ანიჭებს. გმირის მორალური სახის უძლიერეს გამომხატველად ნ. ზაბოლოცკი მის ანდერძს მიიჩნევს; აღნიშნავს, რომ ავთანდილის სიბრძნე აქტიურია. ამასთანავე ავტორი მიუთითებს, რომ გმირის ქცევა ყოველთვის არ შეესაბამება იმ მაღალ მისწრაფებებს, რომლებითაც ის არის აღტაცებული. გმირთა იდეალური მისწრაფებების ხატვისას რუსთველი არ შორდება ცხოვრების სიმართლეს და არ ჩქმალავს მათ ჩრდილოვან მხარეებს, რაც ზოგიერთ სწორხაზობრიობას მიჩვეულ ლიტერატურათმცოდნეს ჩიხში აქცევს. სწორედ ასეთი წინააღმდეგობრივი ხასიათის მქონე, მიწიერი ვნებებით სავსე გმირის სახეა ავთანდილი.

ნ. ზაბოლოცკის აზრით, პოემის გმირები, აღსავსენი სრულქმნილების გრძნობით, ამავე დროს შუასაუკუნეების სამყაროსათვის დამახასიათებელი მრავალი სენით არიან დაავადებულნი. ეს სამყარო კი, რომელშიც „ვეფხისტყაოსნის“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერსონაჟები ცხოვრობენ, სისასტიკით, ხოცვა-ჟლეტით გამოირჩევა.

თუ ავთანდილი ბოროტების ქმედითი და მტკიცედ მოწინააღმდეგე გმირია, ტარიელი მრავალი მარცხით სულიერად მოტეხილი, ცხოვრებისუნარდაკარგული პიროვნებაა. ნ. ზაბოლოცკის აზრით, სწორედ სულიერმა მარცხმა აქცია იგი მიჯნურად ანუ მეჯნუნად-სიყვარულისაგან გაშმაგებულად. მაგრამ განსხვავებით შუასაუკუნეების ადამიანისაგან, რომელიც გარესამყაროს უსამართლობით დატანჯული სიყვარულში ეძებდა ექსტაზის იმ მდგომარეობას, ყოფიერებისაგან განყენებას, რომელიც საშუალებას მისცემდა გასცილებოდა ადამიანური უნარის საზღვრებს და შეხებოდა სამყაროს უცოდველ საწყისებს, რუსთველის იდეალური მიჯნური რეალურ ცხოვრებას არ წყდება. „ჭეშმარიტი სიყვარული, რუსთველის გაგებით, ამაღლებს ადამიანს, აღაფრთოვანებს მას, ამდიდრებს მაღალი მორალური თვისებებით, ძალას მატებს ცხოვრების სიძნელეებთან ბრძოლაში“ (10,330). ტარიელი ცხოვრების დასაწყისში, ავთანდილის მსგავსად, გართულია ენერგიული საქმიანობით, უამრავ საბრძოლო გმირობას სჩადის. ნესტანის დაკარგვის შემდეგ ათი წლის განმავლობაში დაეძებს იგი სატრფოს, ენერგიულად ებრძვის ბედისწერას, მაგრამ იმედი ქრება, ბრძოლის უნარი სუსტდება და უდაბნოში გაჭრილი ტარიელი სასოწარკვეთილებას ეძლევა. თავისი სასოწარკვეთილების აპოგეაში ის სულდგმულობს სიკვდილისა და იმ ქვეყნად სატრფოსთან შეხვედრის მღელვარე მოლოდინით. ქაჯეთის ციხეში მყოფი ნესტან-დარეჯანიც ახლოა ამ მდგომარეობასთან, ისიც სატრფოსთან იმ ქვეყნად შეხვედრის მოლოდინით სულდგმულობს. „ისინი მიწიერი ცხოვრების

სრულ უარყოფამდე მიდიან. ხილული სამყაროს საგნები კარგავენ მათთვის რეალურ მონახაზებს და გარდაიქმნებიან სამარადისო ცხოვრების სიმბოლოებად“ (10,300).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ.ზაბოლოცკის აზრით, რწმენა იმქვეყნიური ცხოვრებისა, რომელიც ახასიათებს რუსთველის ამ მიჯნურებს, მოკლებულია საეკლესიო-რელიგიურ მხარეებს. რუსთველის ღმერთი ცნებაა არა იმდენად რელიგიური, რამდენადაც ფილოსოფიური. ეს მხოლოდ პირობითი აღნიშვნაა, მძლავრი ცხოველმყოფელი საწყისია, რომელიც თავისი ბუნებით კეთილია და პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს ადამიანის არსებობის მანკიერებებთან (10,331).

ნ. ზაბოლოცკი ეთანხმება მკვლევართა იმ მოსაზრებას, რომ პითაგორასეული „სამყაროთა ჰარმონია“ და ნეოპლატონიკოსთა იდეები რუსთველის ნაწარმოებში აისახა გაცილებით მკაფიოდ, ვიდრე მისი თანამედროვე რელიგიურ-ქრისტიანული კონცეფცია (10,331).

მნიშვნელოვანია აკადემიკოს ვლადიმერ შიშმარიოვის ნაშრომი „შოთა რუსთაველი“ (რამდენიმე პარალელი და ანალოგია) (10,343–365), რომელშიც ავტორი, ერთი მხრივ, ახდენს ქართულ-ირანულ ლიტერატურულ ურთიერთობათა შესახებ არსებული კვლევა-ძიების რეზიუმირებას, მეორე მხრივ კი– უფრო ფართო ურთიერთობათა შესწავლას ისახავს მიზნად.

ვლ. შიშმარიოვი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ძველი ეპოქის ქართული ლიტერატურა რელიგიურ-სქოლასტიკური ინტერესების სიჭარბით გამოირჩეოდა, რაც ბიზანტიური (საქართველოს თვალსაზრისით) დასავლური ტრადიციებით საზრდოობდა. საერო მწერლობა კი, რომელიც საქართველოში

გაცილებით გვიან ჩნდება, ვითარდებოდა და ყალიბდებოდა აღმოსავლური, კერძოდ, ირანული ტრადიციის გავლენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XII საუკუნეში ქართველთა განსაკუთრებულ სიმპათიას იპყრობს რომანტიკულ-სპარსული მოთხრობა – სამიჯნურო რომანი.

ვლ. შიშმარიოვის აზრით, შესაძლოა ეჭვის შეტანა რუსთველის სიტყვებში მისი პოემის სპარსული წყაროს შესახებ. პოეტმა ამ ხერხს მხოლოდ საკუთარი ნაწარმოებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭების გამო მიმართა, რათა დაემკვიდრებინა იგი ავტორიტეტული მწერლობის წრეში. ამის ანალოგია მრავლად იძებნება ლიტერატურის ისტორიაში. შუა საუკუნეების მწერლები ხშირად მიუთითებდნენ რომელიმე ლათინურ წიგნზე, როგორც საკუთარი ნაწარმოების ფაბულის წყაროზე, რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდა. მაგრამ სპარსული მონაცემების გამოყენებით შეთხზულ ნაწარმოებთა არსებობა აბათილებს ამგვარ კომენტარს.

ავტორი მიუთითებს ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა სახელების არაბულ-სპარსულ წარმომავლობაზე, თუმცა ვარაუდობს, რომ ფარსიზმები ორიგინალის კვალი კი არაა, არამედ პოეტის ენის თავისებურება. ზოგიერთი სიტყვის ფორმა, რომელიც „ვისრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება, მათ ეპოქამდე გაცილებით ადრე შევიდა ქართულ ლექსიკონში. ვ. შიშმარიოვი ასევე მიუთითებს რუსთველის პოემის ზოგიერთი მხატვრული სახის თანხვედრაზე სპარსულ ლიტერატურასთან. ყოველივე ზემოაღნიშნულს მკვლევარი წვრილმანად მიიჩნევს. ვლ. შიშმარიოვის აზრით, ქართული ლიტერატურა სპარსულის გავლენით ყალიბდებოდა, ქართველ მწერალს სპარსული

სკოლა ჰქონდა გავლილი. მაგრამ ყოველივე ზემოაღნიშნული, ავტორის აზრით, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის, რასაც სპარსული ლიტერატურა იძლეოდა, მექანიკურად და მონურად აღიქმებოდა თვით უნიჭიერეს შემოქმედთა მიერაც კი. ცხადია, ასე აღიქვამდნენ ამას საქართველოში ის პირნი, რომელთაც გულწრფელად აწუხებდათ ოქროს ხანის ქართულ მწერლობაში ირანისათვის მეტად დიდი ადგილის მინიჭება. აქ უბრალოდ დიდი მეთოდური შეცდომა იყო დაშვებული, რაც გავლენის მეტად ვიწრო გაგებაში მდგომარეობდა. დავიწყებულ იქნა ელემენტარული ჭეშმარიტება—ევროპულ ანალოგიათა მთელი რიგი და ნაციონალურ ლიტერატურათა განვითარების ინტერნაციონალურობა, ერთი შეხედვით სრულიად მოულოდნელ შემთხვევებშიც კი.

ვლ. შიშმარიოვი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ყოველთვის სკოლით იწყება და მთავრდება იმით, რომ მოწაფე საკუთარ სკოლას ქმნის. სპარსული ლიტერატურისათვის მიმართვა, რომელიც მზამზარეულ ფორმულას წარმოადგენდა, საკუთრივ ქართული ლიტერატურის შექმნის სურვილის გამოხატულება იყო.

ვლ. შიშმარიოვის აზრით, თვით ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში შემუშავდა პირობები, რამაც ქართული საერო მწერლობის შექმნა განაპირობა. ვლ. შიშმარიოვი იმოწმებს ნიკო მარის სიტყვებს, რომ „ვეფხისტყაოსანში" ასახულ სიყვარულს, სიყვარულს ვასალისას, სიყვარულს - გმირობას, ჩვენ ვერ შევხვდებით ვერც ერთ აღმოსავლურ მაჰმადიანურ ლიტერატურაში. ეს რამინის ვნება არ არის, არც ყაისის ავადმყოფობა (10,352).

მკვლევრის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ სტროფში „მიჯნურსა თვალად სიტურფე...“ კარგად ჩანს, რომ სიყვარული ადამიანის ზნეობრივი, კულტურული, ესთეტიკური გარდაქმნის საფუძველია, მაგრამ ამგვარი სიყვარული მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც საამისო უნარი გააჩნია. გული რუსთველთან მარტო გრძნობა კი არაა, იგი, უპირველეს ყოვლისა, ჭეშმარიტების გრძნობაა, მშრალი ანალიზი კი არაა, არამედ ადამიანის თანდაყოლილი სიმპათიით გამსჭვალული, თანაგრძნობიერი დამოკიდებულება გარესამყაროსა და ხალხთან, ის თვით სიბრძნეა, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

რაინდების, ყმათა შესახებ ქართველები სიმღერებს თხზავდნენ. ყმა გარკვეულ სოციალურ პირობებში რაინდად იქცა და ძველი, ქართული ეპიკურ-ფეოდალური ლიტერატურაც ახლით შეცვალა. ეპიკური სიმღერა რომანტიკულმა მოთხრობამ, პოემამ და რომანმა განდევნა. ამ მხრივ ქართული ლიტერატურა იმავე გზით მიდის, რა გზითაც მისი დასავლეთევროპელი დები.

ამ ახალი სიყვარულის ფონზე იშლება სიყვარულის ახლებური გაგებაც. იგი იხატება არა როგორც ვნება, passio, არამედ როგორც სანტიმენტი–განუწყვეტელი ფიქრი მიჯნურზე, როგორც ტანჯვა და ამავე დროს გამუდმებული შინაგანი სრულქმნა. სიყვარული იწვევს გმირულ მოქმედებას. ერთი ჩვეულებრივი მოტივია მზეთუნახავთან განშორება, მისი ძებნა და ბოლოს მასთან შეერთება. დასავლური რომანის გეოგრაფიული ჰორიზონტი ფართოვდება აღმოსავლეთით შორეულ ინდოეთამდე, ისევე, როგორც საქართველოში.

კონსტანტინე ჩაიკინის ნარკვევში „ქართულ-ირანული ურთიერთობებიდან“ (10,367–371), რომელიც ავტორმა იური

მარის ხსოვნას უძღვნა, განხილულია საკითხი: იყო თუ არა ხაყანსა და რუსთველს შორის მეტოქეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ.ჩაიკინი აღნიშნავს, რომ ხაყანის მტრული განწყობილება კონკურენტებთან სატირულ თავდასხმებში პოულობდა გამოხატულებას. მათ შორის მთავარი ადგილი პოეტ აბულ-ალა განჯევს უკავია. ხაყანი მეტოქეებს წყვილ-წყვილად ესხმოდა თავს, რომელთა მიმართ ის უმეტეს შემთხვევაში მეტსახელებით კმაყოფილდებოდა. ერთ-ერთ ყასიდში წყვილად მოხსენიებულ მეტოქეებს შორის ერთი აბულ-ალაა, მეორე კი „ხარ-ე-რუსთას" მეტსახელით დაჯილდოვებული მეტოქე.

„რუსთა" სპარსულად სოფელს ნიშნავს, ხარ-ე-რუსთა ითარგმნება „სოფლელ ვირად". პოეტურ მეტყველებაში ჩვეულებრივი ამბავი, სპარსულ პოეზიაში კი განსაკუთრებით გავრცელებული და სავალდებულო სემანტიკური პარალელიზმი საფუძველს აძლევს კ. ჩაიკინს „რუსთა" მიიჩნიოს არა საზოგადო სახელად, არამედ გეოგრაფიულ სახელწოდებად. აქედან ჩნდება მოსაზრება, სიტყვა „რუსთა"-ში ხომ არ არის მითითება რუსთველის სამშობლოზე. ავტორს არ გააჩნია პრეტენზია საკუთარი აზრის სრულ ჭეშმარიტებაზე. ამასთანავე კ. ჩაიკინი იქვე მიუთითებს ხაყანის დივანის სხვა ყასიდის ერთ ლექსში სიტყვა „რუსთას" არსებობაზე, რომელიც კვლავ მტრებისა და მეტოქეების მიმართ არის გამოყენებული. ამ შემთხვევაშიც სიტყვა საზოგადო სახელის მნიშვნელობით არის ნახმარი, მაგრამ არ გამოირიცხება მისი ორმაგი მნიშვნელობით გამოყენების შესაძლებლობაც; კერძოდ, მითითება მტერზე, რომელიც სხვა ადგილას „ხარ-ე-რუსთად" არის მოხსენიებული.

კ. ჩაიკინის აზრით, „რუსთას“ გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობით ხმარება არ არის სავალდებულო საქართველოს რუსთავს დაუკავშირონ, ვინაიდან ამ სახელის მატარებელი სხვა მხარეებიც შეიძლება ყოფილიყო თუნდაც შარვანში, ან სადმე ახლოს.

ამავე სტატიაში კ. ჩაიკინი მიუთითებს ხაყანისა და რუსთველის ლექსების დამთხვევაზე. „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ – წერს რუსთველი. შირვანის დედოფლის, შირვანშაჰ აღსართან პირველის ცოლისადმი მიძღვნილ ხაყანის ოდაში მოიპოვება შემდეგი სტრიქონები: „მეფენი სახელმწიფოს საქმეებში – რაც მამაკაცია, ის ქალია, ლომები ბრძოლაში – რაც ხვადია, ის ძუა.“

კ. ჩაიკინი მიუთითებს, რომ აღნიშნული სტრიქონების პარალელს მიაკვლია ნ. მარმა ნიზამის შემოქმედებაში. სამი პოეტის ასეთ მსგავსებას გამოკვლევის ავტორი მიყავს იმ დასკვნამდე, რომ ამიერკავკასიაში არსებულა მოარული ანდაზა, რომელიც ზემოჩამოთვლილ პოეტთა მსგავს სტრიქონებს დასდებია საფუძვლად. კ. ჩაიკინის აზრით, ყოველივე ზემოაღნიშნული დასტურია იმ პირობათა საერთო ხასიათისა, რომელშიც ვითარდებოდა XII საუკუნეში ამიერკავკასიის ლიტერატურები ენობრივი და გეოგრაფიული სხვადასხვაობისაგან დამოუკიდებლად.

ჟურნალ „Звезда“-ს 1938 წლის №5-ში დაიბეჭდა მ. აზადოვსკის წერილი „რუსთაველი პუშკინის ლექსებში“. პ. შჩეგოლევმა ალ. პუშკინის ხელნაწერთა შორის მოიკვლია და გამოაქვეყნა ჩანახატი, რომელიც შევიდა პოეტის ბოლოდროინდელ გამოცემებში. მან ხელნაწერი 1828 წლით დაათარიღა. მ. აზადოვსკის აზრით, ხელნაწერი 1829 წელს

განეკუთვნება. ამ დათარიღებას ემხრობიან მ. ციალოვსკი და ბ. ტომაშევსკიც. ვ.ბრიუსოვის აზრით, ლექსი დაკავშირებულია ალ. პუშკინის კავკასიაში მოგზაურობასთან.

ჩანახატში პოეტი ყირიმში მოღვაწე საადის მოწაფეებს უპირისპირებს სხვა ქვეყნის პოეტს, რომელსაც ლექსთა თხზვაში ვერავინ შეედრება:

Но ни один волшебник милый,
Владетель умственных даров,
Не вымышлял с такою силой,
Так хитро сказок и стихов,
Как прозорливый и крылатый
Поэт той чудной стороны,
Где мужи грозны и косматы,
А жены гуриям ровны.

ლექსში არ არის მითითებული უცნობი პოეტის სამშობლო მხარე, მაგრამ, უდავოა, რომ ამგვარი ხატებით ალ. პუშკინი კავკასიას წარმოსახავდა. მ. აზადოვსკის აზრით, ამის დასტურად თუნდაც „კავკასიელი ტყვე" კმარა.

მ. აზადოვსკი ასკვნის, რომ შეუძლებელია პუშკინს არ სცოდნოდა რუსთველისა და მისი პოემის არსებობის შესახებ და რომ ჩანახატში მითითებული პოეტი უთუოდ რუსთველია.

რუსთველის შემოქმედებას საგანგებო შრომა უძღვნა ვიქტორ გოლცევმა (10,376-339), რომელიც პირველად მოსკოვში დაიბეჭდა 1941 წელს სათაურით „შოთა რუსთველი და მისი პოემა". პირველ თავში მკვლევარი მიმოიხილავს რუს მეცნიერთა ცნობებს რუსთველისა და მისი პოემის შესახებ, ასევე ვეფხისტყაოსნის რუსულენოვან თარგმანებს. ნაშრომის მეორე თავში წარმოდგენილია XI-XII საუკუნეების საქართველოს სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ვითა-

რება. მომდევნო თავში ავტორი მიმოიხილავს ლეგენდებსა და ქართველ მკვლევართა მოსაზრებებს პოეტის დაბადების, წარმომავლობის, განათლების, მოღვაწეობის და „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის წარმომავლობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. გოლცევის ნაშრომის მეოთხე თავში განხილულია რუსთველის მიერ წარმოსახული სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლა. ავტორს მიაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ხატოვნად და მკვეთრადაა გამჟღავნებული პოეტის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი და XI-XII საუკუნეების საქართველოს განვითარების ძირითადი ტენდენციები. გოლცევის აზრით, რუსთველი შუა საუკუნეების საქართველოს იმ პროგრესულ მოღვაწეთაგანად იკვეთება, რომლებიც მხარს უჭერდნენ ქართველ მეფეთა სწრაფვას, შეექმნათ ერთიანი, ძლიერი, დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამ კუთხით ვ. გოლცევი პარალელს ავლებს „იგორის ლაშქრობის“ უცნობ ავტორთან. მკვლევარი თვლის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ შეიცავს სამთავროთა ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამორჩილების იდეას, მასში გაკიცხულია დიდ ფეოდალთა ამბოხებები, რომლებიც ქვეყნის გაერთიანებას ეწინააღმდეგებოდა. ვეფხისტყაოსანში ასახულია ორი დიდი სახელმწიფო-ინდოეთი და არაბეთი. ძნელი არაა დარწმუნება იმაში, რომ ორივე შემთხვევაში პოეტი თავის თანამედროვე საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ წყობას ასახავს, როდესაც ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაჯაბნა ურჩი ფეოდალები. შემდეგ მკვლევარი წარმოაჩენს პოემაში ასახულ XII საუკუნის საქართველოს ყოფის თანმხვედრ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას.

ნაშრომის მეხუთე თავში ვ. გოლცევი განიხილავს ჰუმანიზმის საკითხს რუსთველის შემოქმედებაში. ავტორი

მიუთითებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ გამსჭვალულია ნათელი და სიცოცხლის დამამკვიდრებელი მსოფლაღქმით, ადამიანის გონიერების ზეიმით. მკვლევარი იმეორებს თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ რუსთველი XI-XII საუკუნეების მიჯნაზე იყო წინამორბედი ჰუმანური მოძრაობისა, რომელიც შემდგომ ფართოდ გავრცელდა დასავლეთ და ნაწილობრივ აღმოსავლეთ ევროპაში. რუსთველის პოემა არის მხატვრული ასახვა ადამიანის პიროვნების თავისუფლებისა, რითაც ხასიათდებოდა XII საუკუნის საქართველო. ვ. გოლცევი მიუთითებს, რომ რუსთველის ჰუმანიზმი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის შინაგანი სამყაროსადმი გაძლიერებულ ინტერესში, პიროვნების კეთილშობილებაში, სილამაზესა და მაღალ ღირსებაში ვლინდება.

ვ. გოლცევი მიუთითებს, რომ ავთანდილისა და ტარიელის თაყვანისცემა ქალისადმი თვისებრივად განსხვავებულია როგორც აღმოსავლური წარმოდგენისაგან სიყვარულზე, ასევე დასავლეთევროპული რაინდული ქალის კულტისაგან. რუსთველი ქალის კულტს ქართული თავისებურებით ასახავს. პოემაში სრულიად ახალი, ჰუმანიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელი ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის სისტემაა წარმოდგენილი.

ვ. გოლცევი ყურადღებას ამახვილებს რუსთველის პოემაში წერილების ფუნქციაზე, რომელიც ჰუმანიზმის ეპოქის იტალიურ ეპისტოლარულ ლიტერატურას ეხმიანება.

ვ. გოლცევი მიუთითებს, რომ რუსთველი ავლენს როგორც აღმოსავლური ლიტერატურის, ასევე ანტიკური ფილოსოფიის ღრმა ცოდნას. ამასთანავე, არ ირღვევა მისი მსოფლმხედველობის მთლიანობა. ვ. გოლცევი იზიარებს იმ მეცნიერთა

თვალსაზრისს, რომელნიც აღიარებდნენ, რომ ღმერთის პოეტისათვის არის არა ეკლესიურ-ქრისტიანული, არამედ წარმართულ-ფილოსოფიური; რუსთველის ფილოსოფიის საფუძვლად კი ნეოპლატონიკოსთა, მათ შორის პროკლე დიადოხოსის ნააზრევს მიიჩნევენ.

ვ. გოლცევის ნაშრომის მეექვსე თავში განხილულია გმირობის, სიყვარულის და მეგობრობის რუსთველისეული გააზრება. მკვლევრის აზრით, რუსთველისეული ცნება გმირობისა უფრო რთულია და დახვეწილი, ვიდრე აღმოსავლეთის პოეტების, თუნდაც ფირდოუსის გმირული პოემის „შაჰნამესი". აღმოსავლური პოემების გმირები გამანადგურებელ, დაუძლეველ, ჰიპერბოლურ ძალას წარმოადგენენ, ამასთანავე მარტივსა და წრფივს. რუსთველის გაგებით კი ნამდვილი გმირობის საფუძველი არის ძალოვანების, გონების, გამბედაობისა და მოხერხებულობის შეთავსება. პოეტი წარმოაჩენს თავისი გმირების მოარულ ძალას, პატიოსნებას განსაზღვრავს, როგორც ადამიანის ყოფაქცევის აუცილებელ ნორმას. რუსთველური სიყვარული ერთგულებას ეფუძნება. მან შექმნა მიჯნურთა შესანიშნავი გალერეა. რუსთველი სიყვარულის სხვადასხვა სახეს გვიჩვენებს. ტარიელისა და ნესტანის სიყვარული დაძაბულია. ვ. გოლცევი პარალელს ავლებს ტარიელსა და ნიზამის ყაისს შორის და ასკვნის, რომ მათი მსგავსება გარეგნულია. რუსთველური შმაგობის ცნება განსხვავებულია ნიზამისეულისაგან. ნიზამი იცავდა ირანული პოეზიის ტრადიციებს და თავის პოემაში ამჟღავნებს იდეას, რომ უბედურება მუდამ თან სდევს ადამიანს. ყაისი გიჟდება, როცა ბედი გაუღიმებს და ლეილთან შეერთების შესაძლებლობა მიეცემა, ხოლო ლეილი დარდისგან კვდება. რუსთველის

გაგებით კი მიჯნურთა უბედურება წარმავალი მოვლენაა. ყაისს გმირობა სულაც არ მოსდგამს. გადამწყვეტი ბრძოლების დროს ტარიელი ყველაზე წინაა, ყაისი კი შორსაა ბრძოლისაგან, უმოქმედოდ ოხრავს და ლოცულობს. ასევე მსგავსებას ხედავს ვ. გოლცევი ავთანდილის და ტარიელის და ყაისისა და მოხეტიალე არაბი რაინდის ნოფალის მეგობრობას შორის. ყაისი გიჟურ ტრფიალებას მოასწავებს, რაც არ შეესაბამება გმირობას, ხოლო ნოფალი განახორციელებს გმირობის თემას სიყვარულის გარეშე. რუსთველი კი ისწრაფვის მიჯნურთა მორალური სიმაღლის წარმოჩენისკენ. შეყვარებულ წყვილთა სახეების შექმნით პოეტმა ფეოდალური საქართველოს განზოგადებული, იდეალიზირებული ტიპები წარმოსახა. იქვე მკვლევარი მიუთითებს ფატმანის განსხვავებულ ბუნებაზე.

ვ. გოლცევის აზრით, რუსთველი მეგობრობას ადამიანურ თვისებათა უმაღლეს გამოვლინებად მიიჩნევს. ვეფხისტყაოსნის მთავარ გმირთა თვისებაა სწრაფვა იმისკენ, რომ ყოველგვარი პირადი ინტერესი და თვით სიცოცხლეც კი გაწირონ მეგობრისთვის.

ნაშრომის მეშვიდე თავს ვ. გოლცევი რუსთველის პოეტური ოსტატობის განხილვას უთმობს. იგი თავდაპირველად მიუთითებს „ვეფხისტყაოსნის" პროლოგში მოწოდებულ რუსთველის თვალსაზრისზე მიჯნურობის შესახებ, რომელიც შემდეგ ხორცშესხმულია პოემაში. მკვლევარი ასევე აღნიშნავს, რომ პოემა შაირითაა დაწერილი და მონოტონურობის თავიდან ასაცილებლად პოეტი მაღალ და დაბალ შაირს ანაცვლებს. ვ. გოლცევი ყურადღებას ამახვილებს ვეფხისტყაოსანში არსებულ მდიდარ ეპითეტებსა და პოემის მეტაფორულობაზე, რუსთველის ლექსის საოცარ მუსი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კალურობაზე, რაც ალიტერაციებით, ანაფორებითა და ეპიფორებით მიიღწევა.

ვ. გოლცევი ვეფხისტყაოსანში არსებულ ზოგიერთ სიუჟეტურ შეუსაბამობას ტექსტის გვერდების დაკარგვით ხსნის. ასეთად მას, მაგალითად, მიაჩნია ის, თუ საიდან შეიძლებოდა სცოდნოდა ნესტანს ინდოეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარება სამშობლოს დატოვების შემდეგ. რაც შეეხება ნაწარმოების ენას, მას ზეპირსიტყვაობასთან დაახლოვებულად მიიჩნევს. ამ განცხადებას, რასაკვირველია, ქართულ წყაროებზე დაყრდნობით აკეთებს. მკვლევარი ასევე მიუთითებს, რომ პოემის ავტორი უხვად სარგებლობდა ფოლკლორით. რუსთველის პოეტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხურ შემოქმედებასთან. მაგალითად, მაგიურია ტარიელის მათრახი, მისი შავი ცხენი შედარებულია ფრთოსან მერანთან; ფატმანი ფლობს ძალას ორ ჯადოქარზე, მონა მფრინავი ხალიჩისმაგვარი ჯადოსნური მოსასხამით დაფრინავს. ამასთანავე ავტორი პარალელს ავლებს ვეფხისტყაოსანსა და ხალხურ „ტარიელიანს" შორის, რომელსაც რუსთველის პოემის ხალხურ ინტერპრეტაციად მიიჩნევს. ვ. გოლცევის აზრით, ვეფხისტყაოსნის გმირები ეროვნული ძლიერების, გმირობის, სილამაზის და კეთილშობილების პერსონიფიცირებული სახეებია.

ვ. გოლცევი მიუთითებს აკაკი წერეთლის თვალსაზრისზე იმის შესახებ, რომ რუსთველმა პოემის გმირთა ხასიათების დახატვით საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა ხასიათები წარმოაჩინა. მკვლევარს მართებულად მიაჩნია აკაკი წერეთლის ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით გამოთქმული ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ვეფხის-

ტყაოსანში" რუსთველმა ზოგადსაკაცობრიო იდეები და ხასიათები წარმოსახა.

როგორც ცნობილია, შალვა ნუცუბიძემ დაამკვიდრა ტერმინი – აღმოსავლური რენესანსი და რუსთველი მის წარმომადგენლად მიიჩნია. შემდეგ ამ პრობლემით ბევრი მკვლევარი დაინტერესდა. მათ შორისაა მ. კონრადი. რენესანსული კულტურის კვლევის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მის ნაშრომს „დასავლეთი და აღმოსავლეთი" (12). აღნიშნულ გამოკვლევაში წარმოდგენილი ნ. კონრადის პოზიცია განხილულია ე. ხინთიბიძის ნაშრომის „შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში"" (12,213-215) იმ მონაკვეთში, სადაც ავტორი მიმოიხილავს და გარკვეულ შეფასებას აძლევს XX საუკუნის სამეცნიერო ლიტერატურაში დამუშავებულ მსოფლიო კულტურათა აღორძინების თეორიებს.

ნ. კონრადი იზიარებს თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ რენესანსი მსოფლიო ისტორიული პროცესის ნაწილია. აქედან გამომდინარე, მან აღმოსავლური რენესანსის იდეა გაავრცელა მთელ რიგ ქვეყნებზე, კერძოდ, ჩინეთზე, შუა აზიასა და კავკასიაზე.

ნ. კონრადის ზემოთ დასახელებული ნაშრომის ერთი თავი „ვეფხისტყაოსანი" და რენესანსული რომანტიზმის საკითხი" ეთმობა რუსთველის პოემას. ნ. კონრადი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ჭრილში ჩამოთვლის იმ თხზულებათა რიგს, რომელშიც, მისი აზრით, თავსდება „ვეფხისტყაოსანი". ესენია: ფირდოუსის „შაჰ-ნამე" (XI ს.), გურგანის „ვისი და რამინი"(XI ს.) ნიზამის „ხოსროვი და შირინი" და „ლეილი და

მეჯნუნი" (XI ს.), ნავოის „ფარხადი და შირინი" და „ლეილი და მეჯნუნი" (XV ს.), ბოიარდოს „შეყვარებული როლანდი" (XV ს.), არიოსტოს „შმაგი როლანდი" (XVI ს.), ტასოს „განთავისუფლებული იერუსალიმი" (XVI ს.). ნ. კონრადი ზემოთ ჩამოთვლილ რიგში რუსთველს ნიზამის შემდეგ მიუჩენს ადგილს. ამასთანავე, მკვლევრის აზრით, რადგან რუსთველის ჰუმანიზმისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები ნიზამისა და ნავოის პოემებსაც მიესადაგება, ვეფხისტყაოსანი აღმოსავლურ რენესანსს განეკუთვნება.

ნ. კონრადი თვლის, რომ ზემოთ ჩამოთვლილ რიგში „ვეფხისტყაოსნის" შესწავლა საშუალებას იძლევა ვისაუბროთ რენესანსულ ლიტერატურაში რომანტიკული ხაზის არსებობის შესახებ, რომელსაც იგი „რომანტიკულ რენესანსს" უწოდებს. იგი, რასაკვირველია, განსხვავდება XIX საუკუნის დასაწყისის ევროპული რომანტიზმისაგან. ამ შემთხვევაში რომანტიზმი ნ. კონრადისათვის გარკვეული თვისებების აღმნიშვნელი ცნებაა, რომელიც მის მიერ ჩამოთვლილ ნაწარმოებებს განასხვავებს სხვა რენესანსული თხზულებებისაგან.

რომანტიკული რენესანსის ყველაზე ტიპურ გმირად ნ. კონრადი მიჯნურს – შლეგს ანუ სიყვარულისაგან გახელებულ ადამიანად მიიჩნევს. აღნიშნულის დასტურად მკვლევარი თვლის ამ ტიპის გმირის არსებობას ნიზამის „ლეილსა და მეჯნუნში", რუსთველის „ვეფხისტყაოსანში", არიოსტოს „შმაგ როლანდში". ნ. კონრადს საინტერესოდ მიაჩნია მიჯნური გმირების შედარებითი შესწავლა, ვინაიდან რუსთველის ტარიელი იგივე არ არის, რაც ნიზამის ყაისი, ორივენი კი განსხვავდებიან არიოსტოს როლანდისაგან.

ნ. კონრადი ასევე მიუთითებს რენესანსის ეპოქის სარაინდო პოემების შუასაუკუნეების რაინდული თქმულებათაგან განმასხვავებელ ზოგიერთ ნიშანზე. შუასაუკუნეების რაინდულ თქმულებებსა და რენესანსის ეპოქის სარაინდო პოემებში ერთი და იგივე გმირია. ერთნაირია ამ გმირთა სახეებიც: ისინი „გმირული" საწყისის მატარებელნი არიან. განსხვავება ისაა, რომ შუასაუკუნეების რაინდულ თქმულებებში ნაჩვენებია თვით ეს საწყისი, რენესანსულ სარაინდო პოემებში კი – ამ საწყისის მატარებელი ადამიანები.

ნ.კონრადს რენესანსის ეპოქის სარაინდო პოემების შუასაუკუნეების რაინდული თქმულებებისაგან განმასხვავებლად სახეთა გასაოცარი პლასტიურობა, პერსონაჟის ხასიათის ცალკეული თვისებების ჰარმონიული შერწყმა მიაჩნია. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსნის" რენესანსული არსი იმაში მდგომარეობს, რომ ზღაპრულობა გარეგნულია, პირობითია. რაც ზღაპრულად აღიქმება, არის ის „რომანტიზმი", რომელიც განსაზღვრავს პოეტის შემოქმედებითი მეთოდის არსს. რუსთველის პოემის გმირთა სახეები ზღაპრული კი არ არის, არამედ რეალური, ოღონდ მათი რეალურობა მოწოდებულია არა ყოფით, მიწიერ პლანში, არამედ იდეალურგარდასახვითში. ყოველივე ეს არ გულისხმობს იმას, რომ რენესანსული პოემები გაცილებით მაღლა დგანან შუასაუკუნეობრივზე. შუასაუკუნეების სამყარო არ არის პრიმიტიული, უმეცარი, როგორც ამას ცდილობდნენ ჩაენერგათ საკუთარი თავისა და თანამედროვეეთათვის რენესანსის ეპოქის ჰუმანისტებს. შუასაუკუნეების ეპოქა არის გრანდიოზული ხანა კულტურისა, რომელმაც შექმნა განუმეორებელი ფასეულობანი. შუასაუკუნეებისათვის მნიშვნელოვანი იყო, უპირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველეს ყოვლისა, „ქმედობა“, რენესანსის ეპოქისთვის – „მოქმედი“.

ნ. კონრადს რენესანსული პოემების მახასიათებლად მკაფიო კომპოზიცია მიაჩნია, რაც ეპოქის თვისებიდან-აზროვნების რაციონალურობიდან გამომდინარეობს. „ვეფხისტყაოსანში“ ყოველი სიუჟეტური გადახვევა მოტივირებულია და ექვემდებარება ჩანაფიქრს.

ძირითადად ასეთია საკითხთა ის წრე, რომელიც რუსმა მკვლევრებმა წარმოაჩინეს რუსთველისა და მისი პოემის გარშემო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყენებული ლიტერატურა

1. Б о л х о в и т и н о в Е., Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии, СПб., 6, 1802.
2. შ ა რ ა ძ ე გ. ევგენი ბოლხოვიტინოვი პირველი ქართველი რუსთველოლოგი, თბილისი, 1978.
3. О р л о в Я., Дух российских государей Рюрикова дома, существенное изображение россиян и всех других европейских народов, история, политика и вообще просвещение со времени падения древней Римской империи до Вестфальского мира, или утверждения свободы всех вероисповеданий, V, СПб., 1818.
4. Ш и ш к о в А., Сочинения и переводы, III, СПб., 1835.
5. М у р а в ь е в А., Путешествие ко святым местам в 1830 году, II, СПб., 1935.
6. М у р а в ь е в А., Грузия и Армения, III, СПб., 1848.
7. Б о ч а р о в Н., Грузинская литература и ее представители до XVIII столетия – ИГБ 20 VII. 1872, №28 (Бочаров Н.).
8. С т а л и н с к и й Е., Шота Руставели - грузинский народный поэт, М., 1885.
9. В е с е л о в с к и й А., Историческая поэтика, Ленинград, 1940.
10. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში III, თბ., 1988.
11. Б а л ь м о н т К., Руставели წიგნში - Шота Руставели, Носящий барсову шкуру. Грузинская поэма XII века. Перевод, 1917.
12. К о н р а д Н., Запад и Восток, М., 1972.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთველური მიჯნურობა და კურტუაზული სიყვარული

„ვეფხისტყაოსანსა“ და დასავლეთ ევროპის რაინდულ რომანს შორის მიმართებათა გამოვლენისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტზე– როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ნაწარმოების ცენტრალური ფიგურაა გამიჯნურებული რაინდი, შესაბამისად, პირველობა ამ თხზულებათა ძირითადი იდეურ-თემატური მოტივებიდან სწორედ სიყვარულს განეკუთვნება.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ სიყვარ-ულის რუსთველურ და კურტუაზულ კონცეფციებს შორის საერთო ტენდენციებთან ერთად არსებითი სახის განსხვავებანიც არსებობს, ამიტომ, ვიდრე რაიმე მიმართების დადგენას შევუდგებოდეთ, შევეცდებით მოკლედ ჩამოვაყალიბოთ როგორც ერთი, ისევე მეორე კონცეფციის ძირითადი ნიშნები.

სიყვარულის კურტუაზული კონცეფცია, რომელიც დასაბამს მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრის პროვანსში იღებს, რაინდთა წრეში ყალიბდება. ის ექვემდებარება მთლიანად ე.წ. „რაინდული კეთილშობილების კოდექსს“, ექცევა მკაცრად განსაზღვრულ რიტუალურ ჩარჩოებში და თავადაც კოდექსური ელფერის მატარებელი ხდება. მიუხედავად ამისა, კურტუაზული სიყვარული არის ძალზე თვითმყოფადი და თავისებური სახეობა ტრფობისა, რომლის არსიც ოთხ ძირითად პუნქტად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ–თავმდაბლობა, თავა-

ზიანობა, ადიულტერი და სიყვარულის რელიგია. (კლა-სიფიკაცია ემყარება გამოჩენილი ევროპელი მედიევისტის კ.ს. ლევისის თვალსაზრისს).

სიყვარულის კურტუაზული კონცეფციის მიხედვით, შეყვარებული რაინდის უპირველესი თვისება თავმდაბლობაა (ამასვე მოითხოვს რაინდული კეთილშობილების კოდექსიც). მეტრფე ვალდებულია დაემორჩილოს თავისი ქალბატონის ნება-სურვილს, რაოდენ ახირებულიც და აბსურდულიც არ უნდა ეჩვენოს იგი. უსიტყვოდ აიტანოს სატრფოს უსამართლო საყვედურები და ამ თავგანწირვის საფასურად მხოლოდ მისი კეთილგანწყობა მოითხოვოს. სატრფოსადმი გაწეული სამსა-ხური ძალზე წააგავს იმ ვალდებულებას, რომელსაც იღებს თავის თავზე ვასალი სიუზერენის წინაშე. ასე რომ, სატრფო არის არა მხოლოდ „ქალბატონი" თავისი მეტრფისა, არამედ „მბრძანებელიც". ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიყვარულის ფეოდალიზაცია", მიჩნეული გახლდათ სასახლის კარის უცილობელ ატრიბუტად (3,2).

თავმდაბლობასთან ერთად, რაინდული კოდექსის ერთ-ერთ უმთავრეს პირობად და სატრფოს კეთილგანწყობის მოპოვების საშუალებად მიჩნეულია „დუმილი" და მოთმინება". შეყვარებული რაინდი ვალდებულია მოწიწებითა და მოკრ-ძალებით მოეპყრას თავის ქალბატონს და ურთულეს სიტუაციაშიც კი შესძლოს თავის თავში სიამაყის გრძნობის ჩახშობა. გარდა ამისა, დუმილი გახლავთ სიყვარულის შე-ნარჩუნების ერთ-ერთი პირობაც, ვინაიდან სიყვარული განეკუთვნება ისეთ საიდუმლოთა რიცხვს, რომელიც და-ფარული უნდა იყოს შურიანი და ბოროტი თვალისგან (3,195).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება ითქვას, რომ რაინდის ამგვარ მოკრძალებულ დამოკიდებულებას სატრფოსადმი ყველაზე ნათლად გა-მოხატავენ ტერმინები „domnei-donnei“, რაც ნიშნავს მან-დილოსნისადმი გაწეულ სამსახურს ამ სიტყვის ფეოდალური გაგებით. იგივე (ფეოდალური) მნიშვნელობის მატარებელია ტერმინი „ cortesie“ (ქართულად, „თავაზიანობა“), რომელიც „თავმდაბლობასთან“ და „ მოთმინებასთან“ ერთად სიყვარულის კურტუაზული კონცეფციის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს. უფრო მეტიც – ამ ტერმინის ქვეშ ერთიანდება ყველა მუხლი რაინდული კეთილშობილების კოდექსისა, რომლის მიხედვითაც ჭეშმარიტი რაინდი უნდა იყოს არა მარტო მამაცი, ერთგული და უხვი, არამედ თავაზიანი, მოხდენილი, მგრძნობიარე და დახვეწილი მანერების მქონე. კურტუაზული რაინდის აღმზრდელობით პროგრამაში შედის არა მარტო საომარი საქმეები და ნადირობა, არამედ სხვადასხვა სახის გართობა-თამაშობანი, მუსიკალური ინსტრუმენტების ფლობის ხელოვნება, სიმღერა, ქალთა თაყვანისცემა. როგორც ვხედავთ, ჰეროიკულ, საგმირო იდეალს უახლოვდება და ერწყმის ესთეტიკური იდეალი, რაც გახლავთ ერთგვარი წინა-პირობა მოგვიანებით წარმოქმნილი სალონური კულტურისა (2,13).

ამრიგად, თავმდაბალი, მოკრძალებული და თავაზიანი რაინდი მზადაა მაღალი არისტოკრატული საზოგადოებიდან შეარჩიოს თავისი ტრფობის ობიექტი. საყურადღებოა, რომ კურტუაზული კოდექსი ამ შემთხვევაშიც გარკვეულ მოთ-ხოვნას უყენებს რაინდს – იგი უნდა გახდეს სატრფო მხოლოდ და მხოლოდ გათხოვილი მანდილოსნისა. ეს გახლავთ ერთ-ერთი უმთავრესი და უძირითადესი პირობა კურტუაზული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარულისა, რაც ყველაზე უფრო მკვეთრად განასხვავებს ამ უკანასკნელს სიყვარულის სხვა კონცეფციათაგან. მეუღლის მოტყუება, ანუ ადიულტერი მეტად ნიშანდობლივი მოვლენაა შუა საუკუნეების ევროპის საკარო ცხოვრებაში, რომლის გამომწვევი მიზეზებიც სწორედ იმ პერიოდის ფეოდალურ ურთიერთობებშია საგულვებელი. საქმე ისაა, რომ გავრცელებული თვალსაზრისის მიხედვით, ფეოდალური ქორწინება სხვა არაფერია, თუ არა საქმიანი გარიგება, ამიტომ ჭეშმარიტი სიყვარულიც არ შეიძლება იყოს ქორწინებაში. სიყვარული თავისი სიფაქიზითა და დახვეწილობით მეტად შორს დგას ოჯახური ცხოვრების უღიმღამობისაგან. ამიტომ იდეალიზაცია ხორციელი სიყვარულისა, განსაკუთრებით იმ საზოგადოებაში, სადაც ქორწინება უტილიტარულია, უნდა დაიწყოს ცოლქმრული ღალატის იდეალიზაციით (3,13).

დაბოლოს, მეოთხე ნიშანი კურტუაზული სიყვარულისა – ე.წ. ღმერთი ამურის სიყვარულის რელიგია, რომელსაც მკვლევართა შორის მომხრეც ბევრი ჰყავს და მოწინააღმდეგეც. (მაგ. ე. მელეტინსკის აზრით, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ახალი იდეალი და არა ახალი რელიგია). ს. ლევისის ფორმულირებით, სიყვარულის რელიგია სხვა არაფერია, თუ არა ერთგვარი ტერმინი ოფიციალური რელიგიისაგან განსასხვავებლად, მით უფრო, რომ კურტუაზული სიყვარული თავისი რიტუალურობითა და უსაზღვრო თაყვანისცემის ელემენტებით (რომელიც ზოგჯერ სატრფოს უზომო გაიდეალებამდე და გაღმერთებამდე მიდის) მართლაც რომ წააგავს ოფიციალურ რელიგიას.

სიყვარულის კურტუაზული კონცეფციის არსებითი ნიშნების განხილვის შემდეგ ლოგიკური იქნებოდა დაგვესვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვა – რა თვისებებით უნდა იყოს შემკული რაინდი, რომ დაიმსახუროს კურტუაზული მეტრფის საპატიო სახელი?

ნაწილობრივ ამ კითხვაზე უკვე გავეცით პასუხი, როდესაც ყურადღება შევაჩერეთ კურტუაზული სიყვარულის ისეთ არსებით ნიშნებზე, როგორიცაა თავმდაბლობა, თავაზიანობა, უნარი დუმილისა და მოთმინებისა. ამჯერად ჩამოვთვლით „რაინდული კეთილშობილების კოდექსში" შემავალ დანარჩენ მუხლებს, რომელთა მიხედვითაც შეყვარებული რაინდი უნდა იყოს: მამაცი, ერთგული, უხვი, მოხდენილი გარეგნობისა და დახვეწილი მანერების მქონე (2,13). აქ მოტანილი იდეალურ თვისებათა ნუსხა ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის იმ პერიოდის საზოგადოებრივი წრეების მოთხოვნილებებსა და გემოვნებაზე. როგორც ვხედავთ, ზემოთ ჩამოთვლილი თვისებებით აღჭურვილ პიროვნებაში თანაბრად არის შერწყმული ჰეროიკული და ესთეტიკური იდეალები, შესაბამისად, „ახალი დროის" რაინდი, ერთგულ ვასალთან ერთად, ხდება ჰარმონიული, ე.წ. კურტუაზული ადამიანიც, რომლის სულიერი მოთხოვნილებების ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნები მის მიმართ. ამიტომ შემთხვევითი როდია, როდესაც გილიომ დე მარსანი ურჩევს შეყვარებულ რაინდს ყურადღება მიაქციოს თავის ტანსაცმელს, ვარცხნილობას, წვერს, ულვაშს, ხელებსა თუ თვალებს–ურჩევს, იყოს სტუმართმოყვარე, უხვი, უყვარდეს პატიოსანი ორთაბრძოლა, გამოვიდეს ბრძოლის ველზე პირველი და დატოვოს ის უკანასკნელმა.

ტრადიციადქცეული მოდელი კურტუაზული მეტრფისა თითქმის უცვლელად იმემკვიდრა დასავლეთ ევროპის რაინდულმა რომანმა და ლიტერატურული გადამუშავების შედეგად ერთგვარი თეორიული საფუძვლის სახე მისცა.

რომანის მთავარი გმირი – ახალგაზრდა, სწორუპოვარი რაინდი, გახდა მატარებელი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დადებითი თვისებისა. ოდნავი გადახვევაც კი ამ საერთო წესიდან ხდებოდა მიზეზი კონფლიქტური სიტუაციის წარმოშობისა და გმირის დაუსრულებელი ტანჯვისა, ვიდრე კვლავ არ აღსდგებოდა ჩვეული წონასწორობა და ჰარმონიულობა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კურტუაზული სიყვარულის კონცეფცია, მყარად ფესვგადგმული რაინდული საზოგადოების წიაღში, არის, პირველ ყოვლისა, მტკიცე რიტუალურ ჩარჩოებში მოქცეული, მკაცრად განსაზღვრული დოქტრინა, რომლის ყველა პუნქტის უცილობელი შესრულებაც სავალდებულოა შეყვარებული მხარეებისთვის.

როგორი ვითარებაა ამ მხრივ ქართულ სინამდვილეში? უნდა ითქვას, რომ დასავლეთ ევროპის რაინდული რომანის მსგავსად, კლასიკური ხანის ქართული საერო მწერლობის მიჯნურობაც „არის კულტურულ-ისტორიული მოვლენა, საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელსაც გააჩნია თავისი საზოგადოებრივად დადგენილი წესები და, ალბათ, გამოხატვის მეტ-ნაკლებად პირობითი ფორმებიც“ (1,3).

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სინამდვილეში არ შემონახულა თეორიული ნაშრომი სიყვარულის შესახებ, ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარშემო სრულ წარმოდგენას გვიქმნის რუსთველის პოემა, რომლის პროლოგიც, შეიძლება ითქვას, ერთგვარი თეორიული ტრაქტატის როლს ასრულებს პოემაში წარმოდგენილი მიჯნურობის არსში გასარკვევად.

მით უფრო, რომ ამ „ტრაქტატის“ მუხლები ავტორის მიერ „დალაგებულია“ გარკვეული პრინციპის მიხედვით, რაც

ძალზე წააგავს ზემოთ განხილულ თეორიულ ნაშრომებს სიყვარულის შესახებ.

თავდაპირველად, რუსთველი გვიხასიათებს სიყვარულის იმ „სახეობას“, რომელიც „შექებული“ აქვს თავის პოემაში, გამიჯნავს მას ტრფობის სხვა სახეთაგან, თუმცა, იმავდროულად, იმ საერთო მომენტებზეც ამახვილებს მკითხველის ყურადღებას, რაც პოემაში „შექებულ“ მიჯნურობას გააჩნია საზეო და ხორციელ სიყვარულთან.

შემდგომ რუსთველი წარმოგვიდგენს ჭეშმარიტი მიჯნურისათვის დამახასიათებელ თვისებათა ნუსხას, რომელიც პოეტის მიერ გამოყენებულია როგორც ერთგვარი სქემა, ერთგვარი მოდელი, გმირთა მხატვრული სახეების შესაქმნელად. რუსთველისეულ „კოდექსში“ რაინდის ფიზიკურ სრულყოფილებას, სიბრძნესა და გონიერებას ერწყმის სიუხვე, სიმდიდრე, სიყმე, მოცალეობა, „დათმობა“, სამხედრო ქველობა. როგორც ვხედავთ, „ვეფხისტყაოსნის პროლოგში მოცემული ე.წ. „კოდექსი“ რაინდული კეთილშობილებისა ძალზე დიდ მსგავსებას ამჟღავნებს კურტუაზული რაინდისათვის აუცილებლად მიჩნეულ თვისებათა ნუსხასთან (თუმცა, სიყვარულის ევროპელ თეორეტიკოსებთან საგანგებო ყურადღება არ არის გამახვილებული ინტელექტუალურ საწყისზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აქა–იქ ნახსენებ „გამჭრიახობას“).

პროლოგშივეა წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურობისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნებიც, რომლებიც სრულად არის განფენილი მთელი პოემის მანძილზე. ესენია – ერთგულება, თავგანწირვა, სიყვარულის დათმენა და მისი „არ–დაჩენა“, „შორით ბნედა, შორით კვდომა“, ტანჯვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარულისთვის, სისხლის ცრემლების ღვრა და „გულად გაჭრა“.

როგორც ერთი შეხედვითაც ჩანს, მიჯნურობის რუსთველისეულ კონცეფციას საკმაო შეხების წერტილები გააჩნია დასავლეთ ევროპულ რაინდულ რომანში წარმოდგენილი კურტუაზული სიყვარულის დოქტრინასთან, მაგრამ, ამავე დროს, არსებითად განსხვავდება კიდეც მისგან.

ამის მიზეზი, პირველ ყოვლისა, ქართულ ხასიათსა და მირძველ ქართულ ტრადიციებშია საგულვებელი, მაგრამ, ამასთან ერთად, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს აღმოსავლური სამყაროს გავლენაც, რომელმაც საუკუნეთა მანძილზე წარუშლელი კვალი დაამჩნია ჩვენს ეროვნულ კულტურას.

1. ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი, რაც „აერთიანებს“ და ერთგვარად აახლოვებს სიყვარულის რუსთველისეულ და კურტუაზულ კონცეფციებს, გახლავთ სიყვარულის წოდებრივი ხასიათი – როგორც ერთი, ისე მეორე სახეობა ტრფობისა შეიძლება ჩაისახოს მხოლოდ და მხოლოდ არისტოკრატიული საზოგადოების წიაღში და, შესაბამისად, ამ საზოგადოების მოთხოვნებსა და პრინციპებს დაექვემდებაროს. ავთანდილი, თინათინი, ტარიელი, ნესტან-დარეჯანი საზოგადოებრივი კიბის უმაღლეს საფეხურზე დგანან. სწორედ მათ ხელეწიფებათ ჭეშმარიტი, აღმაფრთოვანებელი, გამაკეთილშობილებელი გრძნობა. მათი სიყვარული ჩაისახება არაბეთისა და ინდოეთის ბრწყინვალე სამეფო კარზე და აქვე გვირგვინდება დიდებული ქორწილით.

იცვლება თუ არა ნაწარმოების პერსონაჟთა მოქმედების არეალი – იცვლება ადამიანთა ურთიერთობებიც. ვაჭართა

სამეფოში შეიძლება ჩაისახოს მხოლოდ ის სახეობა მიჯნურობისა, რომელსაც პოეტმა „სიძვა“ უწოდა და დაუპირისპირა ჭეშმარიტ, ამაღლებულ სიყვარულს.

2. სიყვარულის კურტუაზული დოქტრინის ძირითად ელემენტებს – „თავმდაბლობას“, „თავზიანობას“, „დუმილსა“ და „მოთმინებას“ წამყვანი ადგილი უჭირავს მიჯნურობის რუსთველურ კონცეფციაშიც. პროლოგში მიჯნურობაზე საუბრისას რუსთველი ყურადღებას ამახვილებს სიყვარულის „მალვასა“ და „არ-დაჩენაზე“: „ხამს, თავისსა ხვაშიადსა, არვისთანა ამჟღავნებდეს, არ ბედითა „ჰაის“ ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს, არსით უჩნდეს მიჯნურობა არასადა იფერებდეს, მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს“.

3. სიყვარული რუსთველთან, ისევე როგორც კრეტიენ დე ტრუასთან, არის გამაკეთილშობილებელი, ამამაღლებელი და საბრძოლო საქმეებისათვის აღმაფრთოვანებელი ძალა.

4. კურტუაზული servir-ის ელემენტები შეიძლება მოვიძიოთ რუსთველთანაც, ოღონდ გაცილებით შეცვლილი და „შერბილებული“ სახით. თუ, მაგალითად, კრეტიენ დე ტრუას რომანებში servir –ის მოტივს თითქმის სრულიად დაკარგული აქვს პირვანდელი მნიშვნელობა და მხოლოდ მანდილოსნისადმი გაწეულ სამსახურზე მიუთითებს, რუსთველთან მთელი პოემის მანძილზე გვხვდება მინიშნება იმის თაობაზე, რომ „სამსახური“, პირველ ყოვლისა, პატრონისა და ყმის ურთიერთობის ძირითადი ატრიბუტია და მხოლოდ ამის შემდგომ შეყვარებული წყვილისა. უფრო მეტიც. თუ კრეტიენთან სატრფო გათანაბრებულია სენიორთან და შეყვარებულის მიმართ იმგვარივე პოზიცია უჭირავს, როგორც სიუზერენს ვასალისადმი, რუსთველთან რაინდის ტრფობის ობიექტი რეალური

პატრონია თავისი მიჯნურისა, აქედან გამომდინარე, მისი შემწეც და მბრძანებელიც:

„ასრე გითხრა, სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად:
პირველ, ყმა ხარ, ხორციელი არავინ გყავს შენად სწორად,
მერმე, ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაჭორად".

ე.ი. „ვეფხისტყაოსნის" გმირ რაინდს ორმაგი სამსახური „მართებს" თავისი საყვარლისა - როგორც ყმას და როგორც მიჯნურს. ამ იდეით, შეიძლება ითქვას, გაჟღენთილია რუსთველის მთელი პოემა:

„პირველ ყმა ვარ, წასვლა მინდა პატრონისა სამსახურად,
ხამს მეფეთა ერთგულება, ყოფა გმართებს ყმასა ყმურად,-
მერმე ცეცხლი დაუვსია, აღარა მწვავს გულსა მურად".

მიუხედავად ამისა, პოემაში გვხვდება კურტუაზული servir -ის ტრადიციული ელემენტებიც, რაც გამოიხატება სატრფოსადმი „თავის კარგად გაჩვენების" მიზნით საგმირო საქმეთა ჩადენის აუცილებლობაში (მხედველობაში გვაქვს ნესტანის პირველი წიგნი ტარიელისადმი — „სჯობს, საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია!"), თუმცა საფუძველი ამ დავალებისა მეტად ღრმაა და არსებითად განსხვავდება იმ ორთაბრძოლათა და ტურნირებისაკენ მოწოდებებისაგან, რომელსაც ასე უხვად ვხვდებით რაინდულ რომანებში.

5. სიყვარულის კონცეფციის გადმოსაცემად რუსთველი იყენებს მსოფლიო ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებულ მოტივებს, როგორიცაა:

ა) სიშმაგე, გახელება, გაგიჟება.

ბ) „სისხლის ცრემლების ღვრა".

გ) ჩაუქრობელი ცეცხლით წვა.

დ) გულის დალახვრა და დაწყლულება.

ე) სიკვდილის ნატვრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) „ველად გაჭრა“.

ყოველი მათგანი უხვად არის გამოყენებული როგორც აღმოსავლურ სასიყვარულო ლირიკაში, ისე ეპიკაში და სამიჯნურო პოეზიის ისეთ ენციკლოპედიურ ნაშრომებშიც კი, როგორიცაა იბნ დაუდ ალ–ისპაჰანის თხზულება, „ვენუსის წიგნი“ და იბნ ჰაზმის „მტრედის ყელსაბამი“.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლური მიჯნურობისათვის დამახასიათებელი ეს ელემენტები მხოლოდ მზა ფორმულათა სახით გვხვდება რუსთველის პოემაში და ლიტერატურული გადამუშავების შედეგად თავისებური ინ–ტერპრეტაციით წარმოგვიდგება. ამ მოტივთა უმრავლესობას ვაწყდებით დასავლეთ ევროპის რაინდულ რომანშიც. შე–საძლოა, ისინი არაბული კულტურის გავლენით გადავიდნენ პროვანსში და ამ გზით შეაღწიეს კურტუაზულ ლიტე–რატურაში. ერთი რამ ფაქტია – მოყვანილი მოტივები გვხვდება როგორც „ვეფხისტყაოსანში“, ისე დასავლეთ ევროპის რაინდულ რომანებში, ოღონდ მეტ–ნაკლებად განსხვავებული ინტერპრეტაციით.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსთველური მიჯნურობა გახლავთ მწყობრი, ჩამოყალიბებული და თანმიმდევრული დოქტრინა სიყვარულისა, რომლის ცალკეული ელემენტებიც საკმაო მსგავსებას ამჟღავნებს ტრფობის კურტუაზულ კონ–ცეფციასთან. ზოგჯერ ეს „მსგავსება“ საკმაოდ ხელოვნური და სქემატურია, მაგრამ, უმრავლეს შემთხვევაში, ძალზე შთამ–ბეჭდავი და მკაფიო. ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს, მე–12 საუკუნის II ნახევრის ქართულ სინამდვილეში მომხდარი ძვრები დავუკავშიროთ გვიანდელი შუა საუკუნეების ევროპის პროგრესულ აზროვნებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ ა თ ა ძ ე ნ. რუსთველური მიჯნურობა და რენესანსი, თბ., 1966.
2. С м и р н о в А., Французский артуровский роман эпохи зрелого феодализма, в кн.: Пайэн из Мезьера, "Мул без узды", М-Л, 1934.
3. L e w i s C.S., The allegory of love, Oxford University Press, London, Oxford, New York,1973.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ელბაქიძე

მეფე-პატრონის მხატვრული სახის გაგებისათვის "ვეფხისტყაოსანსა" და დასავლეთ ევროპის რაინდულ რომანში

გვიანდელი შუა საუკუნეების ხელოვნების და, კერძოდ, ლიტერატურის ერთგვარ ღირსებად შეიძლება ჩაითვალოს გარკვეული უგულებელყოფა ისტორიზმის პრინციპებისა, რაც მჟღავნდება ახალი ჟანრებისა თუ თემების ძიების ხანგრძლივ პროცესში. კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში მომხდარმა ძვრებმა, ე.წ. „კულტურულმა აფეთქებამ" რომელმაც მე-12 საუკუნის შუახანებისათვის თითქმის მთელი ცივილიზებული მსოფლიო მოიცვა, თავისი ღრმა კვალი ლიტერატურულ პროცესსაც დაამჩნია. მკითხველს უკვე ნაკლებად აინტერესებს მრავალგზის გადამუშავებული ისტორიული თემატიკა, აღარ აღელვებს საუკუნეთა სიღრმიდან მომზირალი წინაპართა აჩრდილები, რომელთა უსიცოცხლო სახეებს სამარადისოდ შეჭყინვია სამარის მტვერი. მას უნდა მეტი დინამიკა, მეტი ავანტიურა, მეტი რომანტიკა. ყოველივე ზემოთქმული მძლავრ ბიძგად იქცა მხატვრული სინამდვილის ახალი კონცეფციის ჩამოსაყალიბებლად, რომლის ძირითად პრინციპსაც ისტორიზმის უარყოფა და გამონაგონის წინა პლანზე წამოწევა წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში ჩართული აღმოჩნდა ქართული ლიტერატურაც,

რომელმაც მე-11 საუკუნიდან მოყოლებული, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თანმიმდევრულად განვლო ყველა ეტაპი აღნიშნული ლიტერატურული კონცეფციისა. ეს უკანასკნელი ჰქონდათ მხედველობაში არჩილსა და მის მიმდევრებს, რომელნიც დაბეჯითებით მოითხოვდნენ „სპარსთა ნაჭორ ზღაპრებზე" უარის თქმას და ეროვნულ-ისტორიულ თემატიკაზე დაბრუნებას.

ზემოთქმული სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ გვიანდელი შუა საუკუნეების მწერლობამ საერთოდ უარი თქვა ყოველივე ტრადიციულზე და სრულ იზოლაციაში მოექცა უკვე არსებულთან და საუკუნეებით განმტკიცებულთან. „ახალმა" მწერლობამ სიღრმისეულად გადაამუშავა წარსულის ლიტერატურული მემკვიდრეობა და თავის ჩარჩოებში მოაქცია იგი. მკითხველს სჭირდება სწორუპოვარი გმირი? — იგი მსწრაფლ აღმოცენდა ფოლკლორისა თუ ლიტერატურული შემოქმედების ერთგვარი ნაზავისგან, ჩამოიფერთხა საუკუნეთა მტვერი და ახალი იდეალებითა თუ ხასიათის თავისებურებებით აღჭურვილი წარსდგა მკითხველი საზოგადოების წინაშე.

ახალმა იდეოლოგიამ ახალი ამოცანები დასახა თავისი ლიტერატურული გმირის წინაშე, — მის მხატვრულ სახეში ერთმანეთს შეერწყა ჰეროიკული, ინტელექტუალური და ესთეტიკური საწყისი. მოგზაურობის რომანტიკამ კი ავანტიურული ელფერიც შესძინა მის სახეს. წინა პლანზე წამოიწია იმგვარმა პრობლემატიკამ, რომელიც აქამდე ჩაკარგული იყო ბატალურ სცენათა სიმრავლეში, — მწერალმა ჩაიხედა თავისი გმირის შინაგან სამყაროში, შეიმეცნა, გარკვეულწილად, გაითავისა კიდეც იგი და მკითხველის სააშკარაოზე გამოიტანა. აქედან გამომდინარე, ლიტერატურული ქმნილება უფრო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიმზიდველი და საინტერესო გახდა, გმირთა გალერეა გამდიდრდა და გამრავალფეროვნდა.

ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს მხოლოდ ერთი ფიგურა მხატვრულ სახეთა ურიცხვი სიმრავლიდან, — ერთი, მაგრამ სწორუპოვარი და გამორჩეული. ეს გახლავთ მეფე-პატრონი, მონარქი, იგივე უზენაესი სიუზერენი, რომლის სახისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს გვიანდელი შუა საუკუნეთა მწერლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ლიტერატურულ გმირთა შორის მეფე ყველაზე „მკვიდრი" და სტატიკური პერსონაჟია. იმთავითვე ხაზგასმულია მისი განსაკუთრებულობა და უზეშთაესობა. ამას, გარკვეულწილად, ხელს უწყობს მონარქის ღვთაებრივი წარმოშობის კონცეფცია, რომელიც მეტ-ნაკლებად შუა საუკუნეების თითქმის ყველა ქვეყანაში გატარებული. „ვეფხისტყაოსნის" პროლოგში ჩამოყალიბებული იდეა, რომ „მისგან", ანუ ღმერთისგან „არს ყოვლი ხელმწიფე, სახითა მის მიერითა", თავის მხატვრულ ხორცშესხმას მთელი ნაწარმოების მანძილზე ჰპოვებს. მეფე რომ „ღვთის დანაბადია", ამას ადასტურებს ტარიელის ავთანდილისადმი მიმართული სიტყვები, — შენი პატრონი ხელმწიფობით „შემებრალნა" და ხელი არ შევახეო. ამ სიტყვებში ნათლად იკვეთება მონარქის ღვთისსწორობისა და ღვთის ხატად წარმოსახვის იდეა, რასაც კიდით კიდემდე გაუჟღინთავს რუსთველის პოემა.

ზემოთქმულთან პირდაპირ კავშირშია სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხიც. მეფე ღვთის ხატია, „ღვთის დანაბადია", აქედან გამომდინარე, ღმერთისგანვე მომდი-

ნარეობს მისი არაჩვეულებრივი, ერთი შეხედვით, ჰი-
ეროვნული ბიბლიოთეკა
პერბოლიზირებული თვისებები. მაგ. არაბეთის ტახტის მპყრობელი, როსტევან მეფე, „ღმრთისგანაა“ სვიანიც, მაღალიც, უხვიც, მდაბალიც, ლაშქარ-მრავალიც, ყმიანიც, მოსამართლეც, მოწყალეც, მორჭმულიც, განგებიანიც, უებრო მეომარიც და ენაწყლიანი მოსაუბრეც. ეს ხაზი გრძელდება მეფის ასულთან, თინათინთან მიმართებაშიც, რომლის ღვთისსწორობასაც ერთხმად ასაბუთებენ როსტევანთან სათათბიროდ მოსული ვაზირები. აქედან მომდინარეობს თინათინის არამიწიერი სილამაზე, ენით გამოუთქმელი კდემამოსილება, სიბრძნე, სიუხვე, კაცთმოყვარეობა და სხვა ადამიანური ღირსებანი.

ხელმწიფის ღვთისსწორობა ოდნავ ტრანსფორმირებული სახით არის წარმოდგენილი დასავლეთ ევროპის რაინდულ რომანში. როგორც ცნობილია, აქ ნაწარმოების ცენტრალური ფიგურაა მეფე არტური, რომლის გარშემოც კონცენტრირდება რომანის სიუჟეტი. მეფე არტურის მხატვრული სახის ძირები საუკუნეთა სიღრმეში, კერძოდ, კელტურ ფოლკლორში იკარგება. ფრანგული რაინდული რომანის განვითარების I ეტაპიდან, XII ს-ის 50-იანი წლებიდან მოყოლებული არტურის სახემ გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა, ოღონდ „რჩეულის“, „უზენაესის“ ატრიბუტები განვითარების ყოველ ეტაპზე შეინარჩუნა. თუ ადრეული შუა საუკუნეების ტრადიცია წარმოგვიდგენს მეფე არტურის ჰიპერბოლიზირებულ პორტრეტს, რომელიც წარმოადგენს ფიზიკურ თუ მორალურ სრულყოფილებათა ერთგვარ ნაზავს /სიმდიერე, გაბედულება, უძლეველობა, სიუხვე, სულგრძელობა, კურტუაზულობა, კეთილშობილება, ღმობიერება/, კრეტიენ დე ტრუას არტური

მხოლოდ მკრთალი ანარეკლი თუა „მრგვალი მაგიდის“ უცვლელი და მარადიული სენიორის მხატვრული სახისა. საქმე ისაა, რომ სწორედ ეს „მარადიულობა“, „მორჭმულობა“ და „უჭკნობი ბრწყინვალება“ გარკვეულ სქემატურობასა და სტატიკურობას ანიჭებს მეფის მხატვრულ სახეს და განსაზღვრავს მისი, როგორც პერსონაჟის ფუნქციას.

კრეტიენ დე ტრუას არტური გახლავთ მორჭმული და დიდებული მონარქი, ერთგვარი სიმბოლო „მრგვალი მაგიდის ორდენისა“. მისი ლანდი გამუდმებით თან სდევს რაინდებს ხანგრძლივი მოგზაურობისას, აღაფრთოვანებს მათ საგმირო თავგადასავლებისათვის. არტური მარადიულია ისევე, როგორც მისი სახელმწიფო და მისი „მრგვალი მაგიდის ორდენი“. დაუდგენელია მისი სამფლობელოს საზღვრებიც. იგი იქ არის, სადაც გამეფებულია ცხოვრების რაინდული წესი და ეტიკეტი. არტური, ზოგადად, რაინდული ინსტიტუტის ბურჯი და სიმბოლო გახლავთ. აქედან მომდინარეობს მისი სტატიკურობაც და სქემატურობაც, იგი თითქოს ჩაკეტილ წრეში მოძრაობს, უხილავი ძაფებით უკავშირდება ფათერაკების მაძიებელ თავის რაინდებს, ფეხმარდი შიკრიკების მეშვეობით არაერთგზის ღებულობს მათი ერთგულების ფიცს და ამრავლებს თავის ვასალთა რიცხვს მათ მიერ დამარცხებული მეტოქეებით. არტურის კარიდან იწყება რაინდთა თავგადასავლები და აქვე სრულდება. არტურს მოხსენდება დაწვრილებით რაინდთა მიერ ჩადენილი საგმირო საქმენი და ისიც, როგორც სიუზერენი, თანმიმდევრულად და ზედმიწევნით ასრულებს თავის მოვალეობას –სულგრძელობას, სიუხვესა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამობრივ მზრუნველობას არ აკლებს შორი გზიდან შინ დაბრუნებულ თავის ვასალებს.

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას აძლევს ცნობილ მედიევისტს, Donald Maddox-ს, მოაქციოს მეფე-სიუზერენის მხატვრული სახე გარკვეულ ფუნქციონალურ კატეგორიათა ფარგლებში და ამ კუთხით განიხილოს პერსონაჟის ხასიათი თუ მისი დამოკიდებულება საუკუნეებით ფესვგამდგარ ტრადიციებთან. /იხ. Donald Maddox, The Arthurian Romances of Chretien de Troyes, Once and Future Fictions,Cambridge, University Press, Cambridge, New York, Port Chester,1991/

უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერი ამ შემთხვევაში ეყრდნობა ფრანგული სიუჟეტოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის, ა. გრეიმასის ცნობილ მოდელს, რომლის მიხედვითაც ნაწარმოებში გამოიყოფა აქტანტთა ანუ მოქმედ პირთა ექვსი ფუნქციონალური კატეგორია, როგორებიცაა: 1. სუბიექტი – გმირი, რომელიც დავალების წარმატებით შესრულების შემდგომ იმსახურებს წყალობას. 2. ობიექტი, ანუ მოქმედების მოძრაობაში მომყვანი /მაგ. სიმდიდრე, ცოლი, ცოდნა და ა. შ./ 3. წარმგზავნი ან მბოძებელი /ხშირ შემთხვევაში მეფე/, რომელმაც შესაძლოა, შეითავსოს ორი ფუნქცია – გაგზავნოს სუბიექტი დავალების შესასრულებლად, რაც მის ინტერესებში შედის და, იმავდროულად, იყოს 4. მიმღებიც, ანუ ადრესატი. ზოგჯერ თავად სუბიექტმაც შეიძლება შეითავსოს ადრესატის ფუნქცია, თუ მისი გმირული ძალისხმევა მისსავე ინტერესებისაკენ არის მიმართული. /მაგ. თუ გმირი ისე იქორწინებს ქალზე, რომ მესამე პირი არ ჩაერევა, იგი არის სუბიექტიც და ადრესატიც. მისი საცოლე კი ობიექტიცაა და მბოძებელიც./

5. მოწინააღმდეგე / პიროვნება, ობიექტური მიზეზები, საკუთარი სისუსტე და ა.შ./, რაც ხელს უშლის სუბიექტს მიზნის მიღწევაში და პირუკუ, 6. დამხმარე ანუ ხელის შემწყობი (1,178-188).

მოცემულ მოდელზე დაყრდნობით, Donald Maddox –ი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კრეტიენ დე ტრუას რომანებში მეფე არტური ასრულებს ორ ფუნქციას – როგორც წარმგზავნისა (adressor), ისე ადრესატისა (adressee), თუმცა პირველი უფრო მკაფიოდ არის გამოხატული ნაწარმოებებში და უფრო მეტ ფუნქციურ დატვირთვას იძენს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ არტური გახლავთ გმირის ფათერაკისკენ წამქეზებელი და მისი ჰეროიკული თავგადასავლების არბიტრი. რაც შეეხება მეორე, ადრესატის ფუნქციას, Donald Maddox-ის აზრით, არტური, მართალია, ძალზე ყურადღებიანი მსმენელია, მაგრამ მის მიერ გმირთა თავგადასავლების მოსმენა ან მათი დაჯილდოვება მაინც არ არის არტურის ძირითადი როლი ან, უფრო სწორად, მისი ძირითადი ფუნქცია (5,22)

უნდა აღინიშნოს, რომ მეფე-სიუზერენის მხატვრული სახის დასახელებული ფუნქციონალური კატეგორიებით შემოფარგვლა არ არის შემთხვევითი და დასაბამს ფოლკლორში, კერძოდ კი ჯადოსნურ ზღაპარში იღებს. ამ საკითხს სათანადო ყურადღება დაუთმო ვ.პროპმა (იხ.Пропп В. Морфология сказки. 1928).

აღნიშნული მოდელი პირდაპირ შეიძლება მიესადაგოს რუსთველის „ვეფხისტყაოსანს", ოღონდ აქ პერსონაჟებს შორის როლების გარკვეულ გადანაწილებასთან ერთად ხდება ფუნქციონალური კატეგორიების გადაჯგუფებაც.

არაბთა მეფის როსტევანის მხატვრული სახე, რომლის შემოტანით იწყება „ვეფხისტყაოსნის“ ე.წ. თხრობითი ნაწილი, შეიძლება ითქვას, მთლიანად თავსდება მეფე-პატრონის იმ საუკუნეობრივი, ტრადიციადქცეული მოდელის ფარგლებში. იგი თავის თავში აერთიანებს და ამთლიანებს ადამიანისათვის დამახასიათებელ ფიზიკურ, მორალურ თუ ეთიკურ კატეგორიათა მთელ წყებას. თუმცა ნაწარმოებში იმთავითვე ხაზგასმულია, რომ აღნიშნული ატრიბუტები მოქმედების განვითარებასთან ერთად მხოლოდ სიმბოლური ელფერის მატარებელნი იქნებიან და ერთად შენივთებულნი შექმნიან გარკვეულ კვარცხლბეკს რომელზეც დაივანებს არაბეთის ტახტის ოდესღაც ღირსეული და ძლევამოსილი მპყრობელი. საქმე ისაა, რომ ნაწარმოებში წარმოდგენილი მეფე როსტევანის „მზე“ უკვე ჩასვენებულა, „გარდასრულს“ „ჭირთა უფრო ძნელი“ სიბერე „ჭირს“, რაც ოდესღაც მორჭმულ მეფეს იძულებულს ხდის, ნებაყოფლობით გავიდეს სცენიდან.

ამრიგად, როსტევანი სამეფო სკიპტრასა და გვირგვინს თავის ერთადერთ ასულს თინათინს გადაულოცავს და ამიერიდან ამ უკანასკნელს სამეფო ატრიბუტებთან ერთად მიენიჭება ყველა ის ფუნქცია, რაც უზენაეს სიუზერენს მეფე-პატრონს უნდა გააჩნდეს.

ნათქვამის დასადასტურებლად მოვიტანთ „უცხო მოყმის“ პოვნის ეპიზოდს. როგორც ნაწარმოების სიუჟეტიდან არის ცნობილი, როსტევან მეფე და ავთანდილი ნადირობისას წყლის პირას მჯდომ, მტირალ ჭაბუკს წააწყდებიან, რომელიც თავის ვინაობას არ გაუმხელს მონადირეებს, მის შესაპყრობად მოსულ მონებს დახოცავს და უგზო-უკვლოდ გადაიკარგება. მომხდარი ამბით მეტად დაჭმუნვდება მეფე როსტევანი, სასახლეში

დაბრუნდება და მხოლოდ ავთანდილს იახლებს. მამის ჭმუნვის მიზეზს შეიტყობს თინათინი და მეტად ბრძნულ რჩევას მისცემს მშობელს:

„მე ამას ვარჩევ: მეფე ხარ, მეფეთა ზედა მფლობელი
შორს არის თქვენი საზღვარი, ბრძანება მიუთხრობელი
გაგზავნე კაცი ყოველგან მისთა ამბავთა მცნობელი
ადრე სცნობ, არის იგი ყმა შობილი, თუ უშობელი".

მიუხედავად იმისა, რომ მოტანილ ტაეპში თინათინი როსტევან მეფეს ამკობს მეფეთ-მეფის ატრიბუტით, ეპიზოდიდან ნათლად ჩანს, რომ მეფე-სიუზერენის უფლება-მოვალეობანი, რომელიც გრეიმასის მოდელში „წარმგზავნის" ფუნქციონალურ კატეგორიაში თავსდება, მიემართება სწორედ თინათინს და არა როსტევანს, ვინაიდან სწორედ ეს უკანასკნელი პყრობს ამჯერად არაბეთის სკიპტრასა და გვირგვინს, მისგანვე მომდინარეობს უცხო მოყმის საძებრად შიკრიკთა წარგზავნის ინიციატივაც.

ზემოთქმულს უფრო მეტ დამაჯერებლობას სძენს მომდევნო ეპიზოდები პოემისა. თინათინის პირველი ძალისხმევა უშედეგოდ დასრულდება. „ცუდად მაშვრალნი" დაბრუნდებიან მის მიერ წარგზავნილი კაცნი, რადგან არათუ უცნობის მნახველს, მისი ამბის მცოდნესაც კი ვერვის წააწყდებიან. როსტევანი დამშვიდდება, „ეშმაკის სიცრუვე და სიბილწე" ვნახეო და გულიდან დარდს გადაიყრის:

„ესე თქვა და სიხარულით თამაშობა ადიადა
მგოსანი და მუშაითი უხმეს, ჰპოვეს რაცა სადა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დია გასცა საბოძვარი, ყველა დარბაზს შემოხადა
მისი მსგავსი სიუხვითა ღმერთმან სხვამცა რა დაჰბადა!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაგიეროდ, როსტევანის არგუმენტები ვერ გაფანტავს თინათინის კაეშანს. მას წყლის პირას მტირალი უცნობის მოგონება უკარგავს მოსვენებას, – „მას უკანით გონებამან მისმან ასრე დამამხოცაო“, – ეუბნება იგი თავის მიჯნურს, ავთანდილს და შესაფერის გადაწყვეტილებასაც იღებს: „წადი, იგი მოყმე ძებნე, ახლო იყოს, თუნდა შორად“.

საინტერესოა თვითონ ფაქტი თინათინისა და როსტევანის ამ კუთხით დაპირისპირებისა. თინათინს მოსვენებას არ აძლევს ის, რასაც იოლად ივიწყებს როსტევანი. თუმცა ჯერ მათი ჭმუნვის მიზეზს უნდა ჩავუღრმავდეთ ჯეროვნად. ნადირობის ინციდენტის შემდგომ როსტევანის ჭმუნვას ორგვარი ახსნა შეიძლება მოეძებნოს. ჯერ ერთი ის, რომ „უცხო მოყმე“ როსტევანმა და მისმა მხლებლებმა „უხორცოდ“ მიიჩნიეს და ყოველივე მომხდარი სატანის ხრიკებს მიაწერეს. ბოროტი საწყისის შემოჭრა კი ისეთ ჰარმონიულ და რაფინირებულ გარემოში, როგორიც არაბეთის სამეფოა, თავისთავად შემაშფოთებელი ფაქტია. მეორე, უფრო ღრმა მიზეზი თავად უცხო მოყმის მდგომარეობიდან მომდინარეობს. როსტევან მეფე და მისი ამალა მას წყლის პირას მჯდომსა და ცხარე ცრემლით მტირალს იხილავენ. როსტევანისთვის, როგორც რაინდთა წრის უზენაესი წარმომადგენლისათვის, უმთავრესი და უპირობო მოვალეობა გაჭირვებაში ჩავარდნილი მოყვასისათვის დახმარების ხელის გაწვდენა გახლავთ. „უცხო მოყმე“ კი, რომელიც საჭიროებს ამგვარ დახმარებას, უგზო-უკვლოდ გადაიკარგება და თავის პიროვნებას გაურკვევლობის სა-

ფარქვეშ მოაქცევს. როსტევანის ჭმუნვის მიზეზი რომ სწორედ ეს უკანასკნელი გახლავთ, ამაზე მოწმობს თვით მისი თინათინისადმი მიმართული სიტყვები – „რა უმძიმდა, არ ვიცოდი, ან ტიროდა ვისთვის კიდე“, – და ის ფაქტიც, თუ როგორ შეხვდება არაბეთის ყოფილი ხელმწიფე შიკრიკთა მიერ მოტანილ ამბავს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მეფე ბრძანებს: მართალ იყო ასული და ჩემი ძეო,
ვნახე რამე ეშმაკისა სიცრუვე და სიბილწეო,
ჩემად მტერად წამოსრული, გარდმოჭრილი ზეცით ზეო,
გამიშვია შეჭირვება, არა მგამა ყოლა მეო.“

ამას მოსდევს, ერთი შეხედვით, სრულიად მოულოდნელი საქციელი მეფისა „სიხარულით თამაშობის გადიდება“, მგოსანთა და მუშაითთა მოხმობა, საბოძვრის გაცემა.

ცხადია, როსტევანის ჭმუნვა მხოლოდ ეშმაკის ხრიკებისადმი ძრწოლით რომ ყოფილიყო გამოწვეული, შიკრიკთა მოტანილ ამბავს მისი ამგვარი რეაქცია არ მოჰყვებოდა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „უცხო მოყმე“ „უხორცო“ იქნებოდა, თავისთავად მოიხსნებოდა მტირალი, გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანის დახმარების აუცილებლობა. სწორედ ამ ფაქტის ამგვარმა გააზრებამ გაამხიარულა ჭმუნვით მოცული როსტევანი და მის კარსაც ჩვეული ხალისი და ბედნიერება დაუბრუნა.

მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შიკრიკთა მიერ მოტანილი პასუხი ვერ აკმაყოფილებს თინათინს. ის, რომ „უცხო მოყმის“ ვინაობა არავინ იცის, ვერ გამოდგება მისი სევდის განქარვების არგუმენტად. თინათინი, როგორც რეა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური მპყრობელი ტახტისა, როგორც რეალური პატრონი ქვეყნისა, უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობს და იღებს თავის თავზე, ვიდრე არაბეთის ექს-მეფე. მისი ხელმწიფური ბუნება იმგვარად არის მოწყობილი, რომ ძირისძირამდე ჩაჰყვეს მოვლენათა მსვლელობას, ამოწუროს ყველა შესაძლებლობა და მხოლოდ ამის შემდგომ მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება. ალბათ ამიტომ თინათინი ამ რთული საქმის მოგვარებას თავის სწორუპოვარ სპასპეტსა და ურთგულეს მიჯნურს, ავთანდილს მიანდობს.

ამ ეპიზოდთან დაკავშირებით რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი პრობლემაა განსახილველი. პირველ ყოვლისა, სამოქმედო ასპარეზზე გამოდის ახალი ფუნქციონალური დატვირთვის მქონე პერსონაჟი-სუბიექტი—ავთანდილი. მის შესახებ საკმაოდ ლაკონურ, მაგრამ მრავლისმეტყველ ცნობებს ვიღებთ პოემის პირველსავე პასაჟებიდან. სულ რაღაც ერთი ტაეპის ფარგლებში თავსდება ავთანდილის რუსთველისეული პორტრეტი, მაგრამ იგი მოიცავს სრულ ინფორმაციას პერსონაჟის ასაკის, წარმომავლობის, გარეგნობის და სულიერი მისწრაფებების, ამ შემთხვევაში, მიჯნურობის შესახებ. ავთანდილი მთლიანად თავსდება შეყვარებული რაინდის რუსთველურ „კოდექსში“, რომელიც პოემის პროლოგშია ჩამოყალიბებული. იგი წარმომავლობით საზოგადოებრივი კიბის ერთ-ერთ უმაღლეს საფეხურზე დგას, – არაბეთის სპასპეტია და თან ამირსპასალარის ძე, „ჯერთ უწვერული“ მოყმე არა მარტო გარეგნობით დაუჯილდოვებია უფალს, – მისი გული თინათინის სიყვარულს დაულახვრავს და დაუტყვევებია. მიუხედავად იმისა, რომ ავთანდილი ყველანაირად ცდილობს, დაფაროს თავისი გრძნობა, ეს შეუმჩნეველი არ დარჩება მისი

ტრფობის ობიექტს, რომელიც მთლიანად იზიარებს მის სიყვარულს.

აქ წამოიჭრება კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი. საქმე ისაა, რომ თინათინს კარგად აქვს შეგნებული, რომ მორჭმული მეფეა და ეს ფაქტი თავის სამიჯნურო ურთიერთობაშიც ახსენდება. მხედველობაში გვაქვს თინათინის მიერ ავთანდილის გაგზავნა „უცხო მოყმის" საძებრად. უნდა ითქვას, რომ შეყვარებული რაინდის მიერ მიჯნურისადმი გაწეული სამსახური უცილობელი მოტივია „ვეფხისტყაოსნის" მსგავსი ნაწარმოებებისა /ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ დასავლეთ ევროპის რაინდულ რომანებს/ გარდა ამისა, ამ უკანასკნელს განსაზღვრული ადგილი უჭირავს სიყვარულის კურტუაზულ კონცეფციაშიც, რომელიც მსჭვალავს გვიანდელი შუა საუკუნეების კულტურას. რაინდული კეთილშობილების კოდექსი, რომელშიც გარკვეული ადგილი აღნიშნულ კონცეფციასაც უჭირავს, შეყვარებული რაინდის უცილობელ თვისებად თავმდაბლობას მიიჩნევს. კერძოდ, მეტრფე ვალდებულია, დაემორჩილოს თავისი ქალბატონის ნება-სურვილს, რაოდენ ახირებული და აბსურდულიც არ უნდა ეჩვენოს იგი, უსიტყვოდ აიტანოს სატრფოს უსამართლო საყვედურები და ამ თავგანწირვის საფასურად მხოლოდ მისი კეთილგანწყობა მოითხოვოს. სატრფოსადმი გაწეული სამსახური ძალზე წააგავს იმ ვალდებულებას, რომელსაც იღებს ვასალი სიუზერენის წინაშე. ასე რომ, სატრფო არის არა მხოლოდ „ქალბატონია" თავისი მეტრფისა, არამედ „მბრძანებელიც"- midons. ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიყვარულის ფეოდალიზაცია" მიჩნეული გახლდათ სასახლის კარის უცილობელ ატრიბუტად. /4,2/.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურტუაზული „servir"-ის ელემენტები შეიძლება მოვიძიოთ რუსთველთანაც, ოღონდ გაცილებით ტრანს-ფორმირებული სახით. თუ დასავლეთ ევროპის რაინდულ რომანში servir-ის მოტივს თითქმის სრულიად დაკარგული აქვს პირვანდელი მნიშვნელობა და მხოლოდ მანდილოსნისადმი გაწეულ სამსახურზე მიუთითებს, რუსთველთან არაერთგზის გვხვდება მინიშნება იმის თაობაზე, რომ „სამსახური", პირველ ყოვლისა, პატრონისა და ყმის ურთიერთობის ძირითადი ატრიბუტია და მხოლოდ ამის შემდგომ შეყვარებული წყვი-ლისა. უფრო მეტიც, თუ, მაგალითად, კრეტიენ დე ტრუას რომანებში სატრფო გათანაბრებულია სენიორთან და შეყვა-რებულის მიმართ იმგვარივე პოზიცია უჭირავს, როგორც სიუზერენს ვასალისადმი, რუსთველთან რაინდის ტრფობის ობიექტი რეალური პატრონია თავისი მიჯნურისა, აქედან გამომდინარე, მისი შემწეც და მბრძანებელიც.

დავუბრუნდეთ კვლავ თინათინისა და ავთანდილის ეპიზოდს. არაბეთის ახალი ხელმწიფის სიტყვებიდან ჩანს, რომ ავთანდილს ორმაგი „სამსახური" მართებს თავისი საყვარლისა, -როგორც ყმას და როგორც მიჯნურს:

„ასრე გითხრა სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად-
პირველ ყმა ხარ, ხორციელი არავინ გყავს შენად სწორად...
მერმე ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაჭორად."

/მიუხედავად ზემოთქმულისა, „ვეფხისტყაოსანში" გვხვ-დება კურტუაზული servir-ის ტრადიციული ელემენტებიც, რაც გამოიხატება სატრფოსადმი „თავის კარგად გაჩვე-ნების" მიზნით საგმირო საქმეთა ჩადენის აუცილებლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხედველობაში გვაქვს ნესტანის პირველი წიგნი ტარიელისადმი — „სჯობს, საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია.“/

ამრიგად, როგორც ზემოთ განხილული ეპიზოდი გვიჩვენებს, თინათინი მთლიანად ითავსებს მეფე-პატრონის და, აქედან გამომდინარე, წარმგზავნის ფუნქციონალურ კატეგორიას, რასაც მოწმობს ავთანდილის შერმადინისადმი მიმართული სიტყვები:

„ პირველ ყმა ვარ, წასვლა მინდა პატრონისა სამსახურად
ხამს მეფეთა ერთგულობა, ყოფა გვმართებს ყმასა ყმურად,
მერმე ცეცხლი დაუვსია, აღარა მწვავს გულსა მურად!“

აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მხოლოდ თინათინმა და ავთანდილის უერთგულესმა ყმამ, შერმადინმა იციან რაინდის გამგზავრების ჭეშმარიტი მიზანი. როსტევან მეფე სრულიად კმაყოფილდება ავთანდილის მიერ შეთხზული მიზეზის დასახელებით. გადის სამი წელი. არაბეთს შემოქცეული ავთანდილი შერმადინს აგზავნის სასახლეში „მახარობლად“ და თავის ჩამოსვლას ამცნობს როსტევან მეფესა და თინათინს. სეფე-დარბაზში „მზეთა მზე“ თინათინისა და „უკადრი, მორჭმული, შეუპოვეელი“ როსტევანის წინაშე წარსდგება „ლომთა ლომი“ ავთანდილი და „წვრილად“ მოახსენებს მათ „უცხო მოყმის“ თავგადასავალს. მართალია, თინათინი გამხიარულდება „ამა ამბისა სმენითა“, მაგრამ არ კმაყოფილდება ფაქტების მხოლოდ მშრალი გადმოცემით და იმავე საღამოს თავისთან უხმობს ავთანდილს. ამ ეპიზოდში რუსთველი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ

ავთანდილისა და თინათინის შეყრა მხოლოდ შეყვარებული წყვილის სამიჯნურო პაემანი როდი იქნება. პირველ ყოვლისა, ავთანდილი თავისი რეალური პატრონის წინაშე უნდა წარსდგეს და სრულად მოახსენოს, „რა იცოდა, რა ნახული, რა ნასმენად.“ მართლაც, სურათი, რაც სატრფოსთან შესულ ავთანდილს წარმოუდგება, ცხადყოფს ზემოთქმულს:

„მზე უკადრი ტახტსა ზედა ზის მორჭმული, არ ნადევრი,
წყლად ევფრატსა უხვად ერწყო ედემს რგული ალვა მჭევრი,
ბროლ-ბადახშსა ამშვენებდა თმა გიშერი,წარბი ტევრი.“

როსტევანისგან განსხვავებით, თინათინს არ აკმაყოფილებს ოდენ „უცხო მოყმის“ ვინაობისა თუ სადაურობის შეტყობა. მის ცნობიერებაში ეს უკანასკნელი გახლავთ ყმა, რომელს „ცრემლი მოეხოცა“, ამიტომ პირველივე შეკითხვა, რაც გაუჩნდება ქალს მისი თავგადასავლის შეტყობის შემდეგ, გახლავთ „უცხო მოყმის“ წყლულის განმკურნავი წამლის ძიება. მიუხედავად იმისა, რომ თინათინმა „ჰპოვა წადილი გულისა“-დაიბრუნა „დაკარგულის მპოვნელი“ სატრფო და მიემატა მისი სიყვარულის რწმენა, იგი ვერ „მიხვდება საწადელს“ მანამ, ვიდრე არ უწამლებს „უცხო მოყმის“ ჭირს, არ ასრულებს თავის ზოგადადამიანურ ვალს. ამიტომ თინათინის გადაწყვეტილება ურყევი და საბოლოოა:

„შენ არ-გატეხა კარგი გჭირს, ზენაარისა, ფიცისა,
ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა,
ძებნა წამლისა მისისა, ცილნა ხამს მართ უციცისა.“

ბიბლიოთეკა

როგორც ვხედავთ, ავთანდილი, პირველ ყოვლისა, თინათინს, როგორც მის რეალურ პატრონსა და მიჯნურს, უმხელს თავის გადაწყვეტილებას, გაემგზავროს აწ უკვე დამეგობრებული ტარიელის დასახმარებლად და მისგან წასვლის ნებართვას იღებს. ამ თვალსაზრისს თითქოს, ერთი შეხედვით, ეწინააღმდეგება ავთანდილის მიერ ვაზირის მიგზავნა როსტევან მეფესთან გამგზავრების ნებართვის სათხოვნელად. მაგრამ, მეორე მხრივ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ როსტევანი, ვითარცა ყოფილი მეფე, სიმბოლურად ინარჩუნებს მონარქისათვის დამახასიათებელ ატრიბუტებს და, მიუხედავად იმისა, რომ იგი რეალურად აღარ გახლავთ მპყრობელი არაბეთის ტახტისა, ფორმალურად მაინც ავთანდილის პატრონად რჩება. მაგრამ აქვე მკაცრად არის გამიჯნული რეალური და ფორმალური სიუზერენის უფლება-მოვალეობანი. თუ ავთანდილი ოფიციალურად ითხოვს წასვლის ნებართვას თინათინისაგან, მისი თანხმობით ფრთაშესხმული, შეიძლება ითქვას, ფორმალურად აგზავნის ვაზირს გამზრდელთან და პატრონთან. ამ ეპიზოდით ნათლად ჩანს, რომ ავთანდილს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ტარიელის დასახმარებლად გამგზავრება და მის გადაწყვეტილებას როსტევანის უარიც კი ვერ შეცვლის: „არ გამიშვებს, გავიპარვი, წავალ მათგან შეუგებლად“. მართლაც, მას შემდეგ, რაც ვაზირის მოციქულობა „ამაოდ წახდება“, ავთანდილი როსტევანისგან უჩუმრად გაიპარება არაბეთიდან და თავისი ნაბიჯის გასამართლებლად ანდერძს დაუტოვებს გამზრდელს. როგორც ვხედავთ, ამ ეპიზოდშიც წარმგზავნის ფუნქციონალურ კატეგორიას კვლავ თინათინი, არაბეთის რეალური მეფე ითავსებს.

ზემოთქმულის შესაჯამებლად მოვიხმობთ ნაწარმოების ფინალურ ეპიზოდს, კერძოდ, გმირების არაბეთში მოსვლის ამბავს. აქ, ისევე როგორც ავთანდილისა და ვეზირის ეპიზოდში, ტარიელი როსტევან მეფესთან მიდის სამოციქულოდ, მაგრამ ტარიელის ძალისხმევა მიმართულია არა იმდენად განრისხებული პატრონისა და დამნაშავე ყმის შესარიგებლად /როსტევან მეფე იმდენად მოხარულია გაზრდილის დაბრუნებით, იმდენად „მოსწრაფეა" მისი ნახვისა, რომ უწინდელი წყენა აღარც ახსოვს /, არამედ მისთვის, როგორც მამისთვის, თინათინის ხელის სათხოვნელად – „მუხლმოყრილი გეაჯები, ნუღარ აწვევ იმათ ალსა, რომე მისცე ქალი თქვენი მკლავ-მაგარსა, გულ-ფიქალსა". როსტევანის თანხმობა – „მე სიძესა ავთანდილსა უკეთესსა ვპოვებ ვერა" და მისი შემდგომი სიტყვები ერთგვარი შეჯერებაა ზემოთ მოტანილი თვალსაზრისისა. როსტევანის პირით რუსთველი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ სწორედ თინათინია არაბეთის რეალური და ჭეშმარიტი პატრონი და მფარველი, ღმერთისა და მამის მიერ ხელდასხმული: „თვით მეფობა ქალსა ჩემსა მივეც, აქვს და მას ეფერა, ვარდი ახლად იფურჩქნების, მე ყვავილი დამებერა, რადმცა ვკადრე შეცილება, რასცა ოდენ იგი სჯერა." ე.ი. როსტევანის თანხმობა გახლავთ მშობლის მიერ ოდენ რიტუალური დადასტურება იმისა, რაც შვილს, ამ შემთხვევაში ქვეყნის პატრონს, განუზრახავს.

როსტევან მეფის თანხლებით გმირები მეფის „სამყოფ სახლს" მიაშურებენ, სადაც არაბეთის ტახტზე მორჭმით ზის სკიპტროსან-გვირგვინოსანი, პორფირით მოსილი თინათინი. სამეფო რეგალიები – სკიპტრა, გვირგვინი და პორფირის სამოსი ნათელყოფენ თინათინის, ვითარცა მეფის, „ღვთის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორობას“, „ღვთით დანაბადობასა“ და უზენაესობას/ ტარიელიც და ნესტანიც „მდაბლად უსალმებენ“ მას, ვითარცა უზენაეს გამგებელს ქვეყნისას.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეგვიძლია გამოვკვეთოთ თინათინისა და ავთანდილის, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ პერსონაჟთა, ფუნქციონალური კატეგორიები /მსჯელობისას ვიყენებთ გრეიმასის ზემოთ მოტანილ მოდელს/. თინათინი, ვითარცა მონარქი და უზენაესი სიუზერენი, ითავსებს სამმაგ ფუნქციას 1. იგი აგზავნის სუ- ბიექტს დავალების შესასრულებლად და არის წარმგზავნი – /adressor/, მეორე მხრივ, სუბიექტის მიერ აღსრულებული მისია შედის მისი, როგორც წარმგზავნის ინტერესებში,– პირველ შემთხვევაში მას სურს, გაიგოს უცხო მოყმის ვინაობა და ადგილსამყოფელი, მეორე შემთხვევაში, შეასრულოს თავისი ზოგადადამიანური მოვალეობა. აქედან გამომდინარე, იგი არის მიმღები ანუ ადრესატი /adressee/. დაბოლოს, თინათინი არის მიჯნური ავთანდილისა – მისი წამქეზებელი და აღმა- ფრთოვანებელი საგმირო საქმეებისთვის, აქედან გამომდინარე, მისი სიცოცხლისა და ამ ქვეყნად არსებობის მიზანი. ამიტომ თინათინი წარმგზავნისა და ადრესატის ფუნქციებთან ერთად ითავსებს ობიექტის ფუნქციონალურ კატეგორიასაც.

ავთანდილი, იმავდროულად, გახლავთ როგორც სუ- ბიექტი, აღმსრულებელი წარმგზავნის სურვილისა და ნებისა, ასევე მიმღებიც, ანუ ადრესატიც, როგორც თავისი სანუკვარი იდეალისა, თინათინის სიყვარულისა, ასევე არაბეთის სამეფო ტახტისა – „იგი მზე და ხელმწიფობა ასრე მიხვდა ვითა ღირსსა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავუბრუნდეთ ჩვენი კვლევის ძირითად მიზანსა და ამოცანას. დასავლეთ ევროპის რაინდულ რომანსა და რუსთველის „ვეფხისტყაოსანზე“ დაყრდნობით შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ გრეიმასის მოდელში ჩამოყალიბებულ ფუნქციონალურ კატეგორიათაგან „წარმგზავნისა“ და „მიმღების“ ფუნქციები, ძირითადად, უზენაესი სიუზერენის, მეფე – პატრონის მხატვრულ სახეს განეკუთვნება. თუ დასავლეთ ევროპის რაინდულ რომანში ამ ფუნქციათა მატარებლად რაინდობის სიმბოლო, „მრგვალი მაგიდის უცვლელი და უცილობელი სენიორი, მეფე არტური გვევლინება, „ვეფხისტყაოსანში“ მას ითავსებს არა ექს-მეფე, როსტევანი, არამედ თინათინი, როგორც ჭეშმარიტი და რეალური მპყრობელი სამეფო ტახტისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყენებული ლიტერატურა

1. Зарубежное литературоведение 70-х годов. Направления, тенденции, проблемы, М. , 1984.

2. Х о в а н с к а я З. Анализ литературного произведения в современной французской филологии, М. , 1980.

3. П р о п п М. , Морфология сказки, Л. , 1928.

4. L e w i s C. S. , The Allegory of Love, Oxford University Press, London, Oxford, New York, 1973.

5. M a d d o x D. , The Arthurian Romances of Chretien de Troyes, Once and Future Fictions, Cambridge, New York, Port Chester, Melburne, Sydney, 1991.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. საგინაშვილი

„ვეფხისტყაოსნის" უკანასკნელი გამოცემის რამდენიმე კონიექტურის თაობაზე

„ვეფხისტყაოსნის" ტექსტის მეცნიერული შესწავლა და კრიტიკული განხილვა, მისი პირვანდელი სახის აღდგენა ურთულესი ფილოლოგიური პრობლემაა. იგი დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და თუ გავითვალისწინებთ პოემის ეროვნულ მნიშვნელობას, მისი თავდაპირველი სახის დადგენა მეტად საპასუხისმგებლო და საპატიო საქმეა. „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის გაცხრილვა ჩანართ–დანართებისაგან, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, ხელნაწერებში მიჩქმალული ნამდვილი რუსთველური სტროფების მიგნება რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა.

თანამედროვე რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში შეიმჩნევა სწორი ტენდენცია: ხელნაწერებისეული ტექსტი შესწორდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. მაშასადამე, სათუოდ არის მიჩნეული პოემის გამოცემებში კონიექტურების შეტანა, ასევე დამახინჯებული ტექსტის მიხვედრითა და ალღოთი აღდგენა.

„ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის წევრები აცხადებენ: „რედაქციას პრინციპად აქვს,

მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართოს კონიექტურას".[1] კომისიის ეს პრინციპი გასაზიარებელია, რადგანაც ყოველი ახალი იკითხვისის შემოტანა სათუოა. გავიხსენოთ, როგორ განმარტავენ კონიექტურას: „კონიექტურა ლათინური სიტყვაა და მიხვედრას, მოაზრებას ნიშნავს. იგი დამახინჯებული ტექსტის აღდგენა, გასწორებაა მიხვედრითა და ალღოთი."[2]

ჩვენ კრიტიკულად განვიხილეთ „ვეფხისტყაოსნის" უკანასკნელ გამოცემებში შეტანილი კონიექტურები და, ვფიქრობთ, რომ პოემის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სწორი პოზიცია უნდა გავრცელდეს იმ კონიექტურათა აბსოლუტური უმრავლესობის მიმართაც, რომელთაც იგივე კომისია შესაძლებლად მიიჩნევს.

ამჯერად შევჩერდებით რამდენიმე მათგანზე.

. . .

უზომო სიხარულით მიეგება ასმათი ძმადნაფიცის სანახავად მისულ ფიცის შემსრულებელ ავთანდილს, კარგი ამბავი კი ვერ დაახვედრა: ტარიელს გამოქვაბულში ყოფნა გაუძნელდა, გაიჭრა, ამის შემდეგ არაფერი ვიციო. დამწუხრდა ავთანდილი, თითქოს ლახვარი ჩაარტყეს გულში: მე არ მოვატყუე, სიტყვა შევუნახე, თვითონ კი მიმტყუნაო.

ასმათმა ტარიელის დანაბარები გადასცა და თანაც უთხრა: შენ, გონზე მყოფი, მის მოქმედებას ვერ გაიგებ, ვერ შეაფასებო. ავთანდილი ჩივის, რომ იგი მოშორდა სატრფოს,

---

[1] საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1978, №2, გვ. 183.

[2] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, 1955, გვ. 1307.

მოიმდურა ღმრთის სწორი როსტევანი, ტარიელი კი ველად გაჭრილა და ადგილზე არ დახვდა. ბოლოს კი ასმათს მოახსენა:

„დაო, მეტსა საუბარსა აღარ მომცემს ჟამი და დრო,
არ ვინანი გარდასრულსა, ბრძენთა სიტყვა გავადადრო;
წავალ, ვძებნი, ანუ ვჰპოვებ, ან სიკვდილი მოვიადრო,
და თვარა ბედი აზომ თურე მიკვეთს, ღმერთსა რაღა ვჰკადრო!“
/856/[1]

იკითხვისი „გავადადრო" ივანე ლოლაშვილის კონიექ-ტურაა. მას იზიარებს „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია და აღნიშნავს: „რედაქცია შესაძლებლად მიაჩნია მეორე ტაეპის სარითმო სიტყვად მიღებულ იქნეს ი. ლოლაშვილის კონიექტურა – გავადადრო, რომელიც ნაწარმოებია სიტყვისაგან დადარი /=სამართლიანი/".[2]

ხელნაწერებსა და გამოცემებში იკითხება: გავაადრო, გავაყადრო, გავიკადრო, გავადარო, დავაღადრო, გავადროო, დავიქადრო.

„ვეფხისტყაოსნის" პირველ, ე.წ. ვახტანგისეულ გამოცემაში ეს სტროფი ასეა წარმოდგენილი:

„დაო მეტსა საუბარსა: აღარ მამცემს ჟამი და დრო
არ ვინანი გარდასრულსა: ბრძენთა სიტყვა გავაადრო
წავალ ვძებნი ანუ ვპოვებ: ან სიკვდილი მოვიადრო
და:თვარე ბედი აზომ თურმე: მიკვეთს ღმერთსა რაღა ვჰკადრო,"

---

[1] სტროფების სათვალავი ნაჩვენებია პოემის 1988 წლის გამოცემის მიხედვით.

[2] საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1979, №3, გვ. 188.

„ბალავარიანში“ არის ერთი იგავი „მჭურინავისათვის“ მასში „მჭურინავი“ თავისუფლების საფასურად კაცს სამ რჩევას აძლევს და მათ შესრულებას ურჩევს. ეს მცნებებია: „ნუ ეძიებ მიუწდომელსა, და ნუ ინანი გარდასრულსა, და ნუ გრწამნ, რომელი არა იყოს.“ [1] რჩევათა მიცემის შემდეგ ჩიტმა გამოსცადა კაცი და ამხილა იგი: „და აჰა ესერა შენ ინანი განტევებასა ჩემსა გარდასრულსა, და ეძიებ, რომელსა ვერ მისწუთები–შეპყრობასა ჩემსა, და გრწმენა არა ყოფილი, ვითარმედ მაქუს იპუანჩსა ჩემსა მარგალიტი უფროჲსი ჩემსა.“ [2]

„ბალავარიანის“ ამ იგავის ერთ სიბრძნეზე, კერძოდ, მომხდარი, განვლილი, წარსული ამბის გამო ფუჭი დარდისა და ნაღველის უაზრობაზე მიუთითებს რუსთველი ზემოთ მოყვანილი სტროფის მეორე ტაეპში:

„არ ვინანი გარდასრულსა, ბრძენთა სიტყვა გავადადრო.“

შევადაროთ ამ ტაეპს „ბალავარიანის“ სენტენცია: „ნუ ინანი გარდასრულსა“. ეს იგივე რუსთველის „არ ვინანი გარდასრულსაა.“

ამიტომაც, ვფიქრობთ, დასახელებული ე.წ. „სულთმარგებელი რომანი“ / „ბალავარიანი“ / ამ შემთხვევაში რუსთველის წყარო უნდა იყოს.

---

[1] ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, ა.შანიძის რედაქციით, თბ., 1957, გვ. 58.

[2] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშასადამე, „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი მოქმედი პირი ამბობს: არ ვინანი გარდასრულსა, აღარ ვნანობ მომხდარს, რაც მოხდა, მხოლოდ წუხილს იმის გამო, რომ ტარიელი გამოქვაბულში არ დამხვდა, აზრი აღარა აქვს. ამ სიტყვებს მოსდევს ჩვენთვის საინტერესო კონიექტურა, ტაეპის ბოლოს იკითხვისი „გავადადროს“ შემოტანა.

ვინაიდან „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის წევრები მისაღებად თვლიან ამ კონიექტურას, რომელიც ნაწარმოებია სიტყვისაგან დადარი-სამართლიანი, ტაეპი ამგვარად შეიძლება განიმარტოს: არ ვნანობ მომხდარს, ბრძენთა სიტყვა ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ი   გ ა ვ ხ ა დ ო.

კონიექტურის მიღების შესაძლებლობას, ჩვენი აზრით, ეწინააღმდეგება შემდეგი გარემოება: ჯერ ერთი, სიტყვა „დადარის“ /სამართლიანი/ და მისგან ნაწარმოები იკითხვისი „გავადადროს“ ხმარების არც ერთი შემთხვევა არ დასტურდება პოემაში. მეორე, რაც მთავარია, იკითხვისი „გავადადრო“ თავისი მნიშვნელობით ვერ აშინაარსიანებს ტაეპს, ამიტომაც კონიექტურა ხელოვნური ჩანს. ბრძენთა სიტყვა თავისთავად სამართლიანია, სიმართლეს ღაღადებს, ამიტომ იგი უნდა შეასრულო, შეუძლებელია შენი მოქმედებით სამართლიანი გახადო სიბრძნე, რომელიც, ვიმეორებთ, თავისთავად სამართლიანია, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი არ შეიძლება იყოს ბრძენთა ნათქვამი.

ხელნაწერთა და გამოცემათა უმრავლესობაში სადაო კონიექტურის ადგილას დამოწმებულია იკითხვისი „გავაადრო“. ვფიქრობთ, არ უნდა წამოჭრილიყო საკითხი მისი შეცვლის შესახებ.

ილია აბულაძე „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ სიტყვა „ადრეს“ ამგვარად ხსნის: „მალე, სწრაფად, მაშინვე“, „მსთუად“, „მეყსეულად“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომაც უფრო ლოგიკურია დაშვება აზრისა, რომ პოემის „ბრძენთა სიტყვა გ ა ვ ა ა დ რ ო“ ნიშნავს: ბრძენთა სიტყვა მალე შევასრულო, მეყსეულად აღვასრულო. ამგვარ გაგებას კონტექსტი უფრო იგუებს, ვიდრე ნებისმიერ სხვა კონიექტურას.

საინტერესოა თეიმურაზ ბაგრატიონის აზრი ამ ტაეპზე: „ბრძენთა სიტყვა გავაადრო“, ე.ი. „ბრძენთა სიტყვა ადრე და დაუგვიანებლად უნდა აღვასრულოვო“. [5]

ხელნაწერთა და გამოცემათა უმრავლესობაში დადასტურებული იკითხვისი „გავაადრო“ მართებულად სცნო იუსტინე აბულაძემ. „ვეფხისტყაოსნის“ 1926 წლის გამოცემაში ვკითხულობთ /სტრ. 741/:

„დაო, მეტსა საუბარსა აღარ მომცემს ჟამი და დრო,
არ ვინანი გარდასრულსა, ბრძენთა სიტყვა გავაადრო:
წავალ, ვსძებნი, ანუ ვჰპოვებ, ან სიკვდილი მოვიადრო,
და თვარე ბედი აზომ თურმე მიკვეთს, ღმერთსა რაღა ვჰკადრო.“

გამოცემაზე დართულ ლექსიკონში ხსენებული იკითხვისი ამგვარადაა განმარტებული: „გაადრება, 741,2. ადრე ქმნა, მალე შესრულება.“

---

[5] თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, თბ., 1960, გვ. 135.

სტროფში მის ამგვარ გაშინაარსიანებას პარალელი ეძებნება „ვეფხისტყაოსნის” სხვა ადგილებშიც. კერძოდ, გარდასრულს, რომელიც ტარიელის პოვნამ მოჰგვარა, ავთანდილი ამგვარად აღუწერს თინათინს /სტრ. 693/:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„...რა კაცსა სოფელმან მისცეს წადილი გულისა,
ხსოვნა არა ხამს ჭირისა, ვით დღისა გარდასრულისა.”

ზემოთქმული ნიშნავს: როცა ცხოვრება ადამიანს გულისწადილს შეუსრულებს, განვლილი დარდისა და უბედურების დამახსოვრება ისევე არ არის საჭირო, როგორც წარსული დღეებისა.

ვფიქრობთ, საჭიროა ყურადღება შევაჩეროთ ამ ტაეპის განმარტების რამდენიმე ცდაზე.

მას / აგრეთვე მთელ სტროფს / საგანგებოდ შეეხო კ. ჭიჭინაძე, რომელმაც მიუთითა ხელნაწერებისეული წაკითხვებისა და ბეჭდვითი გამოცემების უზუსტობაზე. მეცნიერი წერს: „ამ სტრიქონის გაუგებრობა გვაფიქრებინებს, რომ აქ უთუოდ დამახინჯებულია სიტყვა „გავაადრო”, ეს მით უფრო დასაშვებია, რომ მესამე სტრიქონსაც იგივე სარითმო სიტყვა აქვს /მოვიადრო/, მაგრამ იქ უკვე მართებულად. გაუგებრობას ისიც ამჟღავნებს, რომ პოემის ყველა რედაქტორი /ჩუბინაშვილის გარდა/ ამ სტრიქონის ბოლოს უსვამს ორ წერტილს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ვითომც გასაადრებელი ბრძენთა სიტყვები წარმოდგენილია მომდევნო სტრიქონებში, მაგრამ იქ არავითარი ზოგადი ხასიათის სენტენცია არ არის გამოთქმული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთელ ტაეპში ბრძნულ ნათქვამად შეიძლება წარმოვიდგინოთ წინა სიტყვები: „არ ვინანი გარდასრულსა."[1]

კ. ჭიჭინაძე ამ შემთხვევაში ხელნაწერისეულ ერთ იკითხვისს უჭერს მხარს და ტაეპის თავისებურ ინტერ-პრეტაციას გვაძლევს: „თავდაპირველად აქ ყოფილა არა „გა-ვაადრო", არამედ „გავაყადრო" /ან გავუყადრო/ და მთელი სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „არ ვინანი გარდასრულსა-ბრძენთა სიტყვა გავაყადრო". აზრი აქ ასეთია: ავთანდილი თავის სიტყვას / „არ ვინანი გარდასრულსა" / სთვლის სიბრძნის გამომხატველად და, მაშასადამე, იგი გაყადრებულია ბრძენთა სიტყვებთან. ამ გასწორების საფუძვლიანობას ადასტურებს ჩემი კუთვნილი ხელნაწერი და საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი №4988, რომლებშიც სწერია: „არ ვინანი გარდა-სრულსა-ბრძენთა სიტყვა გავადარო". აქ აზრი იგივეა, მხო-ლოდ რითმა არის დარღვეული."[2]

ვთვლით, რომ ამგვარი ახსნა ტაეპისა გაუმართლებელია. „ბრძენთა სიტყვა გავაყადრო" არ გულისხმობს, რომ „არ ვინანი გარდასრულსა" გაყადრებულია ბრძენთა სიტყვებთან.

„ვეფხისტყაოსნის" 1974 წლის სასკოლო გამოცემაში ვკითხულობთ:

„დაო, მეტსა საუბარსა აღარ მომცემს ჟამი და დრო,
არ ვინანი გარდასრულსა, ბრძენთა სიტყვა დავალადრო;
წავალ, ვძებნი, ანუ ვპოვებ, ან სიკვდილი მოვიადრო,
თვარა ბედი აზრად თურე მიკვეთს, ღმერთსა რაღა ვჰკადრო."

/868/

---

[1] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, კონსტანტინე ჭიჭინაძის რედაქციით, გამოკვლევით და შენიშვნებით, თბ., 1934, გვ. 281.
[2] იქვე.

ეროვნული

ალნიშნულ სტროფს ასეთი კომენტარი ახლავს: „ლადარი-უხეში, ძალმომრე, ბრძენთა სიტყვა დავ[illegible]-/წარსულზე სინანულით / ბრძენთა რჩევას გავაწბილებდი, დავარღვევდი".

ჩვენი აზრით, სტროფის ამგვარი განმარტება არა მარტო ხელოვნური და ნაძალადევია, არამედ აზრობრივად მიუღებელიც.

ამრიგად, კონიექტურა, რომელსაც მხარს არ უჭერს არც ერთი ხელნაწერი, ხელოვნურია და არც კონკრეტული სიტუაციისთვისაა შესაფერისი. სასურველია, მომავალ გამოცემებში ხელნაწერებით ნაანდერძევი იკითხვისი „გავაადრო" აღდგეს და ტაეპმა ასეთი სახე მიიღოს:

„დაო, მეტსა საუბარსა აღარ მომცემს ჟამი და დრო,
არ ვინანი გარდასრულსა, ბრძენთა სიტყვა გავაადრო,
წავალ, ვძებნი ანუ ვჰპოვებ, ან სიკვდილი მოვიადრო,
და თვარა ბედი აზომ თურე მიკვეთს, ღმერთსა რაღა ვჰკადრო."

მოცემულ შემთხვევაში საანალიზო სტროფი შეიძლება ასე განიმარტოს: დაო, მეტ საუბარს დრო აღარ მაცლის, აღარ ვნანობ წარსულ, გარდასულ ამბავს, რათა ბრძენთა სიტყვა სწრაფად აღვასრულო. წავალ, ვძებნი, ან ვიპოვი, ან სიკვდილს მოვიახლოვებ, თორემ ბედს ასე გადაუწყვეტია და ღმერთს რაღა შევბედო.

. . .

ასმათთან განშორების შემდეგ ატირებულმა ავთანდილმა ბევრი ეძება ტარიელი და ბოლოს დაბნედილი იპოვა. მოასულიერა და შეგონება დაუწყო. ტარიელი პასუხობს:

„რა სთქვი, რას იტყვი, არ მესმის, არცა მცალს სმენად ამისად,
სიკვდილი მახლავს ხელქმნილსა, სიცოცხლე არის წამისად;
აწ გამიარმდა სიცოცხლე მეტად ყოვლისა ჟამისად,
და მუნ მეცა მივალ, ცრემლისა, მიწად, სად გამდის ლამი, სად".

/882/

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკითხვისი „ამისად" პ.ინგოროყვას კონიექტურაა, რომელსაც ეთანხმება „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია.[9] ხელნაწერებსა და თითქმის ყველა ძირითად გამოცემაში იკითხება „მაგისად". პოემის პირველ, 1712 წლის ე.წ. ვახტანგისეულ გამოცემაში სტროფი ასეთი სახითაა წარმოდგენილი:

„რა სთქჳ რას იტყვი არ მესმის: არცა მცალს სმენად მაგისად
სიკვდილი მახლავს ჴელ ქმნილსა: სიცოცხლე არის წამისად
აწ გამიარმდა სიცოცხლე: მეტად ყოვლისა ჟამისად
და: მუნ მეცა მივალ ცრემლისა: მიწად სად გამდის ღამისად".

„ესე", „ეგე", „იგი" ჩვენებითი ნაცვალსახელებია, რომლებიც ორ ფუძეს გვიჩვენებენ, ერთს-სახელობითისათვის, მეორეს-დანარჩენი ბრუნვებისათვის. მათი თავისებურებაა ისიც, რომ აკლიათ წრფელობითი და წოდებითი ბრუნვები.

სახელობითი: ესე, მოთხრობითი: ამან;

სახელობითი: ეგე, მოთხრობითი: მაგან.

ნათელია განსხვავება:

„ეგ", ანუ როგორც ძველად იყო-„ეგე", მეორე პირთან ახლობლობას მიუთითებს, „ეს", ანუ „ესე"-პირველ პირთან.

---

[9] საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1979, №4, გვ. 177.

„ამისი"-პირველ პირთან არის ახლოს, „მაგისი" კი მეორე პირთან.

როცა ვსაუბრობთ იმის შესახებ, რაც (ან ვინც) მეორე პირთანაა ახლოს, უნდა იყოს „მაგის" და არა „ამის". ხსენებულ ლექსემათა ამგვარი გამიჯვნა მკაცრადაა დაცული პოემაში. როცა „ვეფხისტყაოსანში" გვხვდება იკითხვისი „ამისი", ყოველთვის იგულისხმება პირველ პირთან ახლოს მყოფი პირი. მაგალითად:

„ამისი საქმე უცხოა, საამბობლადცა ძნელია"

/1228,2/

მოცემულ სიტუაციაში როშაქი საუბრობს იმაზე, ვინც მასთან ახლოსაა, კერძოდ, ამ შემთხვევაში ნესტანის თაობაზე.

ვნახოთ სხვა მაგალითებიც:

„ამისად მოწმად ღმერთი მყავს, სათქმელად მეუცხოების"

/641,2/

„აქვს მიჯნურობა ამისი, ვითა ბულბულსა ვარდისა"

/81,3/

ე.ი. იმისა, ვინც მასთან ახლოს არის /ამ შემთხვევაში როსტევან მეფეს-ავთანდილისა/.

სხვა ვითარება დასტურდება, როცა პოემაში ნახმარია იკითხვისი „მ ა გ ი ს ი". ამ დროს იგულისხმება ის, ვინც მეორე პირთან არის ახლოს. მაგალითად:

„ძალი არ მქონდა ტყვექმნილსა მე მაგისისა თნებისა"

/792,2/

„შეუზახნა: " რა სთქვი, შმაგო, მაგას სხვამცა ვინ მითხრობდა!"

/754,3/

აშკარაა, აქ იგულისხმება არა ჩემთან, პირველ პირთან მყოფი, არამედ ის, რაც შენთან, მეორე პირთანაა ახლოს, რაც შენ გეკუთვნის, შენ, მეორე პირმა, თქვი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მხრივ, პოემაში აღრევები არა გვაქვს: „ესე" და „ეგე" ნაცვალსახელები მკაფიოდ უპირისპირდებიან ერთმანეთს სიახლოვე-სიშორისა და პირებთან მიმართების თვალსაზრისით.

თუ ამ ასპექტით შევხედავთ საკითხს, ნათელია, რომ მოცემული სტროფის პირველ ტაეპში უნდა იყოს იკითხვისი „მაგისად". აკი ტარიელი ეუბნება მის თანამოსაუბრეს /მეორე პირს/: არ ვიცი, რას ამბობ, არ მესმის და არც მცალია მ ა გ ი ს /შენი ნათქვამის/ და არა ა მ ი ს მოსასმენადო.

„რა სთქვი, რას იტყვი, არ მესმის, არცა მცალს სმენად მაგისად."

გასწორება ხელნაწერებით ნაანდერძევი ტექსტისა, ალბათ, გამოწვეულია იმ სურვილით, რომ სტროფში გამოჩნდეს სრული რითმა:

. . . ამისად
. . . წამისად
. . . ჟამისად
. . . ლამისად

ამ სურვილს არ უნდა ვანაცვალოთ ნათქვამის აზრობრივ-შინაარსობრივი მხარე, რუსთველისდროინდელი ქართული ენის ნორმა და პოემის ხელნაწერებით შემონახული ტექსტი, მით უმეტეს, რომ „ვეფხისტყაოსანში" დასტურდება არაზუსტი

რითმებიც. ნათქვამის დასადასტურებლად მოვიყვანთ რამდენიმე სტროფს პოემიდან:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„დავეთხოვე და გამიწყრა, მეფე მიეცა ჭმუნვასა.
დავყარენ ჩემნი ლაშქარნი, მით იზახიან მუნ ვასა;
გამოვიპარე, დავეხსენ სისხლისა ცრემლთა წურვასა,
და აწ ვეძებ მისთა წამალთა, ვიქ იქით-აქათ ბრუნვასა.“

/999/

„ესე ამბავი მას თანა ვთქვი დიაცურად, ხელურად:
ჩემსავე მოსლვა მის მზისა და გაპარება მელურად.
გამჟღავნებასა მექადდა არმოყვარულად, მტერულად,
და აწ ისრე მკვდარსა ვიგონებ , იშ, თავი ვიხსენ მე რულად!“

/1202/

„საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტარისი უხვდების:
ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების.
აქამდის ჭირი ჩემზედა, აწ ესე ლხინი უხვდების,
და რათგან შვება აქვს სოფელსა, თვით რად ვინ შეუწუხდების?"

/702/

დავუბრუნდეთ ისევ ზემოთ განხილულ სტროფს. ვფიქრობთ, უნდა აღდგეს იკითხვისი „მაგისად“ და სტროფმა დაიბრუნოს ის სახე, რაც მას ხელნაწერებში და პოემის ძველ გამოცემებში აქვს:

„რა სთქვი, რას იტყვი, არ მესმის, არცა მცალს სმენად მაგისად,
სიკვდილი მახლავს ხელქმნილსა, სიცოცხლე არის წამისად,
აწ გამიარმდა სიცოცხლე მეტად ყოვლისა ჟამისად,
და მუნ მეცა მივალ, ცრემლისა, მიწად, სად გამდის ლამი, სად."

. . .

ნესტან-დარეჯანის საძებრად მიმავალი ავთანდილმა მექარავანს შეეყარა. მეკობრეთაგან შეშინებული ბაღდადელი ვაჭრები დაამშვიდა და დახმარებას დაჰპირდა. გახარებული მექარავნენი ხომალდში ჩასხდნენ და სანაპიროს გასწვრივ გაცურეს, მაგრამ მეკობრეთა ლაშქრის სიმრავლის დანახვისთანავე შეშინდნენ, ავთანდილმა დაამშვიდა ისინი და მათი სიმხდალეც ამხილა:

„თქვენ, ვაჭარნი, ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი,
შორს ისრითა არ დაგხოცნენ, ჩაიხშენით თანა კარნი;
მარტო მნახეთ, ვით შევება, ვით ვიხმარნე ლომნი მხარნი!
და მეკობრისა ნავისანი სისხლნი ნახნეთ მონაღვარნი".

/1036/

იკითხვისი „მხარნი" კ. ჭიჭინაძისა და პ. ინგოროყვას კონიექტურაა. ამ კონიექტურას იზიარებს „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია.[1] ხელნაწერებსა და გამოცემათა უმრავლესობაში „მკლავნი" იკითხება. ორ ხელნაწერში ეს ტაეპი ასეთი სახითაა წარმოდგენილი: „მნახოთ მარტო ვით შევება ჯერან ჩემნი მეომარნი". ზოგჯერ იხმარება „ლომმან მკლავნი."

კონიექტურის შემოტანის აუცილებლობას კ. ჭიჭინაძე ამგვარად ხსნის: „ყველა ბეჭდვით გამოცემაში ამ ტაეპის მესამე სტრიქონის მეორე ნახევარი ასე იბეჭდება: „ვით ვიხმარნე ლომნი მკლავნი". ტაეპის რითმის შემადგენლობა კი არის „არნი" და შეუძლებელია რუსთაველს აქ ჰქონებოდა „მკლავნი". ნამდვილი სარითმო სიტყვა ამ შემთხვევაში „მხარნი" საგანგებო მოფიქრებას არ საჭიროებდა.[2]

---

[1] საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1981, №3, გვ.192.

[2] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, კონსტანტინე ჭიჭინაძის რედაქციით, გამოკვლევით და შენიშვნებით, თბ., 1934, გვ. 282.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვეფხისტყაოსნის" პირველ, ვახტანგისეულ გამოცემაში ეს სტროფი ასე იკითხება:

„თქვენ ვაჭარნი ჯაბანნი ხართ: ომისაცა უმეცარნი
შორს ისრითა არ დაგჰლცნენ: ჩაიხრჩენით თანა კარნი
მარტო მნახეთ ვით შევიბა: ვით ვიჰმარნე ლომნი მკლავნი
და: მეკობრისა ნავისანი სისხლნი ნახეთ მონალვარნი."

პოემაში სიტყვა „მხარის" ხმარების რამდენიმე შემთხვევა დასტურდება. ორ შემთხვევაში იგი გაკოჭვასთანაა დაკავშირებული:

„მოიტანნა მხარდაკრულნი, ერთმან ორნი არ დაყარნა."
/ 615,3/

„მოაგებნეს მხარდაკრულნი, მათ წინაშე მოასხმიდეს"
/ 1599,3 /

რამდენიმე შემთხვევაში ამ სიტყვის ხმარება ასეთ კონტექსტშიც გვხვდება:

„ზოგსა მხარ-თეძო დალეწა და ზოგსა სული ჰხდებოდა"
/ 990,3 /

„ღილჩახსნილი საამბოსლად დაჯდა, მხარნი ამოყარნა"
/ 305,1 /

სამ შემთხვევაში სიტყვა „მხარი" მიმართულების მაჩვენებელია:

„მონახა, პოვა ავთანდილ ნავი მისისა მხარისა"
/ 1320,1 /

„სხვასა მხარსა გაემართა, მათი ჭირი არ განკურნა"
/ 92,4 /

„ტარიელ სიტყვით ასწავლის მხარსა ფრიდონის გზისასა"
/ 944,1 /

მხოლოდ ერთი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ პოემიდან, სადაც მ ხ ა რ ი ვაჟკაცობის სიმბოლოა, მაგრამ აქაც მკლავითაა გამაგრებული:

„დავეცი, დავბნდი, წამიხდა ძალი მხართა და მკლავისა."
/ 346,2 /

პოემაში სიტყვა „მკლავი" მრავალგზის გვხვდება. „ვეფხისტყაოსნის" გმირები შეუდრეკელი, ფიცხელი, „დაუშრომელი" მკლავებით იბრძვიან და გამარჯვებასაც აღწევენ. „ლომი მკლავი" შოთასათვის ვაჟკაცობის გამოვლენის აუცილებელი ატრიბუტია.

ძლიერ მკლავს უქებს თავის საყვარელ გმირებს რუსთველი:

„აჰა მშვილდი და ისარი და მკლავი დაუშრომელი!"
/ 74,4 /

„ ხელთა ნაჭედი მათრახი ჰქონდა უსხოსი მკლავისა"
/ 84,3 /

„ ხრმალ–კაპარჭი მოიმაგრა, მკლავნი გაიმამაცურნა"
/ 92,2 /

„ვთქვით:" გავჩნდით მართალი, ვინ ვსჯობდით თავისა მკლავითა"
/ 199,2 /

„ჭმუნვით იტყვის: "მკლავნი ცუდ ქმნილან, ვაჲ, გმირთა მკუცხარენი!"
/ 343,4 /

„შენ მივმართე მკლავმაგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა"

ეროვნული ბიბლიოთეკა

/ 444,2 /

„პირსა უჭვრეტს გაკვირვებით, უქებს მკლავთა სიალმასა"

/ 1511,2 /

„რომე მისცეთ ქალი თქვენი მკლავმაგარსა, გულფიქალსა"

/ 1517, 4/

კონიექტურა გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ სტროფში გამოჩნდეს სრული რითმა:

. . . უ მ ე ც ა რ ნ ი
. . . კ ა რ ნ ი
. . . მ ხ ა რ ნ ი
. . . მ ო ნ ა ღ ვ ა რ ნ ი

თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, პოემაში არც თუ იშვიათად დასტურდება არაზუსტრითმიანი სტროფები.

კონიექტურის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის გარემოებაც, რომ პოემაში სხვა კონტექსტშიც იხმარება „ლომი მკლავი".

„ლომთა მკლავთაგან იმედი გაქვს, არა წყლულნი გტკივაან".

/ 1391,2 /

„ვეფხისტყაოსნის" სასკოლო გამოცემაში შესაბამის სტროფს ნ. ნათაძე ასეთ განმარტებას ურთავს: „მხარნი-მკლავები /მხრიდან მტევნამდე/".

დღეს ანატომიაში ზედა კიდურების ჩონჩხს სამ ნაწილად ყოფენ: მხარი, წინამხარი და მტევანი, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი დაყოფა არსებობდა რუსთველის დროსაც. პოემაში არ ჩანს, რომ „მხარი" და

„მკლავი“ იდენტური იყოს. რუსთველი არსად ცვლის „მხარს“ „მკლავით“ და, პირიქით.

ამ განმარტებით კონიექტურის ახსნა მართებული ვერ უნდა იყოს.

„ვეფხისტყაოსნის“ ზემოთ განხილული სტროფის კონიექტურა, რომელსაც მხარს არ უჭერს პოემის არც ერთი ხელნაწერი, მიუღებელი ჩანს.

ვფიქრობთ, სასურველია აღდგეს პოემის ყველა ძირითად ხელნაწერსა და გამოცემაში დადასტურებული იკითხვისი „მკლავნი“ და საანალიზო სტროფმა ასეთი სახე მიიღოს:

„თქვენ, ვაჭარნი, ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი,
შორს ისრითა არ დაგხოცნენ, ჩაიხშენით თანა კარნი;
მარტო მნახეთ, ვით შევება, ვით ვიხმარნე ლომმი მკლავნი!
და მეკობრისა ნავისანი სისხლნი ნახნეთ მონაღვარნი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემიგრანტული პერიოდიკის მიმოხილვა

დღეს უკვე საყოველთაოდ გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ ქართული მწერლობა არ არის მხოლოდ ის ლიტერატურა, რომელიც საქართველოში შეიქმნა. არსებობს მდიდარი ემიგრანტული ლიტერატურა – ისტორიული, მხატვრული, პოლიტიკური და ა. შ, რომლის გარეშეც არასრული იქნება XX საუკუნის ქართული კულტურა. ქართველ მეცნიერთა დიდ ინტერესს იწვევს და ქართული საზოგადოებრიობაც ყურადღებით ადევნებს თვალს საზღვარგარეთ მიკვლეული ყოველი ქართული სახელის, წიგნის, ჟურნალისა თუ გაზეთის გამოჩენას. ჩვენს პრესაში მომრავლდა სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის წერილები, სადაც საუბარია ქართველ ემიგრანტთა კულტურულ-ლიტერატურულ მოღვაწეობაზე.

ემიგრანტული ლიტერატურის შესწავლა საქართველოს არაერთ სამეცნიერო ცენტრში მიმდინარეობს. ერთ-ერთი ასეთი ცენტრია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ–საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია. ამ ლაბორატორიის არქივში ინახება პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის მიერ საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინებებიდან ჩამოტანილი ემიგრანტი ქართველი ექიმის და საზოგადო მოღვაწის გივი კობახიძის რედაქტორობით გამოცემული ჟურნალ–გაზეთები. ეს მასალა დამუშავდა ლაბორატორიის მეცნიერ–თანამშრომელთა მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ბეჟიტაძე

ემიგრანტული ჟურნალი „ქართველი ერი“

1943 წელს გერმანიაში, ქალაქ ბერლინში, სხვადასხვა თაობის ქართველმა ემიგრანტებმა დააარსეს „ქართული ეროვნული კომიტეტი“, რომლის თავმჯდომარედაც აირჩიეს მიხეილ წერეთელი.

უცხოეთში ქართველთა რიცხვი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში თანდათან მატულობდა ტყვეობიდან განთავისუფლებულ ქართველთა ხარჯზე. ეროვნული კომიტეტის მიზანს წარმოადგენდა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა გაერთიანება და დარაზმვა ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ. კომიტეტის მესვეურთა მხრივ ეს იყო უცხოეთში ეროვნული მოძრაობის გაჩაღების მცდელობა, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა მათ მხრივ გარკვეული პროგრამის შემუშავებას და ემიგრანტ ქართველთა შორის მის პროპაგანდას.

ეროვნული კომიტეტის დამაარსებელთა თვალსაზრისით იმ პერიოდში ფაშიზმი წარმოადგენდა ბოლშევიზმის დამარცხების ერთადერთ რეალურ ძალას; ხოლო საქართველო, რომელიც ბოლშევიკური რუსეთის კოლონიას წარმოადგენდა, დღითიდღე ჩანაგდებოდა დამპყრობთა ხელით. ამ ვითარებას ზედ დაერთო რუსეთ-გერმანიის ომი, რომელშიც ძალაუნებურად ჩვენი ქვეყანაც ჩაერთო, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა

ქართველთა ხვედრს. ქართველი ახალგაზრდები იძულებულნი იყვნენ ებრძოლათ წითელი არმიის რიგებში.

ეროვნულმა კომიტეტმა 1943 წელსვე გამოსცა საკუთარი ორგანო „ქართველი ერი". ამ ჟურნალის ხუთი ნომერი წარმოადგენს ჩვენი განხილვის ობიექტს, რომლის ფურცლებიდანაც საჩინო ხდება ეროვნული კომიტეტის მრწამსი. ჟურნალის რედაქტორი იყო გივი კობახიძე, რომელიც ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეა.

ჟურნალ „ქართველი ერის" ზემოაღნიშნულ ნომრებში მოთავსებულია პოპულარული ხასიათის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ისტორიული წერილები, რომლებიც ქართული ეროვნული კომიტეტის მიზანდასახულობას ემსახურება და ფართო მკითხველისათვის არის გამიზნული. ჟურნალში ასევე დასტამბულია ემიგრანტ ქართველ მწერალთა ნაწარმოებები, შალვა ამირაჯიბის და ნესტორ კალანდაძის /ქმაკი/ გარდაცვალების გამო მათდამი მიძღვნილი სტატიები, თავად გივი კობახიძის კრიტიკული წერილი „ქართული საბჭოთა მწერლობა".

ჟურნალის პირველ ნომერში გიორგი მალალაშვილის გ. ფრონელის ფსევდონიმით მოთავსებულ წერილში „ქართული ცენტრი" განმარტებულია ეროვნული კომიტეტის შექმნისა და დანიშნულების მიზანი. მასში განცხადებულია: „ეროვნულ კომიტეტს ევალება უცხოეთში თანამშრომლობა გერმანელებთან, აქ ქართველების გაერთიანება, მათი ხელმძღვანელობა და მათთვის ზრუნვა. ჩვენ არ გვინდა საქართველოში ჩავიტანოთ მისთვის სრულიად უცხო პოლიტიკური ფორმულები ან მომავალი საქართველოს მეთაურების სია. მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ საქართველო იქნება

ნაწილი ახალი ევროპისა და ამ ახალი ევროპისა და ჩვენი მთავარი ხაზები კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების საერთო იქნებიან“.

ამგვარად, ქართველ მოღვაწეთა ჯგუფი კვლავ ცდილობს ევროპული ორიენტაციის აღებას და მიზნის მისაღწევ ერთადერთ გზად მსოფლიო ომში გერმანიის გამარჯვება ესახება. ხოლო გერმანიის დამარცხების შემდეგ უთუოდ მთელს ევროპაში და შესაძლოა მსოფლიოშიც ბოლშევიზმის პარპაშს წინასწარმეტყველებს.

იგივე თვალსაზრისია გამოთქმული ლევან კერესელიძის წერილშიც „22 ივნისი“. ავტორს 22 ივნისი საქართველოს მომავალი თავისუფლების საწინდრად მიაჩნია. ლ. კერესელიძის აზრით, გერმანიის გამარჯვებას რუსეთზე საქართველოსთვის ორგვარი მნიშვნელობა აქვს: 1. ჩვენი ქვეყანა საბოლოოდ იხსნის თავს რუსეთის ბატონობიდან. 2. „იგი ნიშნავს ევროპული ცივილიზაციის გამარჯვებას კომუნისტურ-მარქსისტულ ბარბაროსობაზედ. ხოლო ქართველი ერის ბედი განუყრელად და ორგანულადაა გადაბმული ევროპის ცივილიზაციასთან“.

ზურაბ ავალიშვილის სტატიაში „დიდი სივრცეების თეორია“ განმარტებულია თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გავლენათა სფეროების გადანაწილების პროცესი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს მიმდინარეობდა. ავტორის აზრით, ამის შედეგი კი კავკასიისათვის ორგვარი შეიძლება იყოს: ან დარჩება იმ სივრცეში, რომელშიც გარემოებათა მიზეზით იმყოფება, ანდა „აწინდელი ომი მას სხვა სივრცეს დაუკავშირებს და თავისუფალ დამოუკიდებელ არსებობას განამტკიცებს და უზრუნველყოფს“.

ეროვნული

დავით ვაჩნაძე წერილში „მცირე შენიშვნები მნიშვნელოვან საკითხზე“ მკითხველს მოუთხრობს ქართველ ლტოლვილებზე: ვახტანგ მეექვსის ამალასა და ალექსანდრე და სოლომონ მეფეებზე, რომელნიც იძულებით სამშობლოს მოწყვეტილნი ისევ საქართველოზე ზრუნვაში დაშვრნენ. ავტორი ასეთადვე მიიჩნევს იმ ქართველ ემიგრანტებს, რომელნიც გერმანიაში მოღვაწეობით და გერმანელთა მხარეს ბრძოლით კვლავ საქართველოს კეთილდღეობისა და მისი თავისუფლებისათვის იბრძვიან. დ. ვაჩნაძე იქვე აღნიშნავს, რომ გერმანიაში მყოფ ქართველთა შორის შეიმჩნევა განხეთქილება. ძველი თაობის ემიგრანტები და ომის პერიოდში შემომატებულნი ერთად იბრძვიან საქართველოს განთავისუფლებისათვის და რომ არავის ხელეწიფება მათი გათიშვა. საინტერესოა მართლა ვინმე ცდილობდა მათ გათიშვას, თუ ქართული ხასიათის ნაკლოვანი თვისებიდან გამომდინარეობდა, რომ ერთმანეთთან შეთვისება უჭირდათ.

„ქართველ ერში“ დაბეჭდილია მიხეილ წერეთლის ნაშრომი „ეროვნული სოციალიზმი, სოციალური პრობლემა და საქართველო“. მასში განხილულია ეროვნული სოციალიზმის თეორია, ნაჩვენებია ის გზა კაცობრიობის ისტორიისა, რამაც მისი წარმოშობა განაპირობა, ასევე მოწოდებულია ავტორის თვალსაზრისი იმის თაობაზე, თუ განვითარების ამ გზაზე დადგომა რამდენად მნიშვნელოვანი იქნებოდა საქართველოსთვის. მიხეილ წერეთელი ეროვნული სოციალიზმის იდეასა და ქვეყნის მეურნეობის განვითარების ილია ჭავჭავაძისეულ თვალსაზრისს შორის პოულობს შემხებ წერტილებს.

ყოველივე ზემოთქმული, რასაკვირველია, სცილდება ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემებს, მაგრამ ვინაიდან ზემოაღნიშნული მასალა წარმოადგენს საკმაოდ ცნობილ და მნიშვნელოვან ემიგრანტ მოღვაწეთა პოზიციას, ემიგრაციის წლებში მათ მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევის გზების ძიებას, ამდენად საჭიროდ ვცანით მასზე შეჩერება. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიათა ავტორები უკრიტიკოდ იღებენ ფაშიზმის მოძღვრებასაც და მის პრაქტიკულ განხორციელებასაც. ამის ნათელი დასტურია თუნდაც მიხეილ წერეთლის მიერ წარმოთქმული სიტყვა ბერლინში 1943 წლის 26 მაისს, ასევე მისი წერილი „საქართველოს ცხოვრება და ბრძოლანი წარსულში“.

ათეული წლების მანძილზე იქმნებოდა ქართული ემიგრანტული მხატვრული ლიტერატურა, რომელიც განუყოფელი ნაწილია მე–20 საუკუნის ჩვენი ლიტერატურის ისტორიის. მას, რასაკვირველია, კუთვნილი ადგილი უნდა მიეჩინოს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ჟურნალ „ქართველი ერის“ ყოველ ნომერში დაბეჭდილია ემიგრანტ ქართველ პოეტთა ლექსები. ზოგი მათგანის მაღალმხატვრულ ღირსებაზე ძნელია საუბარი. მაგ., ვ. ველიძის „ქარტეხილი“, ალ. დარეჯანიძის „ქართველო, მუდამ გახსოვდეს!“, დ. თიანელის „ქართველ ლეგიონერებს“; ასევე დაბეჭდილია გრიგოლ რობაქიძის სამი ლექსი: 1943 წლით დათარიღებული „ქართველი დედის წერილი ომში გაყვანილ შვილისადმი“, „საქართველო“, რომელიც არ არის დათარიღებული და „გერა“ პაოლო იაშვილის დოგის მოგონება მაისში, შექმნილი 1926 წელს.

„ქართველი დედის წერილი ომში გაყვანილ შვილისადმი“ საერთოდ არ მიაგავს გრიგოლ რობაქიძის სტილს. ამის დასტურად თუნდაც ლექსის პატარა ფრაგმენტი იკმარებს:

ხმა მომესმა, შვილო, კართან გუშინა.
შენ მეგონე: გულმა ცემას უშინა.
წამოვვარდი. მეუცხოვა: არ იყავ
და საგულემ გული ცივად გარიყა.

შენი პაწია სიდონია, თმათაფლა,
მეკითხება შენზე ყველას უმალა.
„მალე მოვა“ – ვეუბნები ხმადაბლა,
ის კი მატყობს, რომ ცრემლებსა უმალავ ....

რაც შეეხება ლექსს „გერა“ მასში მწარე წინასწარმეტყველებაა პაოლო იაშვილის ხვედრის:

ლამაზო გერა! ვიცი, ძაღლის წაიღე წყენა.
ცრემლს ნუ მიჩვენებ, თუ გიყვარდე, ამასა გვედრი.
ვინ იცის, იქნებ შენი თრევა – მიყივლოს ენამ? –
იყოს აგრეთვე მოშხამული ჩემი მმის ხვედრი.
მიტოვებული, დავარდნილი ღვთის ანაბარად
ეგებ შენსავით იგი ერთხელ ჩაიქცეს ღრეში ....

საინტერესოდ მიგვაჩნია ჟურნალში დაბეჭდილი გივი კობახიძის წერილი „ქართული საბჭოთა მწერლობა“, რომელშიც ცენზურის ზეწოლისაგან თავისუფალი მკვლევარი წარმოაჩენს საბჭოთა პერიოდში ქართული მწერლობის განვითარების გზას, მიუთითებს იმ დაბრკოლებებზე, რომელიც

თრგუნავდა და ხელს უშლიდა მხატვრული ლიტერატურის ბუნებრივი დინებით განვითარებას. გივი კობახიძის აზრით, 1921 წლიდან 1930 წლამდე ქართულ მწერლობას კიდევ ჰქონდა შერჩენილი თავისუფალი შემოქმედებითი ტემპერამენტი, პათოსი და გაქანება. ამ პერიოდში ქართული მწერლობა კიდევ ცდილობდა უშიშრად ეთქვა თავისი გულისწადილი, თავისუფლად ეაზროვნა და ნაციონალური სულისკვეთება გამოემჟღავნებინა, თუმცა მტერი ამას დაჟინებით ებრძოდა. ბრძოლა კი ჩუმი და დაუნდობელი იყო. სტატიის ავტორი აღნიშნავს იმ ფაქტსაც, რომ 1923 წლიდან საქართველოში გამოვიდა და შემდგომ დაიხურა მთელი წყება ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთებისა: „ლომისი", „ბარიკადი", „ილიონი" „არიფიონი", „საქართველოს სამრეკლო", „კავკასიონი" და სხვ. გ. კობახიძე სამართლიანად მიიჩნევს ზემოდასახელებულ ორგანოებს ქართული მწერლობის კერად; აღნიშნავს იმასაც, რომ ფუტურისტებმა მიიღეს ოკუპანტები. ავტორი იქვე მიუთითებს, რომ ეროვნულ მწერლობას სასტიკად დევნიდა და ავიწროებდა „პროლეტარული მწერლობა". 1927 წლიდან იწყება ქართული მწერლობის შეუჩერებელი დეკადანსი და დეგრადაცია. ამ პერიოდში დაერივნენ ჩვენს სასიქადულო კლასიკურ მწერლობას, შებღალეს და ჩირქი მოსცხეს დიდებულ ქმნილებებს, რომლებიც თანამედროვე ეპოქისთვის მიუღებლად მიიჩნიეს. აღიკვეთა სკოლებში ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების სწავლება. მწერლებისაგან მოითხოვდნენ ეწერათ თანამედროვეობაზე. ავტორი იქვე მიუთითებს ამ საქმეში კრიტიკოს ბ.ბუაჩიძის როლზე და მის შემდგომ ბედზე.

1930 წლიდან საქართველოში მეტად შეიზღუდა თავისუფლება და შემოქმედებითი გაქანება. ყველაფერი იზღუდებოდა შეკვეთით და „გენერალურ ხაზთან“ შეფარდებით. მწერლები წერდნენ დირექტივებით. საბჭოთა მწერლობაში მიმდინარე ეს პროცესი კარგად შენიშნა ანდრეი ჟიდმა.1930-1934 წლებში საბჭოთა კავშირში გაჩნდა ლოზუნგი „ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური“ კულტურის შექმნის შესახებ. 1934 წლის მწერალთა ყრილობაზე მწერალს „ადამიანის სულის ინჟინერი“ უწოდეს. მოხდა სასწაული და დაიბეჭდა კლასიკოსთა თხზულებები, გადაიხადეს ილია ჭავჭავაძისა და რუსთველის იუბილე, თუმცა მათი შემოქმედება არასწორად იყო გაანალიზებული.

ზეწოლა მწერლობაზე გრძელდებოდა. მწერალთა ერთი ნაწილი ვერ შეეგუა შექმნილ ვითარებას და წერას თავი მიანება, ნაწილი გადაიხვეწა, ნაწილი კი ჩაეშვა ჭაობში, დამორჩილდა შექმნილ სიტუაციას და აყვა კარნახს. ზოგი მწერალი დაადგა თავისებურ მოწამებრივ გზას: ხოტბას ასხამდა სტალინს და ბერიას და ამით მალავდა სულიდან ერთხელ ამოკვნესილ ხმას, ანდა მმართველთა შექება-ოდებში გააპარებდა საწამლავს. ამგვარ მწერლებად მიიჩნევს ავტორი გალაკტიონსა და ტიციან ტაბიძეს. გალაკტიონი სიდუხჭირემ და მუდამ დაჭიმულმა ნერვებმა გაალოთა, ტიციანი კი არსებული რეჟიმის მსხვერპლი შეიქმნა. ის მწერლები, რომლებიც იძულებით მეთოდებს შეგნებულ წინააღმდეგობას უწევდნენ, შინსახკომის მსხვერპლნი გახდნენ. ამის მაგალითად გ. კობახიძეს პაოლო იაშვილის ტრაგიკული აღსასრული მოაქვს.

ძირითადად ასეთია საკითხთა ის წრე, რომელიც წარმოდგენილია ჟურნალ „ქართველი ერის“ პირველ ხუთ ნომერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ოქმელი

ჟურნალი „ჩვენი გზა“

1953 წელს ნიუ-იორკში გივი კობახიძის რედაქტორობით დაიწყო გამოსვლა პოლიტიკურ საზოგადოებრივმა ჟურნალმა „ჩვენი გზა“ / Our Path /. ჟურნალის ბოლო, მეხუთე ნომერი გამოვიდა 1961 წელს. „ჩვენი გზის“ პირველი სამი ნომერი ორენოვანია. წერილები დაბეჭდილია ქართულად და ახლავს მოკლე ინგლისური რეზიუმეები. იმის გამო, რომ ქართულად ბეჭდვა გაუძნელდათ ჟურნალის გამომცემლებს–საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკულ საბჭოს, მეოთხე და მეხუთე ნომრები მხოლოდ ინგლისურ ენაზეა დაბეჭდილი.

ჟურნალის „Our Path“ გამოსვლას აღტაცებით შეხვდა სომეხ ემიგრანტთა ინგლისურენოვანი გაზეთი „Hairenik Weekly“ და წერილი „გმირი ქართველი პატრიოტები“ უძღვნა ქართული ჟურნალის გამოცემას. მასში აღნიშნულია, რომ ეს არის ანტიკომუნისტური კრებული, რომლითაც ქართველი პატრიოტები ცდილობენ ქართული პრობლემა გააცნონ თავისუფალ მსოფლიოს.

ჟურნალის პირველი–მეორე ნომერი ერთ ტომად არის აწყობილი. რედაქცია აუწყებს მკითხველებს ახალი პერიოდული ორგანოს გამოცემის დაწყებას და იმედს გამოთქვამს, რომ იგი იქნება როგორც თვით რედაქციის, ასევე საზოგადოებრივი აზრის სწორი, მიუდგომელი და სინდისიერი გამომხატველი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დაუღალავი მქადაგებელი. ქართული ემიგრაციისადმი ერთგვარ

მოწოდებად გაისმის რედაქციის სიტყვები, რომ სწორედ ამერიკაში არის საჭირო ქართული საკითხის გონივრულად დაყენება, აქტიური მუშაობის გაჩაღება, მოქნილობა, გამჭრიახობა, ერთიანობა, საერთო სამოქმედო გეგმის დასახვა და ამ ხაზის მიყოლა. როგორც ჩანს, ეს მოწოდება აუცილებელი იყო, ვინაიდან რედაქციის აზრით, ამერიკაში მცხოვრები ქართული ემიგრაცია ქართული საკითხის წინ წამოწევაში ჩამორჩებოდა სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს.

1926 წელს ვასილ დუმბაძეს შეერთებული შტატების კონგრესის საგარეო საქმეთა კომიტეტში დაუყენებია საქართველოს საერთაშორისო უფლების და დამოუკიდებლობის საკითხი, რაც კონგრესს იმავე წლის აპრილში განუხილავს, გამოუცია წიგნიც, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მაშინ ვერ გამოუტანია. ვასილ დუმბაძის გარდაცვალების შემდეგ ამ საკითხს აღარავინ დაბრუნებია. 1931 წელს შეერთებულ შტატებში ქართული სათვისტომო დაუარსებიათ. მისი საქმიანობა იყო კულტურული, საზოგადო და საქველმოქმედო. 1948 წლიდან ევროპაში ემიგრირებული ქართველების ნაწილმა დაიწყო ამერიკაში გადასახლება.ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრებისას მათი უმეტესობა პოლიტიკით ყოფილა დაკავებული. ჟურნალის რედაქციის წერილში ნათქვამია: „ახალმა ჩამოსულებმა თან ჩამოიტანეს დიდი ენერგია, დინამიზმი, ერთგვარი ენთუზიაზმიც კი, სურვილი, მხნეობა, გამოცდილება და ნიჭი, მაგრამ საუბედუროდ თანვე მოაყოლეს ოცდაათი წლის განმავლობაში უსამშობლობაში შეძენილი მრავალი უარყოფითი თვისებაც: ინტრიგა, დემაგოგია, ენატანიობა და ჭორაობა, განდიდებისაკენ მისწრაფების მანია და სხვა. შეირყა მანამდე მშვიდი ცხოვრება შ. შტატების ქართ-

ველთა! ადუღდა ორას-სამას კაცამდე გაზრდილი სათვისტომო. „ქაოსსა და აღრეულობას გამოეყო ქართველთა ერთი ნაწილი და შექმნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო, რათა „აღესრულებინა თავისი წმინდა მოვალეობა დაპყრობილი სამშობლოს წინაშე.“ საბჭოს ბეჭდვით ორგანოს წარმოადგენდა ჟურნალი „ჩვენი გზა“.

მოწინავე წერილში, რომლის ავტორია გივი კობახიძე, ჩამოყალიბებულია ქართული ემიგრაციის როლი საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. იგი დაბეჯითებით აცხადებს, რომ საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების გამო, ყველაფერი უნდა გააკეთოს მისმა ემიგრაციამ უცხოეთში. ამისათვის კი საჭიროა ემიგრაციის ერთიანობა და ბრძოლა საქართველოს სრულ განთავისუფლებამდე.

გრიგოლ დიასამიძე წერილში „ცოტა რამ დიდ საგანზე“, პირდება მკითხველს, რომ ახალი ორგანო „ჩვენი გზა“ არ ასცდება ჭეშმარიტების ძიების გზას, ყოველი მოვლენა და ამა თუ იმ მოღვაწის მოქმედება იქნება სწორად განხილული და შეფასებული.

„ჩვენ გზაში“ გამოქვეყნებულ წერილთა ავტორები თავიანთ პოზიციას დაუფარავად, აშკარად გამოხატავენ და სწორედ ამდენადაა ეს გამოცემა ღირებული. მასში რეალიზდება ქართული ემიგრაციის გარკვეული ნაწილის ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრის პოლიტიკური შეხედულებანი, მათი გადმოსახედიდან დანახული საბჭოთა იმპერია, საბჭოთა ლიდერების მოღვაწეობა, კავკასიისა და კონკრეტულად საქართველოს მდგომარეობა და ამ მდგომარეობიდან გამოსვლის გზები.

ეროვნული

ვანო ნანუაშვილი ჩვენს ეროვნულ საკითხს განიხილავს მსოფლიო ვითარების ფონზე. იგი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მსოფლიოში პოლიტიკურმა ვითარებამ კაცობრიობა იქამდე მიიყვანა, რომ იმ ელემენტებმა, რომელთაც ეყრდნობოდა მსოფლიოს საერთაშორისო პოლიტიკური წონასწორობა, სრულიად დაკარგა ძალა, წონა და წინანდელი პოლიტიკური მნიშვნელობა. მათ აღარ აქვთ ის ღირსება, რომელზეც მსოფლიო წონასწორობა მთელი თავისი სიმძიმით ეყრდნობოდა. 1871–1914 წლები მშვიდობის ხანა იყო დედამიწაზე, რომელიც I მსოფლიო ომის დაწყების დღეს დასრულდა. მოკლე ხანში კი, აგრძელებს ავტორი, მოვლენათა ვითარება უკარნახებს მთელ კაცობრიობას, რომ სანამ საბჭოთა კავშირიდან არ იქნება გამოყოფილი დაპყრობილ ერთა ცოცხალი ძალები, მათი სამრეწველო პოტენციალი და მათი ტერიტორიის სტრატეგიული მნიშვნელობა და ღირსება, მანამ მსოფლიო ვერ იხილავს ზავს და მშვიდობას. ამასთანავე, საჭიროა მოხდეს განიარაღება მთელს მსოფლიოში. ავტორის აზრით, საქართველო და კავკასიის ყველა ერები ეკუთვნიან იმ ელემენტს კაცობრიობისას, რომელმაც უნდა შექმნას მსოფლიოს წონასწორობა და მიანიჭოს მას მშვიდობა.

ვ. ნანუაშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კავკასია წარმოადგენს ერთ მთლიან ელემენტს, განუყოფელ სარბიელს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს მსოფლიო მასშტაბის სამხედრო მნიშვნელობას. რაც შეეხება კავკასიის პოლიტიკურ მნიშვნელობას, მას მთელ მახლობელ აღმოსავლეთში შეაქვს მტკიცე წონასწორობა ადგილობრივ ძალთა განწყობილებაში, მაშინ როდესაც კავკასიის ყველა ერები თავისუფალნი არიან. ხოლო როდესაც კავკასია დაპყრობილია რომელიმე აგრესიული

სახელმწიფოს მიერ, მაშინ იგი წარმოადგენს იდეალურ სამხედრო ბაზას მთელი მახლობელი აღმოსავლეთის და-საპყრობად და ამით რეალურად ემუქრება მთელ სივრცეს. ავტორი ვრცლად ეხება კავკასიის გეოგრაფიას, რაც მისი აზრით, კავკასიის სამხედრო ღირსებათა კუთვნილებას წარ-მოადგენს. ვ. ნანუაშვილი განიხილავს სხვადასხვა შესაძლებელ სამხედრო მოქმედებებს და კავკასიონისა და შავი ზღვის აუზის როლს მეოცე საუკუნის ტექნიკის პირობებშიც. იგი ასევე განიხილავს საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალების დეს-ტრუქციის მოდელს, რომლისთვისაც შესანიშნავი ბაზის შექმნა შეუძლია კავკასიას.

გივი კობახიძე ფართოდ მსჯელობს სტალინისა და ბერიას მოღვაწეობის შესახებ. მისი ღრმა რწმენით, თუ სტალინი კრემლის იმპერიას ძღვნად არ მიართმევდა საქართველოს, იგი ვერ ჩაიგდებდა ხელში დიქტატორის სადავეებს. „წითელი იმპერიის“ სათავეში ჩასადგომად გადადგა მან ეს ნაბიჯი. ამას მოყვა გარკვეული წინააღმდეგობა. საქართველოს დაპყრობის შემდეგ სამი წლის განმავლობაში სამჯერ მოხდა აჯანყება ბოლშევიკ ოკუპანტების წინააღმდეგ. აჯანყებები ჩახშობილ იქნა. 1924 წელს 15 ათასი საუკეთესო ქართველი ბერიას ჩეკისტებმა დახვრიტეს. ბოროტების სათავედ გ. კობახიძეს არა პიროვნებები, არამედ სისტემა–კომუნიზმი, მარქსიზმი მიაჩნია. და თუ ეს სათავე არ მოისპო, სტალინები და ბერიები არ გამოილევა. ჯერ კიდევ 1953 წელს ავტორი თვლიდა, რომ მართალია სტალინი ცოცხალი აღარ იყო, მაინც არ შეიძლებოდა მივცემოდით უზრუნველობას და დავლოდებოდით, როდის დაინგრეოდა საბჭოთა კავშირი თავისთავად. „ბრძოლა კომუნიზმის წინააღმდეგ კი ჩვენი წმინდა მოვალეობაა რადგან,

ვინც მას არ ებრძვის, იგი ასე თუ ისე კომუნიზმს ამაგრებს. იგი ასე თუ ისე კომუნისტურ ბოროტებას ითმენს და მის არსებობას ახანგრძლივებს“, ეს სიტყვები კვლავ ჟურნალის რედაქტორს, გივი კობახიძეს ეკუთვნის. იგი ამ საკითხზე მსჯელობას აგრძელებს ბერიას დახვრეტის შემდგომაც. ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს სახელი მსოფლიოში უფრო ხშირად ამ ორ ჯალათთან დაკავშირებით მოიხსენიება. შემდეგ აღწერს, როგორ გააფართოვა სტალინმა წითელი იმპერიის საზღვრები 1917 წლიდან 1949 წლამდე. წითელი რუსეთისათვის იმ თავდადებას, რასაც სტალინი იჩენდა, გ.კობახიძე მის პიროვნულ თავისებურებად არ მიიჩნევს და იხსენებს სხვადასხვა შემთხვევებს ისტორიიდან-ივანე მრისხანე-გერმანელი, ეკატერინე მეორე, პეტრე მესამე-გერმანელები, რუსეთის იმპერიაში მომუშავე ოფიცრობის, უნივერსიტეტების პროფესურის, მინისტრების ერთი ნაწილი ასევე გერმანელები იყვნენ და თავგანწირვით იღწვოდნენ რუსეთისათვის. მას ნაპოლეონ ბონაპარტეს მაგალითიც მოყავს, იხსენებს სპარსეთის, ოსმალეთის, რუსეთის იმპერიებში მომუშავე ქართველებს და ასკვნის, რომ სტალინი არ ყოფილა პირველი არარუსი რუსეთის სათავეში. საქმე ისაა, რომ რუსეთიცა და საქართველოც ბოლშევიზმმა დათრგუნა. შემდეგ ავტორი სვამს საკითხს, ხომ არ გამომდინარეობდა ბერიას დაცემის ფაქტი ანტიქართულ განწყობილებიდან და ერთგვარად იზიარებს თეზას, რომ ბერიას და მასთან ერთად სხვა ქართველი და უკრაინელი რენეგატების განადგურება სწორედ ანტი-ეროვნული ხასიათიდან მომდინარეობდა. გარდა ამისა, გ. კობახიძეს მიაჩნია, რომ ქართველი მემარჯვენე კომუნისტების სისხლი აწევს სტალინს და ბერიას. ის კომუნისტები,

რომლებიც კიდევ ფიქრობდნენ საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფას, განადგურებულ იქნენ / ბუდუ მდივანი, ლევან ღოღობერიძე, შალვა ელიავა, გერმანე მგალობლიშვილი, მიხეილ კახიანი, მამია ორახელაშვილი და სხვ./. გ. კობახიძე პარალელს ავლებს მამულისათვის თავდადებულ პატრიოტ დიმიტრი ყიფიანსა და ბერიას შორის, რომელიც „სამშობლოს თავისი ინტერესებისათვის ჰყიდდა." ავტორი დაბეჯითებით შენიშნავს, რომ ბერია და მისი თანამზრახველები განადგურებულ იქნენ საბჭოთა სისტემის ვერაგული პოლიტიკის თანახმად და ბერია გაანადგურეს არა ქართველობისათვის, არამედ როგორც მალენკოვის კონკურენტი. ისევე როგორც სტალინი, ეროვნული წარმომავლობის მიუხედავად, თანაბარი სისასტიკით ებრძოდა ყველას, ვინც მის ბატონობას უშლიდა ხელს.

გ. კობახიძე დაბეჯითებით მიიჩნევს, რომ ასეთია ბოლშევიკური მორალი და ეს მორალი განაგრძობს არსებობას მანამდე, ვიდრე იარსებებს დედამიწაზე სისხლიანი იმპერია.

ჟურნალში დაბეჭდილია ილია გოლდმანის წერილი, რომელიც ეხება კერენსკის პროგრამის კრიტიკას ერთა თვითგამორკვევის საკითხზე. ავტორი სვამს კითხვას, რა მნიშვნელობა აქვს ერთა თვითგამორკვევის უფლებას, თუ ეს უფლება შეზღუდულია სხვა ნორმებით, ამ უფლებათა გადაწყვეტა გადადებულია სხვა განუსაზღვრელი დროით. ბოლშევიკებიც ცნობენ ერთა თვითგამორკვევას თვითგამოყოფამდე, მაგრამ იმავე დროს ართმევენ პრაქტიკული მოქმედების საშუალებას ამ უფლებათა განხორციელებისათვის, დასძენს ავტორი. ბოლშევიკების კვალს მისდევს ბ-ნი კერენსკიც, როდესაც აღიარებს, რომ ეს უფლება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ,

როდესაც მთელი ტერიტორია განთავისუფლდება კომუნისტური უღლისაგან. ეს იმას ნიშნავს, აგრძელებს მსჯელობას გოლდმანი, რომ მაგალითად, საქართველომ და უკრაინამ უნდა უცადონ იმ მომენტს, სანამ საბჭოთა იმპერია არ განთავისუფლდება.

შეერთებული შტატების საზოგადოებრივი აზრი თავდაპირველად ძალიან ძნელად ერკვეოდა რუსეთის პრობლემაში, მაგრამ დროთა ვითარებაში უკვე ყველაფერი ნათელი გახდა. ავტორი მიესალმება ამერიკული ჟურნალის „ფორაინ აფეირს“-ის შეხედულებას /1953 წლის ივლისი/, სადაც წამოყენებულია ზემოაღნიშნული პრობლემები. ეს ჟურნალი საკითხს შემდეგნაირად აყენებს, – რატომ არ შეიძლება გამოვიჩინოთ ასეთივე სიმპათია საბჭოთა კავშირის მიერ დამონებული ხალხის მიმართ, როგორსაც ვიჩენთ კოლონიალური ხალხის მიმართ.

„ჩვენ გზა“-ში დაბეჭდილია გრიგოლ დიასამიძის მიერ წარმოთქმული გამოსათხოვარი სიტყვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის – ნოე ჟორდანიას გარდაცვალების გამო. ჟურნალში ასევე მოთავსებულია ლადო არველაძის სიტყვა წარმოთქმული ნოე ჟორდანიას გარდაცვალების წლისთავზე.

ჟურნალი „ჩვენი გზა“ ადგილს უთმობს ისტორიულ თარიღებს, განმარტავს მათ მნიშვნელობას. ეროვნულ დღესასწაულთაგან უმნიშვნელოვანესად არის მიჩნეული 1 მაისი–მეფე თამარისადმი მიძღვნილი დღე. ღირსახსოვარ თარიღად აღიარებული 1920 წლის 7 მაისი, როდესაც მოსკოვში დაიდო ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას შორის და ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ როგორც 1783 წლის, ასევე 1920

წლის ხელშეკრულება საერთაშორისო დოკუმენტებით, რომლებიც დაარღვია რუსეთმა. ჟურნალი პატივს მიაგებდა 1923 წლის 15 მაისს წამებით დაღუპულ ქართველ პატრიოტებს. ამ დღეს ბოლშევიკების საოკუპაციო ხელისუფლების მიერ დააპატიმრეს და დახვრიტეს 15 ქართველი მამულიშვილი გაერთიანებული საქართველოს თავისუფლების კომიტეტის სამხედრო ცენტრში. ჟურნალში ასევე მოთხრობილია 1811 წლის 30 ივნისს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შესახებ, რომელიც 1917 წლის 17 მარტს აღდგა. ჟურნალში გაანალიზებულია 26 მაისის, 25 თებერვლის, 9 მარტის ისტორიული მნიშვნელობა და სხვ.

ჟურნალი „ჩვენი გზა" ბეჭდავს გრიგოლ დიასამიძის მოგონებას იონა მეუნარგიაზე, ილია გოლდმანის მოგონებას ევგენი გეგეჭკორზე, გრიგოლ რობაქიძისა და გივი კობახიძის წერილებს გრიგოლ დიასამიძის დაბადების 85 წლისთავზე.

ასეთნაირად გამოიყურება ნიუ-იორკში გამომავალი ჟურნალის „Our Path"- „ჩვენი გზა" მოკლე მიმოხილვა. ჟურნალის ხუთი ნომრის გაცნობისას გამოჩნდა, რომ მასში ყველაზე საგულისხმო და ნიშანდობლივია ავტორთა საერთო სულისკვეთება და ოპტიმიზმი. თითოეული მათგანი ცდილობს ხელი შეუწყოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და სრულიად ეჭვგარეშედ მიაჩნია, რომ ადრე თუ გვიან აღდგება საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს მოკლე მიმოხილვა გვინდა დავასრულოთ ციტირებით ლადო არველაძის ერთ-ერთი სტატიიდან: "Sooner or later the Russian communist fire will die in ashes! Georgia will rise again to glory and happiness!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო გაზეთი "ცნობის ფურცელი"

1953–54 წლებში გივი კობახიძის რედაქტორობით ნიუ-იორკში იბეჭდება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს საინფორმაციო რვეული „ცნობის ფურცელი".

მის პირველ ნომერში (1953 თებერვალი) განსაზღვრულია „ცნობის ფურცლის" დანიშნულება. ნათქვამია, რომ იგი არ წარმოადგენს „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საბჭოს" ოფიციალურ ორგანოს. არამედ მხოლოდ რვეულს, რომელმაც საბჭოს მოქმედების შესახებ ცნობები უნდა მიაწოდოს ორგანიზაციის წევრებს. იგი უფრო არის ორგანიზაციის პრაქტიკული მუშაობის ამსახველი და არა იდეური ორგანო. ამის შემდეგ ჟურნალში განხილულია „დამოუკიდებლობის აღდგენის საბჭოს" საორგანიზაციო საკითხები: 1952 წლის 5 ოქტომბერს ნიუ-იორკში საინიციატივო ჯგუფმა მოიწვია ქართველთა კრება, სადაც ფარული კენჭისყრით აირჩია გამგეობა 7 წევრის შემადგენლობით: ივანე ნანუაშვილი, ალექსანდრე სულხანიშვილი, გიორგი ღოღობერიძე, ვახტანგ აბაშიძე, გივი კობახიძე, ისიდორე გაჟონია და სანდრო ბარათელი.

ორგანიზაცია ჩამოყალიბებისთანავე შეუდგა მუშაობას: შეიმუშავა ახალი წესდების პროექტი, მოწოდებით მიმართა პარიზში მყოფ საქართველოს მთავრობას და საქართველოს

გარეთ არსებულ ყველა პოლიტიკურ პარტიასა და სათვის-ტომოებს, ასევე კავშირი დაამყარა საბჭოთა კავშირში შემავალ სხვადასხვა ერთა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან.

„დამოუკიდებლობის აღდგენის საბჭოს" დელეგატები შეხვდნენ ანტიბოლშევიკური ორგანიზაციის „ამერიკული კომიტეტის" თავჯდომარეს სტივენსს, რომელმაც მოიწონა „საბჭოს" მუშაობის გეგმები და დათანხმდა მათთან თანამ-შრომლობაზე.

ამის შემდეგ ჟურნალი ათავსებს ინფორმაციებს ქართული ემიგრაციისა და „დამოუკიდებლობის საბჭოს" შიდა ორგა-ნიზაციულ საკითხებზე: არის ცნობა ნოე ჟორდანიას გარ-დაცვალების შესახებ და თუ რა გამოხმაურება ჰქონდა ამ მოვლენას უცხოურ პრესაში. მოყვანილია ნაწყვეტი ნოე ჟორ-დანიას წერილიდან საბჭოს მიმართ გარდაცვალებიდან ორი თვით ადრე, სადაც ის უჩივის ევროპის ემიგრაციის დაქსაქსუ-ლობას და დაპირისპირებას და გამოთქვამს იმედს, რომ ამერი-კის ემიგრაცია მოახერხებს ამ დაბნეული ხალხის თავმოყრასა და გაერთიანებას.

ამავე ნომერშია მოთავსებული ორგანიზაციის დაარსების გამო გამოგზავნილი წერილები აკაკი პაპავას, გრიგოლ დიასამიძის, ფოთის ყოფილი მერის ალექსანდრე კორძაიას, გერმანიის ქართველთა სათვისტომოს თავჯდომარის გიორგი მალალაშვილის და სხვათა მიერ.

მეორე ნომერი (N 2–3 1953 წ. ივნისი ივლისი) იხსნება განვლილი ექვსი თვის განმავლობაში ორგანიზაციის მიერ ჩატარებული საქმიანობის ზოგადი მიმოხილვით. აქვე აღნიშ-ნულია, რომ რუსულ ემიგრაციაში დიდი შეშფოთება გა-მოუწვევია „საქართველოს დამოუკიდებლობის საბჭოს"

დაარსებას და მის მიერ მჭიდრო კავშირების გაბმას სხვა დაჩაგრულ ერთა ემიგრაციასთან. საქართველოს, აზერ-ბაიჯანის, ბელორუსიის, სომხეთის, უკრაინის და ჩრდილოეთ კავკასიის ბლოკს „ამერიკული კომიტეტისათვის“ წარუდგენია მემორანდუმი, სადაც მოითხოვენ, რომ შექმნილ მიუნხენის საკოორდინაციო ცენტრში თანაბარი ხმის უფლებით ისარ-გებლონ რუსულმა და არარუსულმა ანტიბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიქმნება ორი ცენტრი: არარუსი დაპყრობილი ერებისა და მეორე-მხოლოდ რუსული ორგანიზაციების ცენტრი. დაპყრობილ ერთა მოთხოვნილებები რუსული პოლიტიკური წრეებიდან გაიზიარა ვინმე ნიკოლაევსკიმ, დანარჩენები კი გაერთიანდნენ მელზუნოვის და კერენსკის ხელმძღვანელობის ქვეშ, რო-მელთაც საპასუხოდ მოახერხეს და ერთმანეთს დაუპირისპირეს დაპყრობილ ერთა ორგანიზაციები: სომხების, უკრაინელების და მათ შორის ვინმე გ. ვეფხვაძის ჯგუფი დაუპირისპირეს ქართულ პატრიოტულ ორგანიზაციებს. მათ შექმნეს ახალი ე.წ. ნამდვილი საკოორდინაციო ცენტრი, რომლის პრინციპია „единая, неделимая Россия".

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვე ლაპარაკია იმ უთანხმოების შესახებ, რაც გამოიწვია „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საბჭოს“ პარალელურად „ქართული ამერიკული ლიგის“ შექმნამ, რომელიც ცდილობდა თავისი უფლებები გაევრცელებინა ამერიკაში მცხოვრებ ყველა ქართველზე.

ამავე ნომერში გამოქვეყნებულია ცნობა იმის შესახებ, რომ ინგლისურ ენაზე გამოვიდა საქართველოს ყოფილი ფინანსთა მინისტრის-კონსტანტინე კანდელაკის წიგნი „სა-ქართველოს საკითხი თავისუფალი მსოფლიოს წინაშე“. აქვე

მოტანილია მრავალი კონგრესმენისა და სენატორის აზრი ამ წიგნზე. ისინი აღნიშნავენ, რომ ეს მნიშვნელოვანი ნაშრომი მათ საშუალებას აძლევს უკეთ გაიცნონ საქართველო. ჟურნალი ასევე იუწყება, რომ გამოიცა ივანე ნანუაშვილის წერილი ინგლისურ ენაზე,–„საბჭოთა კავშირის ძალა და სისუსტე". ეს ბროშურა განკუთვნილია ოფიციალური დაწესებულებებისა და დაინტერესებულ პირთათვის.

მეოთხე ნომერი (1953 დეკემბერი) იხსნება საშობაო მილოცვით მთელი ქართული ემიგრაციისადმი. რასაც მოსდევს ვრცელი პოლიტიკური წერილი გივი კობახიძისა „საერთო ხელმძღვანელობა". მასში გაკრიტიკებულია ამერიკული ქართული ლიგა, რომელმაც განაცხადა, რომ ქართულ ემიგრაციას სჭირდება საერთო ხელმძღვანელობა, რითაც დააკნინა პარიზში მყოფი ეროვნული მთავრობის უფლებები, იმ მოტივით, რომ მთავრობა არის სოციალ-დემოკრატიული და მარქსისტული, საპასუხოდ გივი კობახიძე აღნიშნავს, რომ ახალი „მთავრობის" ამორჩევა მხოლოდ მტერს გაახარებს და რომ მისი საფუძველი არის მხოლოდ და მხოლოდ კარიერიზმი, განდიდებისკენ ლტოლვა და ეგოიზმი. ნოე ჟორდანიას გარდაცვალების შემდეგ მთავრობის ხელმძღვანელობა დაევალა სამეულს: ევგენი გეგეჭკორს, აკაკი ჩხენკელსა და კონსტანტინე კანდელაკს და რომ ყველა პარტიამ უნდა სცნოს ეს მთავრობა. „დამოუკიდებლობის აღდგენის საბჭოს" მიაჩნია, რომ ოთხმა პარტიამ სოციალ — დემოკრატიულმა, ედპ–მ, სოციალ-ფედერაციულმა და თეთრმა გიორგიმ უნდა წარადგინონ დელეგატები საკრებულოში, რომელმაც უნდა იკისროს პარლამენტის როლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1953 წლის 13 სექტემბერს „დამოუკიდებლობის აღდგენის საბჭომ“ გამართა საზოგადო კრება, რომელიც ეძღვნებოდა ილიას მკვლელობიდან 46 წლისთავს და 24 წლის აჯანყებიდან 29 წლისთავს. დაპატიჟებული 80 კაციდან 35 მოიყარა თავი. ალექსანდრე სულხანიშვილმა გახსნა კრება. მოხსენებები წაიკითხეს ლადო არველაძემ (ილიას პიროვნებასა და შემოქმედებაზე), ვანო ნანუაშვილმა (24 წლის აჯანყება და მისი გაკვეთილები).

კრების შესახებ ინფორმაციას მოსდევს ორგანიზაციის „წლიური საარჩევნო კრების“ ოქმი, სადაც განხილულია ორგანიზაციის განვლილი მუშაობა, ხარჯთაღრიცხვა და სხვა საკითხები.

„ქრონიკის“ რუბრიკით დაბეჭდილია ცნობა, რომ მოხუცებულ ალექსანდრე სულხანიშვილს, რომელიც ქარხანაში დურგლად მუშაობდა, ჩატეხია ფიცარი და მესამე სართულიდან ჩამოვარდნილა, რის გამოც მძიმედ დაშავებულა, მაგრამ სიკვდილს გადაურჩა.

იმავე წლის 13 დეკემბერს შემდგარა ამერიკის სათვისტომოს კრება და არჩევნები, რომელიც ათასგვარი ხრიკებით და ეშმაკობით ჩატარებულა.

დაბეჭდილია ინფორმაცია, რომ ომის შემდეგ ჩამოსულმა ემიგრანტებმა გამოიჩინეს მუყაითობა და გაიჩინეს საკუთარი ბიზნესი: გიორგი ბოჭორიშვილმა-ავტოსარემონტო საქმე, ნიკოლოზ ზუხბაიამ გახსნა საკუთარი სადალაქო, გ.შუღლიაშვილმა-სახარაზო და ზ. აბულაძემ საათების სახელოსნო.

ჟურნალის მეხუთე ნომერი (1954 წ. აგვისტო) იხსნება ცნობით, რომ გარდაიცვალა ევგენი გეგეჭკორი. მოთავსებულია

გივი კობახიძის ვრცელი ნეკროლოგი, აგრეთვე ლადო ბოვე-ლაძის სიტყვა, რომელიც უნდა წარმოეთქვა სამოქალაქო პანაშვიდზე, მაგრამ დროის უკმარისობის გამო ვერ მოხერხდა, ასევე ვანო ნანუაშვილის წარმოთქმული სიტყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვეა ცნობა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის ვალოდია გოგუაძის გარდაცვალების შესახებ და ვანო ნანუაშვილის ნეკროლოგი.

ინფორმაციის სახით ნათქვამია, რომ ბუენოს-აირესში ქართველმა სათვისტომომ მოაწყო კრება ევგენი გეგეჭკორის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. სამგლოვიარო სიტყვა წარმოუთქვამს ვიქტორ ნოზაძეს.

1954 წლის 20 ივნისს ბუენოს-აირესში სათვისტომოს წლიურ კრებაზე მესამედ სათვისტომოს თავჯდომარედ არჩეულ იქნა ვიქტორ ნოზაძე. გამგეობის წევრებად: დავით ლოლობერიძე, გაბო გეგელაშვილი, კოტე ვაშაძე, ი. შალე-ლაშვილი და ნ. ელიავა.

ბუენოს-აირესშივე გარდაიცვალა ქიმიკოსი თენგიზ ქართველიშვილი, რომელიც ცნობილი ყოფილა თავისი პატი-ოსნებითა და გულმოწყალებით.

ლოს-ანჯელესში გარდაიცვალა ცნობილი მწერალი სანდრო ნებლო (პაპუაშვილი).

ჟურნალის ბოლოს არის გადმობეჭდილი გაზეთ "კომუ-ნისტიდან" ვასილ მჟავანაძის სიტყვის ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ კაცისმკვლელთა ჯამუშთა ბანდამ (მხედ-ველობაშია ბერია) დაღუპა წარსულში ბევრი ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და მეცნიერი. და რომ კომუ-ნისტური პარტია ვალდებულია ამხილოს ის ცილისწამებები, რომლითაც შეურაცხყვეს და უსამართლოდ მსჯავრი დასდეს

პატიოსან ადამიანებს მიხეილ ჯავახიშვილს, ტიციან ტაბიძეს, და პაოლო იაშვილს. სათანადო ორგანოების გადაწყვეტილებით ეს პირნი რეაბილიტირებულნი არიან.

ამავე ნომერში დაბეჭდილია ორი სახუმარო წერილიც, რომელშიც გამათრახებულია ქართული ემიგრაციის ერთი ნაწილი. ამ წერილს ხელს აწერს ანონიმი ავტორი ქაცვია მწყემსის ფსევდონიმით.

მეექვსე ნომერი (1954 წ. ნოემბერი). წინა ნომერში დაბეჭდილ ქაცვია მწყემსის სახუმარო მოთხრობებს ემიგრაციის გარკვეულ ნაწილში, რომელთაც თავიანთი თავი დაინახეს მასში, აღშფოთება გამოუხატავთ, მაგრამ რედაქცია თავიდან იცილებს პასუხისმგებლობას იმ მოტივით, რომ აშშ დემოკრატიული ქვეყანაა და პრესაც დემოკრატიულია, ამიტომ მას ყოველგვარი უფლება აქვს დაბეჭდოს სახუმარო წერილები, რომლებიც არ შეიცავენ პირად შეურაცყოფასა და ცილისწამებას.

აქვეა მოთავსებული ფელეტონი „საიდუმლო სერობა“ ანარის ფსევდონიმით, რომელიც მიმართულია ემიგრაციის ძალაუფლების მოყვარე ნაწილისადმი.

ნომერში მოთავსებულია ა. სულხანიშვილის ღია წერილი „დამოუკიდებლობის აღდგენის საბჭოსადმი“, სადაც აღნიშნავს, რომ 53 წლის 26 მაისს დღესასწაულზე ვინმე არჩილ კეკელიას შეურაცხყვია ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი რაზმი, უწოდა რა მათ ქათმის ქურდები. სულხანიშვილს დღესასწაულის გამო პასუხი არ გაუცია იმ იმედით, რომ მსგავსი აღარ განმეორდებოდა, მაგრამ კეკელიამ შემდეგაც რამდენჯერმე უწოდა რაზმელებს ქურდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულხანიშვილი წერს, რომ უცხოეთში მას არ გააჩნია საშუალება ცილისწამებაზე პასუხის გასაცემად, ამიტომ შესაძლებელია კეკელიას ბრალდება ვინმემ დაიჯეროს და ამით „დამოუკიდებლობის საბჭოს" ჩირქი მოეცხოს, რის გამოც იგი უარს ამბობს საბჭოს გამგეობისა და ორგანიზაციის წევრობაზე.

ამის გამო ორგანიზაციამ მიმართა თხოვნით ამერიკის ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარეს ლევან დუმბაძეს, რათა მიეღო შესაბამისი ზომები არჩილ კეკელიას მიმართ.

ნომერში დაბეჭდილია ლადო არველაძის ნეკროლოგი ვალოდია გოგუაძის გარდაცვალების გამო. აგრეთვე ნესტორ ალავიძის წერილი „ალექსანდრე პაპუაშვილის ხსოვნას".

ნომრის ბოლოს მოთავსებულია ქაცვია მწყემსის „განცხადება", სადაც ნათქვამია, რომ მის „მოთქმაში" არ იგულისხმებიან არც მიხ. დადიანი და არც პავლე სამანიშვილი.

მ. ბ ე შ ი ტ ა ძ ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემიგრანტული პერიოდიკის ერთი ფურცელი გაზეთი „ქართველი ერი"

1989 წლის 5 მაისს ლონდონის უნივერსიტეტში ჩატარდა ქართველოლოგიის დღე, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ სპეციალისტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ, რომელიც მონაწილეობდა ამ ღონისძიებაში, ინგლისიდან ჩამოიტანა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიას გადასცა 1955 წელს ნიუ-იორკში გამოცემული ლიტერატურული, ისტორიული, საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთის „ქართველი ერის" პირველი ნომერი, რომლის დამაარსებელ-რედაქტორიც გახლდათ გივი კობახიძე.

გაზეთის მიმართვაში გაცხადებულია „ქართველი ერის" მიზანდასახულობა და შინაარსი; მითითებულია, რომ იგი არ წარმოადგენს რომელიმე კონკრეტული ორგანიზაციის ან პარტიის ორგანოს. რედაქცია მიზნად ისახავს გამოაქვეყნოს როგორც პოლიტიკური შინაარსის სტატიები, ასევე წერილები ლიტერატურაზე, ისტორიაზე, ხელოვნებასა და საზოგადოებრივ თემებზე. მიმართვაში ასევე ხაზგასმითაა მითითებული, რომ რედაქცია მზადაა ითანამშრომლოს ყველასთან, გარდა კომუნისტებისა.

გაზეთში გამოყოფილია რამდენიმე რუბრიკა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. „საქართველო დღეს“ — მასში განიხილება თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა.

2. „ჩვენს სამშობლოში“ — ამ რუბრიკით დაიბეჭდება ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრეფილი ფაქტიური მასალები ეროვნული კულტურის, ხელოვნების და მეცნიერების შესახებ.

3. რუბრიკით „საქართველოს ამბები“ რედაქცია მიზნად ისახავს მკითხველს მიაწოდოს ჩვენი ქვეყნის საყოფაცხოვრებო, სამეურნეო ამბები.

თანამედროვეობის პრობლემას ეხმიანება გაზეთის პირველ გვერდზე მოთავსებული გ. მახვილაძის /გივი კობახიძის ფსევდონიმი — მ.ბ./ სტატია „საქართველო დღეს“. მასში ავტორი აფასებს საბჭოთა კავშირში არარუს ხალხთა მშობლიური მიწა-წყლიდან განთესვის ფაქტებს. მისი აზრით, ეს არის გაგრძელება ცარიზმის პოლიტიკისა.

ავტორის აზრით, აღნიშნულის ნათელი დასტურია 1946 წელს 3000 მუსლიმანი ქართველის ბაიკალში გადასახლება. აქ ერთგვარ უზუსტობას ვხვდებით. მუსლიმანი ქართველები 1944 წელს გადაასახლეს შუა აზიაში. გივი კობახიძე გულისტკივილს ვერ ფარავს იმის გამოც, რომ მთავრობამ 1944 წელს საქართველოს აჩუქა ადგილობრივი მოსახლეობისგან დაცლილი ბალყარეთის და ყარაჩაის სამხრეთი ნაწილი და ქართველები აიძულა იქ გადასახლებულიყვნენ; შემდეგ „ნაჩუქარი“ მიწა 1955 წელს უკანვე წაართვა. იქ 16 ათასი ქართველი ესახლა...

გივი კობახიძე ეხება საქართველოს ინდუსტრიულ ცენტრებში არაქართველთა დასახლების ფაქტებს. ნ. ხრუშჩოვის გეგმას ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰყვა სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ახალგაზრდათა იძულებით გაგზავნა სამუშაოზე, მათ შორის 28 000 ქართველი გაიგზავნა ყაზახეთში.

მწვავედ განიცდის სამშობლოს მოწყვეტილი ემიგრანტი თანამემამულეთა განთესვას მშობლიური მიწა-წყლიდან, დღეს მთელ ერს კატასტროფამდე მისულ დემოგრაფიულ პრობლემად რომ დასწოლია.

რუბრიკაში „ახალი სისხლიანი წმენდები საქართველოში" გადაბეჭდილია 1955 წლის 22 ნოემბერს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული ცნობა „სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში" რაფავას, რუხაძის, წერეთლის გახმაურებული პროცესის შესახებ. ინფორმაციას ახლავს რედაქტორის კომენტარი ადამ იანიშვილის ფსევდონიმით. ავტორი აფასებს რა სტალინისა და ბერიას „დამსახურებას", იქვე შენიშნავს, თუ რა ძვირად დაუჯდა ჩვენს ერს მათი ქართველობა. მართალია, ქართველ ჩეკისტებს მძიმე ცოდვები აწევთ საკუთარი ერის წინაშე და მათ არც ქართველი ხალხი გადაუსვამდა თავზე ხელს, მაგრამ აღაშფოთებს ის ფაქტი, რომ საქართველოს მოქალაქენი სსრ კავშირის სასამართლომ გაასამართლა. კონსტიტუციის ძალით საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკაა „თავისი ნებით შესული" საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში. ამავე კონსტიტუციის ძალით „მოღალატე ბანდიტები" რესპუბლიკის სასამართლოს უნდა გაესამართლებინა. წინასწარმეტყველებასავით ისმის სტატიის ბოლო ფრაზა: „სტალინი და ბერია ძალზე ძვირი დაუჯდა ქართველებს, კიდევ დიდხანს არ გათავდება შურისძიება ჩვენს ერზე, თუმცა მათ საკუთარი მამული სისხლის გუბეში აბანავეს".

გაზეთში დაბეჭდილია გრიგოლ აბაშიძის ლექსები, პაოლო იაშვილის „როგორც აფრის ტკაცუნი“, უცხოეთში მოღვაწე ქართველი პოეტის გიორგი გამყრელიძის ლექსი „საჩხერის ღამე“ და გივი შაორელის /გ. კობახიძე/ „იესო მაცხოვარს“.

„ქართველ ერში“ დაბეჭდილია აგრეთვე გივი კობახიძის საშობაო-საახალწლო ეტიუდი „ავადმყოფი“. მასში მოთხრობილია, თუ როგორ ხვდებიან ახალ წელს რაჭის სოფელში.

1950 წლის 26 მაისს მიუნხენის ქართული კოლონიის სხდომაზე მიხეილ წერეთელს წაუკითხავს მოხსენება საქართველოში ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაზე მე-20 საუკუნის დასაწყისიდან. ეს მოხსენება წერილის სახით დავით ვაჩნაძეს გადმოუგზავნია გივი კობახიძისათვის, ამ უკანასკნელს კი მოუთავსებია გაზეთ „ქართველ ერში“. სამწუხაროდ, წერილი შემდეგ ნომერშიც გრძელდება. იმედს გამოვთქვამთ, რომ იგი ჩვენი პრესის ფურცლებზე სრული სახით დაიბეჭდება.

გივი კობახიძის სტატიაში „ქართველობა ამერიკის შეერთებულ შტატებში“ მოთხრობილია ამერიკის კონტინენტზე ქართველთა პირველად ჩასვლის ისტორია, შემდეგ მათი მომრავლებისა და სათვისტომოს დაარსების შესახებ. ჩინეთ-იაპონიის გავლით ჩასულა ამერიკაში, იქ დასახლებულა და იქვე გარდაცვლილა კატორღიდან გამოქცეული იოსებ ლაღიაშვილი, რომელმაც 1886 წელს მოკლა დეკანოზი პავლე ჩუდეცკი. 1905 წელს ქართველთა რიცხვმა იმატა ამერიკაში, როდესაც ცხენოსანთა ჯგუფი ნოე ინწკირველის ხელმძღვანელობით კონტრაქტით ჩავიდა იქ და ცირკში გამოდიოდა.

მათი ნაწილი დარჩენილა შტატებში და ქალაქ როჩესტერის ირგვლივ დასახლებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცდაათიან წლებიდან ქართველთა რაოდენობა ამერიკაში იმდენად გაზრდილა, რომ სათვისტომოს დაარსების აზრი დაიბადა. ამ საქმისათვის ხელი მოუკიდიათ პავლე კვარაცხელიას, მის მეუღლეს თამარს და ვანო კობახიძეს. მათი თაოსნობით 1931 წლის პირველ დეკემბერს ნიუ-იორკში დაარსებულა ქართული სათვისტომო. 1938 წელს სათვისტომოს წევრებს ფული შეუგროვებიათ და ნიუ-იორკიდან 60 კილომეტრის მოშორებით აისლიპში შეუძენიათ სახლი, რომლისთვისაც პატარა საქართველო შეურქმევიათ. მათ შემოსავალიც ჰქონიათ. მაგრამ ვინაიდან ახლოს არ ყოფილა სამრეწველო საწარმოები, რომ ემუშავათ, სახლი გაუყიდიათ. სათვისტომოს კრებაზე გადაუწყვეტიათ, ნიუ-იორკში ეყიდათ მიწა და იქ აეშენებინათ სახლი. ავტორის აზრით, ქართული კერა აუცილებელია თვით ქართველთა წარმატებისა და ჩვენი რიგებიდან ახალი ძალების გამოვლინებისთვისო. გივი კობახიძის ცნობით, ქართველთა რიცხვი იმ დროისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში სამას სულს აღემატებოდა.

ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების თხუთმეტ წლისთავთან დაკავშირებით გაზეთში მოთავსებულია დიდი მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ვრცელი წერილი. ავტორი დაუფარავად მოუთხრობს მკითხველს, თუ რა შევიწროებას განიცდიდა დიდი მეცნიერი ხელისუფლებისაგან 20-30-იან წლებში. ასევე აცნობს ემიგრანტ თანამემამულეებს, რა რეზონანსი მოჰყვა საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან ივანე ჯავახიშვილის შრომების მე-5 ტომის გამოსვლას 1953 წელს. წერილში ციტირებულია ნაწყვეტები

საქართველოს კომპარტიის ცკ-ს იმდროინდელი მდივნის ვასილ მჟავანაძის მოხსენებიდან, რომელიც 1954 წლის 18 თებერვლის „კომუნისტში" დაიბეჭდა. მოხსენებაში ნათქვამია, რომ მეხუთე ტომში შესული ნარკვევები შეიცავენ ნაციონალისტური ხასიათის შეცდომებს, დამახინჯებულად აშუქებენ მე-17-18 საუკუნეებში საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის ფაქტებს. გივი კობახიძე ასევე აღნიშნავს, რომ პროფესორი გიორგი ხაჭაპურიძე ივანე ჯავახიშვილის ზოგიერთ შრომას ნაციონალისტური და ბურჟუაზიული კონცეფციების შემცველად მიიჩნევს.

დასასრულ გ. კობახიძე აღნიშნავს, რომ 1941 წლის იანვარში ბერლინში ქართველ ემიგრანტებს ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების გამო მოუწყვიათ სამგლოვიარო სხდომა, რომელზეც სიტყვა წარმოუთქვამს მიხაკო წერეთელს.

გაზეთში დაბეჭდილია რედაქტორის წერილი სოლომონ დოდაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ავტორი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას დიდი მამულიშვილის როლზე 1832 წლის შეთქმულებაში. იგი აღნიშნავს: „სოლომონ დოდაშვილი იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის და ამ წმინდა საქმეს შესწირა მთელი თავისი ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი და ბობოქარი სიცოცხლე! სოლომონ დოდაშვილის ღვაწლს და მის მწარე ბედს განსაკუთრებით მწვავედ განვიცდით ჩვენ, ქართველი პოლიტიკური ემიგრანტები, ჩვენ ხომ იმავე იდეისათვის ვიბრძვით და იმასვე განვიცდით, რასაც განიცდიდა სოლომონ დოდაშვილი და მისნი თანამებრძოლნი საუკუნე-ნახევრის წინად".

წერილი მთავრდება სოლომონ დოდაშვილის სიტყვებით: რომლის ყურადღება დღესაც გვმართებს უთუოდ: „ძალგვიძს

ჩვენ დაიმედება თავთა თვისთა სასოებითა...დადგომად არა თუ ოდენ ხარისხსა ზედა ევროპელთა ერთასა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ. ო ძ ე ლ ი

რაზე წერს „კრებული"

1957 წელს ნიუ-იორკში ქართულ ენაზე გამოიცა ალმანახი „კრებული". მისი რედაქტორი და გამომცემელია ექიმი გივი კობახიძე.

„კრებულის" წინასიტყვაობიდან ვიგებთ, რომ მის გამოსვლამდე გივი კობახიძეს დაუარსებია გაზეთი „ქართველი ერი" /1955 წელი., ნიუ-იორკი/, რომელსაც ქართველი ემიგრაცია დიდი კმაყოფილებით შეხვედრია. ამ გაზეთის ირგვლივ გამართული სჯა-ბაასის შემდეგ მის დამაარსებელს პარალელურად კრებულის გამოცემა გადაუწყვეტია, რომლის პირველ წიგნსაც ჩვენ ამჟამად განვიხილავთ.

„კრებულის" თემატიკა მრავალფეროვანია. მასში მოთავსებული მასალა შეიძლება შემდეგნაირად დავყოთ — პოეზია, ლიტერატურათმცოდნეობა, ისტორია, ხელოვნება, მემუარები, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

ემიგრანტი პოეტების გვერდით ალმანახში დაბეჭდილია გ. ტაბიძის, ი. გრიშაშვილის, გ. აბაშიძის, ნ. ნადირაძის ლექსები. ემიგრანტული პოეზია კი წარმოდგენილია გიორგი გამყრელიძის, ლადო ბელიაშვილისა და გივი კობახიძის (მისი ფსევდონიმია გორდა მახვილაძე, გ.მახვილაძე, გივი შაორელი) ლექსებით. მათი ლექსები ძირითადად პატრიოტულ თემაზეა აგებული. მათში იგრძნობა ქართული მიწის მონატრება,სევდა, ჩვენ თვალწინ გაიელვებს ქართული რეალიები, ყოფა, პეიზაჟები... საინტერესოა გიორგი გამყრელიძის ლექსი „ილიას

50 წლის დაღუპვის თავზე“. „კრებულის“ რედაქტორი შიგადაშიგ გვაცნობს ავტორების ვინაობასაც. „მგოსანი გიორგი გამყრელიძე — სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა სრულიად ახალგაზრდა ჯერ კიდევ საქართველოში, წერდა ნიჭიერ შაირებს გ. ზოდელის ფსევდონიმით. მისი ლექსები იბეჭდებოდა ემიგრაციაშიც ათეული წლების განმავლობაში. გამოჩენილ ქართველ პოეტთა შორის იგი უსათუოდ ერთ-ერთ საპატიო ადგილს იჭერს. ამჟამად ცხოვრობს ქ. დალლასში, ტექსასის შტატში“. გივი კობახიძის ერთ-ერთი პირადი წერილიდან ვიგებთ, რომ გიორგი გამყრელიძე შემდეგ გერმანიაში გადასახლებულა და 72 წლის ასაკში, 1975 წელს გარდაცვლილა მიუნჰენში. „კრებულში“ ვკითხულობთ, რომ ლადო ბელიაშვილი ჩვენთვის ცნობილი მწერლის აკაკი ბელიაშვილის ძმაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურათმცოდნეობითი წერილების მიმოხილვა გვინდა დავიწყოთ რუსთველოლოგიით. აქ წარმოდგენილია ორი ლიტერატურული ნარკვევი — გიორგი გამყრელიძის „შოთას „ვეფხისტყაოსანზე“ და მის მკვლევრებზე, ლიტერატურული ნარკვევი“ და ირაკლი ოთხმეზურის „შოთა რუსთველისა და მისი პოეზიის გარშემო, ნარკვევი“.

გიორგი გამყრელიძის ნარკვევში რამდენიმე საკითხია დასმული. ავტორი მსჯელობს იმის შესახებ, თუ რამდენად სწორია ბიოგრაფთა ცდები აღადგინონ პოეტის ცხოვრების მომენტები. მას უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია პოემის დამახინჯებული ადგილების ზუსტად აღდგენა. ამ საკითხთან დაკავშირებით იგი ეხება პავლე ინგოროყვას ნაშრომს „რუსთველიანას“, აღნიშნავს მის ღირსებებს, უწონებს მკვლევარს დამახინჯებული ადგილების გასწორებასა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩანართი სტროფების გამოძევებას და ეკამათება რამდენიმე ადგილთან დაკავშირებით.

შემდეგ გამყრელიძე განიხილავს „ვეფხისტყაოსნის" ირგვლივ ემიგრაციაში შექმნილ გამოკვლევებს. პირველ რიგში იგი ყურადღებას ამახვილებს მიხეილ წერეთლის ღვაწლზე, რომელმაც პოემის ტექსტი გაწმინდა ბევრი არარუსთველური ჩანართისაგან და მრავალი დამახინჯებული ადგილი დამაჯერებლად აღადგინა. ავტორი იზიარებს წერეთლის მიერ პოემის შესავლის უდიდესი ნაწილის ამოღებას და თან დანანებით აღნიშნავს, რომ მიხეილ წერეთლის მიერ კრიტიკულად განხილული და აღდგენილი პოემა გამოცემული არ არის (იგი გამოიცა მოგვიანებით, 1963 წ. მ.ო.). გამყრელიძე ძალიან საინტერესოდ მიიჩნევს წერეთლის მიერ წამოყენებულ ჰიპოთეზას, რომ „ვეფხისტყაოსანისა" და „ისტორიათა და აზმათა" ავტორი ერთი და იგივე-პირია.

ავტორი ეხება ვიქტორ ნოზაძის ნარკვევს „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება", აღნიშნავს მის ღირსებებს და მიუთითებს მის ნაკლსაც, რომ იგი გაჭიანურებულია და რომ ნოზაძე ძლიერ აგრესიულია იმ მკვლევართა მიმართ, რომლებიც, მისი აზრით, ცდებიან ამა თუ იმ საკითხში.

გამყრელიძე ფრიად საყურადღებოდ მიიჩნევს ლადო ბელიაშვილის ნაშრომს „რუსთაველისა და დანტეს იდუმალი", სადაც ავტორი იკვლევს რუსთველის ასტრონომიულ-ასტროლოგიურ შეხედულებებს.

აღნიშნული ნაშრომების მიმოხილვის შემდეგ გიორგი გამყრელიძე აყალიბებს აზრს, რომ განსხვავებანი „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერებში ყველა სხვის ხელს კი არ უნდა მიეწეროს, არამედ თვითონ რუსთველს, ვინაიდან ამხელა პოემა

ერთი ხელის მოსმით არ დაიწერებოდა. ამ არგუმენტის გასამტკიცებლად მას მოაქვს გოეთეს „ფაუსტის“ მაგალითი. მას მიაჩნია, რომ რუსთველს, ისევე როგორც გოეთეს, უნდოდა, რომ მის პოემას „გაეძლო ჟამისათვის“, ჰყოლოდა მომხრე და მიმდევარი ხალხში. მას ასევე ანგარიში უნდა გაეწია მაშინდელი მმართველობის გემოვნებისთვისაც. ამიტომ აუცილებლად ბევრჯერ შეასწორა, დაუმატა ან შეამოკლა ზოგიერთი ადგილი, ვიდრე საბოლოო რედაქციას ჩამოაყალიბებდა. ამ პროცესს კი ათეული წლები დასჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, იგი მოუწოდებს მკვლევრებს, რომ ამ მოვლენამ ხელი არ აალებინოთ პოემის ტექსტის კრიტიკულ აღდგენაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კრებულში“ დაბეჭდილი მეორე წერილის ავტორი ირაკლი ოთხმეზური, რომელიც კვლავ რუსთველოლოგიის საკითხებს ეხება, დასაწყისშივე მოიხსენიებს XX საუკუნის იმ ქართველ მოღვაწეთა სახელებს, რომლებმაც ემიგრაციაში შექმნეს ნაშრომები შოთა რუსთველისა და მისი პოემის გარშემო. ესენია – მ. წერეთელი, ზ. ავალიშვილი, ვ. ნოზაძე, ნ. ჟორდანია, ა. მანველაშვილი, გ. გვაზავა, ლ. ბელიაშვილი. უკანასკნელი წერილები, რომლებიც ავტორს წაუკითხავს, არის 1938 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიულეტენში გამოქვეყნებული ნაშრომები. ოთხმეზურის აზრით, ყველა მათ თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობის გავლენა ეტყობა, სახელდობრ, რომ შოთა რუსთველი იყო რუსთავიდან. ოთხმეზური შემდეგნაირად ავითარებს მსჯელობას: მგოსანი თავის თავს უწოდებს რუსთველს და არა რუსთაველს. სახელი შოთა არსად არ არის პოემაში მოხსენიებული. იგი პირველად მოიხსენია კახეთის მეფემ თეიმურაზ პირველმა „იოსებ ზილიხანიანში“ და შეიძლება მოგონილი სახელიც იყოს.

ავტორი ვარაუდობს, რომ „რუსთველი“ არის შეთხზული მგოსნური სახელი და არა გეოგრაფიული ადგილის აღმნიშვნელი (როგორც ამას ამტკიცებს პავლე ინგოროყვა). შესაძლოა იგი ორი სიტყვის შეერთებით იყოს მიღებული — რუ და თავი ან თვალი. რუ შეიძლება იყოს თვით პოემა, ხოლო თავი ან თვალი ამ თხზულებისა თვით დამწერი მისი.

შემდეგ ირაკლი ოთხმეზური ეხება მიხეილ წერეთლის მოსაზრებას, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის იდენტურობაზე, რაც, წერილის ავტორის ვარაუდით, კიდევ უფრო გვაახლოებს იმ შესაძლებლობასთან, რომ პოემის დამწერი იყო სასახლის კარის მწერალი, თუმცა წერეთელი ამას გადაჭრით უარყოფს. ოთხმეზური კი ფიქრობს, რომ ისტორიკოსობაც მოხელეობაა, მით უმეტეს ფეოდალური მონარქიის ხანაში. იგი ეჭვით უყურებს თეიმურაზ ბატონიშვილის აზრს, რომ შოთა იყო მეჭურჭლეთუხუცესი, ეს ტიტული შესაძლოა ხელისშემშლელიც ყოფილიყო აზრის იმ უკიდურესი განვითარებისათვის, როგორც ამას ადგილი აქვს „ვეფხისტყაოსანშიო“.

გარდა ამისა, ავტორი სვამს კითხვას, ჩანს თუ არა პოემაში მოქმედი გმირის სახით თვით რუსთველი. ასეთად მას შერმადინი მიაჩნია, რომელიც, მისი აზრით, წონასწორობის საყრდენი წერტილია ნაწარმოებში.

ავტორი მსჯელობს ასევე ერთმანეთის გამომრიცხავ აზრებზე პოემაში. აკრიტიკებს ნიკო მარის მოსაზრებას, რომ „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები...“ მას არასწორად აქვს გაგებული, იგი მართლა სპარსულს კი არა, უცხოს, უცნაურს ნიშნავსო. „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად სტატიის ავტორი სიყვარულს მიიჩნევს, მაგრამ სავსებით დაუშვებლად მიაჩნია რუსთველის არაქრისტიან მწერლად მონათვლა.

სპეციალური წერილები ეძღვნება გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედების კვლევის საკითხებს.

1956 წლის მარტში პარიზში ქართველ მწერალთა კავშირის კრებაზე გიორგი კერესელიძე გამოსულა მოხსენებით „გრიგოლ ორბელიანი“. „კრებულში“ ეს მოხსენება ოდნავი შემოკლებითაა დაბეჭდილი. ავტორი ეთაყვანება გრ. ორბელიანის შემოქმედებას და მაღალმხატვრულად განიხილავს მას. იგი აღნიშნავს, ორბელიანის ბიოგრაფია ხელთ არა მაქვსო. ამის მიუხედავად, სწორედ ბიოგრაფიულ მომენტთა ცოდნით, იმ პერიოდის ისტორიული სინამდვილის ფონზე იკვლევს მის შემოქმედებას. ეს არის ფრიად ამაღლებული განცდით დაწერილი მეცნიერული ესე, სადაც ავტორი მთელი სისრულით წარმოაჩენს გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებასა და ღვაწლს.

ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შესახებ სტატიები ეკუთვნის გივი კობახიძეს. წერილში „50 წელი ილიას გარდაცვალებიდან“ავტორი განიხილავს ილია ჭავჭავაძის მკვლელობისა და მისი შემოქმედების აღქმის საკითხს საბჭოთა საქართველოში. იმ აზრს, რომ ილია შესაძლოა მეფის რუსეთის „ოხრანკას“ მოეკლა, დასაშვებად მიიჩნევს გ. კობახიძე და მოჰყავს დიმიტრი ყიფიანის მკვლელობის მაგალითი, მაგრამ არც იმ აზრს გამორიცხავს, რომ ილია შესაძლოა რევოლუციონერების ხელით იყოს მოკლული. ავტორი დანანებით შენიშნავს, რომ ილიას შემოქმედებას არასწორად განიხილავენ საქართველოში — მას რეაქციონერად

აცხადებდნენ, სასკოლო პროგრამიდან დევნიდნენ მის შემოქმედებას. შემდეგ მოხდა გარდატეხა, ილიასადმი დაფასდა, მაგრამ დაიწყო მწერლის შემოქმედების მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის საფუძველზე განხილვა. ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ ხალხი კითხულობს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას და მას თვითონ გამოაქვს მართებული დასკვნები, ვინაიდან „ილიას სახელი განუყრელია ქართველის ნამდვილი მეობიდან და ასეთად დარჩება იგი, სანამ საქართველო არსებობს!“

გივი კობახიძე, როგორც თავისი კუთხის — რაჭის დიდი პატრიოტი და მოტრფიალე, საკმაოდ დაწვრილებით აღწერს აკაკი წერეთლის მოგზაურობას რაჭა-ლეჩხუმში. იგი იხსენებს ამ მოგზაურობის ინიციატორს იობა ისაკაძეს და იმ მოღვაწეებს, ვინც თან ახლდა აკაკის მოგზაურობის დროს; აღნიშნავს ვასილ ამაშუკელის ღვაწლს, რომელმაც ფირზე აღბეჭდა ეს მოგზაურობა და ამით საფუძველი დაუდო ქართულ კინოს.

სტატიის ავტორის ცნობით, ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკაში დაცული ყოფილა აკაკი წერეთლის ნაწერების რამდენიმე ტომი. ერთ-ერთში პოემა „რაჭა-ლეჩხუმი“ არის შეტანილი, რომლის ცალკე წიგნად გამოცემაც თავისი შესავალი წერილით მას განზრახული ჰქონია.

თამარ და აკაკი პაპავების ისტორიული ნარკვევი „მოსკოვის ქართული ემიგრაცია და ბატონიშვილი დარეჯან“ მეცნიერული სიზუსტით აღწერს „დიდი ემიგრანტის“ — არჩილ მეფისა და მისი ოჯახის მწარე ხვედრს XVII საუკუნის გასულსა და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თხრობა ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის ფონზე იშლება.

აღწერილია არჩილ მეფისა და მისი ამალის გამგზავრება რუსეთში და იქ ქართული ემიგრაციის კულტურული მოღვაწეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კრებულში“ ისტორიის სფერო სხვადასხვა პლანშია წარმოდგენილი. ფრიად საყურადღებოა გივი კობახიძის წერილი „ხრესილის ომი“, რომელიც ძველი საქართველოს ისტორიის ერთ ფურცელს შლის. იგი ეხება სოლომონ პირველის მეფობის ხანას. ავტორი მეცნიერულ შეფასებას აძლევს რუხის, ქობულეთის და, ძირითადად, ხრესილის ომს. არსებულ ქრონიკებსა და მოკლე ცნობებზე დაყრდნობით იგი აანალიზებს საზოგადოდ სოლომონის მეფობის ხანას, ერთსა და იმავე ფაქტზე არსებულ განსხვავებულ ცნობებს ერთმანეთს უდარებს და გამოაქვს მისეული დასკვნები. გ. კობახიძე არ იზიარებს საისტორიო მეცნიერებაში გაბატონებულ ზოგიერთ მოსაზრებას, თუნდაც სოლომონის პიროვნების როლის გაზვიადებას. ავტორი დანანებით აღნიშნავს, რომ თანამედროვე საქართველოს ისტორიოგრაფია მოკლებულია თავისუფალ აზროვნებას.

მეტად მნიშვნელოვანი და საპაექრო გამოკვლევა აქვს დაბეჭდილი „კრებულის“ ფურცლებზე რევაზ გაბაშვილს — „ქართული მოდგმის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში“. მკვლევარი დაბეჯითებით წერს, რომ ამა თუ იმ მოდგმის არსებობას მეცნიერების რამდენიმე დარგი ამტკიცებს — შედარებითი ენათმეცნიერება, არქეოლოგია (ხუროთმოძღვრება, კერამიკა, ნუმიზმატიკა, დასაფლავების წესები, მეურნეობა, ნივთიერების დამუშავება და გამოყენება), დამწერლობა (სწავლა, სკოლები, ლიტერატურა, ისტორია და სხვ.), სარწმუნოება და მასთან დაკავშირებული ფილოსოფია,

მეცნიერება (ასტრონომია, ასტროლოგია, ზოდიაკო, მკურნალობა და სხვ.), სახელმწიფოებრივ-ეროვნული — თუ უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი — სოციალური ვითარება. რ. გაბაშვილი თავიდანვე გვთავაზობს თეზას: მთელი ამ დარგების შეფარდება-შედარებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ქართულ მოდგმას თავისი დიდი წვლილი შეუტანია მსოფლიო ცივილიზაციაში. ევროპული და ქართული წყაროების გამოყენებით ავტორი აღნიშნული დარგების ირგვლივ წარმართავს მსჯელობას.

გივი კობახიძე წერილში „ახალი დოკუმენტები დიასამიძეთა საგვარეულოს ისტორიისათვის“ გვაწვდის ცნობებს ნიუ-იორკში მცხოვრები გრიგოლ დიასამიძის საქართველოში ყოფნისას გაზეთ „თემის“ რედაქტორის პირადი არქივიდან, რომელიც პირველად ქვეყნდება.

ძალიან საინტერესოდ იკითხება გრიგოლ დიასამიძის „ჩემი მოგონება“, სადაც იგი მოუთხრობს მკითხველებს თავისი ოჯახის ცხოვრებაზე გორში და შემდეგ თბილისში. ამ მოგონებაში საყურადღებო ცნობებია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქალაქური ყოფის, საზოგადოებრივი თუ სოციალური მდგომარეობის, პირადი კონტაქტების შესახებ აკაკი წერეთელთან, ვანო მაჩაბელთან, ალექსანდრე ყაზბეგთან, ნიკო ხულხანიშვილთან და სხვ.

ასევე საგულისხმოა გივი კობახიძის მიერ ჩაწერილი მიხეილ წერეთლის ნაამბობი. მასში ძვირფას ინფორმაციას ვხვდებით ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების პირად ურთიერთობაზე (იაკობ გოგებაშვილი, ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, ვაჟა ფშაველა, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, ალექსანდრე ყიფშიძე და სხვ.).

ჩვენ დასაწყისში ვახსენეთ, რომ „კრებულში“ ხელოვნებაც არის წარმოჩენილი. აქ მოთავსებულია გ. კობახიძის წერილი „მხატვარი ლადო სააკაძე“, რომელიც მოგვითხრობს ემიგრაციაში მყოფი ახალგაზრდა მხატვრის შესახებ, რომელსაც თბილისის სამხატვრო აკადემია დაუმთავრებია. ავტორი აღნიშნავს, რომ მის სურათებში მშრალ რეალიზმს თბილი, ტკბილი და მშობლიური განწყობილება სჭარბობს. მისი სურათების სიძლიერეს ძირითადად მათი რომანტიულობა განაპირობებს. იგი კარგი პორტრეტისტიცაა. „კრებულში“ მოთავსებულია ლადო სააკაძის ორი ნახატი. მას ილუსტრირებული ჰქონია გიორგი გამყრელიძის ლექსები.

ზემოაღნიშნული დარგების გარდა, „კრებულში“ ვხვდებით რუბრიკას „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია“. აქ წარმოდგენილია ალექსანდრე მანველიშვილის კრიტიკული წერილი პავლე ინგოროყვას ნაშრომზე „გიორგი მერჩულე“ (ქართველი მწერალი მეათე საუკუნის). იგი ეხება წიგნის უმთავრეს და მნიშვნელოვან ადგილებს — „მესხეთს“, „დასავლეთ საქართველოს“, „ლაზიკას“, „ძველ ქართულ პოეზიას“ და ასკვნის, რომ „ეს შრომა წარმოადგენს საუკეთესო ძეგლს ჩვენი დროის საისტორიო სალიტერატურო კვლევა-ძიების ასპარეზზე“.

ამ რუბრიკის შემდეგი წერილია „დ.მ. ლენგი და მისი კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიაში“ (ავტორი გ. კობახიძე), მასში აღწერილია ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დევიდ ლენგის მოღვაწეობა და მისი დამსახურება ქართველი ერის წინაშე. დევიდ ლენგთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ იქნება გივი კობახიძის მიერ საქართველოში დასთან გამოგზავნილი პირადი წერილის გახსენება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელშიც ვკითხულობთ: „...ჩემი სხვა მოწაფეებიდან ცნობილი მეცნიერი გახდა დავით ლანგი, ინგლისელი. მთელი ერთი წელი იყო ჩვენთან ნიუ-იორკში და ენერგიულად სწავლობდა ქართულს. უკვე იცოდა, როდესაც გავიცანი. თავის შრომებში მომიხსენია რამდენჯერმე. როცა გამომიგზავნის ხოლმე რაიმე ახალ შრომას, ზედ წააწერს: „ჩემს მოძღვარს და მეგობარს..." ძალიან ყოჩაღი გამოდგა დათიკო". გივი კობახიძე დიდად აფასებდა თავისი სიყრმის მეგობრისა და თანაკლასელის ალექსანდრე გამყრელიძის მოღვაწეობას, რომელმაც სპეციალური წერილი მიუძღვნა ლენგის გამოკვლევას „სიბრძნე-სიცრუისას სათაურისათვის" და ქართულად თარგმნა მისი არაერთი ნაშრომი.

ასევე გივი კობახიძეს ეკუთვნის წერილი მიხეილ თარხნიშვილის ღვაწლის შესახებ, სადაც ავტორი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ თარხნიშვილის მეტად ნაყოფიერი საქმიანობა, რომელიც სათანადოდ არის დაფასებული დასავლეთში, ქართველ მეცნიერთა შორისაც დიდ ინტერესს იწვევს.

ასეთია ზოგადად ალმანახ „კრებულში" მოთავსებული მასალის შინაარსი. ამ წერილებიდან ჩანს ავტორების მეცნიერული კეთილსინდისიერება, მათი ინტერესების ფართო დიაპაზონი, საქართველოში გამომავალი ლიტერატურისა თუ პერიოდიკის ცოდნა (შეძლებისდაგვარად), საქართველოში მიმდინარე პროცესების წვდომის მუდმივი სურვილი. „კრებული" ილუსტრირებულია. მასში ჩართულია ზოგიერთი ავტორისა და აქაური ქართველი მოღვაწეების პორტრეტები. გარეკანზე გამოსახულია ნიკორწმინდის ტაძარი. ალმანახი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კრებულის“ ავტორები სხვადასხვა სპეციალობის ადამიანები არიან, თუმცა ნაწილი პროფესიონალი მწერალი და ლიტერატურათმცოდნეა, მათი ზოგიერთი მოსაზრება მეცნიერული თვალსაზრისით შესაძლოა სადავო იყოს, მაგრამ „კრებულს“ ძირითადად აერთიანებს და კრავს გამოცემის მიზანი – ქართული კულტურის კვლევა. ემიგრაციის პოზიცია მთელ რიგ საკითხებზე განსხვავებულია, ზოგ შემთხვევაში უფრო სალიც, მათი ნამოღვაწარის გაცნობა და შესწავლა აუცილებელია, ვინაიდან იგი XX საუკუნის ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია.

„კრებულის“ ეს მოკლე მიმოხილვა გვინდა დავასრულოთ რედაქტორისა და გამომცემლის სიტყვებით, სადაც ნათლადაა წარმოჩენილი მისი განუყოფელი, თანაც დრამატული კავშირი დედა-სამშობლოსთან: „ერთხელ რაღაც ნარკვევზე ვმუშაობდი. ღრმად ვიყავი ჩაფლული მასში. უცბად გამახსენდა, ეს წიგნი ხომ მაქვს მეთქი. ავდექი და ვიწყე ძებნა. რამდენიმე წამს გაგრძელდა ეს გამოთიშვა. ის წიგნი მანდა მაქვს... საშინელი ყოფილა ამგვარი გრძნობა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი

ა რ თ უ რ შ ო პ ე ნ ჰ ა უ ე რ ი

ცხოვრებისეული სიბრძნის აფორიზმები ასაკობრივი სხვაობისათვის

დიდებულია ვოლტერის სიტყვები:

Qui n'a pas l'esprit de son âge,
De son âge a tout le malheur.[1]

ამ ევდემონოლოგიური ნარკვევის დასასრულს ურიგო არ იქნებოდა თვალი გადაგვევლო იმ ცვლილებებისათვის, რასაც ჩვენში ასაკი იწვევს.

მთელი სიცოცხლის განმავლობაში ჩვენ მხოლოდ ა წ მ ყ ო ს ა ვფლობთ და მეტს არაფერს. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ცხოვრების დასაწყისში ჩვენს წინ ხანგრძლივ მომავალს ვხედავთ, ცხოვრების ბოლოს კი — უკან მოტოვებულ ხანგრძლივ წარსულს. გარდა ამისა, ჩვენი ტემპერამენტი, — და არა ხასიათი, — გარკვეულ ცვლილებებს განიცდის, რისი წყალობითაც აწმყო ყოველთვის გარკვეულ ელფერს იძენს.

ჩემს მთავარ შრომაში /ტ. II, თ.31 / მე გავარკვიე, როგორ ან რატომაა, რომ ბავშვობაში შ ე მ ე ც ნ ე ბ ა უფრო მეტს ნიშნავს ჩვენთვის, ვიდრე ნ ე ბ ი ს გ ა მ ო ვ ლ ე ნ ა. სწორედ ეს განაპირობებს ცხოვრების პირველ მეოთხედში ჩვენს ბედ-

---

[1] იმას, ვისი გონებაც არ შეესაბამება მისსავე ასაკს, თავისი ასაკის მთელი უბედურება ატყდება თავზე /ფრანგ./. — მთარგმ.

ნიერებას, რის გამოც ეს წლები შემდგომ დაკარგულ სამოთხედ გვეჩვენება. ბავშვობაში ჩვენი ურთიერთობების წრე ძალზე ვიწროა, მოთხოვნილებები კი — უმნიშვნელო, ასე რომ, ნებას იშვიათად თუ ალაგზნებს რამე და ჩვენი სულის უმეტესი ნაწილი მხოლოდ *შემეცნებისკენაა* მიმართული. ისევე, როგორც ტვინი, სრულ მოცულობას რომ აღწევს მეშვიდე წელს, გონებაც ძალზე ადრე იწყებს განვითარებას, თუმცა სიმწიფით საკმაოდ გვიან მწიფდება, — და ხარბად აკვირდება მისთვის სრულიად უცნობ ცხოვრებას, სადაც ყველაფერი სიახლის ხასხასა ფერებით ბზინავს. ამით აიხსნება, თუ რატომაა ჩვენი ბავშვობის წლები ეგზომ პოეტური. რადგანაც პოეზიის, ისევე როგორც ყველა სხვა ხელოვნების არსი ისაა, რომ თვითეული მოცემული საგნიდან გამოიტანოს მისი „პლატონური იდეა“, ესე იგი, მისი ჭეშმარიტი რაობა, ის, რაც ამ საგანს საერთო აქვს მთელ გვართან. ამრიგად ყოველი საგანი თავისი გვარის წარმომადგენლად გვევლინება და *ერთი* შემთხვევა ათას სხვა შემთხვევას ხსნის. მართალია, ისე კი ჩანს, თითქოს ბავშვობაში ჩვენი ყურადღება მხოლოდ ერთი კონკრეტული საგნისა თუ მოვლენისკენაა მიმართული, და ისიც მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საგანი თუ მოვლენა მოცემულ მომენტში შეესაბამება ჩვენს სურვილს, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვაგვარადაა საქმე. ცხოვრება, მთელი თავისი მნიშვნელობით, ჯერ კიდევ სრულიად ახალი გვეჩვენება, მის მიერ გამოწვეული შთაბეჭდილებები ჯერ კიდევ არ დაუჩლუნგებია გამეორებას, ასე რომ, ჩვენ, ბავშვური მიამიტობის მიუხედავად, ჩუმად რაიმე გარკვეული განზრახვის გარეშე, ცალკეული სცენებიდან თუ მოვლენებიდან ვცდილობთ გამოვაცალკევოთ თვით ცხოვრების არსი, მისი ფორმებისა თუ

გამოვლინებების ძირითადი ტიპები. ამ დროს, ყველა სახესა თუ საგანში, სპინოზას თქმისა არ იყოს, ჩვენ ვჭვრეტთ „მარადისობის ერთგვარ ხატებას". რაც უფრო ახალგაზრდები ვართ, ჩვენს თვალში ყველა საგანი მით უფრო სრულად წარმოაჩენს მთელ თავის გვარს. მაგრამ ეს თვისება თანდათანობით ქარწყლდება: სწორედ ეს განაპირობებს იმ შთაბეჭდილებათა გამაოგნებელ სხვაობას, რასაც ჩვენზე ახდენენ საგნები სიჭაბუკისას თუ მოწიფულობისას. ამიტომ სიყრმისა თუ სიჭაბუკის დროინდელი ცოდნა და გამოცდილება განსაზღვრავენ იმ მყარ ტიპებსა თუ რუბრიკებს, რომლებშიაც თავსდება მთელი შემდგომი ცოდნა და გამოცდილება; ისინივე აყალიბებენ იმ კატეგორიებსაც, რომლებსაც შემდგომ ვუსადაგებთ ყველაფერს, თუმცა ეს მისადაგება ყოველთვის შეგნებულად როდი ხდება. ამრიგად, უკვე ბავშვობაში ეყრება მტკიცე საფუძველი მსოფლმხედველობას და, მაშასადამე, მისი ზერელე თუ ღრმა ხასიათიც განისაზღვრება; მსოფლმხედველობის განვითარება კი უფრო გვიან სრულდება, თუმცა არსებითად უცვლელი რჩება. ამ პირწმინდად ობიექტური და, იმავდროულად, პოეტური თვალსაზრისის წყალობით, რაც ნიშნეულია ბავშვობისათვის და რასაც განამტკიცებს ის გარემოება, რომ ნებელობა ჯერ კიდევ დიდხანს არ გამოვლინდება სრული ძალით, — დიახ, ყოველივე ამის წყალობით, ბავშვობისათვის გაცილებით უფრო არსებითია შემეცნება, ვიდრე ნებელობა. სწორედ ამის შედეგია ის სერიოზული, ჭკვიანური მზერა, რასაც ესოდენ ზუსტად გადმოგვცემს რაფაელი თავის ანგელოსებსა და, განსაკუთრებით, „სიქსტეს მადონაში". ამიტომაც ბავშვობის დღეები ისე სავსეა სიხარულით, რომ მათი მოგონება ყოველთვის სინანულის გრძნობას გვიღვიძებს. ვიდრე ჩვენ,

ერთის მხრივ, ესოდენ სერიოზულად ვცდილობთ *თვალსაჩინოების* გზით შევიმეცნოთ საგნები, აღზრდა, მეორეს მხრივ, ესწრაფვის იმას, რომ თავს მოგვახვიოს *ცნებები*. მაგრამ ცოდნის ყველაზე არსებითი ელემენტი ცნებებით როდი გვეძლევა; ყოველგვარი შემეცნების საფუძვლად, მის ჭეშმარიტ შინაარსად სამყაროს *თვალსაჩინო* აღქმისა თუ წვდომის უნარი გვევლინება, რასაც მხოლოდ ჩვენით თუ ვეზიარებით და არასდიდებით არ მოგვეცემა *გარედან*. აქედან გამომდინარე, ჩვენი მორალური თუ ინტელექტუალური ღირებულება გარედან კი არ გვენიჭება, არამედ თვით ჩვენი საკუთარი არსების სიღრმიდან იღებს დასაბამს. თვით პესტალოცის პედაგოგიურ ხელოვნებასაც კი არ შეუძლია მოაზროვნე ადამიანად აქციოს ის, ვინც ბრიყვად დაიბადა. ბრიყვად შობილი ბრიყვადვე მოკვდება. ჩვენს თვალწინ პირველად გადაშლილი სამყაროს ზემოხსენებული აღქმით აიხსნება ის, თუ რატომ აღიბეჭდება მეხსიერებაში ასე წარუშლელად ჩვენი ბავშვობის მთელი გარემოცვა თუ გამოცდილება. ჩვენ ხომ მთელის არსებით ვისრუტავდით და ვისისხლხორცებდით ყველაფერს, რაც გარს გვერტყა, არაფერს შეეძლო ჩვენი ყურადღების გაფანტვა, და ჩვენს გარშემო არსებული ყველა საგანი თავისებურად უნიკალურ, ასე განსაჯეთ, ერთადერთ საგნადაც კი მიგვაჩნდა. თუ აქვე გავიხსენებთ იმასაც, რაც გადმოცემულია ჩემი მთავარი შრომის მეორე ტომში: რომ საგნების *ობიექტური* არსებობა, ესე იგი, მათი არსებობა მარტოოდენ *წარმოდგენაში* მხოლოდ სიხარულს გვანიჭებს, ხოლო მათი *სუბიექტური* არსებობა, რაც *ნებელობით* განისაზღვრება, მნიშვნელოვანწილად მოწამლულია ტანჯვითა და მწუხარებით, — მაშინ მთელი განსახილველი საკითხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება ამ მოკლე დებულებაზე იქნეს დაყვანილი: ყველაფერი სასიამოვნოა ს ა ხ ი ლ ვ ე ლ ა დ, მაგრამ საშინელი როგორც ა რ ს ე ბ უ ლ ი. აქედან გამომდინარე, ბავშვობაში ყველა საგანს ჩვენ გაცილებით უკეთ ვიცნობთ ხ ე დ ვ ი თ, ესე იგი, წარმოდგენით, ობიექტურად, ვიდრე მისი ა რ ს ე ბ ო ბ ი ს, ესე იგი, ნებელობის მხრივ. რაკი საგანთა ობიექტური ასპექტი მომხიბლავია, ხოლო მათ სუბიექტურსა და პირქუშ ასპექტს ჯერ კიდევ არ ვიცნობთ, ნორჩი გონებისათვის ყველა ხატება, რასაც მას სთავაზობს სინამდვილე თუ ხელოვნება, უბედნიერესი არსია: მას ჰგონია, რაკი სახით ესოდენ მშვენიერია, თავისი არსებობითაც არანაკლებ მშვენიერი უნდა იყოს. ამიტომ მთელი სამყარო სამოთხედ ეჩვენება. სწორედ ესაა ის არკადია, სადაც ყველანი დავიბადეთ. ცოტა მოგვიანებით თავს იჩენს ნამდვილი ცხოვრების შეცნობისა და წვდომის წყურვილი, მოქმედებისა და ტანჯვისკენ სწრაფვა, რაც გვაიძულებს თავდაყირა გადავეშვათ ცხოვრების მორევში. ამქვეყნიური ამაოების მეშვეობით ჩვენ შევიცნობთ საგანთა მეორე ასპექტსაც — მათი არსებობის ანუ ნებელობის მხარეს, რასაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით. მაგრამ თანდათანობით გვიახლოვდება იმედგაცრუების პირქუში ჟამი, და მისი დადგომისთანავე აღმოგვხდება: „ილუზიების დრო წავიდა“. ეს იმედგაცრუება თანდათანობით ყველაფერს მოიცავს და სულ უფრო და უფრო ღრმავდება. შეიძლება ითქვას, რომ ბავშვობაში ცხოვრება ერთგვარ დეკორაციად წარმოგვიდგება, რომელსაც შორიდან ვხედავთ, სიბერეში კი ეს იგივე დეკორაციაა, მხოლოდ ახლოდან დანახული.

ბავშვობისდროინდელ ბედნიერებას ხელს უწყობს კიდევ ერთი გარემოება. როგორც გაზაფხულის დამდეგს ყველა

ფოთოლი ერთი და იგივე ფერისა და თითქმის ერთნაირი ფორმისაა, ჩვენც ერთმანეთს ვგავართ სიყრმეში და ჰარმონიულად ვეხამებით ერთიმეორეს. მაგრამ დავაჟკაცებისთანავე იწყება ურთიერთგანსხვავება თუ დაშორიშორება, და ჩვენ სულ უფრო და უფრო მეტი მანძილი გვყოფს ერთმანეთისგან, იმ წრის რადიუსებივით, გამუდმებით რომ ფართოვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ცხოვრების პირველი ნახევრის დანარჩენი ნაწილი, იმ ნახევრისა, რომელსაც ამდენი უპირატესობა აქვს მეორე ნახევართან შედარებით, — კერძოდ სიჭაბუკე — თანდათანობით იმღვრევა და სევდაშხილი ხდება იმის შედეგად, რომ თავდავიწყებით მიველტვით ბედნიერებას, რადგანაც ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ამ ცხოვრებაში შეიძლება მოინადირო და სანუკვარი ნადავლით ხელთ იგდო იგი. აქედან ილუზიების მსხვრევა, იმედგაცრუების სიმწარე, რაც თავის მხრივ, მუდმივი უკმაყოფილების მიზეზი ხდება. ჩვენს თვალწინ რიალებენ ბედნიერების ილუზორული, სიზმარეულ ჩვენებასავით ბუნდოვანი ხატებანი, ათასნაირ ფორმას რომ იღებენ, და ჩვენ ამაოდ ვცდილობთ ხორცი შევასხათ მათ. ამიტომაა, რომ სიჭაბუკეში არც ჩვენი მდგომარეობა გვაკმაყოფილებს და არც გარემომცველი სინამდვილე, მიუხედავად იმისა, თუ როგორნი არიან ისინი, რადგანაც მათ ვადანაშაულებთ იმაში, რაც საერთოდ ნიშნეულია ადამიანის უღიმღამო და უბადრუკი ცხოვრებისათვის, რომელსაც პირველად ვეჯახებით პირისპირ იმ დროს, როცა მისგან სულ სხვა რამეს მოველით. რაღა გვიჭირდა, თავის დროზე რომ გამოგვჩენოდა კეთილმოწყალე მრჩეველი და სიჭაბუკეშივე ერთხელ და სამუდამოდ მოგვეკვეთა ის ილუზია, თითქოს ცხოვრებას შეუძლია ბევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამე მოგვცეს. სინამდვილეში კი ყველაფერი პირიქით ხდება: ცხოვრებას ჯერ პოეზიით შევიცნობთ და მხოლოდ შემდეგ — მისი ნამდვილი სახით. ცხოვრების გარიჟრაჟზე თვალწინ გვიდგას მომნუსხველი პოეტური ხატებანი; ჩვენ გვახრჩობს მათი ხორცშესხმის წყურვილი, გვსურს ხელი წავავლოთ ცისარტყელას. ჭაბუკი იმაზე ოცნებობს, რომ მისი ცხოვრება მომხიბლავ რომანს დაემგვანება, რაც დასაბამს აძლევს ჩემი მთავარი შრომის მეორე ტომში აღწერილ ილუზიას. ყველა ამ ხატებას უჩვეულო ხიბლს ანიჭებს სწორედ ის გარემოება, რომ ისინი მხოლოდ ხატებანი არიან, რომლებსაც სინამდვილეში არაფერი შეესაბამება. ამიტომაცაა, რომ მათი ჭვრეტისას წმინდა შემეცნებით აღძრული სიმშვიდისა და კმაყოფილების გრძნობა გვეუფლება. მათი ხორცშესხმა მხოლოდ ნებელობითაა შესაძლებელი, რასაც გარდუვალად თან ახლავს ტანჯვა.

ცხოვრების პირველი ნახევრისათვის ნიშნეულია ბედნიერების დაუოკებელი წყურვილი, მეორისათვის კი — უბედურების შიში. ამ დროისათვის ჩვენ უკვე მეტ-ნაკლები სიცხადით გვესმის, რომ ყოველგვარი ბედნიერება ილუზორულია, ტანჯვა კი, პირიქით, — რეალური. საამდროისოდ ადამიანები, ყოველ შემთხვევაში, მათ შორის ყველაზე გონიერნი მაინც, ტანჯვისა და ტკივილისაგან თავის დაღწევას უფრო მიელტვიან, ვიდრე ბედნიერებას. სიჭაბუკეში კარზე რომ მომიკაკუნებდა ვინმე, გახარებული გულში ვამბობდი: „მადლობა ღმერთს“. მაგრამ გავიდნენ წლები; ახლა იგივე ვითარება ჩემში შიშს თულა იწვევს, და მე ვამბობ: „აი ისიც“. — მაღალი ნიჭით ცხებულ ყოველ კაცს, რომელიც სწორედ ამის გამო მთლიანად როდი ეკუთვნის ჩვეულებრივ მოკვდავთა მოდგმას, და თავის საკუთარ ღირსებათა მიხედვით, მეტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკლებად მარტოსულია, – ადამიანებთან ურთიერთობისას ორი საპირისპირო განცდა აღეძვრის გულში: სიჭაბუკეში გვგონია, რომ ყველამ *მიატოვა*, ხანში შესული კი ფიქრობს, რომ თვითონვე *გაექცა* ყველას. პირველი – ძალზე უსიამოვნო განცდა – კაცთა ვერცნობისგან იღებს დასაბამს, მეორე – სასიამოვნო კი – მათი ცნობისაგან. ამის შედეგად, ჩვენი ცხოვრების მეორე ნახევარი, მუსიკალური პერიოდის მეორე ნაწილის მსგავსად, გაცილებით ნაკლები წყვეტილობისა და მეტი სიმშვიდის შემცველია, ვიდრე პირველი. ეს იმიტომ, რომ სიჭაბუკეში წარმოგვიდგენია, თითქოს არსებობს უსასრულო ბედნიერება თუ სიამტკბილობა და მხოლოდ მისი მიღწევაა ძნელი, მოწიფულებმა კი ვიცით, რომ არაფერი ამდაგვარი არ არსებობს, და ამ მხრივ დამცხრალნი და დამშვიდებულნი მეტ-ნაკლებად ასატანი აწმყოთი, თვით უბადრუკი წვრილმანებითაც კი ვტკბებით.

ის, რასაც მოწიფული კაცი იძენს ცხოვრებისეული გამოცდილებით და რისი წყალობითაც სულ სხვა თვალით უცქერის სამყაროს, ვიდრე სიყრმესა თუ სიჭაბუკეში, უწინარეს ყოვლისა, *უშუალობა* გახლავთ. ის ეჩვევა მარტივად უმზირონ საგნებს და იმად აღიქვას ისინი, რანიც არიან სინამდვილეში. მაშინ როდესაც ყმაწვილისა თუ ჭაბუკისათვის მთელი სამყარო დაფარულია და დამახინჯებული მუხანათური ნისლით, რომელიც მისივე ოცნებებისა თუ ზმანებების, მემკვიდრეობით მიღებული ცრურწმენებისა თუ დაუოკებელი წარმოსახვით შობილი ხილვებისაგან შედგება. გამოცდილების უპირველესი მოვალეობა ისაა, რომ ათასნაირი ქიმერისა თუ მცდარი წარმოდგენისაგან გაგვათავისუფლოს, ბორკილივით რომ გვაკვრიან სიჭაბუკეში. ახალგაზრდობის ყველაზე უკეთესი,

თუმცაღა პირწმინდად ნეგატიური აღზრდა ის იქნებოდა, რომ ამნაირი შეცდომების საშუალება არ მიგვეცა მისთვის. მაგრამ ეს ადვილი ამოცანა როდია. ამ მიზნის მისაღწევად იმთავითვე უნდა შემოგვეზღუდა ყმაწვილის თვალსაწიერი, მაგრამ, ამასთანავე, ნათელი და ზუსტი ცნებებით აგვეხსნა მისთვის ყოველივე ის, რაც ამ წრის შიგნითაა მოქცეული, და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მართებულად შეითვისებდა ყველაფერს, თანდათანობით გაგვეფართოებინა ეს ხელოვნურად შეზღუდული თვალსაწიერი, იმავდროულად იმაზეც გვეზრუნა, რომ არაფერი დარჩენილიყობუნდოვანი და გაურკვეველი, რაც შეიძლება მხოლოდ სანახევროდ გაეგო, ან სულაც მცდარი წარმოდგენა შექმნოდა მასზე. ამის შედეგად, მისი წარმოდგენები საგნებსა თუ ადამიანთა ურთიერთობებზე, შესაძლოა, ერთგვარად შეზღუდული და პრიმიტიული იქნებოდა, მაგრამ, ამასთანავე, ნათელი და მართებულიც, ასე რომ, მხოლოდ მათი გაფართოება თუ დაგვჭირდებოდა, მაგრამ არა რაიმე შესწორების შეტანა მათში. ამნაირი მეთოდის უპირველესი მოთხოვნა ისაა, რომ ბავშვს ავუკრძალოთ რომანების კითხვა და მისთვის გასაგებად დაწერილი ბიოგრაფიებით შევცვალოთ ისინი, როგორიცაა, ვთქვათ, ბენჯამენ ფრანკლინის ცხოვრება, ან ანტონ კაიზერის ბიოგრაფია, რომლის ავტორია მორიცი, და სხვა მისთანანი.

სიჭაბუკისას გვგონია, რომ ის მოვლენები თუ პიროვნებები, რომლებსაც მოუწევთ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ ჩვენს ცხოვრებაში, დაფდაფთა ცემითა თუ ბუკ-ნაღარით შემოგვხვდებიან; მოწიფულობაში კი უკან მიხედვა გვარწმუნებს, რომ ფეხაკრეფით მოძვრებოდნენ უკანა კარიდან და თითქმის შეუმჩნევლად შემოგვეპარნენ.

იმავე აზრით, ცხოვრება შეიძლება ტილოს მოქარგულ ნაჭერს შევადაროთ, რომლის წალმა პირსაც ადამიანი თავისი ცხოვრების პირველ ნახევარში ხედავს, უკუღმა პირს კი მეორეში. მართალია, ეს უკანასკნელი არც ისე მშვენიერია, მაგრამ გაცილებით მეტს კი გვასწავლის, რადგანაც მასზე შეიძლება თვალი გავადევნოთ, როგორ ეწვნიან ძაფები ერთიმეორეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველგვარი გონებრივი უპირატესობა საუბრისას შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ორმოცი წლისა გავხდებით. რადგანაც ამ უპირატესობამ შეიძლება უკან მოიტოვოს სიმწიფე და გამოცდილება, მაგრამ შეცვლით ვერც ერთს შეცვლის და ვერც მეორეს, ვინაიდან ეს უკანასკნელნი თვით სავსებით ჩვეულებრივ კაცსაც კი საშუალებას აძლევენ გააწონასწოროს უდიდესი გონების ძალმოსილება, ვიდრე მისი პატრონი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. მე აქ პირად ურთიერთობებს ვგულისხმობ და არა ქმნილებებს.

თავისი ღირსებებით სხვებისაგან მეტ-ნაკლებად გამორჩეული ვერცერთი კაცი, რომელიც არ ეკუთვნის დანარჩენი კაცობრიობის ხუთ მეექვსედს, ვისთვისაც ესოდენ მწირი საბოძვარი გაიმეტა ბუნებამ, – მას შემდეგ, რაც ორმოცი წლისა გახდება, თავს ვერ შეინახავს ისე, რომ მიზანთროპიის ერთგვარი ბრკე არ მოეკიდოს. სავსებით ბუნებრივია, რომ ოდესღაც ის თავისი თავის მიხედვით მსჯელობდა სხვებზე და თანდათანობით უცრუვდებოდა იმედი, რადგანაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ხედავდა, რომ ადამიანები უიმედოდ ჩამორჩნენ და ვეღარასოდეს გაუსწორდებიან მას გონებისა თუ გულის სიმდიდრით, უმეტესად კი – ორივეთი ერთად. ამიტომაც ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები ურთიერთობა იქონიოს

მათთან. ერთხელ კიდევ შევახსენებთ, რომ ადამიანს უყვარს ან სძულს მარტოობა, ესე იგი, თავისი თავის ამარა ყოფნა, იმისდა კვალად, თუ რამდენად ფასეულია მისი შინაგანი სამყარო. სხვათა შორის, მიზანთროპიის ამ სახეობას განიხილავს კანტი თავის თხზულებაში „განსჯის უნარის კრიტიკა“, პირველი ნაწილის ოცდამეცხრე პარაგრაფის ზოგადი შენიშვნის ბოლოს.

ყმაწვილ კაცს ცუდად ახასიათებს, როგორც გონებრივი, ისე ზნეობრივი თვალსაზრისით, თუ ის ადრევე *კარგად ერკვევა* კაცთა ცხოვრების ამაოებაში, ისე გრძნობს მასში თავს, როგორც საკუთარ სახლში და თითქოს სავსებით მომზადებული ებმება ცხოვრების ორომტრიალში; ყოველივე ეს მის სიმდაბლეს და სიბილწეს მოწმობს; და პირიქით, გაუბედავი, უხერხული, უგერგილო ქცევა უფრო კეთილშობილურ ბუნებაზე მეტყველებს.

ჩვენი სიჭაბუკის სილაღეს და სიხალისეს, სხვათა შორის, ისიც განაპირობებს, რომ მთის კალთაზე აღმა მიმავალნი ვერ ვხედავთ სიკვდილს, რომელიც თხემს გადაღმა, მთის ძირას გველოდება. მაგრამ თხემზე რომ ვექცევით მთას, ჩვენ უკვე საკუთარი თვალითა ვხედავთ იმ სიკვდილს, რომელიც ადრე ყურმოკვრით თუ გვსმენია. და რაკი ამ დროისთვის სასიცოცხლო ძალა უკვე კლებულობს, სიხალისეც თვალ და ხელშუა გვიქრება და კუშტი სერიოზულობა თანდათანობით აძევებს ჭაბუკურ სილაღეს და სიკისკასეს, რათა თვითონ დაიკავოს მათი ადგილი. სიჭაბუკისას, რასაც არ უნდა ჩაგვძახოდნენ ყურში, სიცოცხლე უსასრულო გვგონია და ამისდაკვალად ვექცევით დროსაც; მაგრამ რაც უფრო ხანში შევდივართ, მით უფრო ხელმომჭირნედ ვიყენებთ დროს. სიცოცხლის მიმწუხრს ყოველი გავლილი დღე ჩვენში

შეგრძნებას იწვევს, რასაც ყოველი ნაბიჯის გადადგმისას განიცდის სიკვდილმისჯილი დამნაშავე, სახრჩობელისკენ მიაცილებენ.

ახალგაზრდობის თვალსაზრისით, ცხოვრება უსასრულოდ გრძელი მომავალია, სიბერის თვალსაზრისით კი — ძალიან მოკლე წარსული. თავდაპირველად ცხოვრება ერთგვარ საგნად წარმოგვიჩნდება, როცა მას დურბინდით, თვალთან ახლოს მიტანილი ობიექტივის მინიდან ვუყურებთ, უფრო გვიან კი — ოკულარიდან დანახულ იმავე საგნად. უნდა დიდხანს იცოცხლო, დაბერდე, დაჩაჩანაკდე, რათა შეიცნო, რარიგ მოკლეა სიცოცხლე. რაც უფრო ხანში შევდივართ, მით უფრო უბადრუკი გვეჩვენება ყოველივე ადამიანური. სიჭაბუკეში სიცოცხლე რაღაც მყარი და გარკვეული გვგონია, სიბერეში კი ის სხვა არა არის რა, თუ არა ეფემერულ მოვლენათა მკრთალი ციმციმი; თვალნათლივ ვლინდება ყოველივე მიწიერის უბადრუკობა. სიჭაბუკეში თვით დროც კი გაცილებით უფრო ზანტად მიიზლაზნება. ამიტომაც სიცოცხლის პირველი მეოთხედი, არა მარტო ყველაზე ბედნიერი, არამედ ყველაზე გრძელი პერიოდიც, გაცილებით უფრო მეტ მოსაგონარს გვიტოვებს, ასე რომ, თითოეულ ჩვენგანს შეეძლო ათასჯერ მეტი რამ მოეგონებინა თავისი სიცოცხლის პირველი მეოთხედიდან, ვიდრე მომდევნო ორი მეოთხედი მისცემდა ამის საშუალებას. როგორც ყოველი წლის გაზაფხულზე, ისე სიცოცხლის გაზაფხულზედაც დღეები ზოგჯერ გულისგამაწვრილებლად გრძელია, ხოლო როგორც წლის, ისე სიცოცხლის შემოდგომაზეც დღეები უფრო მოკლეა, მაგრამ, ამასთან უფრო მშვიდი და ნათელიც.

მაინც რატომაა, რომ სიბერეში გავლილი სიცოცხლე ესოდენ მოკლე გვეჩვენება იმიტომ, რომ შემოკლდა და შეიკვეცა ჩვენი მოგონება მასზე; მეხსიერებიდან გამქრალია ყოველივე უსიამოვნო, უმნიშვნელო და უბადრუკი. ჩვენი მეხსიერება ისევე არასრულქმნილია, როგორც ჩვენივე გონება: უნდა გავიმეოროთ დასწავლილი, დაჟინებით ვცოხნოთ წარსული, თორემ ერთიც და მეორეც სამუდამოდ დაინთქმება დავიწყების მრუმე მორევში. მაგრამ ჩვენ არა გვჩვევია, გამუდმებით ვცოხნოთ ის, რაც უსიამოვნოა და უმნიშვნელო, თუმცა კი უნდა გვეცოხნა, რომ ჩვენს მეხსიერებას შემორჩენოდა. ამასთანავე, ის, რაც უმნიშვნელოა, სულ უფრო და უფრო იზრდება: ხშირი და ლამის დაუსრულებელი გამეორების წყალობით, ბევრი რამ, რაც თავდაპირველად მნიშვნელოვანი გვეგონა, უმნიშვნელო ხდება. აი, რატომაა, რომ ჩვენი ადრეული წლები უკეთ გვახსოვს, ვიდრე მერმინდელი. რაც უფრო მეტხანს ვცოცხლობთ, მით უფრო ნაკლები მოვლენა გვეჩვენება არსებითი, ან იმდენად მნიშვნელოვანი, რომ გახსენებად ღირდეს; არადა, მხოლოდ ამ პირობით თუ შეიძლება შემორჩეს ჩვენს მეხსიერებას. თავს იჩენს რამე, ნაივლის და მაშინვე მიგვავიწყდება. დრო მიჰქრის და სულ უფრო და უფრო ნაკლებ ნაკვალევს ტოვებს უკან.

არც უსიამოვნების გახსენება გვიყვარს, მით უმეტეს, თუ იბღალება ჩვენი პატივმოყვარეობა, რაც ყველაზე ხშირადა ხდება. ძალზე ცოტაა იმნაირი უბედურება, რომელშიაც ჩვენ თვითონ არავითარი ბრალი არ მიგვიძღოდეს. ამიტომაცაა, რომ დავიწყებას ეძლევა ამდენი უსიამოვნო რამ.

რაკი ეს ორი რამ გვავიწყდება, ჩვენი მეხსიერება სულ უფრო და უფრო მეტ მოვლენას კარგავს, და მისი ფონდი მით

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო მცირდება, რაც უფრო იზრდება მისი მასალა. გემი რომ ნავსადგურიდან გადის, ნაპირზე დარჩენილი საგნები თანდათან პატარავდებიან, სულ უფრო ბუნდოვანნი და ძნელად გასარჩევნი ხდებიან; იგივე ითქმის წარსული დროის მოვლენების მიმართ. უნდა შევნიშნოთ, რომ მეხსიერება და წარმოსახვა ზოგჯერ უკან გვიბრუნებენ და ისე ცოცხლად წარმოგვიჩენენ ჩვენს მიერ ოდესღაც განცდილ სანეტარო წამს, თითქოს ეს ამბავი გუშინ მომხდარიყოს, და ამრიგად გვიახლოებენ წარსულს. ეს იმის გამო ხდება, რომ შეუძლებელია იმავდროულად წარმოვიდგინოთ დროის ის ხანგრძლივი შუალედი, რომელიც ძევს აწმყოსა და წარსულს შორის, ვინაიდან ეს მონაკვეთი ვერ ეტევა ესოდენ ვიწრო ჩარჩოში და თანაც ამ ხნის მანძილზე მომხდარი მოვლენების უმრავლესობა უკვე დავიწყებას მიეცა; დარჩა მხოლოდ ზოგადი, მხოლოდ აბსტრაქტული შეგრძნება, ლიტონი ცნება ჭვრეტითი მომენტის გარეშე. აი, რატომაა, რომ შორეული წარსულის ზოგიერთი მოვლენა ისე ახლოს გვეჩვენება, თითქოს გუშინ მომხდარიყოს, მაშინ როდესაც დრო, რომელიც მას გვაშორებს, ქრება, და მთელი სიცოცხლე წარმოუდგენლად მოკლე გვგონია.

სიბერეში უკან მოტოვებული მთელი წარსული და მასთან ერთად ჩვენი ასაკიც ზოგჯერ რაღაც უჩვეულო და ზღაპრულ იერს იძენს. ამას უპირატესად ის განაპირობებს, რომ ჩვენს წინაშე, უწინარეს ყოვლისა, კვლავაც იმავე უძრავ აწმყოსა ვხედავთ. ეს შინაგანი მოვლენები, საბოლოო ანგარიშით, იმაზეა დაფუძნებული, რომ დროში არსებობს არა ჩვენი „მე“, არამედ მისი ესა თუ ის გამოვლენა, ხოლო აწმყო სუბიექტისა და ობიექტის — ჩვენი და სამყაროს შეხების წერტილად გვევლინება.

მაგრამ რატომ გვგონია სიჭაბუკეში სიცოცხლე, ჩვენს წინაშე რომ იშლება, ეგზომ უსასრულო იმიტომ, რომ უსაზღვრო იმედს, რასაც ცხოვრებაზე ვამყარებთ და რის ხორცშესხმასაც მათუსალას სიცოცხლეც არ ეყოფოდა, უსასრულო სივრცე სჭირდება. უგეც არ იყოს, სიცოცხლის მასშტაბად იმ რამდენიმე წელს ვიღებთ, რაც ჩვენ ვარსებობთ ამ ქვეყნად. ეს წლები მდიდარ მასალას სთავაზობენ მეხსიერებას, რადგანაც თავისი სიახლის წყალობით ყველაფერი მნიშვნელოვანი გვგონია; ამიტომაც ხშირად მეორდება მოგონების სახით და მეხსიერებაში აღიბეჭდება ამ გამეორების წყალობით.

ხანდახან გვგონია, რომ ესა თუ ის შორეული ა დ გ ი ლ ი გვენატრება, მაშინ როდესაც სინამდვილეში მხოლოდ იმ დ რ ო ზ ე ვწუხვართ, იქ რომ გავატარეთ, როცა უფრო ახალგაზრდები და ხალისით სავსენი ვიყავით. ასე გვატყუებს დრო, სივრცის ნიღბით რომ გვევლინება. იქ რომ ჩავსულიყავით, ხელად მივხვდებოდით ჩვენ შეცდომას.

შეიძლება ორი სხვადასხვა გზით მიაღწიო სიბერეს, მაგრამ საამისოდ აუცილებელია შემდეგი პირობა: მაგარი და ჯანსაღი ორგანიზმი უნდა გქონდეს. სანიმუშოდ ორ ანთებულ ლამპას მოვიტან: ერთი დიდხანს ანთია იმიტომ, რომ, მართალია, შიგ ცოტა ზეთია ჩასხმული, მაგრამ წვრილი პატრუქი აქვს, მეორე კი იმიტომ, რომ თუმცა სქელ პატრუქსა წვავს, მაგრამ შიგ ბევრი ზეთი ასხია. ზეთი სასიცოცხლო ძალაა, პატრუქი კი – ამ ძალის ხარჯვის საშუალება.

რაც შეეხება ს ა ც ი ც ო ც ხ ლ ო ძალას, ვიდრე ოცდათექვსმეტი წლისა გავხდებოდეთ, იმ კაცსა ვგავართ, თავისი რენტით რომ ცხოვრობს. ოცდათექვსმეტი წლის შემდეგ

კი შეიძლება რანტიეს შევადარონ, თავისი კაპიტალის ხარჯვას რომ იწყებს. თავდაპირველად ეს თითქმის არც კი შეიმჩნევა: დანახარჯის უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ თავისით ივსება. უმნიშვნელო დეფიციტს ყურადღების ღირსადაც არ ვთვლით. მაგრამ ის თანდათან იზრდება, აშკარად საგრძნობი ხდება, მისი ზრდის ტემპიც მატულობს და ჩვენ დღითი-დღე ვღატაკდებით, ისე, რომ საქმის გამოსწორების იმედიც აღარ გვრჩება. კაპიტალი ვარდნილი სხეულის სიჩქარით მცირდება და ბოლოს ცარიელ-ტარიელნი ვრჩებით. მაგრამ ყველაზე სავალალო მაინც ისაა, თუ ერთდროულად ილევა ჩვენი სასიცოცხლო ძალაცა და მთელი ჩვენი ავლადიდებაც. ამიტომ რაც უფრო ხანში შევდივართ, მით უფრო იზრდება ფლობის სურვილი. და პირიქით, სრულწლოვანების მიღწევამდე და ცოტა შემდეგაც, სასიცოცხლო ძალის მხრივ იმ კაცსა ვგავრთ, თავის კაპიტალს პროცენტებს რომ უმატებს. დანახარჯი არა მარტო თავისით ივსება, არამედ თვით კაპიტალიც მატულობს. ჭკვიანი და პატიოსანი მეურვის მზრუნველობის წყალობით, ზოგჯერ ასევე იზრდება ჩვენი შემოსავალი.

რაც უფრო ბედნიერია სიჭაბუკე, მით უფრო სევდიანია სიბერე. ამიტომ ჭაბუკმა უნდა დაზოგოს თავისი ძალა. არისტოტელეს მოწმობით /„პოლიტიკა“,VIII, 5/, ოლიმპიურ ასპარეზობაში გამარჯვებულთაგან მხოლოდ ორ-სამ კაცს თუ მოუპოვებია გამარჯვება სიჭაბუკეშიც და მოწიფულობაშიც; ძალთა ნაადრევი ფლანგვა და ზღვრული დაძაბვა წვრთნისას ისეთნაირად ფიტავს ორგანიზმს, რომ მოწიფულობისას კაცს თითქმის აღარცა რჩება ძალა. ეს ეხება როგორც ფიზიკურ, ისე ნერვულ ენერგიასაც, გონების შრომაში რომ ვლინდება. ამიტომ ბევრი ნორჩი გენიოსი — ვუნდერკინდი, სათბურში გამოყვანილი

ნაყოფი, — უფრო გვიან თითქმის არც კი განსხვავდება დანარჩენ მოკვდავთაგან გონების ძალმოსილებით. შესაძლოა, ადრეულ ასაკში, ძველი ენების შესწავლისას გონებრივ ძალთა ზღვრული დაძაბვა უნდა მივაჩნდეს არა ერთი და ორი სწავლულის გამოთაყვანებისა თუ გამოლენჩების მიზეზად.

ბიბლიოთეკა

ჩემი დაკვირვებით, თითქმის ყველა ადამიანის ხასიათი მისი ცხოვრების ამა თუ იმ პერიოდზეა დამოკიდებული და სწორედ ამ ასაკში ვლინდება ყველაზე მიმზიდველი სახით. ზოგი მომხიბლავია სიჭაბუკეში, მაგრამ უფრო გვიან ამ თვისებას კარგავს; ზოგი ქმედითი და ენერგიულია მოწიფულობაში, მაგრამ სიბერეში ვეღარ ინარჩუნებს ამ ღირსებას; ზოგი კი სწორედ სიბერეში იძენს მომხიბვლელობას, როცა გამოცდილებისა და სულიერი წონასწორობის წყალობით უფრო თვინიერი ხდება;— ეს უფრო ხშირად შეინიშნება ფრანგებში. როგორც ჩანს, ამას ის გარემოება განაპირობებს, რომ თვით ხასიათშია რაღაც ჭაბუკური, ვაჟკაცური და ბერიკაცული, ასე ჰარმონიულად რომ ეხამება სათანადო ასაკს.

ხომალდზე მყოფნი მხოლოდ იმის წყალობით ვამჩნევთ მის მოძრაობას, რომ ნაპირზე დარჩენილი საგნები თანდათანობით უკან იხევენ და სულ უფრო და უფრო პატარავდებიან; ზუსტად ასევე, მხოლოდ შემდეგი ნიშნის მიხედვით ვამჩნევთ იმასაც, რომ ვბერდებით: ახალგაზრდებად გვეჩვენებიან სულ უფრო და უფრო ასაკოვანნი.

ზემოთ ახსნილ იქნა, თუ როგორი ან რატომაა, რომ ყველაფერი, რასაც ვხედავთ, ვაკეთებთ ანდა განვიცდით, მით უფრო ნაკლებ კვალსა ტოვებს ჩვენს ცხოვრებაში, რაც უფრო ხნიერნი ვხდებით. ამ აზრით, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მარტოოდენ სიჭაბუკეში ვცხოვრობთ სავსებით ცნობიერად,

სიბერეში კი – მხოლოდ სანახევროდ. რაც უფრო გვემატება წლები, მით ნაკლებ ცნობიერი ხდება ჩვენი სიცოცხლე: ყველაფერი ისე ჩაგვივლის გვერდით, რომ არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს ჩვენზე, ზუსტად ისევე, როგორც ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც ათასჯერ გვინახავს. ჩვენ ვაკეთებთ იმას, რისი კეთებაც გვმართებს, და შემდეგ არც კი ვიცით, მართლა გავაკეთეთ თუ არა ეს. სწორედ იმის შედეგად, რომ ჩვენი სიცოცხლე სულ უფრო და უფრო ნაკლებ ცნობიერი ხდება და სრული არაცნობიერებისაკენ ისწრაფის, – დროც უფრო სწრაფად მიედინება. ბავშვობაში ყოველი საგანი თუ მოვლენა თავისი სიახლის წყალობით იჭრება ჩვენს ცნობიერებაში, ამიტომ დღე უსასრულოდ გრძელი გვეჩვენება. იგივე ხდება მოგზაურობის დროსაც, როცა ერთი თვე შინ გატარებულ ოთხ თვეზე გრძელი გვგონია. მაგრამ საგანთა ამ სიახლის მიუხედავად, დრო, რომელიც ორივე შემთხვევაში თითქოს უფრო ნელა მიედინება, ზოგჯერ უფრო მოსაწყენი გვეჩვენება, ვიდრე სიბერეში, ან შინ ყოფნისას. იმის შედეგად, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე ვეჩვევით ერთსა და იმავე შთაბეჭდილებებს, ჩვენი გონება ისეთნაირად იჩარხება და ილესება, ყველაფერს ისე ირეკლავს, რომ ზედ არავითარი ნაკვალევი აღარ რჩება. ყოველი მომდევნო დღე წინაზე უფრო უმნიშვნელო და ამიტომ უფრო მოკლე გვგონია, თითქოს სიჭაბუკის საათი უფრო გაწელილი იყოს, ვიდრე სიბერისა. ჩვენი ცხოვრება ისე აჩქარებით მიგელავს, როგორც დახრილ სიბრტყეზე დაგორებული ბურთულა. როგორც მბრუნავი წრის ყოველი წერტილი მით უფრო სწრაფად მოძრაობს, რაც უფრო მეტად დაშორებულია ცენტრიდან, ისე ჩვენი დროც მით უფრო სწრაფად მიედინება, რაც უფრო მეტად შორდება ჩვენივე

სიცოცხლის დასაბამს. შეიძლება ითქვას, რომ წლის ხანგრძლივობა ჩვენი სულის უშუალო შეფასებით უკუ-პროპორციულია იმ წილადისა, რომლის მრიცხველია ერთი წელი, მნიშვნელი კი — ჩვენი ასაკი. ასე მაგალითად, როცა ერთი წელი ჩვენი ასაკის 1/5-ს შეადგენს, ის 10-ჯერ უფრო გრძელი გვეჩვენება, ვიდრე მაშინ, როცა იგივე ერთი წელი ჩვენი ასაკის მხოლოდ 1/50-ია. დროის სიჩქარის ეს სხვადასხვაობა ნებისმიერ ასაკში გადამწყვეტ ზემოქმედებას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე. უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამის წყალობითაა, რომ ბავშვობა, რომელიც მხოლოდ თხუთ-მეტიოდე წელს გრძელდება, ცხოვრების ყველაზე გრძელი და, მაშასადამე, მოგონებებით ყველაზე მდიდარი პერიოდია. ამავე სხვადასხვაობის გამო გვეუფლება მოწყენილობაც, რომელიც ჩვენი ასაკის უკუპროპორციული გახლავთ. ბავშვებს გა-მუდმებით სჭირდებათ თავშექცევა, თამაში იქნება ეს თუ ხელგარჯილობა. როგორც კი თავშესაქცევი შემოაკლდებათ, დაუყოვნებლივ ეუფლებათ სასოწარმკვეთი მოწყენილობა. ჭაბუკებიც ასევე მძაფრად განიცდიან მოწყენილობას და შეშფოთებით უმზერენ მოცლილობის ცარიელ საათებს. მოწიფულობაში მოწყენილობა თანდათანობით ქრება. სიბერეში დრო მეტისმეტად მოკლეა და დღეები გატყორცნილი ისრებივით მიქრიან. რა თქმა უნდა, მე აქ ადამიანების სიბერეს ვგულისხმობ და არა ბეხრეკი საქონლისას. ამ აჩქარების წყალობით მოწიფულობაში მოწყენილობა უმეტესწილად ქარწყლდება, და რაკი, მეორეს მხრივ, ჩვენი მტანჯველი ვნებებიც ცხრება, ამიტომ, თუკი ჯანმრთელობა შევინარჩუნეთ, ცხოვრების უღელი უფრო მსუბუქი გვეჩვენება, ვიდრე სიჭაბუკეში. აი, რატომაა, რომ პერიოდს, რომელიც წინ

უსწრებს სიბერისათვის ნიშნეულ სისუსტეს და სიძაბუნეს, ცხოვრების „უკეთეს წლებს" უწოდებენ. თვითშეგრძნების თვალსაზრისით, ისინი მართლაც უკეთესნი არიან. მაგრამ სიჭაბუკეს, როცა ყველაფერი ჯერ კიდევ მძაფრ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე და მკვეთრად აღიბეჭდება ცნობიერებაში,– ის უპირატესობა რჩება, რომ სიჭაბუკის წლები სულის განაყოფიერების წლებია, სიცოცხლის გაზაფხული, როცა მწვანით იმოსება სულის ყლორტები. დიად ჭეშმარიტებათა შემეცნება მხოლოდ ჭვრეტით თუ შეიძლება და არა ანგარიშით. ჭვრეტითი შემეცნება უშუალოა და შთაბეჭდილებებით გვეძლევა, მაშასადამე, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ეს შთაბეჭდილებანი ჯერ კიდევ მძაფრნი, ცინცხალნი და ცხოველმყოფელნი არიან. ამ მხრივ, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რანაირად გამოიყენება სიჭაბუკე. მოწიფულობაში ჩვენ შეგვიძლია უფრო დიდ ზემოქმედებას ვახდენდეთ სხვებზე, მთელ ცხოვრებაზე, რადგან ჩვენ თვითონ დასრულებულნი ვართ, ჩამოყალიბებულნი და ნაკლებად ვექვემდებარებით შთაბეჭდილებებს. სამაგიეროდ სამყარო გაცილებით ნაკლებ ზემოქმედებას ახდენს ჩვენზე. ამიტომაც მოწიფულობის წლები შრომისა და მოღვაწეობის წლებია, სიჭაბუკე კი – პირველადი აღქმისა და შემეცნების პერიოდი.

სიჭაბუკეში ჭვრეტა სჭარბობს, სიბერეში – განსჯა; პირველი – პოეზიის პერიოდია, მეორე – ფილოსოფიისა. პრაქტიკულადაც, ჩვენი მოქმედება სიჭაბუკეში განისაზღვრება იმით, რასაც ვხედავთ და რანაირი შთაბეჭდილებაც გვრჩება ამის შედეგად, სიბერეში კი – მარტოოდენ განსჯით. ნაწილობრივ ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ მხოლოდ სიბერეში გროვდება და ცნებებზე დაიყვანება რეალურ

მოვლენათა ის რაოდენობა, რაც საკმარისია საიმისოდ, რომ ამ ცნებებს ავტორიტეტულობა, შინაარსობრივი სისავსე და მნიშვნელობა მიანიჭოს და, ამასთანავე, ჩვევის წყალობით, შეარბილოს საგანთა ჭვრეტით გამოწვეული შთაბეჭდილების სიმძაფრე. სიჭაბუკეში კი – უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება მძლავრი წარმოსახვით დაჯილდოებულ სულებს, – ყოველივე ხილულითა და, მაშასადამე, საგანთა გარეგნული იერით აღძრული შთაბეჭდილება იმდენად მძაფრია, რომ მთელი სამყარო ერთ მრავალფეროვან სურათად წარმოუჩნდებათ; მათთვის ყველაზე არსებითია, როგორ ფიგურირებენ, ან რანაირად გამოიყურებიან ამ სურათზე, და არა ის, თუ რას გრძნობენ თვითონ. ეს ვლინდება მათ პატივმოყვარეობასა და ერთგვარ კუდაბზიკობაში.

უდიდესი ენერგია და სულიერ ძალთა ზღვრული დაძაბვა, უეჭველად, თავს იჩენს ახალგაზრდობაში, არა უგვიანეს ოცდათხუთმეტი წლისა; აქედან მოყოლებული, ეს დაძაბულობა თანდათანობით კლებულობს და, მართალია, ძალიან ნელა, მაგრამ მაინც სუსტდება. თუმცა მომდევნო წლებსა და თვით სიბერეშიაც კი ეს კლება სულის სხვა უნართა მეოხებით ნაზღაურდება. ადამიანი მხოლოდ სიბერეში იძენს ცოდნასა და მდიდარ გამოცდილებას. მას დროც საკმარისი ჰქონდა და არც სათანადო შემთხვევები აკლდა, რომ ყველაფერი გულდასმით განეხილა და აეწონ-დაეწონა; მან შეიცნო მოვლენათა ურთიერთმოქმედება, მათი შეხების წერტილებსაც მიაკვლია და შუალედური რგოლებიც აღმოაჩინა, ასე რომ, მთელი სიგრძე-სიგანით მხოლოდ ახლა გააცნობიერა მათი ურთიერთკავშირი. მისთვის უკვე ყველაფერი ცხადი შეიქნა. რაც სიჭაბუკეში იცოდა, ახლა გაცილებით უფრო საფუძვლიანად იცის, რაკიღა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი ცნებისათვის შეუდარებლად მეტი მონაცემი მოეძებნება. რაც სიჭაბუკეში ჩვენთვის ნაცნობი გვქონდა, სიბერეში მართლა ვიცით, და, თანაც, გაცილებით მეტი ვიცით, ვიდრე ახალგაზრდობაში. ეგეც არ იყოს, მთელი ჩვენი ცოდნა უფრო ღრმად გააზრებული და უფრო მთლიანი ხდება, მაშინ როდესაც სიჭაბუკეში მისთვის ნიშნეულია ხარვეზები და წყვეტილობა. მხოლოდ ბერიკაცს თუ შეუძლია ამომწურავი და მართებული წარმოდგენა ჰქონდეს ცხოვრებაზე, რაკიღა მთელი სისრულით მიმოიხილავს მას, ხედავს მის ბუნებრივ მდინარებას და, რაც მთავარია, ახალგაზრდებივით მარტო შესასვლელს კი არა, გასასვლელსაც ამჩნევს, რისი წყალობითაც მთელი სიგრძე-სიგანით იცნობიერებს ამქვეყნიური არსებობის უბადრუკობას, მაშინ როდესაც დანარჩენების მცდარი წარმოდგენით, სიცოცხლის უკეთესი დღეები ჯერ კიდევ წინაა. სამაგიეროდ სიჭაბუკეში ჩვენი აღმქმელობა უფრო მძაფრია და ამიტომ იმ მცირეოდენი ცოდნიდან, რაც ამ დროს მოგვეპოვება, ყოველთვის შეგვიძლია ბევრი რამ გამოვიტანოთ. ამის სანაცვლოდ, სიბერეში უფრო გონიერნი, გამჭრიახნი და ჭკუადამჯდარნი ვხდებით. იმას, რაც მძლავრმა გონებამ ოდესმე უნდა აჩუქოს სამყაროს, ის სიჭაბუკიდანვე აგროვებს, საკუთარი დაკვირვებებისა თუ ძირითად შეხედულებათა სახით, მაგრამ ამ დანაგროვის დამუშავებას მხოლოდ მოწიფულობაში თუ ახერხებს. დიდი მწერლები თავიანთ საუკეთესო ნაწარმოებებს დაახლოებით ორმოცდაათი წლის ასაკში ქმნიან. და მაინც, სიჭაბუკე ცნობადის ხის ფესვადა რჩება, თუმცა ნაყოფს ტოტები ისხამენ. მაგრამ როგორც ნებისმიერ, თვით ყველაზე უბადრუკ ეპოქასაც კი წინა საუკუნეებზე უფრო ჭკვიანი ჰგონია თავი, ადამიანიც ასევე უცქერის უფრო ადრეულ

ასაკს. ხშირად ეს მცდარია როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში. ფიზიკური ზრდის ასაკში, როცა დღითი-დღე იზრდება ჩვენი გონების ძალმოსილებაც და ჩვენი ცოდნაც, რატომღაც ჩვევად გვექცევა, ქედმაღლური ზიზღით თავს დავყურებდეთ გუშინდელ დღეს. ეს ჩვეულება თანდათანობით ფესვს იდგამს ჩვენში და თვით მაშინაც კი გვრჩება, როცა კლებას იწყებს სულიერი ძალმოსილება; ამდენად, თითქოს მეტი პატივისცემა გვმართებდა გუშინდელი დღის მიმართ. იქნებ ამიტომაცაა, რომ ამ ასაკში გარკვეულწილად ვაღიარებთ სიჭაბუკის დროინდელ მიღწევებსაც და აზრებსაც.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა ჩვენი ხასიათის, ანუ გულის ძირითადი ნიშან-თვისებები ისევე თანდაყოლილნი არიან, როგორც ჩვენივე გონების, ანუ ტვინისა, ეს უკანასკნელი ისევე უცვლელი როდია, როგორც პირველი, არამედ მრავალრიცხოვან ცვლილებებს განიცდის, რაც, საერთოდ, რეგულარულად ხდება, რადგანაც ეს ნაწილობრივ იმითაა განპირობებული, რომ ინტელექტის საფუძველი მაინც ფიზიკურია, ნაწილობრივ კი იმით, რომ მისი მასალა ემპირიული გახლავთ. ინტელექტუალური ძალმოსილება თანდათანობით იზრდება, თავის აკმეს აღწევს და შემდეგ ასევე თანდათანობით მცირდება, თანდათანობით ქვეითდება თვით გამოლენჩებამდე. მეორეს მხრივ, მასალა, რომლითაც ოპერირებს ინტელექტი, ესე იგი, აზრისა და ცოდნის შინაარსი, გამოცდილება, ქმედითობა, შემეცნება და, ყოველივე ამის წყალობით,— შეხედულებათა სრულყოფილება,— გამუდმებით მზარდი სიდიდეა, თუმცა ამ ზრდასაც თავისი ზღვარი აქვს: გამოლენჩების დასაწყისი, როცა ყველაფერი მთავრდება. ადამიანში ამ ორი ელემენტის — ერთის მხრივ, უცვლელის,

ხოლო მეორეს მხრივ, ორი საპირისპირო მიმართულებით თანაბარზომიერად ცვლადი ელემენტის ურთიერთქმედება განაპირობებს ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში მისი თვისებების თუ ღირსებების სხვადასხვაობას.

უფრო ფართო გაგებით, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ცხოვრების პირველი ორმოცი წელი ტექსტია, მომდევნო ოცდაათი წელი კი – ამ ტექსტის კომენტარი, რაც საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ მის ჭეშმარიტ აზრსა თუ თანმიმდევრობას და, იმავდროულად, შევიცნოთ ყველა მისი დეტალი თუ ზნეობრივი მიმართულება.

სიცოცხლის დასასრული მასკარადის დასასრულს მოგვაგონებს, როცა ყველანი იხსნიან ნიღბებს. ახლაღა ვხვდებით, რანაირი ყოფილან ისინი, ვისთანაც რაიმე ურთიერთობა გვქონია. საამდროისოდ უკვე ყველა ხასიათი გამომჟღავნდა, ყოველმა საქმემ თავისი ნაყოფი გამოიღო, შრომა სათანადოდ დაფასდა და ყოველგვარი ილუზია გაქრა. ამას, რა თქმა უნდა, დიდი დრო დასჭირდა. მაგრამ ყველაზე უცნაური ის არის, რომ ჩვენი სიცოცხლის ბოლოსღა ვცნობთ საკუთარ თავსაც, ვიცხადებთ ჩვენს მიზნებსა და საშუალებებს, მეტადრე, ჩვენს დამოკიდებულებას სამყაროსა და სხვების მიმართ. ხშირად, თუმცა არა ყოველთვის, იძულებულნი ვართ უფრო დაბლა დავაყენოთ ჩვენი თავი, ვიდრე უწინ წარმოგვედგინა, ზოგჯერ კი – უფრო მაღლაც, რაც იმის შედეგია, რომ ცხადად არ გვქონდა შეცნობილი ქვეყნის სიმდაბლე და მეტისმეტად მაღალ მიზანს მიველტვოდით. მოკლედ, ჩვენ შევიცნობთ, ვის რა ფასი აქვს.

სიჭაბუკეს, ჩვეულებრივ, ცხოვრების ბედნიერ პერიოდს უწოდებენ, სიბერეს კი – მწუხარების ხანას. ეს, ალბათ, სწორი

იქნებოდა, ვნებები რომ ბედნიერებას გვანიჭებდნენ. მაგრამ სწორედ ვნებებია, თავიანთ ნებაზე რომ ათამაშებენ ახალგაზრდობას, ცოტა სიხარული მოაქვთ და აურაცხელი უბედურება. ისინი არ ამღვრევენ გულცივ სიბერეს და ის მჭვრეტელობის იერს იძენს. შემეცნება თავისუფალი და ძლევამოსილი ხდება, და რაკი მისთვის თავისთავად უცხოა ტანჯვა, ამიტომ რაც უფრო მეტი წილი უძევს ცნობიერებაში, მით უფრო ბედნიერია ეს უკანასკნელი. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ტკბობა, თავისი არსით, ნეგატიურია, ტანჯვა კი — პოზიტიური, რათა ჩვენთვის ცხადი შეიქნეს, რომ ვნებებს არ შეუძლიათ ბედნიერება მოგვანიჭონ, და რად უნდა გვებრალებოდეს სიბერე იმის გამო, რომ ამა თუ იმ ტკბობასა და განცხრომას მოკლებულია? ყოველგვარი ტკბობა გარკვეული მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა, მაგრამ თუ ერთიც ქრება და მეორეც, ეს ისევე ნაკლებად უნდა გვადარდებდეს, როგორც ის გარემოება, რომ სადილის შემდეგ ჭამის თავი აღარა გვაქვს და მას შემდეგ, რაც გულიანად გამოვიძინეთ, იძულებულნი ვართ ვიფხიზლოთ. „სახელმწიფოს" დასაწყისში პლატონი, სავსებით სამართლიანად, ბედნიერებად სახავს სიბერეს, რადგანაც მისთვის უცხოა სასიყვარულო განცხრომის სურვილი, ახალგაზრდობაში წუთითაც რომ არ გვაძლევდა მოსვენებას. შეიძლება ითქვას, რომ ნაირ-ნაირი და ურთიერთმონაცვლე ფანტასმები, რასაც ჩვენში სასიყვარულო განცხრომის სურვილი იწვევს, ისევე, როგორც მათგან გამომდინარე აფექტები, ხელს უწყობს ადამიანის მუდმივ სიშლეგეს, ვიდრე ის ამ სურვილს, ანუ მის არსებაში ჩაბუდებულ დემონს ემონება, და მხოლოდ მისგან განთავისუფლების შემდეგ თუ ეგება მთლიანად გონს. ყოველ შემთხვევაში, თუ ხელაღებით

უკუვაგდებთ ინდივიდუალურ პირობებსა და მდგომარეობებს, უნდა ვაღიაროთ, რომ სიჭაბუკისათვის ნიშნეულია ერთგვარი ჭმუნვა და მელანქოლია, სიბერისათვის კი — სულის სიმშვიდე და სიხალისე. ხოლო ამას ის გარემოება განაპირობებს, რომ სიჭაბუკე ზემოხსენებულ დემონს ემონება, რომელიც იშვიათად თუ აძლევს მოსვენებას და ადამიანის თავზე დატეხილი თითქმის ყველა უბედურების უშუალო თუ არაუშუალო მიზეზად გვევლინება. სიბერეში კი სული ნათელია: ადამიანმა თავი დააღწია ამდენი ხნის მანძილზე მის დამთრგუნველ ბორკილებს და თავისუფალი მოძრაობის უნარი შეიძინა. — მეორეს მხრივ, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ რაკიღა სასიყვარულო განცხრომის სურვილი ჩაქრა, სიცოცხლის გულსავსე მარცვალიც ჩაიშრიტა და დარჩა მხოლოდ ჩენჩო, ანუ ცხოვრება კომედიას დაემგვანა, რომელიც ადამიანებმა დაიწყეს და მათ ტანსაცმელში გამოწყობილი ავტომატები კი ასრულებენ.

ასეა თუ ისე, სიჭაბუკე ვნებათაღელვის დროა, სიბერე კი —სიმშვიდისა. მხოლოდ ამის მიხედვითაც შეიძლებოდა დაგვესკვნა, რამდენად ბედნიერია როგორც ერთი, ისე მეორე. ბავშვი ხარბად ეპოტინება ყველაფერს, რაც ესოდენ მშვენიერი და ფერადოვანი ეჩვენება; ყველაფერი უჩვეულო ძალით აღაგზნებს, რადგანაც მისი აღმქმელობა ახალია და ცინცხალი. იგივე ითქმის ჭაბუკზედაც, მხოლოდ მისი ცნობისწადილი კიდევ უფრო ძლიერია და მძაფრი. მასაც ასევე აღაგზნებს ეს ჭრელი სამყარო თავისი მრავალფეროვანი ფორმებითურთ, და მისი წარმოსახვა აქედან გაცილებით მეტსა ქმნის, ვიდრე სინამდვილემ შეიძლება მისცეს. ისიც ხარბად მიელტვის რაღაც ბუნდოვანს და გაურკვეველს, მოსვენებას რომ არ აძლევს მას,

მოსვენებას, რომლის გარეშეც არ არსებობს ბედნიერება. სიბერეში ყოველივე ეს ცხრება, ნაწილობრივ იმიტომ, რომ სისხლი ცივდება და აღქმის ცენტრთა აღგზნებადობა მცირდება, ნაწილობრივ კი იმის წყალობით, რომ გამოცდილებამ გამოავლინა საგანთა ჭეშმარიტი ღირებულება და ტკბობის ნამდვილი არსი, რის შედეგადაც ჩვენ თანდათანობით ვთავისუფლდებით ილუზიების, ქიმერებისა თუ ცრურწმენების ტყვეობისაგან, აქამდე ასე საგულდაგულოდ რომ მალავდნენ და ბღალავდნენ კიდეც საგანთა ჭეშმარიტ სახეს. ახლა ჩვენ გაცილებით უფრო ნათლად და მართებულად გვესმის ყველაფერი, იმად აღვიქვამთ საგნებს, რანიც არიან სინამდვილეში და მეტ-ნაკლებად ვიმსჭვალებით იმის შეგნებით, თუ რაოდენ უბადრუკია ყოველივე მიწიერი. აი, რა ანიჭებს თითქმის ყველა, თვით სავსებით ჩვეულებრივ მოხუცსაც კი სიბრძნის გარკვეულ ხარისხს, ახალგაზრდებისაგან რომ განასხვავებს მას. ყველაზე არსებითი კი მაინც ისაა, რომ ეს განაპირობებს სულის სიმშვიდეს, რაც ბედნიერების ერთ-ერთ უარსებითეს ელემენტად, მეტიც, მის უპირველეს პირობად და არსად გვევლინება. ჭაბუკს ჰგონია, რომ ამ ქვეყნად მიმოფანტულია აურაცხელი სიკეთე და საჭიროა მხოლოდ ერთი რამ: მიაკვლიო მათ ადგილსამყოფელს; ბერიკაცი კი ეკლესიასტეს იდეითაა გამსჭვალული: „ამაოება ამაოთა"; მან იცის: ყველა კაკალი, მოოქროვილი ნაჭუჭიც რომ ჰქონდეს, მაინც მჭუტეა.

ადამიანი მხოლოდ ხანდაზმულობისას იმსჭვალება ჰორაციუსისეული nil admirari[10]-ით, ესე იგი, უშუალო,

[10] ნურაფერი განგაცვიფრებს /ლათ./ – მთარგმ.

გულწრფელი და მტკიცე რწმენით, რომლის თანახმადაც ამ ქვეყნად ყველაფერი უბადრუკია, უაზრო და უშინაარსოა; ქიმერები გაქრნენ. ადამიანს უკვე აღარ ჰგონია, რომ სადღაც, ქოხსა თუ სასახლეში, არსებობს რაღაც უჩვეულო, ენით უთქმელი ბედნიერება, გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე ის, რითაც თვითონ ტკბებოდა, სულიერი ტანჯვისა თუ ხორციელი ტკივილებისაგან თავისუფალი. მისთვის უკვე აღარ არსებობს ადამიანური დაყოფა დიდად და პატარად, კეთილშობილებად და სიმდაბლედ. მოხუცებულებს ეს ანიჭებს სულის უჩვეულო სიმშვიდეს, რისი წყალობითაც ასე დამცინავად უმზერენ კაცთა ფუჭ ფუსფუსს და ამქვეყნიურ ამაოებას. მას უკვე საბოლოოდ გაუცრუვდა იმედი და იცის, რომ ჩვენი ცხოვრება, რანაირადაც არ უნდა კაზმავდნენ და ამკობდნენ მას, ამ ბაზრული ზიზილ-პიპილების მიუხედავად, მაინც მალე გამოავლენს მთელ თავის სიმწირეს, რადგან ის, არსებითად, ყველგან ერთი და იგივეა; მისი ჭეშმარიტი ღირებულება მხოლოდ იმით განისაზღვრება, რომ ის, ასე თუ ისე, განირიდებს ტანჯვას, და არა ტკბობითა და, მით უმეტეს, ბრწყინვალებით/ჰორაციუსი, ეპისტ.,I, 12,1-4/. სიბერის ძირითადი ნიშანი იმედგაცრუებაა: გაქრა ყველა ილუზია, აქამდე უჩვეულო მომხიბვლელობას რომ ანიჭებდა ცხოვრებას და სამოქმედოდ აღძრავდა ადამიანს; ცხადი შეიქნა ამქვეყნიურ სიკეთეთა, კერძოდ, ბრწყინვალების, ფუფუნების, სიდიადის ამაოება; ადამიანმა შეიცნო, რომ ჩვენი სურვილის ყველა საგანს, ყოველგვარ ტკბობას, რასაც მიელტვის, მხოლოდ ძალზე ცოტა რამ თუ შეუძლია მისცეს, და ჩვენ თანდათან გვეუფლება ამქვეყნიური არსებობის უკიდურესი სიმწირისა და სიცარიელის შეგნება. მხოლოდ სამოცდაათ წელს მიღწეულნი თუ ჩავწვდებით ამომწურავად ეკლესიასტეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ ლექსს. — ყოველივე ეს, ცოტა არ იყოს, პირქუშ ფერს ანიჭებს სიბერეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვეულებრივ, ჰგონიათ, რომ სიბერის ხვედრი ავადმყოფობა და მოწყენილობაა. მაგრამ ავადმყოფობა სულაც არაა სიბერის აუცილებელი ნიშანი. ხოლო რაც შეეხება მოწყენილობას, ზემოთ უკვე გიჩვენეთ, რატომ განიცდის მას სიბერე სიჭაბუკეზე უფრო ნაკლებად. ზუსტად ასევე, მოწყენილობა სულაც არ არის სიმარტოვის განუყრელი თანამგზავრი, სიმარტოვისა, რომლის მიმართაც, ადვილად გასაგებ მიზეზთა გამო, თანდათანობით მიგვაქცევს სიბერე. მოწყენილობა მხოლოდ იმათი თანამგზავრია, ვისთვისაც უცხო იყო ყოველგვარი სხვა ტკბობა, გარდა გრძნობადი ტკბობისა, ვისაც არ გაუმდიდრებია თავისი სული და განუვითარებელი დატოვა მისი ძალები. მართალია, სიბერეში სულიერი ძალმოსილება კლებულობს, მაგრამ ის მაინც საკმარისია საიმისოდ, რომ მოწყენილობა სძლიოს. მეტიც, როგორც ზემოთ გიჩვენეთ, გამოცდილების, წვრთნისა და განსჯის მეოხებით გონება კვლავინდებურად ვითარდება, მსჯელობა სულ უფრო და უფრო ზუსტი ხდება და უფრო მკაფიოდ იკვეთება საგანთა ურთიერთკავშირი. ჩვენი მზერა, რომლითაც სამყაროს მთლიანობას აღვიქვამთ, თანდათანობით ყოვლისმომცველ ხასიათს იძენს. დაგროვილი ცოდნის ახლებური კომბინირებისა და მისი თანდათანობითი გამდიდრების წყალობით, ჩვენი შინაგანი განვითარება ყოველი მიმართულებით გრძელდება, რაც უფრო ქმედითსა ხდის, ამშვიდებს და აჯილდოებს კიდევაც სულს. ეგეც არ იყოს, როგორც უკვე ითქვა, სიბერეში დრო უფრო სწრაფად გადის, რაც თავის მხრივ, საშუალებას გვაძლევს, დავძლიოთ მოწყენილობა. ფიზიკურ ძალთა კლება

ნაკლებად საზიანოა, თუკი იძულებულნი არა ვართ, ჩვენივე შრომით ვშოულობდეთ ლუკმა პურს. სიღარიბე სიბერეში [illegible] უბედურებაა. თუკი თავიდან ავიცილეთ იგი და ჯანმრთელობაც შევინარჩუნეთ, სიბერე შეიძლება ცხოვრების სავსებით ასატანი ხანა იყოს. მისი მთავარი მოთხოვნილებაა სიამტკბილობა და უზრუნველყოფა; ამიტომაც სიბერეში უფრო გვიყვარს ფული, ვიდრე ოდესმე: ფული გამქრალ ფიზიკურ ძალას გვინაზღაურებს. ვენერას მიერ მიტოვებულნი ბახუსის კარად ვეძებთ სიხარულს. ქვეყნის მოხილვის, მოგზაურობისა და სწავლის მოთხოვნილებას თანდათანობით იმისი სურვილი ცვლის, რომ სხვებს ასწავლო და ილაპარაკო. ბედნიერია ბერიკაცი, თუკი კვლავ შერჩა მეცნიერების, მუსიკისა თუ თეატრის სიყვარული და, საერთოდ, ინტერესი გარე სამყაროსადმი, რასაც ზოგიერთი ღრმა მოხუცებულობამდე ინარჩუნებს. ადამიანს არასოდეს ისე არ გამოადგება ის, რასაც თავის თავში იმარხავს, როგორც სიბერეში. თუმცა ჩლუნგი უმრავლესობა სიბერეში თანდათანობით ავტომატად იქცევა: ის ყოველთვის ერთსა და იმავეს ფიქრობს, ამბობს და აკეთებს; არავითარ შთაბეჭდილებას არ შეუძლია ამ მდგომარეობიდან გამოიყვანოს, ან ახალი აზრი აღუძრას მას. გინდ ამნაირ ხალხთან გილაპარაკია და გინდ ქვიშაზე გიცდია წერა: კვალი დაუყოვნებლივ იშლება. ამნაირი სიბერე სიკვდილის მსგავსია. –ბუნებას თითქოს სურდა სიბერეში სიმბოლურად განესახიერებინა მეორე სიყრმე კბილების ხელახლა ამოსვლით, რაც მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება.

სიბერეში ძალების თანდათანობით კლება, რა თქმა უნდა, სამწუხაროა, მაგრამ, ამასთანავე, აუცილებელი და კეთილისმყოფელიც, თორემ სიკვდილი, რომელსაც ეს კლება

ეროვნული

უხსნის და უთავისუფლებს გზას, მეტისმეტად მძიმე იქნებოდა. ამიტომ ყველაზე დიდი სიკეთე, რაც ღრმა მოხუცებულობას შეუძლია მოგვანიჭოს, სხვა არა არის რა, თუ არა ადვილი სიკვდილი, ყოველგვარი სნეულებისა და ტანჯვის გარეშე, თითქმის უგრძნობელი სიკვდილი, რომლის აღწერასაც ჰპოვებთ ჩემი მთავარი თხზულების მეორე ტომში /თ.41/.

ძველ აღთქმაში/ფსალმუნი 90, 10/ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა 70, სულ დიდი, დიდი, 80 წლით განისაზღვრება, და, რაც მთავარია, ამასვე ამტკიცებს ჰეროდოტეც/I, 32; III, 22/. მაგრამ ეს მცდარი აზრია და ყოველდღიური გამოცდილების ტლანქსა და ზედაპირულ განმარტებაზეა დაფუძნებული. სიცოცხლის ბუნებრივი ხანგრძლივობა მართლაც 70–80 წელი რომ იყოს, მაშინ ამ ხნის ადამიანები *სიბერისაგან* უნდა დახოცილიყვნენ, მაგრამ ეს ასე არ არის: როგორც ზემოხსენებულ, ისე უფრო ახალგაზრდა ასაკშიაც ადამიანები *ავადმყოფობისაგან* კვდებიან, და რაკი ავადმყოფობა აშკარა ანომალიაა, ამნაირ სიკვდილს ბუნებრივ სიკვდილად ვერ მივიჩნევთ. არსებითად, ჩვენი ცხოვრების ხანგრძლივობა 90–100 წელია. სწორედ ამ ხნის ადამიანები იხოცებიან *სიბერისაგან*, სნეულების, სასიკვდილო ხრიალის, კრუნჩხვებისა და სულთმობრძაობის გარეშე, ისე, რომ ზოგჯერ მომაკვდავი არც კი ფითრდება და უმეტესწილად ჭამის შემდეგ, მჯდომარე მიჰყავს სიკვდილს. შეიძლება ითქვას, რომ ის კი არ კვდება, არამედ სიცოცხლეს წყვეტს. ამ ასაკამდე სიკვდილს მხოლოდ ავადმყოფობა იწვევს, და ამიტომ ის ნაადრევი სიკვდილია. ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას უპანიშადები სავსებით სამართლიანად განსაზღვრავენ 100 წლით.

კაცის სიცოცხლეს, არსებითად, ვერც გრძელს უწოდებ და ვერც მოკლეს,[11] რადგანაც სწორედ სიცოცხლეა მასშტაბი, რომლითაც ვზომავთ ყველა დანარჩენ ყავლს.

ეროვნული

განსხვავება სიჭაბუკესა და სიბერეს შორის ის გახლავთ, რომ პირველის პერსპექტივა სიცოცხლეა, მეორისა კი — სიკვდილი; პირველს მოკლე წარსული და გრძელი მომავალი აქვს, მეორეს კი — პირიქით. მართალია, ბერიკაცს წინ მხოლოდ სიკვდილი უდევს, ჭაბუკს კი — მთელი სიცოცხლე, მაგრამ ისიც კი საკითხავია, რომელი უნდა გვერჩიოს, და, კაცმა რომ თქვას, ხომ არ სჯობია, სიცოცხლე უკვე უკან გქონდეს მიტოვებული, ვიდრე წინ გედოს. აკი ეკლესიასტე ამბობს /7, 2/: „სიკვდილის დღე სჯობია დაბადებისას". ასეა თუ ისე, დღეგრძელობის სურვილი ძალზე თამამი სურვილია; ტყუილად ხომ არ ამბობს ესპანური ანდაზა: quien larga vida vive, mucho mul vive.[12]

მართალია, ასტროლოგთა მტკიცების საპირისპიროდ, ადამიანის ბედი პლანეტებზე როდი სწერია, მაგრამ ისინი გვიჩვენებენ „ადამიანის გზას საერთოდ", იმ გაგებით, რომ ყოველ ასაკს ესა თუ ის პლანეტა შეესაბამება და, ამრიგად, მთელ ცხოვრებაზე ერთიმეორის მიყოლებით ყველა პლანეტა ახდენს გავლენას. ათი წლის ასაკში ჩვენს ცხოვრებას განაგებს მ ე რ კ უ რ ი. ამ პლანეტისა არ იყოს, ადამიანიც სწრაფად და თავისუფლად მოძრაობს ძალიან ვიწრო წრეზე; თვით უმნიშვნელო წვრილმანებიც კი იწვევს მის შეშფოთებას; თუმცა სწავლით ბევრ რასმე და ადვილად სწავლობს ცბიერებისა და

---

[11] რამდენ ხანსაც არ უნდა ვცოცხლობდეთ, ჩვენ მთლიანად არაფერს არ ვფლობთ, აწმყოს გარდა; მაგრამ ჩვენი მოგონებები გულმავიწყობის შედეგად უფრო მეტს კარგავენ, ვიდრე მდიდრდებიან ახალი მასალის დაგროვებით.
[12] ვინც დიდხანს ცოცხლობს, თავისდა ჭირად ცოცხლობს /ესპ./.– მთარგმნ.

მჭევრმეტყველების ღმერთის ხელმძღვანელობით. – ოცი წლის ასაკიდან ვ ე ნ ე რ ა ს სუფევა იწყება; ჭაბუკს მთლიანად ეუფლება სიყვარული და ქალის ხატება. – ოცდაათი წლიდან მ ა რ ს ი ს გავლენის ქვეშ ვექცევით; ადამიანი ფიცხი, მამაცი, შეუპოვარი და ამპარტავანი ხდება. – ორმოცი წლიდან ოთხი ა ს ტ ე რ ო ი დ ი ს ზემოქმედებას განვიცდით; ცხოვრების ასპარეზი თითქოს ფართოვდება: ჩვენ ვემსახურებით იმას, რაც სასარგებლოა, ც ე რ ე რ ა ს ზეგავლენით, საკუთარი სახლ-კარი გვაქვს, ვ ე ს ტ ა ს წყალობით, პ ა ლ ა დ ა ს მეოხებით ვსწავლობთ იმას, რისი ცოდნაც გვმართებს და ი უ ნ ო ნ ა ს ი არ იყოს, დიასახლისია ოჯახის დედოფალი.[14] – ორმოცდაათი წლის ასაკში ჩვენი მბრძანებელი ხდება ი უ პ ი ტ ე რ ი. ადამიანმა უკვე საიქიოს გაისტუმრა ბევრი თანამედროვე და თავის უპირატესობას გრძნობს ახალი თაობის წინაშე. მას ჯერ კიდევ შერჩა ძველებური ძალა, მდიდარია ცოდნითა და გამოცდილებით. პირადი თვისებებისა თუ მდგომარეობის მიხედვით, გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობს ახლობელთა შორის; მას აღარ სურს სხვებს ემორჩილებოდეს, პირიქით, უნდა, რომ თვითონ მას ემორჩილებოდნენ სხვები. ახლა ის ყველაზე უფრო გამოსადეგია საიმისოდ, რომ ამა თუ იმ დარგს მართავდეს და განაგებდეს. ორმოცდაათი წელი ადა-მიანის კულმინაციური მომენტია.– სამოცი წლიდან იწყება ს ა-ტ უ რ ნ ი ს მბრძანებლობა; თავს იჩენს სიმძიმე, სიზანტე, ინერტულობა.

But old folks, many feign as they were dead,

---

[14] ამას წინათ აღმოჩენილი დაახლოებით 60 პლანეტოიდის გაგონებაც არ მინდა. მე მათ ისე ვექცევი, როგორც მექცევიან ფილოსოფიის პროფესორები. მე მათ იგნორირებას ვახდენ, რადგანაც ჩემს მსჯელობას არ ეთანხმებიან.

Unwielddy, slow, heavy and pale as lead.

Rom. and Jul. A.2, so.5[1]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს მოდის ურანოსი; ახლა კი, როგორც იტყვიან, უკვე დროა ცას მივაშუროთ. ნ ე პ ტ უ ნ ი , რომელსაც განუსჯელად უწოდებენ ამ სახელს, აქ არ შემიძლია მოვიხსენიო, რადგანაც უფლება არა მაქვს ნამდვილი სახელი – ე რ ო ს ი ვუწოდო მას, თორემ ვეცდებოდი მეჩვენებინა, როგორ უერთდება დასაწყისი დასასრულს, რა იდუმალი კავშირით ერწყმის ეროსი სიკვდილს, და რა განაპირობებს იმას, რომ ამ კავშირის წყალობით, მიწისქვეშეთის საუფლო ორკუსი, ანუ ეგვიპტელთა ამენთესი/პლუტარქე, ისიდასა და ოსირისისათვის,29/ არა მარტო „წამრთმევად“, არამედ „მომცემადაც“ წარმოგვიჩნდება, ასე რომ, სიკვდილი სიცოცხლის შემოქმედად გვევლინება. სწორედ ამ ორკუსისაგან იბადება ყოველი; მასში იყო ყველაფერი, რასაც ამჟამად სული უდგას. ჩვენ რომ შეგვძლებოდა ჩავწვდომოდით იმ ოინის საიდუმლოს, რომლის მეშვეობითაც ეს ხდება, ალბათ ყველაფერი ნათელი შეიქნებოდა.

---

[1] ... მაგრამ მოხუცს რა აჩქარებს?
თავს იმკვდარუნებს, უსისხლოა, ტყვიისებრ მძიმე.
„რომეო და ჯულიეტა“, მოქმ. 2, სურ. 5.
ი ვ. მ ა ჩ ა ბ ლ ი ს თარგმანი.

გერმანულიდან თარგმნა
ბ ა ჩ ა ნ ა ბ რ ე გ ვ ა ძ ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უილიამ შექსპირი

ლუკრეცია[1]

მის ბრწყინვალებას ჰენრი რიზლის,
საუთჰემპტონის ჰერცოგს
და ტიჩფილდის ბარონს

სიყვარული, რომელსაც მე განვიცდი თქვენი ბრწყინვალებისადმი, უსაზღვროა. და ეს მოკრძალებული ქმნილება, შესავლის გარეშე, ამ სიყვარულის მხოლოდ მცირე ნაწილს თუ ამჟღავნებს. ოდენ თქვენი გულქველობა და კეთილგანწყობა ჩემდამი, და არა ღირსება ამ უმწიფარი სტრიქონებისა, მარწმუნებს, რომ ეს მოძღვნა შეწყნარებული იქნება თქვენს მიერ. ყველაფერი ის, რაც მე აქამდე შემიქმნია, თქვენია, და, რასაც ამიერიდან შევქმნი, ისიც თქვენია, ვითარცა წილი ყოველივე

---

[1] პოემა „ლუკრეცია“ დაწერილი უნდა იყოს 1594 წელს, როცა ლონდონში შავი ჭირი მძვინვარებდა და ყოველდღიური თეატრალური ცხოვრებიდან თავისუფალმა შექსპირმა პოეტურ შემოქმედებას მისცა თავი. მართალია, ნაწარმოები კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებს ასახავს და თავისი სიუჟეტური სიმძაფრითა და დრამატული კოლიზიების სიმწვავით ბევრ რამეში მოგვაგონებს შექსპირის ტრაგედიებს,– იგი, უპირატესად, მაინც, პოეტური თხზულებაა, რომლის ფილოსოფიურ წიაღსვლებში უკვე ცნაურდება ის საზიარო პოეტური ელემენტები, რამაც შემდგომში, დასრულებული სახით, „სონეტების“ უკვდავ სტრიქონებში იჩინა თავი.

პოემა პირველად ითარგმნა ქართულად. მისი თარგმანი დედნიდან შეასრულა ჯემალ აჯიაშვილმა. თარგმანმა 1991 წელს პარიზის ქართულევროპული ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია დაიმსახურა.

იმისა, რაც თქვენ გეყუდნით. მე რომ მეტი ღირსება მქონოდა, ჩემი ერთგულებაც მეტი ღირსებით წარმოჩნდებოდა. გარნა, როგორიც არ უნდა იყოს ეს ქმნილება, მიიღეთ იგი, ვითარცა ხარკი, მოძღვნილი თქვენი ბრწყინვალებისადმი, რომელსაც მე ვუსურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს, კიდევ უფრო გახანგრძლივებულს ყველა სიკეთით.

უმორჩილესი მონა თქვენი ბრწყინვალებისა

უ ი ლ ი ა მ   შ ე ქ ს პ ი რ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ლუციუს ტარკვინიუსი (ანუ — თავისი უსაზღვრო პატივმოყვარეობის გამო — მეტსახელად სუპერბუსი[1]) — მას შემდეგ, რაც მან არაადამიანური სისასტიკით მოაკვლევინა საკუთარი სიმამრი სერვიუს ტულიუსი და, ხალხის ნება-სურვილის გაუთვალისწინებლად, თავი სამეფოს განმგებლად გამოაცხადა, რითაც დაარღვია რომაული სამართალი,— თავისი ვაჟებისა და რომის წარჩინებულთა თანხლებით, არდეასკენ გაეშურა და ალყა შემოარტყა მას. ერთ საღამოს, ნავახშმევზე, მოალყე ლაშქრისთავებმა სექსტუს ტარკვინიუსის — მეფისწულის —კარავში მოიყარეს თავი და გულითად საუბარში ქება-დიდებით მოიხსენიეს თავიანთი ცოლების ღირსება და პატიოსნება. კმაყოფილი ქმრების პაექრობაში ყველაზე მეტად კოლატინუსმა გამოიდო თავი და აღტაცებული სიტყვებით შეამკო თავისი ცოლის — ლუკრეციას სამაგალითო ერთგულება. შექეიფიანებული წარჩინებულები რომში გაბრუნდნენ, რაკი დათქმული ჰქონდათ, თავიანთ ცოლებს მოულოდნელად წასდგომოდნენ თავზე და ადგილზე შეემოწმებინათ საკუთარი სიტყვების სისწორე. დიდებულთაგან მარტო კოლატინუსს დაუხვდა ცოლი ოჯახში — სართავით ხელში, მხევლებით გარშემორტყმული, თუმცა კი უკვე კარგა გვიანი ღამე იყო. სხვა ქალბატონები სადღესასწაულო ადგილებზე გაკრეფილიყვნენ და თავდავიწყებულ ღრეობასა და დროსტარებას მისცემოდნენ. ამის შემსწრე წარჩინებულებმა ერთხმად აღიარეს კოლატინუსის გამარჯვება და მისი ცოლის

[1] სუპერბუსი - ლათ. ქედმაღალი, პატივმოყვარე (მთარგმნელის შენიშვნა).

სანაქებო ქალობა. ამასობაში ტარკვინიუსი, აქამდე გულში რომ იმარხავდა თავის ავხორცულ ჟინს, გამოერიდა სხვა დიდებულებს და ბანაკში გაბრუნდა, რომელიც მყისვე დააგდო და კოლაციუმს მიაშურა, სადაც იგი — მისი წარჩინებული წოდების კვალობაზე – მეფური პატივ-ღირსებით მიიღო ლუკრეციამ. იმავე ღამით იგი მუხანათურად შეიპარა ლუკრეციას პალატში, პატივი ახადა ქალს და, დილაუთენია, უჩუმრად გაეცალა იქაურობას. სასოწარკვეთილმა და გაუბედურებულმა ლუკრეციამ დაუყოვნებლივ აფრინა შიკრიკები — ერთი მამამისთან, რომში, მეორე კი — კოლატინთან, ლაშქარში. ორივენი — მამაც და ქმარიც — ელვის უსწრაფესად მოვარდნენ, ერთი — იუნიუს ბრუტუსის, მეორე კი — პუბლიუს ვალერიუსის თანხლებით, და, ლუკრეცია სამგლოვიარო ტანსაცმელში რომ იხილეს, გაკვირვებულებმა გამოჰკითხეს გლოვის მიზეზი. ლუკრეციამ ფიცი ჩამოართვა მათ, რომ შურს იძიებდნენ მისი შელანძღვისათვის, ამხილა ტარკვინიუსის ბოროტმოქმედება და სიტყვის დამთავრებისთანავე მახვილით განიგმირა გული. ამის შემსწრე რომაელებმა ფიცხლად შეჰკრეს პირობა, რომ დედაბუდიანად ამოძირკვავდნენ ტარკვინიუსთა დაწყევლილ საგვარეულოს. გამძვინვარებული ხალხი რომისკენ დაიძრა. მათ წინ მიუძღოდა ბრუტუსი, რომელსაც მკვდარი ლუკრეცია ესვენა მკლავებზე, თან გზად შემომხვდარ მოქალაქეებს აუწყებდა ტარკვინიუსის უხამსობას და დიდ-პატარას მეფის ტირანიისადმი ზიზღით აღავსებდა. ყველაფერი ეს იმდენად შემაძრწუნებელი იყო, რომ ხალხის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ტარკვინიუსი გაძევებული იქნა რომიდან და მეფის ხელისუფლება, ამიერიდან, კონსულთა მმართველობამ შეცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარი დაადო, ბედაური ჩორთით მიუშვა,
წინ წაიმძღვარა თვალთმაქცობა, როგორც დესპანი
და კოლაციუმს მიაშურა ტარკვინიუსმა;
მიდის და მიაქვს ავხორცობის მწველი ნესტარი,
რომ წაიბილწოს სიწმინდენი უწმინდესთანი
და სამუდამო მოყივნება სარტყლად მოებას
პირმშვენიერი ლუკრეციას უმანკოებას.

სასიყვარულოდ ზეაჭრილი ფრთებს რომ იქნევდა,
ნდომადალესილს საწადელი მიტომ ერევა,
რომ კოლატინმა ალალბედზე, დაუფიქრებლად
შეამკო ცოლის ხელთუქმნელი მშვენიერება,
სადაც თეთრი და ვარდისფერი — ღვთიურ ფერებად
ნაზ სახეპირზე მედიდურად დახალვათობენ
და ზეციური სილამაზით მიწას ათბობენ.

წუხელ კარავში შეიწვია ტარკვინიუსმა,
და კოლატინმა — შეფარულად, ნათლის შეფენით —
ამოუბრწყინა მარგალიტი, ცამ რომ მიუზღა,
ვით საზღაური სხვებისათვის ხელუხლებელი;
თან ამაყობდა: აქაოდა — თვითონ მეფენი
თავს იწონებენ დიდი განძით, დიდი ქონებით,
მაგრამ ვერასდროს — ამისთანა ქალბატონებით.

ბედნიერება, სამწუხაროდ, წუთით გვინათებს
და მიინქრევა უხმაუროდ, დაუქადნებლად,
ცისკრის ცვარსა ჰგავს: ვერცხლისფერად იათინათებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და, სასიკვდილოდ განწირული, მყისვე გაღნება,–
წამიერადაც უძნელდება მზის ქვეშ გაძლება!
პატიოსნებას, სილამაზეს ამ ქვეყანასთან
ბრძოლა უჭირთ და მიგველტვიან ასე ანაზდად...

მშვენიერება უსიტყვოდაც კარგად გვაჯერებს,
არ საჭიროებს ფრთიან ფრაზებს, ბრტყელ-ბრტყელ არაკებს,
თუმც ეპითეტებს უნებლიეთ წამოგვაშველებს,
რაც სხვას არ ჰგავს და სხვანაირი ხიბლი განაგებს,
ჩანს, კოლატინსაც სილამაზე ალაპარაკებს:
განძი, მადლისთვის, შენახული ჰქონდა უჩინრად
და ვიღაც ყაჩაღს გულუბრყვილოდ გამოუჩინა.

და აღუტყინა ავხორცული სულისკვეთება,
რომ მეგობრობის ნამუსრევზე ბოღმა ეშობა;
ხშირად გულისთქმა ყურთასმენას ფეხქვეშ ეგება:
ზრახვათა მისთა მედიდური უმაღლესობა
შურმა სძლია და ლახვარივით გულზე ესობა,–
განძის მეურვედ ბედისწერამ სხვა რომ ინება
და არა მისი მბრძანებლური ძალმოსილება.

და ჩქარობს, ჩქარობს, ერთადერთი ზრახვა აქეზებს
მისი ფიქრების უთავბოლო წინსვლა-უკუსვლას:
უარი უთქვამს მეგობრებზეც, ჩინზეც, საქმეზეც
და იმ სახმილის ჩასაქრობად გამოუქუსლავს,
რომ შენთებია შიგნეულში მზედ თუ მუგუზლად;
თუმცა, შენც, მზეო, გვეცრუები უანგარიშოდ,–
შენს ნაუცბათევ გაზაფხულზე სუსხი თარეშობს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰა, მოაწია, ბანოვანი დახვდა ტალანთან,
თავად განსაჯეთ, — რაოდენი ხიბლიც ექნება:
მის სახეპირზე მამაკაცმა მყისვე დალანდა,
რომ სილამაზე სათნოებას სამკვდროდ ეხლება,
სათნოება კი სილამაზეს ეპაექრება
და თვითეული ასე ილვწის, ასე ივნება
ხმალშემართული მოსისხარის მოსაყივნებლად.

თეთრი ფერი კი, სილამაზის ჩინს რომ იფერებს,
თეთრ მტრედს ენუკვის — შეეწიოს, ფარ-ხმლად მოებას,
თუმც სათნოება ეტანება სიალისფერეს
და ყველაფერი მოგვაგონებს იმ ძველ დროებას,
როს ვერცხლისფერი სახეების მოოქროებას
სთხოვდნენ წითელს და დღესაც მოსდგამს ზოგ-ზოგ გენიოსს,—
ის სილამაზის ალამდარად მოიხსენიოს.

ცნაურდებოდა ჰერალდიკა ლუკრეციასი:
თეთრზეც, წითელზეც უბატონოდ ვის რა დაცდება!
ამ ორ ქალბატონს — ღირსებისთვის ხმალთა წკრიალში
თავ-თავიანთი უფლებების გამოსაცდელად —
არც უფიქრია აუბრძოლველად დროის გაცდენა;
ხიბლიც, ღვთის მადლით, თითოეულს ახლდა ისეთი,
ბევრჯერ გაქვითეს ერთმანეთის საბრძანისები.

იბრძვიან ვარდი და შროშანი... ტარკვინიუსმა,—
მათ ორთაბრძოლას დაძაბული თვალს რომ ადევნებს,—
მზერა თავისი ბრძოლისველზე მსტოვრად მიუშვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმც მაშინათვე შიშნეულად გამოაგელვებს
და ორივე ჯარს მიაშველებს ხმლებს და სატევრებს,
მაგრამ ორივე გასაქცევად უფრო აქეზებს,
ვიდრე დასცემს და იზეიმებს მის სიგლახეზე.

არც კოლატინის ეპითეტებს დაეჯერება:
როგორც ეტყობა, ყოველნაირ ჩინს და ხარისხებს
აღემატება რომაელი ქალის მშვენება
და ნებისმიერ შეფასებას აუკმარისებს;
ტარკვინიუსი, რა თქმა უნდა, ზარებს არისხებს,
მაგრამ წამხდარა სიტყვის ძალა, სიტყვის უფლება
და მანდილოსანს თვალებითღა ესაუბრება.

აჯადოებდა ანგელოზი ამ სატანას და
ეჭვი, ასე ვთქვათ, გულისგულშიც კი არ უჩქეფდა:
უმანკო სული ბოროტებას ვერ ცნობს ანაზდად,
ვერც ჩიტი ამჩნევს ფაცერკოდებს მაყვლის ბუჩქებთან,-
ის ძვირფას სტუმარს სახეპირზე ნდობით უცქერდა,
ვერ ამჟღავნებდა რომელზედაც სულის ფორიაქს
ვერავითარი სიოს ქროლვა და ქარბორია.

იჯდა დინჯად და აუმღვრევლად... პირზე ემოსა
გვარიშვილობის, წარჩინების მაცდური ფარდა,
ვერარაიმეს შეამჩნევდით საგანგებოსაც,
უხიაგურად ანთებული თვალების გარდა,-
სულ რომ ნთქავდა და მაძღრობაშიც უძღები ჩანდა,-
როგორც მდიდრები, ქონებისთვის რომ აღიძვრიან,
მოიხვეჭენ და მაინც გთხოვენ, ფეხს არ იცვლიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალს მის თვალებში უძნელდება აზრის აკრეფა
და რა ხელი აქვს — უმიზეზოდ შეეკამათოს;
მისი გულდია მიმნდობლობა ფურცლავს ნაკლებად
ამ თვალთმაქცობით მოსარკული წიგნის კაბადონს
და ვერც კი ამჩნევს — სატყუარა როგორ ღალატობს!
ის კი მზეს ჭვრეტს და ჯერჯერობით, როგორც ემჩნევა,
კრინტსაც არა სძრავს ლუკრეციას დასაეჭვებლად.

მერე მეუღლის სადიდებლად სიტყვა ჩაუკრა,
იტალიაში მომხვდურები რომ არ დაინდო,
რომ ბრძოლის ველზე სანაქებოდ გაიჩაქა,
რომ იომა და ივაჟკაცა, და სარაინდო
ღვაწლით გვირგვინი დიდებისა სანთლად დაინთო;
ქალმა უჩუმრად მოისმინა სიტყვა ყოველი
და ხელაწვდილმა აღავლინა სამადლობელი...

მოსვლის მიზეზი ათასგვარი ფანდით შებურა,
თან სტუმრობისთვის ჰაიჰარად ებოდიშება;
ჯერ არც ღრუბლიან კამარაზე გაავდრებულა,
არც ქარაშოტებს უფიქრიათ აფრის მიშვება,
ჯერაც ფეხს ითრევს საავბედოდ — ღმერთმა გვიშველა—
ღამე, რომელიც შორიახლო უკვე ჩურჩულებს
და დღეს უმზადებს საპატიმრო ციხე-კუნჭულებს.

საწოლში გადის ნავახშმევზე ყალბი და ფლიდი,
მოიმიზეზა დაღლილობა, — ხან ეს და ხან ის...
აშვენებს დარბაზს ლუკრეციას კრთომა და რიდი,

მიიცრიცება შუაღამე – მორბედი ხვალის
და ტყვიის თვლემა ეძალება სიცოცხლის ხალისს;
ყველას მილალავს საწოლისკენ სიბნელის ფარდა,
მეძავების და, რა თქმა უნდა, ქურდების გარდა.

ტარკვინიუსიც ასეთია, დაგვემოწმება:
ზღვარდაუდებელ აღტყინებას ასე საშინელ
ჟინს რომ ანდობს და ეურჩება მყიფე ოცნება,
ჟინს არ აჰყვეს და ჩაიმარხოს გულისთქმაშივე,
თუმც ოქროს მძებნელს დაბრკოლება როდი აშინებს:
გინდაც კვდებოდეს, სიკვდილამდე რამე უებარ
წამალს ჰპოვებს და აღარაფერს შეეპუება.

ვინც ფულს ელტვის და მოგებაზე ფიქრი აწუხებს,
აქვს თუ არა აქვს, მაინც ფლანგავს, არ ედარდება,
ფულს მოიგდებს და ტყვეობაში დაამარწუხებს
და, სულწასული, გამდიდრებას დაეხარბება,
თუმც, ბოლო-ბოლო, ყულაბასაც ელის დარბევა...
ამასობაში საფულეში ფული გროვდება
და ფულთან ერთად – უეჭველი გაბანკროტება.

ღირსებისათვის, სიმდიდრისთვის ვეძიძავებით
ამ ცხოვრებას და – სიბერემდე მოუყირჭებლად
ხმალს რომ ვიქნევთ და გააფთრებულ ომში ჩავებით,–
ყველა ერთისთვის, ყველასათვის ერთი ირჯება;
სიცოცხლეს ვისპობთ ღირსებისთვის, თავად ღირსება
ფულებისათვის გაგვიწირავს, ხოლო ფულები
სამარისაკენ მიგვაქროლებს დაუსრულებლივ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხშირად ჩვენ თვითონ შეგვირისხავს — ჩვენივ წყალობით
უარყოფილი ჩვენი თავი, როცა უარეს
გზას დავდგომივართ კადნიერი არამყარობით
და შევფოფინებთ წარმოსახულ თვალსატყუარებს
და არკი ვიცით — ბედისწერა ვის რას უავებს:
    დავეხარბებით სასიკეთო რამე სხვაობას
    და წავაწყდებით გულისამრევ არარაობას.

ტარკვინიუსიც უზნეობას იმკის ნაყოფად,
ეს უდიერი სიყვარული რაკი ახელებს;
რწმენას ვის მოსთხოვ ურწმუნობის უარსაყოფად,
თუკი თავადაც უნდობლობა გიხელდახელებს?
თვით სამართალსაც არასწორად ვარქმევთ სახელებს:
    ჭორად თუ ვინმე ენაპირზე ბალღამს მოიდებს,-
    ისიც გზას აძლევს ათასნაირ მიეთ-მოეთებს.

...მოიკრიფება სიჩუმეში ღამე ბებერი,
სძინავს ყველას და, სიბნელეში, შავმანდილიან
ჩრდილს ცთომილისას — ავბედობის მაუწყებელი
მგელი შეჰყეფს და ღამურები გაბმით ტირიან,
ხოლო კრავების მგრძნობელობა რა მარტივია!
    სძინავთ წმინდანებს, სძინავთ მართალთ, მხოლოდ ღვარცოფად
    დადის სიკვდილის სისასტიკე და ავხორცობა...

...წამოიჭრა და მოსასხამი მოიგდო მკლავზე,
რომ სურვილების მიმოქცევას, კრთომას და ლივლივს
ჰიანდოს ნება, სასიამო ცდუნებით სავსე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ორჭოფობაც დაიმგზავროს, ვიდრემდე ივლის,
მაგრამ ტკბილია ავხორცობის ჯადოც და ხიბლიც
და მერყეობა ფეხაკრეფით სცენიდან გადის,—
თავისი გააქვს, ბოლო-ბოლო, მანკიერ წადილს.

კაჟს ხმალი დაჰკრა, აშტერდება შლუ და უღირსი,
ამოშხუილდა ნაპერწკლები ფრთების სავსავით,
კვარსაც გაჰკრა და ავხორცული ვნების დუღილში
წინ წაიმძღვარა ჩრდილოეთის ნათებასავით,
თან კადნიერად სინათლესაც ჭკუას ასწავლის:
„ქალს რას დავაკლებ — შევახურე აგერ კაჟი და—
თვალს დავუბრმავებ სიყვარულის სიკაშკაშიდან!..“

თუმც საკუთარ თავს ფერწასული ისევ ჩაკითხავს,—
რა სამძიმოა ნერვიული კაცის ყურება! —
მოსალოდნელი ფათერაკის ამოსაკითხად
ფიქრს ჩაუყვება ამღვრეული მისი გუნება
და თავისივე უხამსობას ჩაემდურება,
რომ შემართული აღტყინება წუთით შებუროს
და წინ აღუდგეს განჩინებას უმართებულოს:

„სდექ, ჩირაღდანო, უსხივობით რომ არ დაღალო,
ვინც შენს სინათლეს მრავალკეცად აღემატება,
უკუიქეცით სიბნელეში, ბილწო ზრახვანო,
რომ არ დაბინდოთ ღვთაებრივი მისი ნათება,
მოასაკმევლეთ, სურვილებო, წმინდა ხატება,
განაგდეთ ბიწი, ბოროტებით რომელიც მოსავს
ყოვლადუბიწო სიყვარულის მშვენიერ შროშანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირცხვილი ჩემს ფარს, პატრიციულ ჯავშანს და მახვილს,
მამა-პაპის სულს, წინაპართა შელანძღულ საფლავს,
შენც, მეომრულო დიდებაო, სინდისის ძახილს
რომ არ უსმენ და მიექცევი ურცხვად და მდაბლად,
რომ უღირსობას განუფინო ღირსების ტაბლა,
და ფიქრი,- რაც კი ქვეყანაზე ბნელი ფიქრია,—
პირისახეზე აღიბეჭდო, ვით რელიქვია.

მე რომ მოვკვდები, მოყივნება მერე იწყება,
წითელი ძაღლა დაეჭდევა ჩემს გერბს აუგად
და უსიამო მინიშნებით დამერიცხება,
რა უნაზესმა სიყვარულმაც გამაჩაუქა,
ხოლო თუ ვინმემ შთამომავალს სიტყვა ჩაუკრა,—
ალეწილები დაუწყებენ ჩემს ძვლებს ფურთხებას
იმ წაწყმედილი მამისულის შესაკურთხებლად.

ვთქვათ, გავიმარჯვე, მომავალი რაღას მიპირებს,-
სუნთქვას, ოცნებას, ალტაცებას უმაგალითოს?
მაგრამ ვინ არჩევს წარმავლობის ზიზილ-პიპილებს,
ვინ ამჯობინებს — მარადისი წუთში გაყიდოს,
ან მთელი ვაზი ანაცვალოს ციცქნა აკიდოს?
გლახას რად უნდა გვირგვინისთვის ხელის შეხება,
თუ სკიპტრიანად უფსკრულეთში ჩაიჩეხება?

ეს რომ კოლატინს ყველაფერი სიზმრად ეხილა,
ხილვა,— რომელიც ძილ-ღვიძილში ისეც არყევდა,—
მოაქცევდა და, მოგახსენოთ გამოტეხილად,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არც ლუკრეციას გაბახებას გაახალხებდა,
რომ სათნოება-სიწმინდესთან, როგორც ბალღებთან,
მომდგარიყო და — ცოლის თვალწინ, თავის მამულში
ჩამოერეცხა შელანძღული სინდის-ნამუსი.

ან მსჯავრს კარები რანაირად ამოვუქოლო,
როს გამჟღავნდება ავბედითი ჩემი ქმედება,
როს ენა-პირი დამეხშობა, როცა ულონო
სახსრებს შემიკრავს სასიკვდილო სულისკვეთება,
როს ჩამიქრება თვალისჩინი, სისხლის ფეთება
შეძრავს ჩემს გულს და, ელდანაცემს, ელდით მარებელ
ბედის ეტლებით სამარისკენ გამაქანებენ?

მას რომ მოეშთო მამაჩემი, ან ძმა ჩაეკლა,
ან ჩემს ოჯახზე შემოევლო ზღუდე ღალატის,
მე კი მის ცოლთან მებულრავა და მეპაექრა,—
უმტკივნეულოდ ჩაივლიდა ეს მასკარადიც
და ბარი-ბარში ვიქნებოდით აწ და მარადის;
მაგრამ მოძმეა, თარსი მოძმე... და ეს სითარსე
სამარადისოდ დამეჭდევა გულისფიცარზე.

„რა სიშლეგეა, ღმერთო ჩემო, რა სიანცეა!
საზიზღრობაა!“— „სიყვარულმა ზიზღი არ იცის!“
„სიყვარულს ვთხოვ და, სიყვარულიც სხვისი განძია—
ჩემთვის ურგი და, სამწუხაროდ, მოუხმარისიც“.
„მგრძნობელობა კი გონებაზე ზარებს არისხებს...
რჩევას ვინც უფრთხის, საფრთხობელაც რომ არ ანახოთ,
მგონი, ისედაც დაგიფრთხებათ ულაპარაკოდ“.

ასე, ერთმანეთს უმოწყალოდ შეაპაექრა
ცივი განსჯა და ვნებიანი განუსჯელობა
და რომ სიკეთის ნიშანწყალი სულ მთლად ჩაეკლა,–
რისიც, რომ გითხრათ, ნამეტნავად არც თვით სჯეროდა,–
მოაპირკეთა თვალთმაქცობის ბნელი შენობა
და ყველაფერი ისე მორთო, ისე მოხომა,
ანგელოზის ფრთას დაამსგავსა ტარტაროზობა.

„ხელი ჩამჭიდა, ჩამაცქერდა, თითქოს არკვევდა
ამ დამაბული ჩაშტერებით,– ვინძლო თვალებმა
არ მაუწყონო კოლატინის სასოწარკვეთა,
მისი ურვა და შეჭირვება, მისი წვალება...
და როს დაეტყო შიშნეული ფერისცვალება,
ვნახე – ვარდებმა პირისახის ანდამატისთვის
რა უცაბედად გადაიკრეს ფერი ბატისტის.

თითქოს ეს ხელი გადმომცემდა თრთოლვას ნელინელ,
მისი ღელვა რომ სმენადქცეულს ჩემად მეგულვა,
და როს მეუღლის სიჯანსაღე შევაგნებინე,–
რაკი დავატყე სახეპირზე სევდით შებურვა,–
მან იმნაირად შემომღიმა ალტაცებულმა,–
ნარცისს რომ წუთით დაელანდა მისი მხნეობა,
წყლის ნაკადებში არასოდეს ჩაინთქმეოდა.

თუმც სინდისის ხმა ლახვარივით რატომ მესობა?–
მშვენიერება ყბედობისკენ როდი გვიბიძგებს...
გულნამცეცას ჰკლავს თავისივე გულნამცეცობა,

გულმოშიშარ კაცს სიყვარულიც გადაივიწყებს,
მაშ, მივყვეთ, მივყვეთ ვნების ყივილს, ვნების სიფიცხეს,—
დროშით წარვუძღვეთ სიყვარულის წმინდა სამთავროს,
რომ ამ დროშის ქვეშ ბოგანომაც იალამდაროს.

შორს, შორს, ეჭვებო, სიჭარმაგე დაგვანაოჭებს,—
მშვიდი განსჯა და თავდაჭერა მოვა ისედაც,
გული თვალს ჰმონებს, სილამაზე თვალებს აოცებს,
სიბრძნე ფრთხილობს და აღმაფრენა ესაკლისება,
სიჭაბუკე კი, ბოცმანივით, ტალღებს მისერავს:
კაცმა თუ რომე მარგალიტის მებნა ითავა,
კენჭსაც ვერ ჰპოვებს სიღრმეებში ჩაუყვინთავად".

თითქოს ღვარძლი და სარეველა ხორბალს ერევა,—
იშთობა იჭვი ავხორცობის ზრუნვით და ღვაწლით,
მიიკრიფება ხორცშესხმული ბიწიერება
სასოწარკვეთით, იმედებით — იფქლით და ღვარძლით—
და ამისთანა გაორებით, ასეთი ჯვარცმით
უსმენს სინდისს და უტიფრობას — ერთგულ ფარეშებს
და გუნებაში რიგრიგობით აასპარეზებს.

გაიცისკროვნეს ლუკრეციას წარმოსახვებმა,
იქვე, მის გვერდით, კოლატინის სახეც იელვებს:
ქალს შეხედავს და, აღრეული, სურვილს აჰყვება,
ქმარს შეხედავს და — სათნოებას ანსახიერებს
(როგორც სჩვევიათ, საზოგადოდ, ცას და ციერებს)
და მორცხვად უსმენს მონანიე გულისმგერასღა,
თუმცა გულიც და სათნოებაც უკვე შელანძღა.

და მდაბიური სურვილების სიუდაბურეს
კვლავ თავისთავთან უსირცხვილოდ ამასლაათებს
და გაფხავებულ ავხორცობას ისე აპურებს,
როგორც წუთი და წამისყოფა დღეს და საათებს,
რაც აგერ-აგერ იმისთანა ამბავს დაათევს,
რომ ლამისაა გაშმაგებამ დააბარბაცოს;
ამასობაში მოადგება ქალის დარბაზონს...

მაგრამ ეს კლიტე-ურდულები როგორ დასძლიოს?-
ერთი დარტყმა და – დაბრკოლება ხელად გაქრება:
სულმოუთქმელად გადალახავს ყველა ბასტიონს,
ქვე-ქვე მიდის და ქვემძრომივით მიიკლაკნება,
კარის ჭრიალიც, როგორც ვატყობ, აკრთობს ნაკლებად,
ღელვას არ იმჩნევს თრითინების ყრუ ფორიაქზეც,
თუმც ვინ რა იცის – რანაირი ელდა მიაქცევს.

კარმა გზა მისცა, მოღიავდა ყველა სარკმელი,
და მოძალადის შეკავება კვლავ რომ ეთავა,-
იძალა ქარმა, ჩაუბჟუტა სანთელ-საკმელი
და ალანძული ავხორცობის აღსაკვეთავად
კვამლი და ჭვარტლი შეახრჩოლა პირში ერთთავად...
მაგრამ გულისთქმა თავის საქმეს მაინც ინაღდებს,
ახალ კვარს ანთებს მისი ჟინი, ახალ ჩირაღდნებს.

და იმ ნათელში ხელთათმანი გაკრთა ჭილოფთან,
დასწვდა მამრი და, მე თუ მკითხავთ, თავსაც გავიდა:
იმ ხელთათმანის დაუფლებას როცა ცდილობდა,

თითში შეერჭო უცაბედად ქინძისთავი და
დაუცაცხანა:,,– მოგვშორდიო, მოგვწყდი თავიდან!–
ნემსიც,ხომ ხედავ, ხელთათმანში ჩუმად ეფლობა,
რომ უზრუნველყოს ქალბატონის ხელუხლებლობა!.."

თუმცა უდღეური აკრძალვები ვეღარ აყოვნებს
და ეჭვს რომ ბლანდავს – ჰაიჰარად ფიქრში ნასტუმრევს,–
ქარს და ხელთათმანს შეგნებაში განასახოვნებს,
ვით ხელოვნურად შემზადებულ ბედის საცდურებს,
რასაც საათის ალნაგობაც დაგვიდასტურებს:
თითქოს ქანქარა: შეჩერდითო!– ისრებს აქეზებს,
ჟამი მაინც რბის ჟამთაღრიცხვის ციფერბლატებზე...

რაკი ასეა, გავიღოთო ეს საზღაური,
მზე დათბობამდე ყინულეთში ბევრ წრეს გადათვლის,
რომ გაგვიმძაფროს ყვავილობის დღესასწაული
და ფრინველები შეამზადოს გალობათათვის,
რა მტკივნეულად გვემლევაო ჯილდო მკათათვის!..
ო, ზღვაოსანო, გაუმაგრდი ზღვას და პირატებს,
არ შეეპუო მთას და კბოდეს, ქარს – უპირატესს!..

ამასობაში გამოჩნდება კარი პალატის,
ესღა აკლია – გასაღებიც დაჰყვეს ნებას და
გაუხაზიროს ანგელოზი, ცით რომ დანათის,
და აზიაროს უზენაეს ნეტარებასთან;
მაგრამ ამ კაცის მკრეხელობა როგორ შეფასდა?–
ცას შეჰღაღადებს – მიშველეო!– არკი განიცდის,
ღმერთს რომ აწუხებს საკუთარი ცოდო-ბრალისთვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და როს ქალისკენ მიაქცევდა ფიქრი ანგარი,
შუა ლოცვის ჟამს უცნაური ჩქამი ჩაესმა
და ამოშაქრა მყისიერი გულისკანკალით–
ვეჭვ, სიხარულში გამრიოხო უზენაესმა!
და, რომ, თავის მხრივ, ეჭვებისთვის მსჯავრი დაესვა,
    სთქვა: „ეტყობაო, ზენაარი კრულვას მომისთვლის,
    მე შენ გეტყვი და, გაირჯება თანადგომისთვის!

წინ, წინ წარმიძღვეს სიყვარული მზედ და მთიებად,
თავდაჯერებას მივეცემი უანგარიშოდ,
ჟინს რომ ავიხდენ, შეცოდებაც მეპატიება,
ვნების ცეცხლი სძლევს თავდაჭერის სუსხს და ქარაშოტს,
ზეცის თვალი კი სათნოებას ველარ დარაჯობს:
    სძინავს ღამეს და, იმედია, ძილში მიცხრება
    ჩემი ძრწოლა და ვნებიანი თავდავიწყება.“

ურდულს მოსწია, აგერ–აგერ კარსაც მოილევს,
ხმა, ლამისაა, ალტყინებამ გადაუქანოს,
მტრედს კი სძინავს და ჯერ ვერ ამჩნევს ჭოტის ოინებს,
ქსელს რომ ბლანდავს და დაწრიალებს ასე უგვანოდ,
გველს რომ დალანდავ,– წესი ითხოვს,– უნდა უგანო:
    ასულს კი სძინავს, სიმწრისაგან ჯერ არ სავსავებს,
    ჯერაც ვერ ამჩნევს ქვებუდანის შხამს და სამსალებს.

ჰა, შეიჭრება, შეიყოლებს ამ სიგარეწრეს,
რომ უმწეო მსხვერპლს დააცივდეს, როგორც ზმანება,
მაგრამ ფარდა ჰყოფს ლუკრეციას წმინდა სარეცელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამღვრეულ გულს უხამსობა მოეძალება,
რომ ცოდვილ ხელებს უკარნახოს ურცხვი ბრძანება;
და, ჰა, ხელები სურვილებმა ააფრთოვანეს
და საბურველი ჩამოჰხადეს მზეს და მთოვარეს...

როგორც მზე ჯაბნის სიკაშკაშით ზეცის ბინადრებს,-
ტარკვინიუსსაც- ტარტაროზის ძმას და ამხანაგს-
მოსჭრა თვალები რომაელი ქალის სინათლემ
და წამწამები მეყსეულად აუხამხამა,
ჩინი წართაცა, დააბრმავა, მაგრამ ამხანად
იქნებ, სინდისმა გაამჟღავნა მისი ცვლილება
და უდროო დროს მოევლინა გასაწბილებლად?..

ნეტავ, ეს მზერა ჩანთქმულიყო თვალის გუგებში-
დაიხშობოდა ბოროტების ციხე-სახლი და
ლუკრეციასაც შერჩებოდა სულის ნუგეში
და ქმრის ალერსიც ძველებური ეშხით დაღლიდა,
მაგრამ, ვაი რომ, ბოროტება ფრთებს შლის ახლიდან,
რომ გამოსტაცოს ლუკრეციას - როგორც ინება-
სიტკბო, სიცოცხლე, სიყვარული და აღტყინება.

სახე - ყირმიზი, პირი - ვარდი, ხელი- შროშანი,
პირქვეშ ბალიში, ბალიშიდან ცრემლი მილეთის...
წევს სარეცელზე ნებიერი მანდილოსანი,
ბალიში ორ მთად აზიდულა, და ღამიეთის
ვნებათღელვაში ბანოვანის ჩანთქმას მიელტვის,
რომ განარიდოს ბინძურ თვალებს ის, ვინც უმეტეს
ხიბლით გვაგონებს სილამაზის მძლე მონუმენტებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუკი ამქვეყნად სრულქმნილებას ვინმე ელოდა,
უბიწოების სრულქმნილებაც ალბათ ეგ არი:
ვით მარგალიტის ნამცვრევებში ვარდი მდელოთა,
მკლავჩამოშლილი, სარეცელში წვა სეფექალი
და მის თვალებში ჩასარკული თვლემდა სპეკალი,
რომ, უთენია, მთელი ეშხით, რაც კი ებადა,
მზის სიტურფისთვის ეგალობა ქება ქებათა.

ლივლივებს თმა თუ ოქრომკედი, თითქოს ფარული
მეტოქეობა გაუმართავთ რიდს და სიანცეს,
თითქოს სიცოცხლის გამარჯვება ტრიუმფალური
სიკვდილს ნიშნავს და მიძინებულს მისკენ მიაქცევს
და სასიკეთოდ ალზევებულ ადამიანზე
სიკვდილ–სიცოცხლე, როგორც ხედავთ, მალავს გადადის,
რომ ერთმანეთი წააქეზონ ქმედებათათვის.

ხოლო ძუძუებს სანუგეშოდ ისლა ურჩებათ,–
სპილოსძვლისდარი მჭვირვალებით, ასე მარტონი
რომ ანათებდნენ სილამაზის ციხე–ბურჯებად
და ქმარი იყო ერთადერთი მათი პატრონი,
დღეს კი, როგორც ჩანს, მედიდური უზურპატორი–
ტარკვინიუსი უსირცხვილოდ მიტომ პარპაშებს,
რომ მბრძანებელი განარიდოს სეფე–დარბაზებს...

თვალს შეავლებს და ოცნებებში ისევ ეფლობა,
ო, ანთებული სულის ფრთონვა, სულის ფოფინი!
ჩიხში რომ იმწყვდევს სურვილების მაამებლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ქალს მიელტვის მლოცველივით ხელაპყრობილი,–
აგიჟებს ძოწის ბაგეები, ვარდის პროფილი,
შუქში რომ ჭვივის თოვლისფერი ალებასტრებით
და გულს უყინავს მყისიერი თვალის წანწრებით.

როგორც აფთარი — საბუღრაოდ თუკი მიუშვით–
მსხვერპლს მოაშთობს და დასთამაშებს, ჯერ ყინს იოკებს,–
ასე იყურებს ვნებათღელვას ტარკვინიუსიც
და ქალს ვიდრემდე ხვადაგურად დააწიოკებს,–
დაიყოლიებს ამძუვნებულ ძვლებს და იოგებს,
რათა — როგორც კი შესაფერი ჟამი დარეკავს,
მეტი გზა მისცეს სურვილების გამძვინვარებას...

ბრბო უმეცარი სილამაზეს აშთობს იოლად,
სისხლის წვიმებით შესჩუხჩუხებს მზეს და ალიონს,
მოკლულ დედა-შვილს წაადგება მაროდიორად,
რომ ყოველნაირ ცოდო-ბრალში ხელი ჩარიოს,–
ტარკვინიუსიც ამდაგვარად კაციჭამიობს:
თითქოს ბრბოს მოძღვრავს: თადარიგი თუ არ დაგებნათ,
შეემზადეთო მშვენებასთან შესატაკებლად!

გული თვალს სთხოვდა,– ბაგუნებდა გული დოლივით,–
თვალმა ბრძანა და ნებელობას წამოეშველა,
ხოლო მარჯვენა — მედიდური, დინჯი რონინით
ბნელს შერეოდა სიჩუმეში ღვარძლის მთესველად
და გაშიშვლებულ ძუძუებზე ურცხვად ესვენა,
სადინარში კი ვარდისფერი სისხლი მოჩქეფდა
და მკრთალდებოდა შემცივნებულ ციხე-კოშკებთან...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

...წევს ბანოვანი სამეუფო თეთრ აკლდამაში,
სისხლის ტალღა კი დათარეშობს და დახალვათობს,
ჰა, დაიხუვლა, დაივიწყა რიდი, თავაზი
და შემზარავი ალტყინებით წართქვა: ალბათო,
გულს შეულონებს განსაცდელი ძვირფას ქალბატონს,—
    თვალს რომ შეასწრებს საგანგაშო წრიალს და სრბოლას
    და კვარს, რომელიც უსაშველოდ ხრჩოლავს და ბოლავს.

ახსოვს ქალბატონს ბევრი ჟამი, ბევრი დროება
და თვალთა მისთა — მრავლის მომსწრეთ, მრავლის მნახველთა—
დასიზმრებიათ ათასგვარი უმსგავსოება,
რომ მიაქცევდა არარსებულ წარმოსახვებთან
და ჯოჯოხეთურ ნება-სურვილს თავზე ახვევდა,
    ეს კი რაღაა: მოჩვენება მოუხეშავი
    წინ წარუდგა და შეაძრწუნა ჭირის დღესავით...

და შეფრთხიალდა, როგორც ჩიტი,— თითქოს შფოთიან
ამ ყიამეთში უძნელდება ღამის გათევა,
თან სიბნელეში აჩრდილები მიდი-მოდიან,—
დაფეთებულმა წარმოსახვამ ნაუცბათევად
გზა რომ მისცა და მყუდროება ფეხქვეშ გათელა,
    თვალი განელტვის მოლანდებებს — ბნელს და უკადრისს —
    გონი ბრაზობს და მომეტებულ საფრთხეს უქადის.

ჰა, შეცურდება ძუძუებში ხელი ანგარი
და სპილოსძვლისგან ამოძერწილ ციხე-გალავანს
დააცხრება და და-ცა-ლეწავს რკინის მანქანით

და უმანკო გულს სასიკვდილოდ მოწყლავს, განაღამც
შეიბრალებს და აარიდებს სასტიკ სანახავს!..–
გააფთრებული გააფხავებს ხმალს და ჯევარდენს,
რომ ჩამორღვეულ გალავანში ზათქით შევარდეს.

არც თვალთმაქცობა მიაჩნია, რომ ვთქვათ, ერესად,–
ბუკს რომ დაჰკრავს და ხმალშემართულს ჟინი ერევა,
მტრის გამოხედვას წააწყდება უპირველესად
და დაატყვევებს ფერმიხდილი მისი მშვენება,
თუმც გულგრილობას იშველიებს მოსაჩვენებლად.
მანდილოსანს კი,– დაკვირვებამ როგორც გვაჩვენა,–
დიდად არ მოსწონს ამისთანა თავის აშვება.

„– შენი ბრალია! – ენა უსწრებს ჩვენს ცრუ ჰერკულესს:–
ვარდმა შენს გამო სილამაზის დასთმო სამეფო
და საკუთარი უმწეობა აუხერხულებს...
მშვენიერების ხელთუქმნელო ციხე-ქავებო,
მე მოგელტვოდით, გალავანი უნდა გამეპო,
მალე კარიბჭეს და-ცა-ვლეწავ, დავანაპრალებ,
რასაც შენს თვალებს, მოღალატე თვალებს ვაბრალებ...

მე რომ მყვედრი და აღშფოთებამ აგაქანა,
რად გავიწყდება საკუთარი თავის მხილება:
შენ ხომ შენივე სილამაზე გიგებს კაკანათს,
რომ დამყაბულდე,– ბედისწერამ ასე ინება,–
და მიითვალო ჩემეული გულაღტყინება:
მას აოკებდა ნებისყოფა, მაგრამ ნახვისას
შენმა მშვენებამ ხელმეორედ გამოაღვიძა.

ო, რა ჯვარცმაა, ცდუნებაო,— რას შევესწარი:
ვარდი ეკლების თანადგომას იხდენს მეფურად,
თაფლის მოსურნეს იგერიებს ფუტკრის ნესტარი,
სურვილები კი თავკერძობის ჟინმა შებურა
და განუსჯელი აზირებით დაუნჯებულა,
თან ოცნებათა ტყვეობაში ისე ეფლობა,—
დავიწყებია ყოველგვარი კანონმდებლობა.

მაგრამ სინდისი: — შეჩერდიო!— კვლავ მედავება,
მაბრალდებულებს, სახელს მიტეხს, მიდგენს სარჩელებს,
კნების სიშლეგეს ელობება თავშეკავება,
რასაც ცრემლი და სინანული ამრავალჯერებს,
მაგრამ ეს ცრემლი, სამწუხაროდ, ველარ მაჩერებს:
შემართე ხელი, თავო ჩემო, მკლავი დაძაგრე,
რომ ჩაიხვიო ეს სირცხვილი და სისაძაგლე!"

და ხმალს იშიშვლებს, — დამიხედეთ მკლავის სიხხარტეს!—
ვით შევარდენი, ფრთებაწვდილი, გნოლს რომ ეწია
და სადაცაა სასიკვდილოდ ჩაუნის კარტებს...
ხმლის დანახვაზე,— ბანოვანთა როგორც წესია,—
უკუიქცა და ფერწასული კრთის ლუკრეცია,
კრთის იადონი,— სისხლიანი ღამის ფრთოსანი
ზარს უწკარუნებს დაგეშილი მიმინოსავით.

,,— სჯობს დამნებდეო!"— დაბღვერილი ლამის აგინებს:
,,ჩემს შეგონებას ამთავითვე თუ არ ირწმუნებ,
წესს აგიგებ და თავწაკვეთილ მოჯამაგირეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგ საწოლშივე იმდაგვარად შემოგიცურებ,
რომ, შელანძღული, ხელმეორე სიკვდილს ისურვებ;
მერე ფიცი და მისი ჯანი: „ორთავ დავხოცე,
რომ აღმეკვეთა არნახული ეს სიავხორცე!..“

შენი ქმარი კი დარცხვენილი გამოვა ღამ-ღამ
და, როგორც წყევლა, გაოგნება, როგორც შეცდომა,
სამარადისოდ დაეჭდევა სირცხვილის დამღა...
ნათესაობა რასაც იზამს,– ალბათ გეცნობა,
შთამომავლობას შეაძრწუნებს ეს გარეწრობა
და სალანძღავად გამზადებულ ბრტყელ-ბრტყელ ციტატებს
ხელს შეაშველებს წვრილფეხობა და აიტატებს...

მაგრამ შეგიტკბობ, სიტკბოება შენც თუ გენება,
დიდ მიზანს ახლავს მცირე მარცხი,– მე რას გასწავლით!–
უთქმელი ცოდვა არცოდვაა, მოგეხსენება,
ხორცს ვერ შეისხამს უშედეგო განზრახვასავით.
ზოგჯერ წმინდა ხსნარს ამაგრებენ გესლის ნაზავით,
ხოლო საწამლავს,– რაიმეთი თუ არ შეფერხდი,–
მოუხდენია უებარი წამლის ეფექტი.

ეჰ, დამყოლოდი უნდობლობის უარსაყოფად,
შენს საწყალ ქმარ-შვილს სავალალოდ რომ არ ჰქონოდა
ცოდვა, რომელიც შეარყევდა შენს ბნელ სარკოფაგს,
ბიწი, რომელშიც ჩაკირული უკანონობა
თვით მონობასაც დაჩრდილავდა, თუმცა მონობა
თანდაყოლილი სასჯელია,– გვერდს ვერ აუვლი,–
და არა ვინმეს პიროვნული დანაშაული.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსხვერპლს აჩერდება ბასილისკო უკუღმართულად,
კრთის ლუკრეცია სათნოების მშვენიერ ხატად,
თითქოს არწივი ირემლაღის ძიძგნით გართულა
ამ უკაცრიელ უდაბნოში,— ჯიქურ და ცხადად
გან-უკითხავი გულქვაობა ბატონობს სადაც
    და მოსამართლის ჩირაღდანიც და კვეს-აბედიც
    ემორჩილება გველეშაპის ჟინს და აპეტიტს.

ცა რომ გრგვინავს და ქვესკნელიდან გრიგალს იზიდავს
და ბორგნეული ალტყინებით, როგორც აფთარი,
ჯანღს ერეკება ზენაართა საცხოვრისიდან,
რომ პოსეიდონს დაუოკოს გულისფართქალი,—
სწორედ ასევე — ლუკრეციას ტკბილი ნათქვამი
    კაცს უჩვეულო გრძნეულებით ათილისმებდა,—
    თითქოს პლუტონი ორფეოსის ძახილს ისმენდა...

მაგრამ ეს კატა, — თაგუნაზე თავის ონავარ
ჟინს რომ იკლავს და ათამაშებს ასე ლიზლურად,—
ქალის სიტყვებმა ერთიანად დაიმონავა:
მე შენ გეტყვი და, პირისწყალი უმალ ისხურა,
ან განწირულ სულს რაიმეთი უგულისყურა!—
    ქვასაც მოალბობს ქალის ცრემლი, მას კი კაცობა
    მთლად აუმძუვნა,— გააშმაგა და გააცოფა.

უმზერს ქალი და ებინდება ისევ თვალები,
ამ გულქვაობით შემრწუნებულს ცრემლი ერევა,
მოკრძალებულ ტონს ანგელოზის სევდანარევი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოხვრით ამკობს და ალამაზებს მისი მშვენება,
თან ლაპარაკში პაუზებიც წაეშველება,
რომ მეტყველებას მიანიჭოს მეტი მჭევრობა
და ხმას მიაგოს სათანადო თანმიმდევრობა.

აფიცებს ცას და სიყვარულის ყოვლისმძლეობას,
ძმადნაფიცობას, მეგობრობას, რაც თვით ინდომა,
გვარიშვილობას, წარჩინებას, იმ ძველ ზნეობას,–
ბეჭდად რომ აზის ვაჟკაცობა და რაინდობა,–
აღთქმას,– ლოცვის ჟამს სასოებით რომ გაინდობა,–
უფალს ნუ სცოდავს, მიუბრუნდეს თავის სარეცელს,
ჭკუას უხმოს და დაეთხოვოს ამ სიგარეწრეს.

„–ასე უხდიო– ეკითხება– სამაგიეროს
წყაროს, რომელმაც თავანკარა წყალი გასმია?
თუ – სიკეთის მქნელს საზღაურად უნდა მიეგოს,
რაც კი ამქვეყნად ბოროტება და სარკაზმია!
ვხედავ – მშვილდია მოზიდული, მაგრამ საზრიან
კაცს შეუძლია ისულგრძელოს, იდარბაისლოს,
მყვირალობის ჟამს ფურირემი რომ არ დაისროს.

მე შენს მახეში მოტყუებით რატომ გავება,
შენი მეგობრის ცოლი მქვია,– წადი, შემეშვი!
რიდი გმართებს და რაინდული თავშეკავება...
ეჰ, შემძლებოდა,– სალმობათა ამონთხევებში
ერთი სულთქმით და ამოოხვრით ბანზე შემესვი!
ზოგჯერ ცრემლითაც მოარჯულებს ვაჟკაცს დიაცი,
შენ კი რად მითრევ ამისთანა ტრაგედიაში?

ცრემლების ზღვა კი ეხეთქება მთებს და ქარაფებს,
რომ პიტალო კლდე წამოაგოს თავის ანკესებს,
ხან ბნელ ნაკადებს მლოცველივით ალაპარაკებს,
ხან ნაპირისკენ გააფთრებულ ტალღებს ამწესებს
და კლდის ჯებირებს ანაპრალებს და ანამცეცებს...
თუ მობაძვაა, დალოცვილო, ამ კლდეს მობაძე,
მისებრ რომ მოლბე განწირულის თანალმობაზე.

სხვას ვფიქრობდი და სხვა ყოფილხარ: მაგ შენს მხეცობას
შენ ტარკვინიუსს მიაწერდი, მივხვდი გვიანღა;
ვფიცავ ზეცას და ზენაართა ზესთა-ზესობას,
რომ შენ უნდო და უსირცხვილო თვითმარქვია ხარ...
მეფე მეგონე, მეფედ გრაცხდი,– შენში, დიახაც,
მეფის საკადრი საქციელი მსურდა მეპოვა,
მაგრამ ვინა სთქვა ავაზაკის მეფეთ-მეფობა?

ეგ გაზაფხულის მლვრიე თესლი, დღეს რომ დაგცოფა,
ვერც სიბერეში დაგიხვავებს ოქროს საზოდეს,
უფლისწულობის უტიფრობა და თვალთმაქცობა
ვერ განელდება მეფობისას ვულარასოდეს,
მაშ, განერიდე ბოროტებას: უნდა გახსოვდეს–
ქვეყნის განმგებელს საუკუნო დამლად ეყოფა
ხელქვეითების სითავხედე და უკმეხობა.

შიში შეიქმსო სიყვარულსა!– ამგვარ იერიშს
სჯობდა, პირიქით, სიყვარულით შიში გეშობა,
ვით შეგაძრწუნებს გულმანკობა გულმანკიერის,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავად თუ გბოჭავს საქციელის უარესობა
და ათასგვარი ცოდო-ბრალი გულზე გესობა?..
აწ განვედ, განვედ: შენ მეფე ხარ! – და ჩვენ სარკისებრ
ვირეკლავთ ყოველს, რასაც იხვეჭ თუ ისაკლისებ.

ნუთუ ვნებათა საბუღრაოდ თავი გეთმობა,
თუ, როგორ ფიქრობ, ბოროტებას აუთავდები,
რომ აირეკლო თვალთმაქცობა და იქედნობა –
ცოდო-ბრალის და ათასგვარი ბიწის თავდები?
ან – თავი მიტომ დაიმდაბლე, რათა ამდენი
უსინდისობით ამაღლებულ სულთან გეომა
და შუამავლად მოგეწვია სულმოკლეობა?

თუ სარდალი ხარ, დაამტკიცე შენი სარდლობა,
ვიდრე ვნებათა აზვირთება და აჯანყება
და მახვილივით შემართული უსამართლობა
მაგ დამძიმებულ გულისგულში მთლად არ ჩალღვება;
თუმც გამარჯვება რანაირად გაიჩალხება,
როცა დღის ნათელს ადუხჭირებს მზის სიცოტავე
და მანკიერი სურვილები ურცხვად სცოდავენ.

ეს რომ სხვას ექნა, დაუსტვენდი ამ ცრუ სპექტაკლებს,
ასეა, ასე: ჩვენს ბნელ ზრახვებს, ჩვენს ბნელ დინებებს
ვასურათხატებთ, ვით სიწმინდეს და სისპეტაკეს
და მხოლოდ იმ სენს წარმოვაჩენთ, სხვებს რომ ინელებს –
ვით შეცოდებას უსასტიკესს, მომაკვდინებელს;
სხვებს რომ კილავენ, იმათ სულში, – მე რომ ჩავხედე,
სულმოკლეობა მეცნაურა და სითავხედე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აწ ხელაწვდილი შეგავედრებ ცას და ბუნებას,—
დასთმე ჟინი და ავხორცობა, რაც სულს ევნება,
კვლავ ჩაეჭიდე უკუქცეულ დიდებულებას,
რომ მოახერხო მეფობაზე თვალის შევლება
და მიითვალო უსულგულო ფარისევლებად
    ვნება, წადილი, დაბნედილი თვალის სიბეცე
    და შემოიქცე სულისმიერ სინატიფეზე!..“

„ვერა, ვერ დაშრეტ,— ამბობს კაცი — ცეცხლს ამალამდელს,
ზღვას რომ შებოჭავ, გაშმაგდება, მეტ ცოფს გაურევს,
სანთელს ანელებს ქარიშხალი, ცეცხლს კი აღანთებს,
ხოლო მდინარე ოკეანის ბნელ საწყაულებს
საზრდოს უწყავს და საზღაურსაც უნაზღაურებს,
    წყალს მოაგელვებს, მობუღრაობს, ბორგავს, არ ცხრება,
    ზღვა კი კვლავ ზღვაობს მარილების გაუქარწყლებლად.“

„შენ მართლაც ზღვა ხარ,— ეუბნება ქალი ალალად,—
და მთელი შენი სიწრფოება, შენი სიკეთე
ბნელ ნაკადულებს შეატოვე შესაბღალავად;
სისხლი მიეც და უხამსობის სისასტიკეზე
სიკეთისა და სათნოების კარი მიკეტე...
    უნდა მოგეშთო გუბის წყალი, მან კი, პირიქით,
    გაღაგძალა და გადაგევლო სიცილ-ქილიკით...

თვით აღზევდება, შენ კი დაგცემს და მოგაოთხებს,
შენ დაგიმონებს, გამეფებას თავად ეცდება,
შენ გეჰენიას დაგიმკვიდრებს, თვით კი სამოთხეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ჰკარნახობს მდაბიორის ტლანქი წესდება,
მაგრამ კნინია უღირსობა, ვერ ასკეცდება:
ბუჩქი ალვას რომ ეტოქება, რწყილი – აქილევსს,
დამარცხდება და დამარცხებას ნუ ითაკილებს.

იქნებ, მოგეშთო საწადელი!“– „მორჩი, გეყოფა:
დამყევ, არადა – მომიცია აღთქმა სამკეცი,
კოცნის მაგიერ დაგატყდება მეხთატეხობა,
ბორგნეულივით მოგისროლის ხელი – ანკესი
და შენს ლამაზ თავს – ავხორცობის ამ სიტლანქეში–
ვინმე ბოგანო მეჯინიბეს მივგვრი საძილედ,
სხვა კი თქვენ იცით – სარეცელი გაინაწილეთ!..“

კვარს ფეხი გაჰკრა,– ეზიზღება ავსულს სინათლე–
და, როს შავბნელმა სურვილებმა ბნელში შესტოპეს,
მსხვერპლს დაემგერა, როგორც მგელი, და მაშინათვე
გზა გადაუხსნა ჯერარნახულ ამ სიდესპოტეს
და კივილის ხმა ძეხორციელს რომ არ ესმოდეს,-
ამოუქოლავს ყველა სარკმელს, ყველა საყუდარს
და კრავის ძახილს კრავისავე ყელში ჩაგუდავს.

ქალს დაითრევს და სალამური თეთრი სამოსლით
პირთ ჩაუჩურთავს თავისივე ტკივილს და ვარამს,
თავს არ იტკიებს დიალოგზე გასვლა-გამოსვლით,
არც ალტყინებას ისაკლისებს არამც და არამც
და ავხორცული საწადელით სარეცელს ბღალავს...
უმანკო ცრემლო, ბიწისაგან კაცს რომ იცავდე,
არ დაცხრებოდი უკუნითი უკუნისამდე!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩაქრა სიწმინდე ტყვეობაში ამ სოდომისტის,
კაცსაც ჩაუცხრა ვნებათღელვა და გაფიცხება
და, ნაომარი, ემზადება სულ სხვა ომისთვის,
რადგან ფიქრი და სინანული მერე იწყება
ქინდაშრეტილი მხურვალების შესაზიზღებლად:
    ღარიბი იყო, სიღარიბე უფრო მოება,
    თუმც სალაროდან წარიტაცა უბიწოება.

როგორც მელია დასუნსულებს სამუხანათოდ,
შევარდენი კი ნანადირევს კორტნის უძლებად,
ბოლოს ძღება და, მოდუნებულს, გეში ღალატობს,
მსხვერპლის წადილიც უნელდება და ჩაუცხრება,–
ტარკვინიუსიც თავის საქმეს ასე უძღვება:
    ნუგბარი კერძი ენა-პირმა – როგორც ენებათ,–
    ამოთქვლიფეს და ჩაუძახეს მოსანელებლად.

უსაშველოა მისი ტანჯვა: თვალს რომ აკვესებს,
რა ამოხაპავს ამოდენა ცოდვის ნახელავს?
და ამოარწყევს დატაცებულ დელიკატესებს
და თავისივე სისაძაგლეს ზიზღით დახედავს,
მაგრამ ვინ შეძლებს ქედმაღლობის დაარტახებას,
    თუმც, რახანია, ჩაიჩოქა ვნების ულაყმა
    და გახრეკილი ჯაგლაგივით გდია გულაღმა.

როგორ გატანჯეს სურვილებმა და გადაქანცეს,
თქვან დაწრეტილმა სახე-პირმა, მკრთალმა ღაწვებმა,
მაინც მიელტვის აღტყინება იმ ძველ საგანძეს,

თუმც, გაკოტრებულს, უმწეობის ბოლმა აწვება
და უნელდება უნიათო ზეალტაცება:
ჩამცხრალა ჯანყი, ცეცხლი ქრება, ვნება წყალდება
და ხორცი ითხოვს — აპატიონ ცოდვა-ბრალდება...

ეს დაემართა ტარკვინიუსს: ბედმა ინება,
ავხორცობისთვის ალეტყინა ვნების ხანძარი
და თავისათვის დაედგინა, ვით განჩინება,
სასჯელი რამე — სამარცხვინო და შემლანძლავი;
შელახულია მშვენიერი სულის ტაძარი
და ნანგრევებში ოინბაზობს ბრბო უბილწესად —
რა განწყობაზე ბრძანდებაო ჩვენი პრინცესა?

პასუხობს სული: „სათნოება ჩალად შეფასდა,
ბჭე ჩამომექცა, გალავნები ფეხქვეშ მომებნა,
წილს რომ ვიყრიდი ანგელოსურ უკვდავებასთან,
მოკვდაობაზე მომაქციეს ქვეშევრდომებმა
და რა ვიცოდი — ბედისწერა ბნელში მტოვებდა!..
თუმცა გუმანი მაფრთხილებდა, ეჭვი მარკვევდა, —
ვერ ავიცილე დღევანდელი სასოწარკვეთა".

მიდის ღამეში, შემპარავად მიილანდება —
მონაც, ბატონიც, დამლეულიც და მძლეც იმავ დროს,
ჭრილობასავით დაჭდევია მძიმე ბრალდება
და საპყარივით ლონემიხდილს და უსინათლოს
არ უწერია განკურნება, ბევრიც ინატროს.
თავს შეატოვა შეცოდება, ქალს კი ორჯოფად
შექანებული წარმოსახვა და ავხორცობა.

კაცი მგელს ჰბაძავს, ესეც კმარა ალბათ მიზეზად—
ქალი კრავს ჰგავდეს, წამდაუწუმ მგლის რომ ეშინის,
კაცი შუბლს იკრავს, დედაკაცი გულ-მკერდს იწეწავს—
თვითგვემისათვის შემართული და დაგეშილი,
კაცს სიმწრის ოფლი სახეპირზე ასხამს თქეშივით,
დედაკაცი კი მიანიშნებს ბინძურ დამღაზე,—
რად მომკვეთეო ცხოვრებიდან და გადამხაზე!

და გადის კაცი დამთრგუნველი ფერისცვალებით,
ქალს კი ავს უგრძნობს უსიამო ფიქრი მისნური,
კაცი მზის ნათელს შეჰფოფინებს ხარბი თვალებით,
ქალი ბნელს ელტვის მწუხარებით გულდაისრული:
თუ განთიადი წარმოჩნდაო მთელი სისრულით,
ვით შეიძლოსო თვალთმაქცობამ თავაშვებულმა
უმანკოების საბურველში ჩემი შებურვა?

მაშ, ჩალღვეს, ჩალღვეს სიბნელეში გრძნობა უღირსი,
რომ შეცოდება — მარტოხელა და ცალუღელა
დარჩეს თავისთვის გამოუთქმელ მოთქმა-წუხილში,
ვიდრე ღამეულ საიდუმლოს მზემ არ უყელა
და სათითაოდ გაამჟღავნა მწიკვლი სუყველა,
რაც ქვებუდანმა ჩააფრქვია ჩემს სულს უტიფრად
და სამუდამოდ ჩაუძერწა და ჩაუტვიფრა.

სიმშვიდისა და სასოების ვერღა მჭვრეტელი—
ვეღარასოდეს ვეწევიო სასიამო დღეს!
გულს განუმზადა მტკივნეული განსაწმედელი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინძლო ეს გული, ფენიქსივით, ციმციმ წამოდგეს
და ხელმეორედ მიაშუროს ცას და სამოთხეს...
    და ცრემლიანი აღტყინებით, ბედს რომ ემდურის,
    ღამის სიბნელეს დააწია ხმა საყვედურის:

„ღამევ, იმედის დამთრგუნველო, ხატო ბნელეთის,
ღვარძლის გრაგნილო, გულს რომ გვიკლავ და რომ გვაოსებ,
წყევლის არენავ, ასპარეზო საშინელების,
ბნელში რომ ითრევ ცოდო-ბრალის მღვრიე ქაოსებს
და დაუნდობლად მიგვაქანებ სასაკლაოზე,–
    სიკვდილის ბუდევ, ქვებუდანო წარუბაძველო,
    მოღალატევ და მოძალადევ, სულ რომ მძარცველობ,

ბინდის მესიტყვევ, უკუნეთის მემატიანევ,
შემზავებელო უხამსობის მღვრიე საზავით,–
ჰელიოსისკენ მიაქროლებ ბნელს და ყიამეთს,
რომ სვლა ჟამისა შეაფერხო უკუსვლასავით,
მაგრამ თუ მაინც გამოიხმობ დისკოს აღსავლით,–
    ოქროს ჯილაზე მოეხვევი ღრუბლის თავთავად
    და დააცხრები მწუხარების მოსაბლანდავად.

მაშ, შეარწყიე სიბინძურე შენი კათხების
სადაფიონოდ შელერებულ მზეს და საფირონს,
რომ მოქანცული შარავანდი ნაშუადღევის
მზეს შეეჩეხოს უბოლოოს, უსანაპიროს
და საკუთარი სილამაზე მტვერში ჩაფინოს,
    და, სადაც სხივთა სამარეა უაკლდამებო,
    დააკანონე მარადისი ბინდის სამეფო.

რომ დაჰყოლოდა ტარკვინიუსს ძალა ღამისა,
წაიშლებოდა სამუდამოდ ცისკრის სახელი
და განთიადის სეფექალებს, შესაბამისად,
შეაჭირვებდა უმზეობის შავი ნაღველი
და მწუხარების მირიადი თანამზრახველი
მომიფონებდა, მომიკლავდა ტკივილს ტკივილით
პილიგრიმებთან განდობილი პილიგრიმივით.

მაგრამ მარტო ვზი სიბნელეში და ვიწყევლები,
ვის შეუძლია უნუგეშო ცეცხლის ჩაქრობა,
ვის შეუძლია გამინელოს ცხარე ცრემლები,
რაც დედამიწის დასალტობად გულმა აგროვა,—
და გაწბილება, სიავხორცე და საძაგლობა
ამ მწუხარების საუფლოში ერთურთს შევტირით
მარადისობის მგლოვიარე მონუმენტივით.

ღამევ, — ღუმელო ჭვარტლიანო, ბილწო მაცილო,
მაგ უნაპირო წყვდიადიდან, — ცას რომ ეცობა,—
დღის სინათლეზე არასოდეს წარმოაჩინო
კადნიერებით აღჭურვილი უბილწესობა
და — რომ გაჭირდეს მავანთათვის მისი შეცნობა,—
ცოდვა, რომელიც დაცულია შენი საცავით,
შავი კალთის ქვეშ ჩაიხვიე აკლდამასავით.

დღის შუქს არ მისცე საჭორაო, სამუსაიფო,
თორემ, — ცისკარი კუნაპეტმა თუ არ დანისლა,—
ყველა გაიგებს, ძალადობით როგორ გაიპო

ხელუხლებლობა საქორწინო ზენაარისა
და სათნოება უხამსობამ როგორ დარისხა...
  მერე მოდგეს და – ყველა ხეპრემ, ყველა უვიცმა
  გააქილიკოს შელანძღული ჩემი გულისთქმა.

ტარკვინიუსით დააშინებს ბალღებს გამდელი,
ორატორებს კი ტრაგედია, – მე რომ ვესწრები, –
და ლუკრეციას გაბახება ამაღამდელი
დასაგესლავად შემორჩებათ, როგორც ნესტრები
და დაამღერებს ვინმე ბარდი და მენესტრელი –
  ტარკვინიუსი ვნებისაგან როგორ ატირდა,
  როგორ შესცოდა მან ჩემთან და მე – კოლატინთან.

აწ გევედრებით, ღვთაებებო, – ვინძლო ინებოთ,
რომ ჩვენს სიყვარულს დაებედოს ხინჯი ნაკლებად,
ვიცი – ვერ გაძლებს სამართალი უგანჩინებოდ,
თუმცა ხანდახან უცოდველი ყლორტიც ჩაჭრება
და მიზეზ-მიზეზ ისეთები დაიჩაგრება,
  ვისაც მოსდგამდა ურყეობა ქვის და ფოლადის, –
  როგორც გვიყვარდა ერთმანეთი მე და კოლატინს.

სირცხვილის ლანდო, მოარულო აღმა და დაღმა,
წყლულო, რომელშიც ცოდო-ბრალი ომს არ მიუძღვის, –
დაჭდეულია კოლატინზე წყეული დამღა,
რასაც კვერს უკრავს თვალთახედვა ტარკვინიუსის
და არკი იცის – მოსამართლე ვის რას მიუსჯის:
  მომხდარა ხშირად: განაჩენზე საქმე მიდგება,
  ჩვენ კი ცოდვების არაფერი მოგვეკითხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულირსს ღირსება გაუთხვრია და გაუზანგავს,
მე კი, კოლატინ, დამითმია ჩემი წარსული
და საფუტკრეში ვაპარპაშებ ბზიკს და ბუზანკალს,
რომ შემოდგომის კვირაძალზე, როგორც ჯვარცმული,
ვდგე სიტკბოება-დაწრეტილი და განძარცული;
სკა კი ობლად დგას – გარუჯული და ნათუთქარი,
თაფლ'ში ბანაობს მუქთახორა მამა ფუტკარი.

ვიცი,– ბრალი მაქვს, დაგიმძიმე ზნე და გუნება,
მაგრამ მე შენგნით შევიტკბობდი შლეგს და უბირსაც,
ესეც არ იყოს – სახლიკაცის გამობრუნება
მესახებოდა ოჯახისთვის ცოტა ულირსად,
თან გავურბოდი უმიზეზო ღელვა-დუღილსაც...
მაგრამ, ვაი რომ, თვალთმაქცები თავს გაბეზრებენ
და თავი მოაქვს ანგელოზად ქაჯს და ბელზებელს.

თუმცა რა უნდა ჭიალუას ვარდის კოკორთან,
რად ძალმომრეობს ბელურასთან გულქვა გუგული,
წყაროს რად შეჰყეფს ბაყაყების მთელი კოჰორტა,
რას ემართლება სათნოებას ღამის უკუნი,
ან ტირანია – ტყუილებში გამოხუხული?
ან ცოდვა-მადლის პაექრობა რად არ ილევა,–
მაგრამ სად არის სრულყოფილი სრულყოფილება?

ძუნწი მოხუცი, საშოვარზე რომ დატანტალობს,
ვერ უთავდება გამუდმებულ წელკავს და ნიკრისს,
და ემსგავსება სიმდიდრეში ჩანთქმულ ტანტალოზს,–

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვისი გონებაც, მისწრაფებაც, აზრიც და ფიქრიც
კვლავ ფულებისკენ დაჟინებით მიქრის და მიქრის,
მაგრამ ოქროებს, – ზეციერმა რომ გადმოყარა, –
სად შეუძლია მომაკვდავის ჯანზე მოყვანა?..

ეჰ, ბერიკაცო, სტომაქისთვის რაც დაგიკლია,
რაც მამასისხლად მოუცია მტერს და მოცილეს, –
შენი შვილები განურჩევლად წყალში გიყრიან...
მე შენ გეტყვი და, ერცხვინებათ კდემამოსილებს, –
შეიხვილიფონ თაფლისკვერი, შენ რომ მოზილე;
თაფლი, იცოცხლე, დაგიამებს ყელის სიმშრალეს,
მაგრამ ზედმეტი ტკბილეული პირს აგიმჟავებს!

აპრილის სილბო ეწირება ცის სისასტიკეს,
ვარდის კოკორს ნთქავს სარეველა მთელი აზარტით,
ყელმოღერილი იადონი ართობს ასპიტებს,
სიყვარულის ხეს აჩიავებს ღვარძლის ნაზარდი,
და ყოველივეს – ქვემძრომიდან კაცით-კაცამდი –
განაპირობებს ქალბატონი შემთხვევითობა, –
ან აღზევება ცათა შინა, ან – ქვეითობა...

მძიმეა,მძიმე შენი ცოდვა, შემთხვევითობავ, –
მოღალატეებს, ყალბისმქნელებს ლამპრად დანათი,
ცხვარზე მგელს ცოფავ, აღრეული ჟინს ვერ ითოკავ,
რომ შეთქმულთათვის შეარჩიო დრო მუხანათი
და ერთგულებას აუმხედრო ურცხვი ღალატი...
შენს ბნელ სენაკში, – ჯოჯოხეთი რომ ეწოდება, –
დაიძურწება სიბოროტე და შეცოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუსტალს ავალებ — ულალატოს ფიცს და ზენაარს,—
ავხორცობათა ალამდარო, ვნების სარდალო,
რაც კი ამქვეყნად ლაფისდასხმა და შერცხვენაა,–
ყბამორღვეული ქადაგივით ხალხში ყრანტალობ,
რომ უხამსობა ათუხთუხო და ასკანდალო:
  შენი სიყალბე შეიმეცნა დიდმაც და ბალღმაც,
  სიხარულს აქცევ მწუხარებად, გოლეულს — ბალღმად.

მზეს რომ უფრთხი და ხალისდები სალამოისხანს,–
ნადიმობის ჟამს უჭმელობით რატომ მძიმდები?
მაგ წარჩინებამ, შესაძლოა, ღვარძლი მოისხას,
სიტყვის ბადაგმა — გუდაფშუტა და აბზინდები
და უაზრობამ შეიწიროს გარჯა იმდენი;
  მაგრამ ყველანი, ბოროტების მტრად რომ შთებიან,–
  შემთხვევვითობავ, მაინც შენზე რად გიჟდებიან?

თქვი, ბოლო-ბოლო, ხელმოცარულს ძმად თუ დაისვამ,
ვინც გაფხავებულ მიზანსწრაფვას გზა ვერ უპოვა?
ნუთუ არ შეგძრა სიყვარულმა არარაისამ,
რომ აქიმივით შეეხიდო მწირს და უპოვარს,
ვინც, ღამისაა, სნეულებამ დააკუზოვა!
  ანდა, დავუშვათ, დაცემულებს გზა რომ ემებნათ,
  გაირჯებოდი უმწეოთა ხსნად და შეწევნად?..

მე შენ გეტყვი და, მკურნალივით თავზე ევლები
და სარეცელთან დაჰფოფინებ საწყალ პაციენტს,
ან მყისიერად გახსენებენ ქვრივის ცრემლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლმსაჯულების უსასრულო უზურპაციებს
და თვისტომების გასაჭირი ბოღმით გასიებს:
სიძვას, სიმდაბლეს, ორპირობას,— ვით ერთგულ პაჟებს,—
შენ სიბოროტით ასულდგმულებ და აპარპაშებ...

თუმც სიკეთეს და სულგრძელობას მე რად ველოდი?—
სიმართლისათვის დახშულია შენი ყურები;
უბიწოებას მეურვეობ გასამრჯელოთი,
უხამსობას კი უსასყიდლოდ ემსახურები,
რომ უანგაროდ შეაწიო გარჯა ულევი;
რა გაგიგრძელო: თვალთმაქცობაც ისე მიუშვი,—
კოლატინუსად მომაჩვენე ტარკვინიუსი.

დე, მოგეკითხოს ძალადობა, ძარცვა, მკვლელობა,
არმად მოგხმარდეს ოქრო-ვერცხლი, სხვებს რომ წაღლიტე!
წამოგეწიოს გულქვაობა, სისხლისმსმელობა
და ყოველგვარი სისაძაგლე,— რასაც მაღლითვე
შენ დაანათლე ორპირობა და სითაღლითე
და საუკუნოდ დააფუძნე აქ — ჩვენს მახლობლად,
ვით ბედისწერის უტიფრობა და ქედმაღლობა.

ღამეს მხარს უბამ მჭმუნვარებით, არდალხინებით,
ამაოებას გვიცნაურებ, — თითქოს საბარგო
ცხენს იურვებდე ცრემლიანი ბალდახინებით,
რომ სასიკვდილო აღტყინებით ხორცი დაბანგო
და უმანკო სულს ეთაღლითო და ეხაფანგო...
შენ წახვალ, წახვალ, წარმავლობის ფერისცვალებავ,
ჩემს ცოდო-ბრალსაც, იმედია, თანვე წალეკავ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამ გაიძულა, უსულგულო შემთხვევითობავ,
ჩემს მოძალადეს გაგებოდი გზად და ბილიკად?
მის შეგინებულ ნაფეხურზე მისთვის მიტოპავ,
რომ მწუხარებას მიმათვალო, ცრუვ და ქილიკავ!
თუ – მოშუღართა შერიგებას უნდა ცდილიყავ,
    რომ ალტყინებულ ცდომილებას,– დღეს რომ შეძერწე,–
    არ ეზეიმა უსირცხვილოდ ჩემს სარეცელზე?..

დროს განადიდებს მეფეების დამმობილება,
ყალბისმქნელების დატყვევება, ქურდის დაღალვა,
მზის გამოხმობა წყვდიადიდან, ცოდვის მხილება
და სიბოროტის განრინება ყოვლის გადალმა,
რომ სამართალი აღადგინოს მართლის ქადაგმა,
    და ბოლოს – ბინდის მეუფება, რასაც ენება
    ოქროცურვილი პალატების გაცამტვერება.

დროის ჭია გჭამს, დიდებაო ნასამოთხარო,
არარაობის საუფლოში ობლად გაკრთები,
რომ ძველისძველი ეტრატები ჭუჭყით მოთხვარო,
ყვავ-ყორნების გუნდს აალო ბოლო ნაკრტენი,
მუხის კორომებს – ძირისძირი და დასაყრდენი,
    მერე რკინასაც დაეჭდიო, ვით ნაჭორფალი,
    და უნამუსოდ უტრიალო ბედის ბორბალი,–

რომ ბებრუხანა შვილიშვილებს ავაჟკაცებდეს,
მოზარდი ჰგავდეს მოხუცებულს, ხუცი – მოზარდებს,
ჭკუას უხმობდეს ოინბაზი, ხოლო მტაცებლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემწყნარებლობის შარავანდი გარემოსავდეს,
მოსახდენი კი მოუხდება ყველა მოსახდენს:
    სალხენს მოიწევს გუთნისდედა თუ საალაპოს,–
    წყალს შეუძლია, წვეთწვეთობით მთაც კი ახაპოს...

სად მიგაჩქარებს ავბედითი პილიგრიმობა,
ნუთუ არ გინდა გულქველობა, მადლის კეთება?
რომ შემდგარიყავ წუთიერად, ერთი პირობა,–
გამოგიბრიდა მეგობრების სულისკვეთება,
რაც აქამომდე მილიონთა ვალად გედება...
    ეჰ, დაგეცლია, სიბნელეო, ჟამი მცირედი,–
    მთელს ამაღამდელ უილბლობას ავიცილებდი.

მარადისობის ლაქია ხარ, მხდალი ლაქია,
მაშ, მიმიხედე ტარკვინიუსს: ისე დაფანტე,–
თავს მოახვიე იმისთანა გალიმათია,–
რომ ჩემი ციხე-დარბაზიდან თავის დაბამდე
სულს უყინავდეს საკუთარი სიყალთაბანდე,
    და ყოველ ბუჩქთან, შუაღამის ყოველ ძახილზე,
    ელანდებოდეს უმსგავსობა და სიმახინჯე.

შვება წაერთვას, წარეხადოს ბოლო ნუგეში,
გარს ეხვეოდეს ქიმერების ბილწი კრებული
და შეძრწუნება ჩაუსახლონ თვალისგუგებში...
და ცრემლიანი სეფეწული, როსმე ზეპური,
აწ ახლობელთა გულქვაობით გაბეზრებული –
    დგეს დიაცებთან ცოდოების გამოსასყიდად,
    დიაცებმა კი დაიფრინონ დია სასტიკად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმწრით იგლეჯდეს კულულებს და, როგორც ასპიტებს,
სწყევლიდეს დღეებს — შავშემოსილთ შავი არშიით,
თან გლახაკივით შესტიროდეს ცის სისასტიკეს
და ბალღამს სვამდეს მშიერ კუჭზე რძის ნახარშივით,
და შარა-შარა — მწირი განძით, მცირე არჩივით
    დაწანწალებდეს ძონძიანი და დაკონკილი
    და ქედზე ედოს განკიცხულის მძიმე ბორკილი.

ძმანი მტრად ექცნენ, სიძულვილით გული აუვსე,
დასცინოდნენ და...დაუმძიმდეს ბოღმის დაძლევა,
დე, გამოსცადოს თავისივე დანაშაულზე,
რომ სიხარული უხანოა: მალე დაზრება,
მწუხარება კი ფეხათრევით მიიზლაზნება;
    ისიც გაიგოს — მოკვეთილად რატომ აცხადებს
    კანონმდებლობა ამისთანა შეურაცხადებს.

დროვ ულმობელო, დამადევნე ულირსს და უგვანს
და უნასივით მაწყევლინე ხშირად და მალ-მალ,
რომ სასიკვდილოდ დავამგერო საკუთარ გულ-გვამს,
ბოროტი სისხლი დააქციოს ბოროტმა მკლავმა,
სხვებს — შთავაგონო თავდაჭერა, რიდი და კრძალვა:
    ერთიც ვნახოთ და, დაეღირონ გველს ჯალათივით,—
    ქვეწარმავლის მკვლელს შეამკობენ დიდი პატივით?

მას კი, ასე ვთქვათ, წარჩინებულს სასიქადულოს,
ერთიათასად მოაყივნებს ქცევა ამგვარი;
რაც უფრო ზეობ, მნიშვნელობით უფრო მატულობს

შენი გარჯა და ყოველგვარი გულისკანკალი,—
დიდ წარჩინებას ხშირად მოსდევს დიდი სკანდალი:
უვარსკვლავობას ცოტა ამჩნევს, მაგრამ მთა-გორებს
მთვარის ჩაქრობა, დამერწმუნეთ, დიდად აღონებს...

ზოგჯერ ყვავიც კი იმურება, შავად ითხვრება,
მაგრამ ვერ ამჩნევს კაციშვილი მოთხვრას ყვავისას,
ხოლო გედის ფრთა წამიერად შეითითხნება
და გაზანგული ნაკრტენები, შესაბამისად,
მეფის მაგიერ ემსგავსება მურდალ კარისკაცს.
ქინქლა შენატრის კაცთაგანის ერთ შემოხედვას,
ხოლო არწივი აფრენისას მთელ ჯარს მოხვეტავს.

გასწით, სიტყვებო, გამეცალეთ!— გითხრათ სიმართლე,—
კი დაგხატავდათ ერთი ცივი წყლის გადავლება!
ისევ წადით და რიტორიკის სკოლებს მიმართეთ
ან ენაწყლიან სამსჯავროებს,— ვინმლო თავნება
ხალხს გამოადგეთ უნიათო შუამავლებად:
მე, ჩემდა თავად, როგორც ვატყობ, ფუჭად ვენთები,
ვის რაში უნდა ჩემეული არგუმენტები!..

ტყუილუბრალოდ შევაჩვენე შემთხვევითობა,
ტარკვინიუსი, ბნელი ღამე, ღამე უშვერი,
ტყუილუბრალოდ დავირღვიე სულის მშვიდობა:
შენს გაჭირვებას, თავო ჩემო, ამ მოუშლელი
საყვედურებით, დამერწმუნე, ვერას უშველი!
გამოსადენის გამოდენა, სისხლის დათხევა!—
სხვა — საქმიოდ ვერაფერი გამოგადგება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ რად მოდგნენ სალმობანი სალამოისნი?–
ხელო, შენ გესავ სათნოების გადასარჩენად!
მე თუ მომაკვდენ, ჩემთან ერთად ცოდვებს მოიხსნი,
თუ დამარჩენ და – ჩემი ხინჯიც შენთან დარჩება
და ერთიორად გაჭირდება საქმის გარჩევა...
    მაშ, მიპასუხე,– შეკითხვისთვის ვარ უკაცრავად,–
    რად გაისტუმრე მოსისხარი დაუკაწრავად?“

წამოდგება და გაშმაგებით,– მთლად რომ აოსებს,–
იარაღს ეძებს პალატაში... ახლა – უთხარი,
რომ იარაღი მოიკითხოს სასაკლაოზე!
და სასიკვდილოდ ალანძული და ნათუთქარი
სუნთქვას იოკებს ძალისძალად, როგორც ვულკანი,–
    რომ მოგუზგუზებს აბოლებულ ციხე-დარბაზად
    და კრატერიდან მოაქუხებს ზარს და ზარბაზანს...

„– თუმც ამაოა!“– გაიფიქრა– „და ამაოთი
ამაოების კარიბჭესთან რატომ მიველი?
ტარკვინიუსის მახვილიდან დახსნას ვლამობდი,
ახლა თვითი ვლამობ თვითმკვლელობას, რომ რაიმეთი
პატიოსნებას ჩავუსახო ბოლო იმედი,
    მაგრამ ტყუილად: რასაც ერქვა ჩემი წარსული,
    აწ ყოველივე ჯვარცმულია და განძარცული...

და მაინც, მაინც – ხორცი დავგმე, გული შევრისხე,
მიდექ , ხელო და, შენდა თავად, დაშნა შეასე!
თვითმკვლელობიდან უხორცოთა სასუფევლისკენ

ცილისწამების ასი გზაა, ხოლო მეასე
გზა მიიქცევა მარტოობის ბნელ ლივრეაზე...
ო, გულქვაობავ! სათნოების ძველ ზარდახშიდან
მარგალიტების დატაცება რატომ გახშირდა!..

შენ კი — რას გეტყვი, კოლატინუს: ღმერთიც ინებებს—
და რიოშების საჭორაოდ, ბრმების სავახშოდ
ვერ შეგიბღალავ კეთილშობილ მიდრეკილებებს...
მაშ, შთამაგონე,— ჩასახშობი დღესვე ჩავახშო,
თესლი უღირსი ჩავანელო და ჩავახავსო,
თორემ, ვინ იცის, მოლიზღარმა გზა გადაგიჭრას,—
მამა-მშობელად გაუხდიო ვილაც ნაბიჭვარს!

ეგღა აკლია გაგაწბილოს მისი შვილობით!
ო, ამისთანა უტიფრები თავის მახლობელ
ხალხს აუწყებენ კადნიერი სიამტკბილობით,—
რა უკადრისი ილეთებით მამაძაღლობენ;
მაგრამ ჩემს სულში უნდილები როდი სახლობენ:
მაშ, მოდექ, მოდექ, სიბნელეო გულამომშალო,
რომ თვითმკვლელობით საშინელი ცოდვა მომშალო!

ვერა, ვერ გკადრებ, კოლატინუს!— შენს თეთრ ილქნებს
მე რანაირად შევუთავსო შავი ტაროსი?
როცა ენა დუღს, ნიაღვარი ბალღამს მიაფრქვევს,
როს თვალისჩინი განხმულია,ვით ავგაროზი,
და სიმართლიდან გადმომსკდარი ჭავლი წყაროსი
მიდის ჭალისპირ, მიხრიალებს ნელი სისინით,
რომ ამღვრეულ სულს მოეფონოს კათარზისივით...“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ფილომელამ — სევდიანი იადონივით
კვლავ დააკვნესა სატკივარი უდიადესი;
ღამე კი მიდის, მიირხევა დინჯი რონინით,
რომ მერამდენედ დაიმკვიდროს შავი ჰადესი,
და, უთენია, ნათლიერის მზისფერ ბადეში
    დგას ლუკრეცია — შელანძღული, ობლად ნაშთენი,
    მგლოვიარე და მარტოსული, ვით მონასტერი.

სხივი კი ანცობს, იჭყიტება ვიწრო ხვრელებში,
თან მგლოვიარეს უთვალთვალებს, როგორც ჯაშუში;
ქალი შესტირის: განმარეო თვალი ხენეში
და მძინარეებს ელაციცე,— ვინც მოსაშუში
ვნების ამარა ჩახვეულა ღამის საშოში:
    „— ჩემს შუბლს რად უნდა, სინათლეო, შენი თანხლება,
    ღამეს დღის შუქი რანაირად შეეთანხმება?“

გამოუცდელ სულს ყველაფერი აღიზიანებს,
როგორც უწვრთნელ ყრმას,— განსაცდელი რომ არ ეთნია
და უმიზეზოდ ამუნათებს თავისიანებს...
შეჩვევა იცის ძველმა დარდმა, და ტრაგედია
მაშინ იწყება, მწუხარება როცა ნედლია:
    ცურვით კი ცურავს ახალბედა, მაგრამ ჩაყვინთვა
    ნაადრევია, საკმარისად თუ არ დაღვინდა.

და ლუკრეციაც დაბნეული დაბოდიალობს
და მწუხარების ოკეანეს ეაბეზრება,
თან თავისთავთან ნერვიულად იწყებს დიალოგს,

რომ ემოციებს მიანიჭოს მეტი შეძლება,
თუმც განუწყვეტელ მიმოცვლაში ღონე ეცლება...
ხან იტყვის რასმე — უადგილოს და ოკრობოკროს,
ხან აწყვეტილი ვულკანივით დუღს და ბობოქრობს!..

ესალმებიან ჩიტუნები ცას და ციურებს,
ქალს მწუხარებას უორკეცებს მათი გნიასი;
დამდაბლებულ სულს აღმაფრენა ანერვიულებს
და მგლოვიარეს — სიხარული, ხოლო დიაცი
თავს იუცხოებს განთიადის მელოდიაში:
ოდენ მსგავსი ხამს ტკივილებში მსგავსის მცნობელად
და მწუხრეული — მწუხრეულის თანამგრძნობელად...

როს დავრდომილი მდინარესთან დაიარები,
რა უდღეური გეჩვენება ნაშთი დიდების,
მკურნალობის ჟამს გახსენდება ნაიარევი,
დაყვავების ჟამს — ტკივილები გაბედითების,
და მწუხარება ჭალა-ჭალა ზათქით მიდენის
ტალღებს, რომელიც მოაჯირებს წალიკ-წალიკად
ჩამოიღებს და აქაფებულ ჩქერში წალეკავს.

ხოლო ქალი კი: „—მიტიონო დაე, ჩიტებმა,
დე, თვითეულმა თავისივე გულ-მკერდს ჩასცინოს:
გულს რომ ასეთი სიმძიმილი დაეჭიდება
და მწუხარება დააბნელებს მზეს და ასპიროზს,—
ვის შეუძლია მხიარულად დაითათბიროს
ჭირისუფალთან, სულელურად რომელიც როშავს—
აღტაცებული ვუმღერიო ცრემლიან დრო-ჟამს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მო, ფილომელა, გარე-გარე რას ვიწყევლებით,
ბნელეთს რომ ვუხმობთ საკუბოოდ, მიწას — სასუდროდ,—
სჯობს — ერთმანეთზე დანდობილი ჩვენი ცრემლებით
ერთიმეორის სატკივარი გავისაკუთროთ
და სამდურავი შევღაღადოთ ცას და საწუთროს:
შენ წყევლა-კრულვით გამოიხმე შენი ტერევსი,
მე — ტარკვინიუსს შევაჩვენებ ჩემს სიმღერებში.

შენ ვარდს ელტვი და გიმუსრავენ გულ-მკერდს ეკლები,
მე — გუნებაში ერთადერთი აზრი მიელავს:
შენ სულთამხუთავს ეკლიანში გადაეყრები,
მე — აღსასრული მომეწევა ხანჯლის მიერაც
და სამარეში შევიყრებით თანახმიერად,—
რომ, სიბნელეო, საუკუნოდ ჩვენში იმეფო
და მწუხარებას უგალობოთ, გულის სიმებო!

სხივს რომ უფრთხი და სინათლეში ჭიკჭიკს მოეშვი,—
დაუბრებიხარ, იადონო, მზეს და სიამეს,
მაშ, გავეშუროთ უკაცრიელ უდაბნოებში,
სად, იმედია, გავარიდებ ადამიანებს
გულს, რომელზედაც ტკივილებმა გადამიარეს,
სად ნადირის ხმას მოგვაგონებს კაცის ქაქანი
და გულისყურით იყურსება ნადირთაგანი!..“

. . . ძრწის გულმოწყლული, დაკოდილი, როგორც ირემი,
ტყე უსიერი ერთიანად სისხლით მოღება,
ტყით მოიქცევა გატანჯული, ნაცოდვილევი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუმც მარეკებთან უძნელდება ბრძოლის მოგება
და თავისივე უმწეობას ეამბოხება;
ასე – სიცოცხლე გაგამდიდრებს, გაგაბობოლებს,
დაბერდები და – ჩაგაბარებს თავის ოპონენტს.

„მაგრამ ვინ მისტყვენს: – „სიკვდილიო!“ – რა ხორხოცია?
ხორცი მოვკლა და, დაბოღმილმა, სულიც წავაკლა?–
რომ ჩემი თავი ერთიანად, სულით–ხორციან
ღმერთს შევავედრო უდრტვინველად, როგორც ზვარაკმა
და გავაცხადო უკუღმართი დედის ქარაგმა,–
ერთ შვილს რომ ჰკლავს და კიდევ უფრო იმით გვაოცებს,
რომ მეორესაც მიაქანებს სასაკლაოზე.

ხორცი თუ სული – სიყვარული ვისთან საუბრობს,
კვლა – გამარჯვება აღმოჩნდება რომლის მხარეზე?
ერთი შევწირე ზეციერის წმინდა საუფლოს,
სხვა – მიწიერი ვნებებისთვის ვაასპარეზე;
მაგრამ ჩინარი უჩინოა მერქნის გარეშე:
ასევე სულიც – განძარცული ხორცის გარსიდან–
უილაჯოა სიყვარულის მუნ წარსაზიდად.

წარტყვევნილია ვანი მისი და ნატაცარი,–
შეყოლიებას სჯობიაო ძალით შეთრევა;
შელანძღულია სათნოების წმინდა ტაძარი,
არც სიყვარულის საყუდარი აღარ მეთნევა,
და მკრეხელობად რანაირად ჩამომერთმევა,–
თუ გამოგანგრევ, ბოროტების ციხე–სიმაგრევ,
და სულისათვის საიდუმლო გვირაბს მივაგნებ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ ვერაგობას – ჯერარნახულს, უმაგალითოს –
ქმარს მოვახსენებ უსიკვდილოდ, ჯვარზეც გამაკრათ,
რომ სიკვდილამდე შურისგების აღთქმა დამიდოს ...
ხოლო სისხლი კი, ჩემი სისხლი, აგერ სამმაგად
ტარკვინიუსმა მიითვალოს ანდერძ-ნამაგად:
თუ მოისურვებს, – უკანასკნელ ამოოხვრამდეც
მისი არის და საჭიროა მასვე მოხმარდეს.

ჩემს მკვლელ დანას კი, ღირსებათა ძველი სკივრიდან
უნდა მიეზღოს საზღაურად იგივ ღირსება,
რა ღირსებითაც სამსხვერპლოზე ჩემს თავს მივიტან,–
რომ დავუბრუნო შელახული პატივისცემა
სახელს, რომელიც უსამართლოდ ასე ისჯება,
უღირსობა კი მოვაკვდინო, და ვყო სასისხლედ
ეს ხორციელი უხამსობა და სისაზიზღრე.

მეუღლევ ჩემო, ბედისაგან უარყოფილო,
აწ მიიცვალა დედოფალი უბრწყინვალესი ...
შენ შეგიძლია, – მომაკვდავი ცრემლით მოფინო
და უმწეო სულს გაუნელო ცეცხლის თარეში;
და მოირები – მწუხარების ამ სიმთვრალეში –
შურისძიების ანგელოზებს შემოგასევენ:
„– ტარკვინიუსი უნდა მოკვდეს ... მოკვდეს ასევე ! ...“

მაშ, გავასრულოთ: მალე სული ცას შეერწყმება,
ხორცი, შენც იცი, ჩაინქრევა, მტვერში ჩაქრება,
შენ მოგეცემა გამძლეობა, ხოლო შერცხვენა

მტერს მიეზღვება სალანძღავად, ლაფში სათრევად,
წარჩინება კი იმისთანებს მიემადლება,
ვინც ესტუმრება ლუკრეციას ციხე-აივნებს
და სტუმრობისას გუნებაში ცუდს არ გაივლებს.

ო, კოლატინუს! უკუნითი უკუნისამდე
შენი ვიყავ და შეწევნასაც შენ გთხოვ ხელახლა,
სისხლით მოვიბან მე ჩემს სირცხვილს... მეტსაც ვიზამდი,
რომ თვითმკვლელობით აღმეკვეთა და ამელაგმა,
რაც სიცოცხლეში დამაწია ცრუმ და ვერაგმა.
ხელი გულს მოჰკლავს, გული – ხელებს: იცის ორთავემ,
ერთიმეორეს რანაირი მადლით მორთავენ! . . ."

ასე გარიყეს მოირებმა და გამოაკლეს,–
მარგალიტებად გადმოჰყარა ცრემლი დიაცმა
და სიკვდილის წინ საწყალობლად უხმო მოახლეს ...
ხოლო მოახლემ, რა თქმა უნდა, მყისვე იაზრა
და გულისყური შეაგება, ვით აიაზმა;
დგას ლუკრეცია შეჭირხლული, ვით ცის ტატნობი–
ზამთრის ქარ-წვიმით გალეული და დანაღნობი.

მშვიდობის დილა მოახსენა დიდი თავაზით,–
ჯერაც, ღვთის მადლით, ზრდილობისგან არ განძარცულა!–
და რა იხილა მწუხარების ბნელ აკლდამაში,
ქალს ესლა ჰკადრა:–,, ქალბატონო, თქვენმა ჯვარცმულმა
სახიერებამ მშვიდობაში გადამარწმუნა:
რას მოასწავებს უთენია ასე დაბნევა,
ან ეგ ორი მზე – ორი თვალი – რამ დაა ბნელა?"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორც მზე სტირის, დაისებმა ცა თუ დახურეს,
რომ ცრემლი ჰყარონ ყვავილებმა, როგორც თვალებმა,—
ამ სანახავით დამძიმებულ მოსამსახურეს
გულს შეუღონებს ქალბატონის ჩუმი წვალება
და პირისახე ტკივილებით დაეცვარება,
და ჩაანელებს მწუხარების ულვთო თარეში
ცხარე ცრემლების მარილოვან ოკეანეში.

სპილოსძვლისდარი ნაკვეთობით, ღვთისდარ მშვენებად
ცრემლის მორევში ყელყელაობს ორი მარჯანი;
ქალის ბუნება ასეთია, მოგეხსენებათ:
ოღონდ ერთი თქვი — ცრემლიაო დასახარჯავი —
და ლაპალუპით ჩამოსცვივა ცრემლი არჯალი;
ჩვენი ქალი კი,— ერთი ნახვით რაც შემიტყვია,—
ცრემლს ზრდილობისთვის ალვარლვალებს, როგორც იტყვიან...

ო, მამაკაცის ნებისყოფავ რკინისებურო,—
ქალი ცვილია, როგორც უთქვამთ, კაცი — გრანიტი:
შენ შეგიძლია ჯადოსნური ძალით შებურო
მისი ნატიფი მგრძნობელობა, და მიამიტი
ტვინი შეძრა და სამუდამოდ მოსპო ამითი...
ბევრი ეცადა ქალთაგანი, ბევრიც იურვა,
მაინც გასტეხა ძალადობამ დემონიურმა.

იწროა ქალის ბუნება და გლუვი ვაკისებრ,
ზედ მღილიც კი ჩანს — ჩვენდა სასოდ, ჩვენდა იმედად,
მამაკაცებს კი ბედისწერა სხვა როლს გვაკისრებს,

რომ გულისგულში ჩავიხვიოთ ჯანლი მღვიმეთა,
ვინც ეშმაკები საბუღრაოდ გამოიმეტა;—
  კაცი სცოდავს და ცოდვებისთვის ვერ მიგვიგნია,
  ქალის სახე კი ყველასათვის ღია წიგნია ...

ვარდის დაზრობა, როგორც წესი, ზამთრის ბრალია,—
ღმერთმაც ხომ იცის, როგორ ვარდობს ვარდი აპრილში,—
რაც შეეხება ქალის ქცევას, ქალი ქალია
და ყველა მისი ახირება, მისი კაპრიზი
უხერხულია განსასჯელად და უკადრისი:
  კაცია ქალის შემოქმედი, ქალის ავტორი
  და ყოველგვარი ცოდო-ბრალის ბატონ-პატრონი.

თუნდაც ავიღოთ მაგალითი ლუკრეციასი:
ამაზე მეტი დამცირება რაღა იქნება?—
სიკვდილის მერეც მითქმა-მოთქმა, ხალხის გნიასი...
მაგრამ სიკვდილი სიკვდილია: მკვდრის გაწითლება,
მე როგორც ვიცი, სამარცხვინო საქმედ ითვლება.
  მაინც შფოთავს და ფეთიანობს მფრთხალი ჩიტივით—
  არ დაცხრებაო ქვებუდანი მკვდართან ჭიდილით!...

ეს მონა-ქალიც დამღლელია და მომქანცველი,
შუშტრუკანა და, ჩვენში დარჩეს, ცოტა მობაზრე:
– „ო, ქალიშვილო, მართალია, შენი ღაწვები
ამ უთენია ცრემლით მორწყე, სისხლით მობასრე,—
ვეჭვ,წაგაქეზო ამისთანა თანალმობაზე:
  ცრემლს რომ შეეძლოს რაიმეთი ჩემი შეწევნა,—
  არა მგონია, დახმარება სხვასთან მეძებნა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„– ახლა ესა სთქვი, – მეჯავრება კია ბეზღობა,–
ტარკვინიუსმა სასახლიდან როდის გაქუსლა?“
„– გამთენიისას გაემგზავრა, – როცა, ეტყობა,
მზის სხივებიდან ასხლეტილმა ერთმა ნაკუწმა
გაალვიძა და წასასვლელად ჟინი აღუძრა;
დამნაშავე ვარ: გაპარვისას ალბათ შველოდა
ჩემი ძილი და გულუბრყვილო უზრუნველობა“.

მერე, ასე ვთქვათ, დითირამბებს მითეს-მოთესავს:
„– რამ დანისლაო სხივმოსილი თქვენი ხატება?“
„– გიპასუხებდი – მძიმედ უთხრა: –მაგრამ როდესაც
ცნობიერებას უმნელდება ყოვლის დატევა
და მწუხარება მწუხარებას ალემატება,–
ბევრად აჯობებს ერთი სიტყვა:–„ჯოჯოხეთია“–
სიტყვიერების უსასრულო ტევრში ხეტიალს.

მაშ, რაღა დარჩა: ხვაშიადის წარმოჩენაღა,
საწერ-კალმის და მელნის პოვნას განა რა უნდა!–
ამასობაში, შესაძლოა, კაცი გენახა,
ვისაც ჩემს ბარათს ჩააბარებ და თან დაურთავ–
ჩემი პატრონის გულისწორთან და ნანდაურთან
დაუყოვნებლივ გაფრინდი-თქო, ქარს გაუსწარი,
რომ თავის დროზე მიაწვდინო ცოლის უსტარი!...“

მხევალი გადის პალატიდან... ქალმა შფოთიან
სულწასულობით აიტაცა ხელში საწერი,
მის არსებაში გაშმაგებით მიდი-მოდიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

იჭვი,ფიქრი და სულსწრაფობა: აბა,გაძელი,
როს კარიბჭესთან — ოკრობოკრო და ალმაცერი
ბრბო მოგაწყდება სისხლიანი, ხარბი თვალებით
და ტვინს გიბურღავს უთავბოლო არევ-დარევით!

„— ჩემო მეუფევ! — მტკივნეულად იწყებს დიაცი—
შენი ღირსება სამუდამოდ გაუფასურდა!
კვლავაც თუ შეგრჩა სიყვარული ლუკრეციასი,
გადაარჩინე მისი სული, რაც უკაცურთან
ნაცრად იქცა და, დანაცრული, დაღმა დაცურდა...
დარცხვენილია ჩემი დარდიც, თვალს ვერ გისწორებს,
რაც ნაწილობრივ ამჩნევია ამ ეპისტოლეს...“

ბარათს, მისი თქმით, სათაკილოს და სააუგოს,
ცალყბად გაანდო ბანოვანმა არსი ნამდვილი:
კოლატინუსმა გაუგოსო... როგორ გაუგოს,
სიტყვებს თუ ამბობს ქარაგმულად, და დანართივით
ცრემლებს დაურთავს ალაგ-ალაგ, როგორც მარტვილი:
ისევ სჯობია გაეცალოს ამ საგარეწროს
და საკუთარი გაბახება სისხლით წარეცხოს!

ცეცხლი, რომელიც გამოსცადა ტანჯულის გულმა,
მიუვა მის ქმარს, ნათელს შეჰფენს და შეაქრება;
თუმც სიტყვიერად აღბეჭდილი ცრემლი და ურვა,
ჰაი-ჰუი და წარამარა ენად გაკრეფა
ამ გაჭირვებას წაადგება დია ნაკლებად:
როცა სიტყვები ვერას გაკლებთ, შხამო და კუპრო,
უპრიანია მოქმედება სიტყვებზე უფრო.

მოდის სიტყვა და მწუხარებას მოარონინებს,
რომ გულისყური შეაგებოთ, კარი გაუღოთ,
მაგრამ ყურს მაინც თვალი გვიჯობს, თუმცა ორივეს
ერთ სატკივარზე ვავარჯიშებთ უსაზღვაუროდ,—
მოკლედ, ზღვის წყალი მეჩეჩებთან უფრო ხმაურობს;
ლიტონი სიტყვაც ასეევა: ქარს ჰგავს, დიახაც,
ერთს დაბერავს და გააქარწყლებს გრძნობის ნიაღვარს.

წერილს დალუქავს, გადაკეცავს... ქმართან წასაღებ
სიტყვებს ცრემლად და მწუხარებად დაახარისხებს,
ყმას შეუძახებს — გაფრინდიო არდეასაკენ,
არ შეეპუო ჩრდილოეთის ქარს და ქარიშხლებს,
და, დალოცვილი, სამრეკლოებს ისვარისხებს,—
ღმერთო გცოდე და, აშკარაა — მაგრად შეტოპა,
ჩანს, ზედმეტობას ხშირად მოსდევს სხვა ზედმეტობა!

ყმა კი არ ჩქარობს: ჩამოართვა წიგნი კრძალულად,
მერმე თვალები მიაშტერა უხმოდ, ნელიად
და, დარცხვენილმა, წამიერად თვალი წაღულა...
„ქურდს ქუდი ეწვის!“— მველთაგანვე უთქვამთ გენიათ
და დიაგნოზიც მართებულად დაუდგენიათ;
„—მონა შეცბა! — ნერვიულობს უკვე დიაცი,—
ჩანს, ეცნაურა გაბახება ლუკრეციასი!“

მაგრამ მსახური — ღმერთი,რჯული! — სიტყვას ეძიებს:
ქალბატონოო, სათხოვარი კიდევ გექნებათ!
იგი არ ჰგავდა მოლაქლაქე ქარიხვეტიებს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ მოდგებიან ერთგულების მქადაგებლებად,
მაგრამ საქმის დროს, სამწუხაროდ, თავგზა ებნევათ:
  ძველი ყაიდის კაცი იყო: დიდი ავანსი
  არ სჭირდებოდა საქმეების ავან-ჩავანში.

ეჭვის სადავე დედაკაცმა მაინც მიუშვა
და უნდობლობა ჩაიხვია, ჩაიშინაგნა:
რა სისაძაგლეც დამაწია ტარკვინიუსმა,
უკვე მიხვდაო გაუთლელი ჩემი შინაყმა,
და ორმა თვალმა — ანთებულმა ორმა ჩირაღმა—
  რომ შეაცბუნა ხელმეორედ მისი მსახური,—
  ჩემს გაწბილებას დასცინისო ეს უსახური!

და ისევ დარდი, ისევ ფიქრი, ისევ დაღვრემა,—
ყმამ, ეს-ესაა, გადალახა ზღურბლი სასახლის. . .
დრო კი არ ჩქარობს, ხანტად მიდის,— რა ენაღვლება,
თუ ლუკრეციას — წარჩინებულ ჩვენს დიასახლისს —
ცრემლის თხევა და მწუხარება ასე გადაღლის!
  დახვეულია ტკივილები სისხლის რგოლებად,
  ქალი გზას ეძებს ტკივილების დასაბრკოლებლად. . .

და ახსენდება ლუკრეციას ერთი ნახატი
(მოგონებებო, მძივებივით როგორ ისხმევით!):
ელენეს ცრემლი, პრიამოსის მოთქმა-ღაღადი,
როს ილიონი — უჩვეულო გაგულისებით
(რაც ხელოვანის ფრესკაშია ნაგულისხმევი) —
  ცამ აიტაცა ღრუბელ-ღრუბელ და ეამბორა,—
  ვით ურანოსმა ამბროსიით სავსე ამფორა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც სიცოცხლის თვალს ბუნებაში დაუძებნია,
აქ ხელოვნების უსიცოცხლო ენას ხმარდება:
ცივი ცვარ-ნამი, მაგალითად, ცოლის ცრემლია,
რაიც მოკლულ ქმარს უშუალოდ მიემართება,
მიმხმარი სისხლი ბრძოლის ხმაა და შემართება,
ხოლო მკვდარი მზე, — უსხივობას რომ დააჩშირებს,—
ჰგავს ბნელ ღამეში ჩარიგებულ ქვებს და ნაჩშირებს...

ვხედავთ გაოფლილ მიწის მუშებს, დაღლილ მეომრებს
(რას გახდებოდნენ უწყალებლად, ღამის უთევად?),
კოშკებიდან კი მერამდენედ ძალმომრეობენ
ხელმოცარული ტროელები, და მთელ უტევანს
უნუგეშობის კაეშანი ებუტბუტება...
ასე აღბეჭდა მწუხარებამ ეს რიტუალი,
დია განივრცო ხელოვნების რეპერტუარი.

რაც შეეხება წინამძღოლებს, გეტყვით ამაზეც:
მათი ბრძოლა და თავშექცევა, მათი ლექსობა
შეხამებია ჭაბუკების ჭარბ სიმამაცეს. . .
დიდად გარჯილა ხელოვანი, რათა ეგზომად
დაფეთებულთა ლეგიონიც შიგ ჩაექსოვა,—
საშიშროების მოლოდინში რომ მრწის გლეხივით—
ასე ვაგლახად მოკაკვული და მოგრეხილი.

აწ მოვიხილოთ ოდისევსი და აიაქსი:
აქ ავანსცენა აცნაურებს თავის კულისებს
და სახეები გვახედებენ სულის წიაღში ...

დაბღვერილია აიაქსი, ხოლო ულისეს,
მე შენ გეტყვი და, რაიმეთი გააგულისებ:
დგას ეშმაკურად, სახეპირზე ღიმი ერევა
და ღიმთან ერთად – შეფარული თვითდაჯერება.

აჰა, ნესტორიც – მეამბოხე მამა ბერძენთა:
ისე ქუხდა და იმისთანა ცეცხლი ემოსა, –
როგორც იტყვიან, მშობიარეს გააბერწებდა!
გულს უჩქროლებდა ხმალშემართულ ყრმას თუ წვეროსანს,
ხაფი მახილით აჯოკებდა მთის კენწეროსაც, –
მტრის ლეგიონებს მილალავდა გზის გასაყართან
და მოთუხთუხე ოხშივარი ცამდე აჰყავდა!

თანაც ამხელა ჯამაათი როგორ მოძებნა,
სად მოაქუჩა ესოდენი ფილიანტები?
თუ – საიდანღაც მოფრენილმა სირინოზებმა
ხალხს დაახვავა სიმღერების კორიანტელი?
კიდევ – რაც მოჩანს წინა პლანზე, ორი ამდენი
ისე გითრევს და გატრიალებს წალმა-უკუღმა,
რომ ლამისაა ჩაგანელოს ღამის უკუნმა!

თავი თავს ფარავს, ზედახორამ ბევრი მოცელა,
ვისი ცხვირის ქვეშ დაიბუდა ვისმა ყურებმა
და არის ერთი რია-რია, მიწევ-მოწევა:
ეს მგლებად ნათლავს ხალხის გროვას, ეს – ურჩხულებად,
ეს – ყველა მომსვლელს გაბღვერილი ეჯუჯღურება
და მთელ ამ კრებულს სიტყვის ძალა რომ არ კვებავდეს,
დაეთმობოდა ასპარეზი ხმლების დებატებს.

ამ ზედაზორას განდგომოდა თვით აქილევსი
და მხოლოდ შიშველ ფანტაზიას — ბნელს და უსიერს,
ეჩვენებოდა მისი შუბი წინა რიგებში;
და მაინც ხალხი — სინამდვილე გულს რომ უსიებს,
აღტყინებული მიჰყვებოდა ტკბილ ილუზიებს
და შუბთან ერთად, აქილევსიც — ეს ცის მსახური—
სულ თვალწინ ჰყავდა ხორციელად წარმოსახული.

აი, ნიმუში ოსტატური შემოქმედების:
გმირს რომ გუნება დაუშაქროს და დაუნექტროს,
ტროის გალავნებს ეფინება ჰიმნი დედების,
რომ აცილებენ ბრძოლის ველზე მიმავალ ჰექტორს,—
შვილებს გწირავთო სიხარულით და მუხლებს ვდრეკთო!
მაგრამ დედის გულს აღტყინებაა̈რაში არგია?-
ამ ფრესკიდანაც გამოსჭვივის ეს ნოსტალგია . . .

შენ კი — კლდეებში საბუღრაოდ და სადარბაზოდ
რომ მითუხთუხებ სიმოსიდან დარდანელამდე,
სისხლის მდინარევ, ლამისაა, ღვარცოფს წარბამო,—
რომ გაიწვართო, როგორც გველი, მერე გველადვე
გზისპირ გაწვე და ლელიანში წითლად ელავდე,
და ღვარს, რომელიც ხეობებში მითეს-მოთესა,
აზვირთებდე და აქაფებდე ცისფერ კბოდეზე.

. . . მიდგა ფრესკასთან ლუკრეცია და მიეყუდა,
სევდის ნიშანწყალს სახეებზე დიდხანს არკვევდა,
მთელ ტროელებში ერთადერთი იყო ჰეკუბა,

რომ მიაგება უნაპირო სასოწარკვეთა,
მთლად დანაცრა და, დანაცრული, სადღაც წარხვეტა:
იწვა პრიამოს — გაცრეცილი, ვით პაპირუსი
და მედიდურად დასცქეროდა გულქვა პიროსი.

ამ სიუჟეტით ხელოვანმა ცხადყო სრულიად,
რომ დაძველება უწერია ყველა ახალშენს,
რომ სილამაზე დასაჭკნობად განწირულია,
რომ დრო, რომელიც ყოველივეს ასე ახავსებს,
ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვებს მზეთუნახავზეც,—
იბარტყებს კია ნედლი ყლორტი ხმელი ფიცრიდან?—
ეს წყაროც ჩაშრა, ჩაილია და ჩაიწრიტა . . .

კვლავ აწრიალდა ლუკრეცია, როგორც ალქაჯი:
„— ჩემი ტანჯვა სძლევს, თუ ის ტანჯვა, შენ რომ ნერგავდი?
რად გააქვავე, ხელოვანო, მტრების ალყაში
ამ უბედური ტროელების არიერგარდი!
ჰეკუბას ცრემლი, თავანკარა, როგორც ენგადი,
შენ გადმოღვარე მწუხარების დღესასწაულზე,
თვითონ წუხილს კი, სამწუხაროდ, ენა დაუხშე.

მაშ, აღდექ, ჩანგო, მწუხარებამ დაიგრიალოს,
მგლოვიარე სულს შეაგებე ცრემლი ხალასი,
რომ პიროსისგან სასიკვდილოდ დაჭრილ პრიამოსს
მალამოსავით ვასხურებდეთ ზეთს და ბალასინს,
რომ მოძალადე გავახვიოთ ხათაბალაში
და როცა ცრემლი ტკივილებად აიძერწება,
საწყევარივით მიითვალოს ყველა ბერძენმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენც, მეჩანგეო, დამანახე შენი მეძავი,
რომ მოარშიყე სეფექალი დია სარისკო
სიტურფისათვის გაგიხადო გასაწეწავი;
რაც შეეხება ავხორცობას, ჩემო პარისო,
ვეჭვ, მოვლენები იმნაირად დავახარისხო,
    რომ, მიზეზ-მიზეზ, ტროელების სულის გაცხება
    მაგ ავხორცობის ნახელავად შეირაცხება.

მაგრამ გული კი: ღმერთო, ღმერთო, როგორ განიცდის,
რომ მირიადი დაიღუპა ერთი ჭირისგან!
მას მოეკითხოს სისხლიანი ნიაღვარისთვის,
ვინც ავხორცობას მოევლინა პანეგირისტად
და ათასების შეჭირვება მარტომ ირისკა;
    რა ენაღვლება: უფსკრულისკენ ერთი დაქანდა
    და ჩაიყოლა სიხარული მრავალთაგანთა.

აგერ ჰეკუბაც: ჩუმად ტირის და წაყრუებით,
სული გაჰყარეს პრიამოსმა და ტროილოსმა,
ხოლო გარშემო – მოთუხთუხე სისხლის რუებით
ისე მორითო ფოლორცები და მოიმოსა,
გაუძნელდება მეხორციელს ალბათ მიმოსვლა...
    ვაგლახ, პრიამოსს ვაჟიშვილი დროზე დაება,–
    აგცილდებოდათ, ტროელებო, ტანჯვა-ვაება!“

მთელი ეს სცენა ქალის გულში წუხილს აღვიძებს
და რომ ეს სევდა, გულთან ერთად, ხმაშიც არეკლოს,–
რეკავს და რეკავს შეჭირვებებს წარმოსახვითებს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქ ხელოვანიც შეაშველებს თავის სამრეკლოს,
რომ ბანოვანი უმეტესად მოანარეკლოს,
და ასე — ერთურთს რიგრიგობით ცრემლებს ჩუქნიან,
თუმცა ეს ცრემლი სანუგეშოდ ღმერთს არ უქნია.

უყურებს ქალი ხმალშემართულ ყრმას თუ ალამდარს,
ბრმას, რომელზედაც ალალია ცრემლის დადენა
და, ბოლო-ბოლო, დატყვევებულ ბერძენს დალანდავს:
ფრიგიელ მწყემსებს შეჰფოფინებს მისი ხატება
და მათ ფეხდაფეხ ტროისაკენ მიებლატება,—
რომ შებორკილმა მოთმინება იათასწილოს
და თავისივე მწუხარებას ჩუმად დასცინოს.

აქ ხელოვანმა ჩააქსოვა მთელი უნარი:
დამტყვევებლებმა, აშკარაა, არც კი უწყიან,
რომ ელინელის სიმშვიდეში გაუგონარი
თვალთმაქცობა და სიყალბეა,— მაგრამ სუსხიან
მის გამოხედვას არაფერი ალუნუსხია:
არც პირისახეს აურეკლავს სულის საუნჯე,
არც თვალებს უთქვამთ მოსალოდნელ დანაშაულზე.

დახეთ, რა სათნო თვალები აქვს ამ ჩვენს ტარტაროზს,
მოგეხსენებათ, გულწრფელობა მეტი ბარგია!—
ისე მორჩილად მიიქცევა და მიტანტალობს,—
კაცი ვერ იტყვის — ნიღბის უკან როგორ მარხია
პირწავარდნილი გაიძვერა და თვითმარქვია;
მაგრამ ეშმაკი ოინბაზობს: „— მეაქა ვარ და
მოწმენდილ ცაზე,დავიჯერო, მეხი გავარდა?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვაც არანაკლებ გამოძერწა ჩვენმა მხატვარმა:
პრიამოსმა და ძმათა მისთა ბნელში ჩატოპეს,
ეს მოღალატემ, რა თქმა უნდა, ზუსტად გათვალა...
იწვოდა ტროის პალატები, ხოლო მნათობებს,–
დღეს რომ ასეთი ნოსტალგიით მასლაათობენ,–
ალმოდებული სარკეები ხელში ეკავათ
დამწუხრებული სახეების ასარეკლავად...

ამ აგონიას ლუკრეცია ცივად შეჰყურებს,
უმზერს სინონს და ელინელის უხმო ძახილზე
გრძნობს სიუჟეტში თავისებურ სიუხერხულეს;
და მხატვარს ჰკიცხავს: „–მითხარიო, სიტყვა მაღირსე,
რა კავშირშია სიწმინდესთან ეს სიმახინჯე?
მოკლედ, რა გითხრა, ატრიხავებ სულის ხვაშიადს,
შესაბამისად, შენი ფუნჯიც წყლის ნაყვაშია!"

„არ შეიძლება თვალთმაქცობა ასე მიუშვა!" –
წართქვა ბოლოს და, თქმისთანავე, თავგზა დაებნა,
რადგან უეცრად გაუელვა ტარკვინიუსმა
და ცრემლიანი ბანოვანის ბოლო ტაეპმა –
„არ შეიძლებას" „შეიძლება" გაუპაექრა:
„ზოგჯერ სიყალბე სათნოებას ირგებს საცდურად,
ეს ისტორიამ არაერთხელ დაგვიდასტურა.

მაგრამ სინონმა, ვერაგულად ხალხს რომ მიუძღვის
და თითლიბაზობს ასე ტკბილად, ასე დამყოლად,
რად გამახსენა უტიფრობა ტარკვინიუსის?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვალად ხასმა და გულად ნასმა — ჩემს დასამხობად
ისე მიტკბო და მიავგულა, ისე ჩამქოლა,
რომ პრიამოსი გამახსენდა იმ ბნელ სამანთან,—
ასე დაემხო ჩემი ტროაც და დასამარდა.

მიდის სინონი, ქუჩა-ქუჩა ცრემლით მიტოპავს,
ცრემლით აბარებს პრიამოსიც ბოლო ანგარიშს,
მორჩი, პრიამოს, არაკაცთან მიამიტობას:
კვალში რომ მოგდევს ნაბიჯ-ნაბიჯ, მუხლისკანკალით
და რიოშივით მოაგორებს ცრემლის მარგალიტს,—
მის ყოველ ცრემლზე, მოჩვენებით გულისწასვლაზე
ტროის კედლებში ჩაუქრობი ცეცხლი ვასვასებს.

ხედავ ცრემლის ღვარს? — ჯოჯოხეთი ჯოჯოხეთია!
მაგრამ ეშმაკი ეშმაკურად თვალებს განაბავს
და წყლის კვალდაკვალ გაიძულებს ცეცხლში ხეტიალს.
შენ კი სადა გაქვს შენი ჭკუა? ჭკუა ჯანაბას,
სხვებსაც რომ აწევ ამისთანა დავიდარაბას!
აკი სინონმაც კურცხალ-კურცხალ, ასე სახალხოდ
ცეცხლმოდებული ილიონი თავზე დაგამხოთ!“

აქ ლუკრეციას სიძულვილი ისე გაუჯდა,
ტარკვინიუსის გახსენებამ ისე დაბოღმა,—
მივარდა სინონს, ჭანგი მოსდო კაუჭ-კაუჭ და,
რომ ვეღარ შეძლო სხვანაირად ჯავრის ამოყრა,—
სულ ნაკუწ-ნაკუწ მიმოფანტა წაღმა-წამოღმა;
მაგრამ უეცრად გამოფხიზლდა, ცნობას მოეგო:
„ნახატს რას ერჩი, ჭკუათხელო მიეთ-მოეთო!“

და კვლავ ბნელ ფიქრებს ატრიალებს დროის წრებრუნვა;
როგორც იტყვიან, ვაებაში დრომ დრო გაცვითა,
და რა ჰქნას ქალმა უმწეობით შეიწრებულმა:
ღამით გულს უკლავს სინანულის ეკალ-ქაცვი და
დილით - ცრემლების მარგალიტი ცვივა ლაწვიდან;
დრო კი ისევ თვლემს, ისევ ისე უაზარტო ჩანს,
ისევ გზას უთმობს მწუხარების ცეცხლს და არტოშანს...

მიდგა მეორედ, უმზერს ფრესკას... მიდგა მესამედ
და თავისთავი ლუკრეციამ ასე თანისთან
წარმოიდგინა ტროელების მონათესავედ:
სულ გაიაზრა ყველაფერი - კარგიც, ავიც და
სხვის ვაებაში საკუთარიც გადაავიწყდა.
ეს რომ ვერაფერს წაადგება, სხვა საკითხია,
მაგრამ გულს გული გაუგებსო, - ასე იტყვიან.

ჰა, მალემსრბოლიც! აგერ ხალხი...ქმარიც მოვარდა,
რასაც ის შფოთავს,რასაც ღელავს - ზედვე აჩნია!
ცოლს რომ შეხედა, სამოსელზე სამაროვანთა
შავი ფერი და უპეებში წრე გაარჩია,
როგორც ცარგვალზე ცისარტყელას შავი არშია...
მეტი რა ჰკითხოს დამზრალ თვალებს, სახეს დაბეჟილს,
რა უნდა ნახოს სანუგეშო ამ სიმდაბლეში?

და მაინც - სიმწრით შეიცხადა კოლატინუსმა,
დახედა, თვალი მოარიდა... ისევ დახედა;
ბოროტმა სულმა სილამაზე როგორ მილურსმა,

როგორ აკრა თვალებს ლიბრი, პირს სითალხე და
როგორ იძალა სიყვარულზე და ითავხედა...
ჭვრეტენ ერთურთს და თვითეული იმას განიცდის,–
ვინ დაგვწყევლაო ამისთანა პაემანისთვის!..

მიდგა ბოლოს და შეესიტყვა მიმქრალ ბანოვანს:
„– თქვი, ლუკრეციავ, მწუხრეულმა შენმა თვალებმა
ეგ უმხკობა რანაირად დაიკანონა?
რა ჯადო იყო, ჯოჯოხეთის რა მანქანება,
რას მიგაწერო ამისთანა აკანკალება?
მარქვი, უტკბესო, ვინ რა გიმტრო, ვინ რა გაურვა,
რა უღმერთობის აუხსნელმა დანაშაულმა?"

დაიხრიალა ლუკრეციამ სუსტი ხავილით,
კრინტიც ვერ დაძრა, ნანდაურმა როცა დაკითხა
და მოსაუბრეს მიაცივდა უნახავივით:
„– ჩემი ღირსება,– წართქვა ბოლოს,– აბა, რა გითხრა,
მტერმა დასცაო თავისივე სივერაგითლა..."
იმშუშნებიან მოსულები მიზეზეულად
და აღსარების მოლოდინში სმენად ქცეულან.

და ჰა, ტბის პირას – თავისთავად, უინერციოდ–
გედმა, ასე ვთქვათ, წამოიწყო გედის სიმღერა:
„დარდის სათქმელად უთავბოლო ფრაზებს გერჩიოთ
ოხვრა, რომელიც ბაგეებთან მიმოირხევა,
თორემ მე, საწყალს, მომეძალა სევდა იმხელა,–
რომ წამოვიწყო დაწვრილებით ამბის მოყოლა,
სულს ამიმტუტებს მსმენელების წყევლა-ქოქოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუხდეს ავსულს ყველა წყევლა, რასაც ვუგზავნი:
მოდგა ურცხვად და შემიბილწა შენი ბალიში
და დავშთით ასე მოენეთა დასატუქსავნი...
იქ, სადაც ჩვენი აღმაფრენა, ჩვენი ხალისი
თავს იწონებდა ვნებათღელვის სიმხურვალეში
    და სადაც ენთო კელაპტარი წმინდა ზნეობის,—
    დღეს სადგურია სამარცხვინო ძალმომრეობის.

ჩაქრა ზმანება, ჩაიბჟუტა ხილვა ნანატრი:
მომეთილისმა შავეთიდან ლანდი მოშავო
და შემიგინა სიყვარულის ციხე-პალატნი:
„— წამოდექიო, რომაელო მანდილოსანო,
მოვსულვარ ტრფობად, ზღუდეები უნდა მოშალო,
    მაგრამ მოგელის შეჭირვების მძიმე წუთები,
    თუ ჩემს დღევანდელ აღტყინებას აეზღუდები.

თუ უკუმაგდებ, და-ცა-გლეწავ, დაგცემ საძაგლად,
ვიცი — წრფელი ხარ, უმიზეზო... მე კი, პირუკუ —
შენ და შენი ყმა მიზეზ-მიზეზ უნდა წაგაკლათ
და იქედნურად წამოგძახო: „დროა, პირუტყვო,
ეგ კუროები სამარეში შეიპირო-თქო!“..
    მაშ, გაიაზრე, სისულელეს ვიდრე იზამდე,
    ან თუ არა და — მოგაყივნებ უკუნისამდე!“.

მე ავტირდი და სატევარმაც იქვე იელვა:
„— მე შემიძლია ისე მოგსპო, ისე მოგექცე,
რომ ვერაფერი დამაბრალოს ძეხორციელმა;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ისტორიას – გაყვითლებულ კაბადონებზე
მოევლინება რომაელი ვინმე მოლექსე,
რომ დაამღეროს ეპოპეა ჯერარნახული:
„ასე დააკლეს ლუკრეციას მისი მსახური...“

„უზნეო იყო ჩემი მტერი, მე – უნიათო,
ეს სისუსტეა ამჟამადაც სისხლს რომ მიციებს...
თავისი ხმალი მსაჯულივით ჩემს გულს მიადო,
რომ დავყოლოდი ვნების ძახილს, ძახილს მიწიერს
და შეწყალების გაუქმებულ იუსტიციებს
შევციცებოდი უშედეგო ხელის სავსავით
შლეგის მკლავებში მოქცეული პრინცესასავით.

ვისთვის მედავა, მიპასუხე, როგორ მედავა!..
თუმც ცოდვილი ვარ, სანუგეშოდ ესღა მექნება,
რომ ხორციელი შეცოდების მიუხედავად
უცოდველია ჯერჯერობით ჩემი შეგნება
და უხამსობას ძველებურად ეპაექრება;
ყოველ ნივთს აზის თითო ღარი, თითო ნაოჭი,
ის კი ოქროდ კრთის ჩაღამებულ საკუჭნაოში...“

...და სანთელივით ჩამომდნარმა კოლატინუსმა
რომ შეიცხადა ლუკრეციას ასე დაძალვა,
ჩაიჩოქა და ჩაჩოქილმა პირი მილურსა...
და, როგორც ვინმე სოვდაგარმა, ვინმე ვაჭარმა,
ვისმა ზარალმაც მირიადებს გადააჭარბა,
რომ გამოაღო გატანჯული სულის სავანე,–
სიტყვა შეაშრა პირველივე ბგერისთანავე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მდინარე ეხეთქება რკინის ჯებირებს,
მიდის, მიბორგავს,მიირწევა მღვრიე გორგალად,
და როცა ღმერთი უკუქცევას შეაძლებინებს,
მობრუნდება და, მოდრეკილი, ზვირთებს მორკალავს,—
ისე ეს გულიც — მძვინვარების შესაბორკავად—
ბორგავს და იბრძვის, შველას ითხოვს, თავის დაღწევას,
რომ კვლავ უკუდგეს მწუხარების მიმოსაქცევად.

არც ქალი არის დალხენილი, ვიტყვი სიმართლეს:
,,— რატომ არ ცდილობ, მეუფეო, კრინტის გაღებას?
ეგ მგლოვიარე უსიტყვობა ტკივილს მიმატებს
და მწუხარებაც უფრო იჩენს ფერს და სალებავს,
რომ წარმოჩინდეს ერთიორად ხელშესახებად;
ზეცას რომ ბაძავ — უამინდოს, გაუდარებელს,—
წვიმის წვეთები წყალდიდობას როდი აწელებს!

დე, შეაჩვენოს თავისივე სირცხვილ-აუგმა,
ვინც სიკეთის თასს - სამეგობროდ ჩვენგან მიშვერილს—
უორგულა და ხელაღებით ხელი აუკრა!..
დაგაგვიანდა, ჩემო კარგო, რაღას მიშველის,
მაგრამ შენზეა შურისგება ამ გამთიშველის:
დე, მოეკითხოს სიკეთეზეც, სივაგლახეზეც—
წაყრუება და პატიება ცოდვას აქეზებს.

მაგრამ ვიდრემდე მოღალატის სახელს ვიტყოდე,—
რომ თქვენ, თქვენის მხრით, აზღვევინოთ ჩემი დაძალვა,—
მე ღმერთებისგან თანადგომა გამოვითხოვე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ შურისგებამ — სასოების ბოლო ტაძარმა—
მტერს გაუმზადოს ჯოჯოხეთის ციხე-ყაზარმა:
შენს დედოფალზე, პალადინო გულდაისრულო,
სადაც წესია, ღირსეულად უნდა იზრუნო!...“

ხმლებს იშიშვლებენ ერთმანეთის გასახელებლად,—
როგორც მოითხოვს რაინდული ძველი წესდება,—
და მოელიან დამნაშავის დასახელებას.
შურისძიებას, რა თქმა უნდა, ყველა ეცდება,
მაგრამ დიაცმა შეაყოვნა გაპროტესტება
და აბეზარი სურვილები წუთით გადევნა:
ვეჭვ, მაცოცხლოსო მოყივნებამ ნაძალადევმა...

„ახლა, ნუ მკითხავთ — როგორია ჩემი დარცხვენა,—
ამ ჯოჯოხეთის გახსენებას როგორ ვირისკებ!..
მე შენ გეტყვი და, უხამსობა ჩაიფარცხება,
უბიწოება მედიდურად წავა წინისკენ
და სათნოებას გამარჯვებით მოვაგვირისტებ:
წყაროც დაწდება წვიმის შემდეგ, მე კი, ეტყობა,
აღარაფერი მეშველება,— რა გაეწყობა!..“

„— თვალებს რად ილტობთ, — შეჰღაღადეს,— ბედს რად შესტირით,
ასეც წმინდა ხართ, შეურყვნელი, შეუბღალავი...“
კრთის ქალის სახე გაცრეცილი პალიმფსესტივით,
ზედ მწუხარებას გაუშლია ბნელი კარავი,
სადაც — თვინიერ ცრემლებისა — არ ჩანს არავინ.
თავად ქალი კი: „— მეუფეო, ნურც ერთ დედოფალს
ნუ დაუბედებ ამისთანა უქუდბედობას!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს თქვა თუ არა, იმისთანა სულთქმა მიუშვა,
რომ იფიქრებდი — ჩათავდაო, ჩაქრა ერთთავად;
მერმე ის იყო: — გამწირაო ტარკვინიუსმა,
„მან და მხოლოდ მან!“— აღსარება უნდა ეთავა,
მაგრამ ასეთი ძალისხმევის მიუხედავად,
ძლივს მოახერხა:„მაიმულა ესღა მესურვა,—
მაშ, სამუდამოდ გაგვასწოროს ამ ორლესულმა!“

და გამეტებით განიწონა გულში ლახვარი...
და ვიდრე დანა შელანძლავდა, პატივს ახდიდა,—
სულს წააწია სიმსუბუქე ფრთებისმაგვარი,—
რაკი, ასე ვთქვათ, დაუტევა მიწის ტახტი და
ცას მიაშურა ხორციელი ნაობახტიდან;
შენც, ბედისწერავ, რა თქმა უნდა, ზარებს ურისხებ
და ულრტვინველად მიაცილებ აღსასრულისკენ,—

რომ შეესართოს თამაშ-თამაშ, შეუმზადებლად
წიალთა მისთა — საიქიოს წმინდა წიალთა . . .
და როცა ბრუტუს დაიხარა, დასწვდა სატევარს,—
იხუვლა სისხლმა, გამოენთო ციაგ-ციაგ და
ზედ დანისპირზე აწრიალდა და აწიაქდა,
და მეწამული ნაკადული ნაკადს მიება
და მნახველები შეაჩქვიფა შურისძიებად.

ტანი, რომელიც გაზაფხულის სუნთქვას ისმენდა,
სისხლის მორევმა ჩაითრია ალაგ-ალაგ და
ომგადახდილი კუნძულივით გამოწისფერდა . . .

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ბრუნავს, ბრუნავს სისხლის ღვარი, ხოლო ჭალაკთან
დაიტბორა და გუბეებად ღარში ჩალაგდა,
ალაგ წმინდაა იგი სისხლი, ალაგ — ბინძური,
ალაგ — უღმერთოდ შელანძღული და შებილწული.

და ამ ცოდვილ სისხლს — უწმინდურმა რაკი წამურტლა,—
თანდათანობით დაეკარგა ძველი სიწითლე,
უცოდველი კი — სირცხვილისგან გამეწამულდა;
მაგრამ ეს ფერიც, რამდენადაც გამოვიკითხე,
უფერული და უსახური ხდება დღითიდღე,—
ქოლოსფერიდან მისი ფერი შავში გადადის
და წუთი-წუთზე ემზადება ხრწნადობათათვის. . .

მოხუცმა მამამ — უბედურმა ლუკრეციუსმა
„ლუკრეციაო!“ — წამოიწყო გმინვა-ღაღადით
და სასიკვდილო სარეცელზე ცრემლი მიუშვა:
„მამის სიცოცხლე, ყოველგვარი წესით, ადათით,
მე როგორც ვიცი, ოდითგანვე შვილზე გადადის,
აქ კი შეშლია თადარიგი ღამე-უკუნეთს,—
მამა ცოცხლობს და ქალიშვილი მზეს ვერ უყურებს!. . .

შენს ხატებაში, ჩემო სარკევ, სარკევ მსხვრეულო,
მე ჩემს გარდასულ სიჭაბუკეს ვჭვრეტდი ხელახლა;
მაგრამ დასრულდა სიტკბოება, და უსხეულო
სიკვდილის ლანდი სიბნელეში რომ აღემაღლა,—
მზედაბინდული სილამაზე პირზე შემახმა;
აწ სარკე იგი მოჩვენებებს ევაგლახება,
რომ ვერასოდეს მოვიხილო ჩემი სახება.

შეჩერდი, დროო, ნულა მინთებ ლადარს ლადარზე,
რატომ გვიმტრე და გვიღალატე, რატომ გვიგანე?
უძლურს თუ სწყალობ, ძალოვანი რატომ დათარსე?. . .
ფუტკარიც კვდება, ბოლო-ბოლო, მაგრამ იქავე
მშობლის საფუტკრეს ახალგაზრდა შვილი იკავებს.
მაშ, ლუკრეციავ, გაიხარონ ჩვენმა სულებმა, –
შენ აღდგები და მამაშენი აღესრულება!"

აქ კოლატინიც გამოერკვა, როგორც ეტყობა:
სისხლით მორწყულ გვამს გადაემხო, როგორც ავგაროზს,
და ცრემლიანი ღაღადისით გამოეთხოვა . . . .
და რომ ქალის სულს უნანავოს, უნიავქაროს,
მის შემწეობას შეავედრებს ცას და სამყაროს;
მაგრამ ფუჭია ყველაფერი: ცაც და ციერიც
შურისძიებით აღანთებენ, შურისძიებით!

ირგვლივ წუხილი, ნუგეშინი კი – არსაიდან,
არც სიტყვა რამე, – ბაგეები თითქოს მორკინეს,
მაგრამ წუხილი უთქმელობას დიდხანს აიტანს?–
და კოლატინიც აღიავებს რკინის ბორკილებს,
თუმც ალაგ-ალაგ იმნაირად წაიფორხილებს
და ლაპარაკში იმისთანებს იაბდაუბდებს,–
რომ კაციშვილი დალაგებით ყურს ვერ დაუგდებს.

„–ტარკვინიუსი!"– დაიყივლა ბარბაროსულად
და, მოზარენო, შესაძლოა, ამით განიშნათ,
რომ ქარიშხალი, მართალია, ჯერ არ მოსულა, –

რაც ბედისწერამ იმთავითვე გიანგარიშათ,–
მაგრამ ცრემლი და მწუხარება მოვა ქარიშხლად,–
რომ თვითეული მოპაექრე საქმეს შეუყვეს,
ვნახოთ, ვის უფრო იგლოვებენ – შვილს თუ მეუღლეს!. .

და წამოიწყეს: როგორ დრტვინვენ, – ღმერთო, დამიხსენ:
„რაც მე მეყუდნის, ჩემია და – ღმერთმა მაყუდნოს!“–
მამა თავისკენ ეზიდება, ქმარი – თავისკენ:
„– ვის რა ნება აქვს, – გადაუდგეს ცას და საწუთროს
და ჩემეული მწუხარება დაისაკუთროს!“–
წართქვა ქმარმა და დაღვრემილმა ბაგე მილურსა:
ხამს იგლოვოსო მარტოოდენ კოლატინუსმა!. .

„– ვისია შვილი!– ვეღარ მალავს მამა საწუხარს:–
მე არ დავბადე? სისხლიც, ხორციც მე არ ვუბოძე?“
„– ო, ლუკრეციუს, ლუკრეციუს!–ისმის პასუხად:–
ცოლი ჩემია და გლოვის ჟამს მე ვიუფროსებ,
ცრემლებს მე დავღვრი ლუკრეციას ობოლ კუბოზე:“–
ასე ეხლება მიდამოებს დიდი ჯახირით
ამ პაექრობის სევდიანი გამოძახილი...

ხოლო ბრუტუსი: მოახერხა ყოვლის მოხილვა
და, როგორ ფიქრობთ,– გაჩუმდება, უბრად დარჩება?
და მსუყე–მსუყე იდეებით გულგაპოხილმა
ბატონკაცურად მოინდომა საქმის გარჩევა,
თუმც, როგორც ვატყობ, უშედეგოდ დაიხარჯება;
მოგეხსენებათ, ამისთანებს რომი აჩქარებს,
ვით დიქტატორი გველაძუა ტაკიმასხარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ კარგი რომ ჭკუა ეყო, — მისი იღბალი!
რა ფლიდიცაა, გაგიგიათ ალბათ ბევრისგან!...
წარდგა, ასე ვთქვათ, უეშმაკო, შეუნიღბავი, –
დაგვანელაო, რომაელო, შენმა ცრემლისღვრამ,
„მაგრამ მითხარი: მეტისმეტად ხომ არ შემრისხავ,
რომ აგარიდო დაკა-დაკა, მიწევ-მოწევა,—
მეფეს გაკადრო მდაბიორმა რჩევის მოცემა?

ნუთუ დარდია, კოლატინუს, დარდის წამალი,
ნუთუ გლოვის ჟამს გამძლეობას გლოვა იძლევა?
თუ – მარტოოდენ სიკვდილია გამოსავალი
და იმ სატევრით შეიძლება გამოფხიზლება,
რა სატევრითაც ლუკრეცია სისხლად იცლება?
სავალალოა, სავალალო, მისი შეცდომა,
სხვას წყევლიდა და თავისივე სისხლში შესტოპა!...

მაშ, დაეთხოვე, დაეთხოვე ბნელს და უკუნეთს,
თუ, დავიჯერო, მწუხარებას შეაბერდები?
სამრეკლოები, სადაცაა, დაიგუგუნებს,
რომ შურისგებად გამოიხმო რომის ღმერთები
და უხამსობა, რომელზედაც ასე ენთები,
შენს სამეფოში შელანძღული მი-და-მოეთრეს
და სამუდამოდ განერიდოს რომის მოედნებს.

ვფიცავ ჩვენს რწმენას, ვფიცავ ღმერთებს, კაპიტოლიუმს,
ცრემლებს, რომელიც გულქვაობას შეეჩეხება,
ვფიცავ მზის ნათელს, ცისკარს ვფიცავ, ვფიცავ ორიონს,—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველა სიწმინდეს, რომაელებს რაც შეეხება,—
დანას, რომელიც ლუკრეციამ სისხლით შეღება
და სამსჯავროში აღავლინა საპეტიციოდ,—
რომ ლუკრეციას სიკვდილისთვის შური ვიძიოთ!"

მკერდს მჯიღი იკრა, დააკონა ბაგე დანისპირს,
ზედ ზენაარი დააშენა სართულ-სართულ და
რისხვის ქარბუქი დააყენა იმ სატანისთვის;
მერე და მერე — შურისგებად ხმალშემართულთა
გამძვინვარების დაოკება როცა გართულდა,—
„ჰკა მაგასაო!" — დაიყივლა, თავი აწია
და გრგვინვით აჰყვა მოლაშქრეთა ეს დინასტია.

„— აღივსე, ხალხო, შურისგებით, — ხალხო, აღივსე!"—
ლუკრეციას სულს იფიცებდა ყრმა თუ ჭარმაგი,
მერე ცხედარი დაასვენეს შავ ბალდახინზე. . .
მალე აუწყებს რომაელებს ეს ფიცარნაგი,
როგორ დაიმსხვრა სათნოების წმინდა ლარნაკი
და რომაული სამართალი ადგილს მიუჩენს
საექსორიოდ განწესებულ ტარკვინიუსებს . . .

ინგლისურიდან თარგმნა
ჯემალ აჯიაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუი გონსალეს დე კლავიხო

ჩანაწერები საქართველოს გავლით მოგზაურობისას 1405 წლის 5-17 სექტემბერს

(ელგუჯა ხინთიბიძის თარგმანი და შენიშვნები)

შენიშვნები

რუი გონსალეს დე კლავიხო კასტილიის მეფის ჰენრიხ (ენრიკე) III-ს ელჩია გაგზავნილი ესპანეთიდან სამარყანდში თემურ ლენგის სამეფო კარზე. იგი წარმოშობით მდიდარი ესპანელი დიდგვაროვანია, რომელსაც კასტილიის სამეფო კარზე მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა. მისი მშობლიური ქალაქი იყო მადრიდი. სამარყანდაში მივლენილ ელჩობაში გარდა რუი გონსალესისა შედიოდნენ ღვთისმეტყველების მაგისტრი ალფონსო პაეს დე სანტა მარია და მეფის მცველი გომეს დე სალაზარი. როგორც ჩანს, ელჩობის მთავარი ფიგურა იყო სწორედ რუი გონსალეს დე კლავიხო. წარგზავნილებს ევალებოდათ დაკვირვებოდნენ და ცნობები შეეგროვებინათ ყველა იმ მნიშვნელოვან ფაქტზე და მოვლენაზე, რომლებსაც ამ ხანგრძლივი მოგზაურობისას შეხვდებოდნენ. სწორედ ეს დავალება უნდა ყოფილიყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ რუი გონსალეს დე კლავიხო თავისი მოგზაურობის მთელ მანძილზე აწარმოებდა ყოველდღიურ ჩანაწერებს.

კლავიხოს დღიური გამოირჩევა თავისი მრავალმხრივობით და მრავალფეროვნებით და ითვლება შუასაუკუნეების

ლიტერატურაში ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად მიჩნეულია ჟანრის ნაწარმოებთა შორის. კლავიხო აღწერს ყველაფერს, რასაც ის გზაზე წააწყდა: ადგილმდებარეობა; ქალაქები; მნიშვნელოვანი ნაგებობები; პიროვნებები, ვისაც იგი ხვდებოდა; ზოგიერთი მათგანის გარეგნობა და ჩაცმულობაც. ბუნებრივია, რომ ბევრი ცნობა, რომელიც კლავიხოს დღიურებშია, ზუსტად ვერ ასახავს სინამდვილეს, ბევრი საკუთარი სახელი დამახინჯებულია. სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. კლავიხოს ელჩობა არ იყო აღჭურვილი სათანადო გეოგრაფიული და პოლიტიკური ცოდნით. ელჩებმა არ იცოდნენ ადგილობრივი ენები, არ ჰქონდათ დრო, რომ გამოეძიებინათ და შეემოწმებინათ გაგონილი. კლავიხოს დღიური არის შავი, გადაუმუშავებელი ჩანაწერები ყველაფერი იმისა, რაც ელჩებმა გაიგონეს, დაინახეს და რაც მათ უთხრეს. უმთავრესი მაინც ის არის, რომ კლავიხო თავის ჩანაწერებში კეთილსინდისიერია, იგი არ არის ტენდენციური.

სწორედ ამ მიზეზების გამო კლავიხოს თხზულებას, როგორც მნიშვნელოვან წყაროს, ღირსეული ადგილი უნდა მიენიჭოს საქართველოს ისტორიის უცხოურ დოკუმენტთა შორის. საქმე ისაა, რომ კლავიხო ეხება ისეთ პერიოდს (1405 წელი), რომლის დროსაც სამხრეთ საქართველოს გეოგრაფიულ, სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე არც თუ მრავალი საისტორიო წყარო გვაქვს. ამავე დროს, ესაა ცნობები საქართველოზე და ქართველებზე გარეშე თვალით, სრულიად არატენდენციური. ყოველივე ამის გამო რუი გონსალეს დე კლავიხოს „დღიურებს" უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს, ვიდრე ქართველი ისტორიკოსები მას აქამდე უთმობდნენ. მეორე მხრივ, ისიც შეიძლება აიხსნას, თუ რატომ ვერ დაიჭირა

აქამდე კლავიხოს ცნობებმა საათაბაგოზე სათანადო ადგილი ქართველ ისტორიკოსთა ნააზრევში. ჯერ ერთი, კლავიხოს ცნობები საქართველოზე ძალზე ეპიზოდურია და ძუნწ[illegible] რეც, გეოგრაფიული სახელები, რომლებსაც კლავიხოს „დღიურებში“ ვხვდებით, გაუგებარია. კლავიხოს მიერ მოტანილი ტოპონიმები ძირითადად თურქულია, თანაც დამახინჯებული, ამიტომ მთელი ეს დოკუმენტი მკვლევარს იმთავითვე უუცხოვდება და ერთგვარად მეცნიერული ინტერესის მიღმა რჩება.

გარდა იმისა, რომ კლავიხოს „დღიურების“ ერთი მონაკვეთი საქართველოს ტერიტორიაზე მოგზაურობას ეხება, თხზულების ორიოდე ადგილას ესპანელი ელჩი გაკვრით ახსენებს საქართველოს იმდროინდელ მეფეს გიორგის (გიორგი VII). ერთგზის გადმოსცემს გაგონილ ამბავს გიორგი მეფის ლაშქრობაზე დიდი არმენიის ტერიტორიაზე – ავნიკსა და აზერონში. ამ მონაკვეთში გადმოცემული ამბის ჭეშმარიტებაში კომენტატორთა ერთ ნაწილს ეჭვი შეაქვს. უფრო მნიშვნელოვანი კლავიხოს ჩანაწერებში მაინც ისაა, რაც მან საკუთარი თვალით ნახა. ქართველოლოგიის ინტერესებისათვის ასეთი მონაკვეთი კლავიხოს დღიურებში არის ელჩების საქართველოს ტერიტორიაზე მოგზაურობა.

როგორ აღმოჩნდნენ კასტილიის სამეფოს ელჩები საქართველოს საზღვრებში?

სამარყანდში მიმავალმა ელჩებმა მცირე აზია ცნობილი გეოგრაფიული პუნქტების ერზრუმისა და ხოის შორის გაიარეს იმ დროისათვის ცნობილი ცენტრალური გზით: პასენის ხეობა, მდინარე არასის ხეობა და შემდეგ გზა სურმალის, იგდირისა და დოგუბაიზეტის გავლით. უკან დაბრუნებისას ელჩებმა ამ გზაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარი თქვეს, რადგანაც ხიოში ჩამოსულებმა გაიგეს, რომ ეს გზა უკვე სახიფათო იყო. ერთ-ერთი ტომის ბელადი აჯანყებულიყო და ამ ტერიტორიას თავისი სამხედრო ძალით აკონტროლებდა. ელჩები სხვა გზით წავიდნენ და ჩავიდნენ საამიროს დედაქალაქში –ავნიკში. აქ კი მათ თანაგრძნობა გაუწია ამირას ვაჟმა და საქართველოს სამხრეთ რაიონების-საათაბაგოს გზით გაამგზავრა ტრაპიზონისაკენ. საათაბაგოში ისინი მოგზაურობდნენ 1405 წლის 8 სექტემბრიდან 13 სექტემბრის ჩათვლით. 14 სექტემბერს ისინი უკვე არიან მცირე არმენიის ტერიტორიაზე, ხოლო ტრაპიზონში ჩავიდნენ 17 სექტემბერს. ეს მხარე, საათაბაგო, ამ დროისათვის საქართველოსაგან ოფიციალურად გამოყოფილი ჯერ კიდევ არ იყო. მაგრამ ფაქტიურად მას უკვე ათაბაგები განაგებდნენ, რომლებსაც რეზიდენცია ახალციხეში ჰქონდათ.

როგორია ამ მხარის სოციალური მდგომარეობა, ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობა?

აშკარად ჩანს, რომ ეს მხარე ქართველებითაა დასახლებული. თანაც ისინი მასობრივად ქრისტიანები არიან. მაგრამ ამავე დროს ისიც შეინიშნება, რომ აქაურ ქართველებსა და სომხებსაც უკვე დაწყებული აქვთ მაჰმადიანობის მიღება. ასე რომ, ამ მხარის გამაჰმადიანების დასაწყისი თურქთა მიერ ქვეყნის დაპყრობაზე ადრეა დაწყებული. კლავიხომ ვერ შენიშნა ამ მხარეში არსებული ძველი ქართული კულტურის ძეგლები. ეს მით უფრო საკვირველია, რომ მან გადაიარა თორთუმის ხეობა, სადაც ახლაც ამაყად დგას ხახულის, ოშკისა და იშხნის დიდებული ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები. კლავიხო მათ ვერ ამჩნევს. ეს განპირობებულია იმით, რომ ელჩებს არ

ამოძრავებდათ განსაკუთრებული ინტერესი ამ მხარისადმი და თანაც მიიჩქაროდნენ სამშვიდობოზე გასასვლელად.

ჩვენის აზრით, ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი კლავიხოს „დღიურებში“ ისაა, რომ საქართველოს ამ პერიოდში ამ მხარეში უწოდებდნენ გურგანიას. ძალზე მნიშვნელოვანია აგრეთვე კლავიხოსეული ქართველების დახასიათება: „გორგანები, – წერს იგი გურგანიის მკვიდრთა შესახებ, – კარგი აღნაგობისა და ლამაზი გარეგნობის ხალხია; სარწმუნოება ბერძნებისა აქვთ, ენა კი საკუთარი“.

და ბოლოს, აღსანიშნავია ისიც, რომ შუასაუკუნეების ესპანეთი საქართველოსა და ქართველებს, როგორც ჩანს, ძალიან ცუდად იცნობს. კლავიხოს თხზულებათა გადამწერლებს ვერ გაუგიათ, რომელ ხალხს ამკობს ასეთი თბილი სიტყვებით კლავიხო. ავტორს ქართველებისათვის, გამომდინარე იქიდან, რომ იგი საქართველოს გურგანიის სახელით მოიხსენიებს, უნდა ეწოდებინა გურგანოსები. თხზულების ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებსა და გამოცემებში ეს სიტყვა სხვადასხვაგვარად იკითხება: გორგანები, გარგანები, გრიეგანები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს უკანასკნელი იკითხვისი. გადამწერელი ამ სახელს აშკარად ურევს ბერძენთა სახელში, რადგან იმავე წინადადებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბერძნებიც მოიხსენიება. მაშინ როცა, კლავიხოს მიხედვით, ეს ხალხი (გურგანოსები –ქართველები) სულ სხვა ნაციაა, რომელსაც რელიგია აქვს ბერძნების, ენა კი მათგან განსხვავებული.

ესეც ერთგვარი ტრაგიკული შტრიხია ამ „კარგი აღნაგობის ლამაზი გარეგნობის ხალხისა“. მათი სახელი ისტორიის ხვეულებში ხშირად საბედისწეროდ გაუცხოებულია.

რუი გონსალეს დე კლავიხოს მოგზაურობა სამ წელს გრძელდებოდა (1403–1406 წლები). მისი თხზულება გამოიცა „დღიურების“ დაწერიდან დაახლოებით 180 წლის შემდეგ 1582 წელს ესპანეთის ქალაქ სევილიაში, სათაურით: „ცხოვრება და მოღვაწეობა დიდი ტამერლანისა“ (“Vida y haranas del gran Tamorlan”). 1782 წელს ეს გამოცემა განმეორდა ქ. მადრიდში. 1943 წელს მადრიდში განხორციელდა ამ თხზულების ახალი გამოცემა XV საუკუნის ერთი ხელნაწერის მიხედვით. გამოცემის და მასზე დართული გამოკვლევის ავტორია ფრანცისკო ლოპეზ ესტრადა.[1]

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლავიხოს თხზულება დღეს მოღწეულია რამდენიმე ხელნაწერით: მადრიდის ეროვნული ბიბლიოთეკის ორი ხელნაწერით: №9218 და №18050 და ბრიტანეთის მუზეუმი Add 16613. თხზულება თარგმნილია სხვადასხვა ენაზე. კერძოდ, ინგლისურად: კლემენტს მარკჰამის[2] და გუი ლე სტრანგეს[3] მიერ. ი. სრეზნევსკიმ 1881 წელს გამოსცა თხზულების რუსული თარგმანი, შესრულებული ორიგინალის მეორე, 1782 წლის გამოცემიდან, პარალელური ესპანური ტექსტითურთ.[4]

---

[1] "Embajada A Tamorlan" (Estudio y edicion de un manuscrito del siglo XV por Francisco Lopez Estrada), Madrid, 1943.

[2] Clements Markham, Narrative of the Embassy of …Clavis of the Court of Timour, London, 1859.

[3] Guy le Strange, Clavijo Embassy tu Tamerlan, London, 1928.

[4] Рюи Гонсалес де Клавихо, Дневник ко двору Тимура в Самарканде в 1403-1406 гг. (Подлинный текст с переводом и примечаниями, составленными под редакцией И.И. Срезневского. Санкт Петербург , 1881).

რუი გონსალეს დე კლავიხოს „დღიურები“ დღემდე ქართველ მეცნიერთა საგანგებო შესწავლის საგანი არც გამხდარა და არც თხზულების ქართული თარგმანი შესრულებულა. კლავიხოს თხზულების ის პასაჟი, რაც მის საქართველოს ტერიტორიაზე, საათაბაგოში მოგზაურობას შეეხება, საგანგებოდ შეისწავლა პარიზელმა მეცნიერმა ილია ზდანევიჩმა. მისი გამოკვლევა „რუი გონსალეს დე კლავიხო საქართველოში“ გამოქვეყნებულია ბიზანტინისტთა XII საერთაშორისო კონგრესის მასალებში 1964 წელს.[5] ი.ზდანევიჩი თავის გამოკვლევას ურთავს ფრანგულ თარგმანს კლავიხოს „დღიურების“ ნაწყვეტისა, რომელიც მოიცავს საათაბაგოს ტერიტორიაზე მოგზაურობის ამბებს (1405 წ. 5-17 სექტემბერი). თარგმანი შესრულებულია ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერის (Add 16613) მიხედვით. ტექსტი შეჯერებულია მადრიდის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერებთან (№9218 და №18050) და მადრიდის 1943 წლის გამოცემასთან.

ჩვენი ინტერესი კლავიხოს მოგზაურობისა და მისი „დღიურებისადმი“ გამოიკვეთა 1984 წელს ჩვენი ესპანეთში სამეცნიერო მივლინების დროს, სადაც ჩვენ ვეცნობოდით საქართველოს ისტორიის შესახებ ესპანეთის არქივებსა და წიგნთსაცავებში დაცულ მასალებს.

ამ მასალებზე პირველი მიმოხილვითი ცნობა ჩვენ 1985 წელს გამოვაქვეყნეთ (გაზ. „კომუნისტი“, 1985 წ. 28. IV). უფრო

---

[5] Elil Zdanevitch, ruy Gonzales de Clavijo en Georgie “Actes du XII? Congres International d’ etudes Byrantines”, II, Beograd, 1964. Pp. 249-256. “Bedi Rartlisa. Revue de kartueioiogie”, vol. XXXIV, Paris, 1979.

დაწვრილებით კი მათზე ვისაუბრეთ თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოსა და ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის სხდომებზე 1985 წლის დასაწყისში. საკუთრივ რუი გონსალეს დე კლავიხოს მოგზაურობას საქართველოში მიეძღვნა ჩვენი სამეცნიერო თემა, შესრულებული ეროვნულ ურთიერთობათა ინსტიტუტის 1991–92 წლების გეგმით. კლავიხოს მოგზაურობის ის მონაკვეთი, თანდართული შენიშვნებითურთ, რომელსაც ამჟამად ვაქვეყნებთ, წარმოადგენს ზემოთ მითითებული სამეცნიერო თემის ერთ ნაწილს. იგი განხილული იყო 1992 წელს თსუ ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის სხდომაზე, 1993 წლის 5 მარტს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაკითხული იქნა ალექსანდრე ალექსიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე.

1992 წელს საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროების სერიაში გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოსცა „რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ“ ელდარ მამისთვალიშვილის თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით. ამ გამოცემაში არაა გათვალისწინებული ილია ზდანევიჩის გამოკვლევა რუი გონსალესდე კლავიხოს საქართველოში მოგზაურობის შესახებ და არც უკანასკნელის მიერ შესრულებული ფრანგული თარგმანი, რომელიც ეყრდნობა კლავიხოს ჩანაწერების ჩვენამდე მოღწეულ ყველა ხელნაწერს. ჩვენი აზრით, ამ გარემოებამ შეუწყო ხელი იმ უზუსტობებს, რომელიც ე. მამისთვალაშვილის ქართულ თარგმანს და მასზე დართულ შენიშვნებს ახასიათებს. კერძოდ, უნდა აღინიშნოს კლავიხოს მოგზაურობის გეოგრაფიული სახელების მთარგ-

მნელისეული გაშიფრვა, მაგალითად ორიგინალისეული „ავრიკის“ – ყარსისთან გაიგივება). უზუსტობათა მეორე ნაწილი იმით უნდა აიხსნას, რომ ქართული თარგმანი უპირატესად ი.ს. რეზნევსკის რუსულ გამოცემას მისდევს, რომელიც თავის მხრივ 1782 წლის ნაკლებად სანდო ესპანური გამოცემებიდან მოდის.

ქვემოთ მოგვყავს ჩვენს მიერ შესრულებული რუი გონსალეს დე კლავიხოს „დღიურების“ იმ მონაკვეთის ქართული თარგმანი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მოგზაურობას შეეხება. თარგმანი შესრულებულია ესპანური ორიგინალის ფრანსისკო ლოპეზ ესტრადას 1943 წლის მადრიდის გამოცემიდან, ილია ზდანევიჩის ფრანგულ თარგმანზე დაყრდნობით და ი.ს. რეზნევსკის რუსული თარგმანების გათვალისწინებით. რუი გონსალესისა და მისი „დღიურების“ შესახებ ჩვენს მიერ მოტანილი მასალა ემყარება ზემოთ დასახელებული მთარგმნელების გამოკვლევებს.

ნაწყვეტი, რომლის თარგმანსაც ჩვენ ვაქვეყნებთ, იკითხება ლოპეზ ესტრადას 1943 წლის გამოცემის 242–245 გვერდებზე ესპანური ტექსტის დაყოფით CXLVIIIa – CLIa მონაკვეთებში. თარგმანში საკუთარ სახელებს, როგორც გეოგრაფიულს, ასევე პირთა სახელებს, იმგვარად გადმოვცემთ, როგორც ისინი ორიგინალშია წარმოდგენილი. უფრო მეტიც – ფრჩხილებში ვურთავთ ესპანურ დაწერილობასაც. თუ სახელი სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი ლოპეზ ესტრადასა და ი. სრეზნევსკის გამოცემაში შეტანილ ესპანურ ტექსტში, მაშინ ორივე მათგანი მოგვაქვს.

აქვე გვინდა გამოვხატოთ მადლიერება იმ თავაზიანი თანამშრომლობისათვის და დახმარებისათვის, რაც აღნიშნული

მონაკვეთის ესპანურ და ფრანგულ ტექსტებზე მუშაობისას გამიწიეს მადრიდის კომპლუტენსის უნივერსიტეტის თანამშრომელმა დოქტორმა ანტონიო ბრავომ და თბილისის უნივერსიტეტის თანამშრომელმა ნინო ციმაკურიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე დღეს, ეს იყო სექტემბრის ხუთი რიცხვი, შაბათი, ისინი (ელჩები – ე.ხ.) ჩავიდნენ ქალაქ ავნიკში |Avnique||Aumian|. ოთხშაბათს ისინი ავიდნენ ციხე-კოშკში, რათა ენახათ დიდი რაინდის ვაჟი, რომელიც მამის ნაცვლად განაგებდა ამ მიწას. ამ უკანასკნელს კი, ჩაღათაელს, სახელად ტოლადიბეკს |Tolady beque||Toladaybeque| , ეს მიწა მიუღია მისი დამპყრობელის – ტამურბეკისაგან |Tamurbeque|| Tamurbec|. ელჩებმა ტოლადიბეკის ვაჟს კამოკანის კაბა მიართვეს, როგორც ეს მიღებული იყო, შემდეგ უამბეს თავიანთი ამბავი. ტოლადიბეკის ვაჟმა უთხრა ელჩებს, რომ ყარაოტომანი |Caraotoman| იმყოფებოდა არზინგას |Arzinga| მიწაზე, საითაც ისინი აპირებდნენ წასვლას და იქ იქმოდა ავს. მაგრამ მეფის, მათი ბატონის, პატივისცემისათვის და ტამურბეკის სამსახურისათვის, რომელთანაც ისინი მოვიდნენ, იგი გაატარებდა მათ სხვა გზით. ამ გზაზე ელჩებს არავითარი საფრთხე არ ელოდათ. თურქეთის ელჩები კი სხვა გზით წავიდოდნენ. ავნიკის ეს ციხე-კოშკი ძალიან მაღალ ადგილას იყო აგებული და კარგად გაემაგრებინათ. მას გარს ერტყმოდა სამმაგი კედელი. შიგნით წყაროს წყალი მოედინებოდა, ციხეს უხვი მარაგი ჰქონდა და დიდ შემოსავალს ფლობდა.

სამშაბათს, რვა სექტემბერს, ისინი გაემგზავრნენ ერთი ჩაღათაელის თანხლებით, რომელიც ავნიკის მფლობელის ნდობით იყო აღჭურვილი. მან ელჩები წაიყვანა გურგანიის |Gurgania| გზით. ხოლო არზინგას გზა, რომლითაც მოვიდნენ, მარცხნივ მოიტოვეს. ის ღამე გაათიეს ქალაქში, რომელიც ეკუთვნოდა ავნიკის გამგებელს. მეორე დღეს ალიონზე ადგნენ

და მაღალი მთა გადალახეს. იქიდან რომ ჩამოვიდნენ, მათ დაინახეს მაღალ მთაზე აღმართული ციხე-კოშკი, რომელსაც ტორკონი |Corcon||Tarcon| ერქვა. გურგანიელი |Gurgania| დიდებულის კუთვნილი ეს ციხე ტამურბეკს აულია და ხარკი დაუდვია მისთვის. ელჩებმა ღამე გაათიეს სოფელში, აქედან ერთი ლიგის დაშორებით; და ამის შემდეგ ორი დღე იარეს ამ მთებში.

პარასკევს, ეს იყო სექტემბრის თერთმეტი, ისინი მიადგნენ ციხე-კოშკს, რომელსაც ვისერი |Vicer| ეწოდება. ციხის მფლობელი მავრი მოლა იყო. მოლა კი დოქტორს ან სწავლულს აღნიშნავს. ამ უკანასკნელმა დიდი პატივით უმასპინძლა ელჩებს. მთელი ეს ქვეყანა აკლებული იყო ყარაოტომანისა და სხვა ტომთა მიერ, რომლებიც ამ გზით გარბოდნენ თავიანთ ჯოგებთან ერთად. ელჩები აქ დიდხანს არ შეყოვნებულან. გამყოლმა განაცხადა, რომ აუცილებელი იყო ენახათ ქალაქ ასპირში |Aspri||Aspir| დიდებული, რომელთანაც თავისმა ბატონმა წერილები გაატანა. გზა, რომელიც მათ გამოიარეს ტორკონიდან აქამდე, მთებსა და კლდეებზე გადიოდა. ამ მიწის მფლობელს პირა კობერი |Pira cober| ერქვა. ეს ადგილი, მიუხედავად მთაგორიანობისა, ხორცით მდიდარი იყო. მომდევნო დღეს, შაბათს, ელჩები ამ დიდებულთან მივიდნენ და ყამოყანის ორი კაბა მიართვეს. მან ელჩებს მეგზური გააყოლა ტრაპიზონის იმპერიამდე. ის ღამე მთის ძირას მდებარე ერთ სოფელში გაათიეს.

მეორე დღეს, კვირას, ისინი ავიდნენ ერთ კლდოვან, გაშიშვლებულ მთაზე, რომელიც ოთხი ლიგის სავალზე ისეთი ციცაბო იყო,რომ ცხოველებმა და ადამიანებმა დიდი გაჭირვებით გადაიარეს.იმავ დღეს მათ დატოვეს გურგანიის |Gurga-

nia|Gorgania| მიწა და გადავიდნენ არაქიელის |a Raguiel||Arraguel| ტერიტორიაზე. გორგანები |Grieganos||Gorganos| ამაყი და ტანადი ხალხია, სარწმუნოება ბერძნებისა |Grigesca||Griguesca| აქვთ, ენა კი საკუთარი.

მომდევნო დღეს, ორშაბათს, მათ ისადილეს არაქიელის ერთ სოფელში. მაშინვე გააგრძელეს გზა და ღამე სხვა სოფელში გაათიეს. მიზეზი, რომლის გამოც ასპირის გამგებელი მავრი არაქიელის მიწის მფლობელიც გამხდარა, შემდეგია: ამ ქვეყნის მცხოვრები მავრები უკმაყოფილონი იყვნენ თავიანთი გამგებლით, რომელსაც, ისევე როგორც თავად ამ მიწას, არაქიელი ერქვა. ისინი წავიდნენ ასპირის გამგებელთან, უთხრეს, რომ სცნობდნენ მას თავიანთ პატრონად, ხოლო მას ისინი უნდა დაეცვა. ასეც გააკეთეს და მისი ხელისუფლების ქვეშ მოექცნენ. ასპირის გამგებელმა მიიღო ისინი თავისი მფარველობის ქვეშ. მან დანიშნა მთავარი, რომელიც მის ნაცვლად და მისი სახელით განაგებდა ამ ხალხს ქრისტიანებთან ერთად. ეს მხარე დაფარულია ტყით მოფენილი მთებით. აქ ისეთი ციცაბო დაღმართებია, რომ ცხოველები მათზე ვერ დადიან. ერთი კლდიდან მეორეზე გადასასვლელ ხიდად ხეა გადებული. ხშირად ხდება ხოლმე, რომ დატვირთულ პირუტყვს გავლა არ შეუძლია და ადამიანებს უწევთ ტვირთის აკიდება. ამ მხარეში ცოტა პურია. ამ მიწაზე ხსენებულ ელჩებს, ისევე როგორც თურქეთის ელჩებს, დიდი საფრთხე შეემთხვათ. აქ იყო მდაბიო წარმოშობის ცუდი ხალხი, თუმცა ისინი ქრისტიანი სომხები იყვნენ. მათ ხსენებული ელჩები არ გაატარეს, სანამ თავიანთი ბარგიდან ზოგი რამ არ დაუტოვეს. ამ მთებში ოთხი დღე იარეს და მიაღწიეს ზღვის პირას მდგარ ერთ სახლს. აქედან ტრაპიზონამდე ექვსი დღის სავალი გზა იყო მთების გავლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ მათ იარეს ცუდი გზით იმ ადგილამდე, რომელსაც სურმენია |Xurmenia||Surmena| ჰქვია. ტრაპიზონის მთელი ეს მიწა ძალიან კლდიანია და მაღალი ხეებით მოფენილი მთებითაა დაფარული, რომელიც ზღვას ეკვრის. ყოველ ხეზე ეხვეულია ვაზი, რომელსაც არ უვლიან, თუმცა მისგან ღვინოს აყენებენ. მოსახლეობა ცხოვრობს კოშკებში, როგორც ისინი უწოდებენ სოფლის სახლებს, რომლებიც სინამდვილეში აქა-იქ მიმოფანტული, ერთმანეთზე მიდგმული ქოხებია მხოლოდ. ამ გზაზე ყველა ცხოველი დაეღუპათ.

ხუთშაბათს, სექტემბრის მეჩვიდმეტე დღეს, ისინი ჩავიდნენ ტრაპიზონში და ჩასვლისთანავე შეიტყვეს, რომ კაკლით დატვირთულ ერთ ხომალდს აფრები აღემართა პერაში |Pera| წასასვლელად.

მწერლის არქივიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ რობაქიძის წერილები, რომელსაც ამჟამად ვთავაზობთ მკითხველს, ჩვენი ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელს, ცნობილ პოეტს, ჯემალ აჯიაშვილს 1990 წ. აგვისტოში, ისრაელში ყოფნის დროს გადასცა ჩვენმა თანამემამულემ, ამჟამად ქალაქ ჰაიფას მკვიდრმა, პოეტმა დავიდ აგმონმა. ეს წერილები ძირითადად უცნობია ქართველი მკითხველისათვის. წერილებს ვაქვეყნებთ კომენტარის გარეშე.

თ. ჩხენკელი

გრიგოლ რობაქიძის ოფიციალური პირებისადმი, ნაცნობ-მეგობრებისადმი და ნათესავებისადმი მიწერილ ბარათებში ჩართულია ხოლმე უაღრესად მნიშვნელოვანი მსჯელობები ფილოსოფიურ და ლიტერატურულ საკითხებზე, რომელთაც ზოგჯერ პარადოქსული ხასიათი აქვს. უფრო ხშირად ეს მსჯელობანი ლაკონური ფრაზეოლოგიით გვიმჟღავნებენ მის თვალსაზრისს, მის ლიტერატურულ და მსოფმხედველობრივ კრედოს.

გრ. რობაქიძის აზრით, თანადროული დასავლური ფილოსოფიის თაურმუხლი (ე.ი. ამომავალი წერტილი) „აბსურდია". ბარათში მითითებული მოაზროვნის მძაფრი, „მოლეკულარული" ანალიზის წიაღ არ ვლინდება ლოგოსის თაურმუხლი: აქედან გადაჩეხვა „არარაობის" უფსკრულში. ასეთნაირი თვალსაზრისი დასავლური აზროვნების შეფასებისას გრ. რობაქიძის ესეებშიც მჟღავნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთსავე თვალსაზრისს ავლენს გრ. რობაქიძის მიერ ზუსტი დაფორმირებულით თქმული: „პარიზი ისაა დღეს, რაც ალექსანდრია ანტიურ სამყაროში. რაა „ალექსანდრიზმი“: წყაროთა თვალის ამოშრეტა კულტურაში . . . ჰიპერტროფია ფორმისა, რომელიც თან ახლავს ქმედითი „თესლის“ მოსუსტებას“. „ალექსანდრიზმის“ ასეთი განსაზღვრება შესანიშნავია.

ლიტერატურას მწერალი შემდეგი კრიტერიუმით აფასებს: 1. ცნაურდება თუ არა ნაწარმოებში ახალი ასპექტი სამყაროსი (და თუ ცნაურდება), 2. რამდენად არის ეს ასპექტი უნივერსალური . . . მას მიაჩნდა, რომ ისეთი წიგნის დაწერა, რომელიც ქვეყანას აუწყებს, „თუ რა მისცა საქართველომ უნივერსალური სახით კაცობრიობას . . . უაღრესად მნიშვნელოვანი ქართული საქმეა“.

ჩემი აზრით: არა მარტო გრ. რობაქიძის ბარათების მთლიანი კორპუსი უნდა გამოქვეყნდეს, არამედ ამ ბარათებიდან ამონაკრები ლიტერატურულ-ფილოსოფიური ხასიათის მსჯელობების კრებულიც.

1993 წ. VI

გრ. რობაქიძის გამოუქვეყნებელი წერილები

14.12.1948

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატივცემულო ბ. ნიკო!

მსურდა თქვენს ბარათს ვრცლად გამოვხმაურებოდი. ვერ ვახერხებ; ხელით წერას გადავეჩვიე და ქართული საწერი მანქანა კი არ გამაჩნია. ვეცდები მოკლედ მაინც შევეხო ზოგ რამეს, თქვენს ბარათში აღძრულს. მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ. თქვენ მიგაჩნიათ იგი ქართველ დეკობრად. იქ, საცა იგი „დეკობრაობს“ (მაგალითად „კვაჭი კვაჭანტირაძე“), იქ იგი დეკობრისაც ვერ გაეტოლება. მე ავილე არა მისი „დეკობრიადა“, არამედ მისი „არსენა მარაბდელი“. აქ კი მას შეუძლია გაეჯიბროს არა თუ დეკობრს, მრავალ გამოჩენილ მწერალსაც კი ევროპისა. „არსენა“ მოვნათლე მე „ნამდვილ ქართულ ეპოსად“ – მოვნათლე ასე, რადგან მასში დიდი ოსტატობით არის ახატული ბოლო ხანა ქართული ფეოდალური ყოფისა. მარტოდ მარტო არსენას ნადირობა რად ღირს! არა მგონია ევროპაში მოიპოვებოდეს ისეთი ნაწარმოები, საცა ასეთი „პლასტიკური დინამიურობით“ იყოს ნადირობა განფენილი და ბევრი, ბევრი კიდევ სხვა რამ. მე, სიმართლის ერთგული, მისხლობრით ვწონავ ჩემს სჯას სხვებზე – და აი გაიხსენეთ: თუ როგორ „მაგრამს“ ვატნევ თან „იმ“ ესკიზში ამ დაფარებას, თუმც, აქა იქ დამძიმებულია (იგულისხმება „არსენა“) „ზედმეტით“ და ხანდახან უგემურობით შელახული. აი ჩემი შეხედულება! „პარიზი ცენტრი არის განათლებისო, დღესაც -კი“, – ამას სხვებიც ფიქრობენ. ფიქრი მართალია, ხოლო ერთი განსაზღვრით: პარიზი ისაა დღეს, რაც ალექსანდრია იყო

ანტიურ სამყაროში. გაგეგონებათ ალბათ, თუ რაა „ალექსანდრიზმი“: „ენგადის“ (წყაროთა თვალის) თანდათან[illegible] ამოშრეტა კულტურაში. („. . . . .) – აი მხვედრი ზედშესრული „ალექსანდრიზმის“ დასახასიათებლად. ჰიპერტროფია „ფორმისა“ და განსაკუთრებით („. . . . . . .) – ჰიპერტროფია, რომელიც თან ჰყვება ხოლმე ქმედითი „თ ე ს-ლ ი ს“ მოს-უსტებას. ასეთს („. . . . . .) ტალანტები№ მრავლადაა, ხოლო გენია საძებარი. ეს როგორც ფილოსოფიაში, ისე ლიტე-რატურაში. ამას წინათ წავიკითხე (. .) – ის წიგნი „Situations I“. ჩემი ფიქრი კიდევ უფრო განმტკიცდა. ახლა ვკითხ-ულობ მის ფუძემდებელ ნაშრომს „Il Etra at C' Niant“. ყოფის ანალიზი: მძაფრი, პირდაპირ „მომელეკულარ-ული“ – ხოლო თაურმუხლი ლოგოსისა ვერ წვდენილი, არ ხილ-ული. აქედან: გადაჩეხვა „არარაობის“ უფსკრულში, გასაგებიცაა – მთელი მაგისტრალი დასავლეთის ფილოსოფიისა მე ამრიგ მეჩვენება: წარმოიდგინეთ, ჭადრაკის თამაშისას ერთმა მოთამაშემ დაუშვა არამართებული სვლა („ცლვა“ უნდა და არა „სვლა“), რომელიც ვერც მან შეამჩნია თვითონ და ვერც მისმა მოპირდაპირემ; თამაში შესაძლოა გენიალურ გაგრძელდეს, ხოლო ბოლოს, განიხილავენ რა მთელს პარტიას გათამაშებ-ულს, აღმოჩნდება, რომ გაპაექრება ფ-უჭად ჩატარებ-ულა. ასეთ „პარტიად“ მეჩვენება მაგისტრალი დასავლეთის ფილოსოფიისა: იქ თაურ--მუხლი, გამოსასვლელი, „აბს-ურდია“. (ეს მტკიცება გაყვანილია შესავალში ერთი ჩემი ახალი წიგნისა „Am isis–Brunnen“ ამ შესავლის დაბეჭდვას აპირებს ერთი ჟ-ურნალი, რომლის წრეებში მას „შემთხეველი“ შთაბეჭდილება მოუხდენია). ახლა ლიტერატურა – ჩემი საზომი აქ შემდეგია:

1. ცნაურდება თუ არა ნაწარმოებში ახალი ასპექტი სამყაროსი?, 2. რამდენად არის ეს ასპექტი (თუ მართლა არის), უნივერსალური? არის იგი პლასტიურად განფენილი ისე, რომ მოთხრობილი წაკითხვის ბოლოს ცოცხალ მითოსში (Mythos, Mytne) გადადიოდეს. აი ჩემი (. . . . .) „ჩემი“ – რადგან ჩემს შემოქმედებაში ამ საზომით გამოვდიოდი. (ვამართლებ თუ არა მას, ეს სხვა საკითხია. სამწუხაროდ, თქვენ, როგორც მწერთ, არყოფილხართ გაცნობილი ჩემს შემოქმედებას, „მომწიფებულს“ გერმანიაში). ამ საზომით თუ განვიხილავთ ევროპის ჩვენი დროის ლიტერატურას, მაშინ „მაგრამ“ წამოყოფს თავს სხვადასხვა მხრით. აქ ზედმეტი არ იქნება, ვახსენო ნაწარმოებნი, ჩემს „გემოზე“ გამართულნი: „რუხი მხედარი“ (ავტორი გენმანელი: (. . . .), „სკალ' პოლტის ქალწული“ (ავტორი ისლანდიელი: Dudmunduz Kamban) „შენშელ“ (ავტორი რუსი: Пришвин), „შადრევანი“ (ავტორი ინგლისელი: მ.მორგან), “Regain” (ავტორი ფრანგი: Iean Giono), ზოგიერთი რომანი Ramuz -ის (შვეიცარიელის). „პოეზიას“ დასავლეთისას არ ვეხები – ვიტყვი მხოლოდ:იგი – „ჩემი განზომვით“– მოისუსტებს, როგორც ფილოსოფია იმავ დასავლეთისა. „დ ა ს ა ვ ლ ე თ ი“ სწორუპოვარია: მეცნიერებაში, ინსტრუმენტალურ მუსიკაში, მხატვრობაში, რომანში, ესსეში. („რომანი“ და „ესსე“ – აქ უმთავრესად როგორც „ჟანრი“.)

დასასრულ: 1. “Maita” ქართულად „ოსტატია“. ხმარობენ „ხელოსნის“ მიმართაც. „ხელოსანისათვის“ ჯერ კიდევ არაა „ფსიქოლოგიურად“ მზა, 2. ყოზეფ კონრად – მართლაც შესანიშნავი „მიმყოლი“ როგორც (. . .). რამდენადაც ვიცი, პოლო-

ნ-ურად (. . . .), 3.სახელი და გვარი „იმ“ გერმანელი მწერლისა გამოითქმის ასე: ერნსედ იუნგერ „იუ“ გადამბული.

– –– უკვე დავიღალე.

კეთილი სურვილებით

გ რ ი გ ო ლ რ ო ბ ა ქ ი ძ ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

–როგორც გადმომცეს, მისთვის ხელი არავის უხლია.
პირადად არ ვიცნობ. ვიცნობ მის ძმას – უმცროსია:
ისიც მწერალი (კარგი ესსეისტი და წარჩინებული ლირიკოსი).

3.10.1952

ᲓᲘᲓᲐᲓ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲝ

ბატონო ნიკო!

ჩემს ღია ბარათს მიიღებდით. მარსელ ბრიონისათვის არ მითხოვნია ეთარგმნა ჩემი წიგნი საქართველოზე – აი რის გამო. ომის დროს ჩემი კავშირი მასთან, მიწერ-მოწერის გზით, შეწყდა.ომის შემდგომ, ორი წლის წინათ, გავუგზავნე მას აქედგან ბარათი. მომივიდა პასუხი. სხვათა შორის მწერდა: ვეცდები თქვენი წიგნების ფრანგულად გამოცემასაო. მე მადლობა გადავუხადე ამ სურვილისათვის, აღთქმისათვის. თანვე ვაცნობე: თუ რა სიძნელე გადაეღობებოდა მის ცდას წინ

(ჩემი წიგნაკი ჰიტლერზე). ავუხსენი ვრცლად, რომ ამ წიგნაკში ერთი წვეთიც არაა ნაციზმისა, რომ მისი შინაგანი intentiaon სულ სხვა რამეს იგულვებდა, ვიდრე ეს მკითხველთ მოეჩვენებათ გაცხარებულ ატმოსფეროში ომისა. ვახსენე აგრეთვე ჩემი წიგნაკიც მუსსოლინზე, რომელსაც იგივე მკითხველნი მაინცა-და-მაინც დიდ ბრალად არ მითვლიან, ვინაითგან იგი წმინდა ლიტერატურულ ფარგლებს არ სცილდება. პასუხი? მხოლოდ დუმილი. მე ეს „დუმილი" არ მიკვირს. თანამედროვე „ინტელექტუალი" შებოჭილია „ფსიქოლოგიზმებით" სხვადასხვა სახისა, განსაკუთრებით „ფსიქოლოგიზმით" ჰიტლერ-მუსსოლინის ირგვლივ. იქ კი, საცა „ფსიქოლოგიზმი" სუფევს, იქ ჭეშმარიტება ნათლად ვერ დაინახვის: შესაძლოა ოტელლო დააჯეროთ, რომ მისი იჭვი უსაფუძვლოა! ჩვენი დროის „ინტელექტუალთა" წრე იმ წიგნაკებს ვერ გაიგებს. ეს სამწუხაროა, მაგრამ ეს ფაქტია. (თუ როგორ იჩენს თავს „ის" სიძნელე ჩემს მწერლურ ასპარეზზე, ამის შესახებ სხვა დროს. გასაგებია, რომ მე ბრიონისათვის, მისი დუმილის გამო, შემდგომ არა მიმიწერია რა.

ჩემს წიგნს საქართველოზე თარგმნის ერთი ფრიად განათლებული ფრანგი - შვეიცარიელი, რომელსაც გერმანული საკმაოდ ემარჯვება. ნიუანსებს გერმანული ტექსტისა მე ვუხსნი. თარგმნა მოთავდება დაახლოვებით 10 დღეში. თარგმანს გადაათვალიერებს პროფესორი Albert Malch, გეცოდინებათ: დიდი მეგობარი ქართველთა. შესაძლოა არ იცოდეთ: იგი მწერალიცაა თვალსაჩინო.

ეხლა თქვენი „განცხადება" (რომელსაც ამასთანავე გიბრუნებთ). მას ამ რიგად „მოაგვარებთ": „ასეთი წიგნით, რომელიც პირველად ამცნევს ქვეყანას, თუ რა მისცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველომ, უნივერსალური სახით, კაცობრიობას, ჩვენ, ქართველთ, შეგვიძლია სიამაყით წარვსდგეთ ყველგან, საცა ჯერ არს". დაუმატებთ: „შეგვიძლია ჩვენი ხმაც გაისმას ისეთს ყრილობებზე, საცა „ინტელექტუალნი" სხვადასხვა მხარისა ამ საკითხის ირგვლივ ბჭობენ: "Quelles valeurs defendons nous" მიაწერთ: „ვეცდებით თანვე, რომ ეს ჩვენი ხმა იქ ამ წიგნის ავტორის მიერ გაისმას" – (აქ განიმეორებთ სიტყვებს, თქვენ მიერ თქმულთ ავტორის დასახასიათებლად).

იყავით მხნედ და მარჯვედ!

თქვენი

გრიგოლ რობაქიძე

ალბათ მალე მოელაპარაკებით "Edition des deux=Rives" და მაცნობებთ შედეგს.

27.5.1953

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერა ვარ კარგად – გწერთ მოკლედ.

"Grasset" -ის თქმა . . ."Frappantes Formules". ჩემი წიგნი თავითგან ბოლომდე არის: "Frappante". არის ასეთი, ვინ აითგან იგი ა ღ მ ო ჩ ე ნ ა ა. ხსენებულ გამომცემლობას ძალიან „მოხვედრია" ჩემი წიგნი შინაგან – ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ იგი უკან დაგიბრუნებდათ მანუსკრიპტს და არ გაუგზავნიდა მას სხვა რომელიმე გამომცემლობას. კარგი უქნია, რომ ამ გამომცემლობისათვის – "Editions des deux rives" – მიუწოდებია. პასუხი ამ გამომცემლობისა „იმედიანია". ნახავთ – მოელაპარაკებით. თუ კ ო მ ი ტ ე აღუთქვამს ამ გამომცემლობას, რომ იგი შეიძენს 200 ცალს წიგნისა, მიახლოვებით – მაშვინ უთუოდ დადებითად გადაწყდება საკითხი. ა ს ე ვ ფ ი ქ რ ო ბ. ეხლა ორიოდე სიტყვა კ ო მ ი ტ ე-ს მიმართ. მისი საქმიანობა, როგორც თვითონ აცხადებს ხოლმე, ქ ა რ თ უ ლ ი ს ა ქ მ ე ა ჩემი წიგნის გამოცემა – ვამბობ ამას სრული პასუხისმგებლობით წინაშე ყველა ქართულ პოლიტიკურ დაჯგუფებათა არის უ ა ღ რ ე ს ა დ მნიშვნელოვანი ქ ა რ თ უ ლ ი ს ა ქ მ ე – აი, რა მხრით:

1. მისი გამოცემის შემდეგ ქართველ პოლიტიკოსებს სათანადო წრეებში ევროპაში-ინგლისში-ამერიკაში სულ სხვა ენით დაელაპარაკებიან, რადგან იგი ნათლად გადაუშლის ხსენებულ წრეებს, რომ საქართველო უბრალო „ე თ ნ ო გ რ ა ფ ი ა" არაა;
2. „ველიკოდერჟავნიკებს" – ვგულისხმობ: კერენსკებს, მელნიკოვებს და სხვებს – ენა ჩაუვარდებათ, გაეცნობიან-რა ამ წიგნს; 3. მოვიცილებთ საერთაშორისო ხაზით სამარცხვინო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელდებას: „ნაციონალი“ – გაპირის-პირებით რუსებთან, რომლებიც ითვლებიან . . . . იცით, რისი თქმა მინდა.

აი, რას მიაღწევენ ჩემი წიგნით დღევანდელი მესვეურნი ჩვენი ბედკრული ხალხისა.ამბობსამასგ.რ., მწერალი, რომელიც მოქცეულია: ბ რ ო კ ჰ ა უ ზ ი ს ლექსიკონში, კ ნ ა უ ე რ ი ს ლ ე ქ ს ი კ ო ნ შ ი (ახალი გამოცემა), შ ვ ე ი ც ა რ ი ი ს ლ ე ქ ს ი კ ო ნ შ ი – დავუმატებ: რომელიც მოქცეულ იქნება მ ს ო ფ ლ ი ო ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს ლ ე ქ ს ი კ ო ნ შ ი (გამოსცემენ ბერნში) და მ ს ო ფ ლ ი ო თ ე ა ტ რ ი ს ე ნ-ც ი კ ლ ო პ ე დ ი ა შ ი (გამოსცემენ იტალიაში). ამ კაცს . . . მგონია . . . დაე-ჯერება . . . დაუჯერბენ – ხომ კარგი. არ დაუჯერებენ – ღმერთმა მშვიდობა მისცეთ !

(ბარათებს ხსენებულ გამო-
მცემლობათა გიბრუნებთ უკან
ამ ბარათთან ერთად)

კეთილი სურვილებით – თქვენი

გ რ ი გ ო ლ რ ო ბ ა ქ ი ძ ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი ურ თ ი ე რ თ ო ბ ა ნ ი ---------------- 3
ნ. ს ო ხ ა ძ ე – ქართულ-ბიზანტიურ ლიტერატურულ ურთიერთობათა მკლევარნი------------------------- 3
მ. თ ხ ი ნ ვ ა ლ ე ლ ი – ქართულ-არაბულ ლიტერატურულ ურთიერთობათა მკლევარნი ------------------------53
რ უ ს თ ვ ე ლ ო ლ ო გ ი ა ------------------------------ 64
მ. ო ძ ე ლ ი – „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურენოვანი თარგმანები: მათი ხასიათი და მთარგმნელთა მიზანდასახულობანი ------------------------------64
ს. გ ო გ ი ბ ე რ ი ძ ე – „ვეფხისტყაოსნის“ მეტაფორები ინგლისურ თარგმანებში--------------------------------82
მ. ბ ე ჟ ი ტ ა ძ ე – „ვეფხისტყაოსნის“ რუსი მკლევარნი ---------93
მ. ე ლ ბ ა ქ ი ძ ე – რუსთველური მიჯნურობა და კურტუაზული სიყვარული-----------------------------125
მ. ე ლ ბ ა ქ ი ძ ე – მეფე-პატრონის მხატვრული სახის გაგებისათვის „ვეფხისტყაოსანსა“ და დასავლეთ ევროპის რაინდულ რომანში---------------137
ნ. ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი – „ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელი გამოცემის რამდენიმე კონიექტურის თაობაზე-----------158
ე მ ი გ რ ა ნ ტ უ ლ ი პ ე რ ი ო დ ი კ ი ს მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა ------ 176
მ. ბ ე ჟ ი ტ ა ძ ე – ემიგრანტული ჟურნალი „ქართველი ერი“----177
მ. ო ძ ე ლ ი – ჟურნალი „ჩვენი გზა“----------------------186
ნ. ნ ი კ ო ლ ო ზ ი შ ვ ი ლ ი – საინფორმაციო გაზეთი „ცნობის ფურცელი“ --------------------------- 195
მ. ბ ე ჟ ი ტ ა ძ ე – ემიგრანტული პერიოდიკის ერთი ფურცელი გაზეთი „ქართველი ერი“ -------------203
მ. ო ძ ე ლ ი – რაზე წერს „კრებული“ ------------------210
თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი ----------------------------------222
ა რ თ უ რ შ ო პ ე ნ ჰ ა უ ე რ ი – ცხოვრებისეული სიბრძნის აფორიზმები ასაკობრივი სხვაობისათვის /თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ/--------------------------222
უ. შ ე ქ ს პ ი რ ი – ლუკრეცია /თარგმნა ჯ. აჯიაშვილმა/ ----------------------------256

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუი გონსალეს დე კლავიხო — ჩანაწერები საქართველოს გავლით მოგზაურობისას 1405 წ. 5-17 სექტემბერს. /ე. ხინთიბიძის თარგმანი და შენიშვნები/------------------------------ 336

მწერლის არქივიდან

თ. ჩხენკელი — მწერლის არქივიდან-------------------349

გრ. რობაქიძის გამოუქვეყნებელი წერილები-----------351

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობის რედაქტორი ქ. ალხაზიშვილი
ტექრედაქტორი თ. ფირცხელანი
კორექტორი ქ. გაჩეჩილაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.05.01
საბეჭდი ქაღალდი 60x84 1/16
პირ.ნაბეჭდი თაბახი 22,75
სააღ.-საგამომც. თაბახი 12,62
შეკვეთა № 4 ტირაჟი 120

ფასი სახელშეკრულებო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი.ჭავჭავაძის გამზ.14

თბილისის უნივერსიტეტის
სარედაქციო-საგამომცემლო კომპიუტერული
სამსახური
თბილისი, 380028, ი.ჭავჭავაძის გამზ.,1

7c.
Lg 1/21
ეროვნული ბიბლიოთეკა